კვირის პალიტრ

1168
2006

N28 (318) 13/VII-19/VII.2006.
ფასი 60 თ.

63

„ტატას ჩემ მიმართ გრძნობა გაუჩნდა...“

ვის გამო ჩავარდა ტატა დეპრესიაში

ბინილისელი შეიხები და სანცარში მოთავსებული პატარძლის შმანკოვების დასტური

სნაიპერი, ჯაშუში და დედა

„ჯერეც ამიყვანია, მიწამებია და ყელიც გამომიჭრია...“

ვის ჩააბარა დათო დოიაშვილმა ეკა კახიანი

ვნებიანმა ტატამ „ჯეობარში“ მომუშავე „ბომონდის“ ჟურნალისტს სამსახური დააკარგვინა

წარმატება — მილიონერი ქართველი ახალგაზრდა

მცირეწლოვანი დედები

8 წლის მომწიფებული გოგონა და 13 წლის ასაკში გათხოვებას შეწირული ყმაწვილქალობა

ეკლესიის

არ გამოგრჩეთ!

№14(49), 14-27 ივლისი, 2006

ფასი 80 თეთრი

კერპი ქალაქ

მართლმადიდებლური ჟურნალი

ნომრის თემა:
მოძღვარი

განა იოლია, ამდენი ტკივილი ატარო გულით?

აბა, რა ვარ ჩემი სულიერი მამის გარეშე?

რაც შეიძლება მეტი ქართველი უნდა ჩავიდეს იქ

მეუფე იეგუდიელი: ჩემი თხოვნაც ეს არის, რომ ერთობა გვქონდეს უფალში

ნაბიჯი ჯეშმარიტებისაკენ

№28 (318)
13 — 19 ივლისი, 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ენას დაჭერილი კბილი ანუ „ასე ნანატრი თავისუფლება“ 3
ერთი კითხვა 4
უცხოური პრესა
რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს 6
არდადეგები
მეეგოვეებად ქცეული ქართველი სტუდენტები და დაპირებული 409 ლარი და 80 თეთრი 8
ჟურნალისტის როლში
ნათესაური კავშირები და დამაბნეველი კითხვა... ვის ჩააბარა დათო დოიაშვილმა ეკა კახიანი 10
კარიერა
პაატა კაკაშვილი – 28 წლის ფილოსოფიის დოქტორი, ფიზიკოსი 12
კრიმინალი
სასწრაფო წესით გამოტანილ განაჩენს კიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან 14
გზავნილები
საგაფხულო თავგადასავალი 17
თემა
მცირეწლოვანი დედები – ნაადრევ გათხოვებას შეწირული ყმაწვილქალობა 20
13 წლის დედა და 8 წლის ასაკში მომწიფებული გოგონა 22
თინეიჯერული პონტები
ბატივით თეთრი კანი, გარუჯული სხეული, „მოდუნული“ ფული და სახლის სახურავზე გახსნილი პლაჟი 24
მეგრძოლი
სნაიპერი, ჯაშუში, დედა... 27
დღე ცნობილთან ერთად
ინგა გრიგოლიას ორ წლის ბავშვივით ეფერებიან 29
კულისები
ვინ შეუყვარდა ტატას „ჯეობარში“ და ვინ დაკარგა სამსახური მის გამო 30
პირველი ნაბიჯი
სარდაფიდან ამოსული „მხიარული გულები“ და მკერდსავსე რუსი დეპუტატი ქალი 32
დოკუმენტური პროზა
სანამ ცოცხლები ვართ... 33
ტაიმ-აუტი 36
რომანი
გაგა ვაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (გაგრძელება) 38

ინგა გრიგოლიას ორი წლის ბავშვივით ეფერებიან

„ყოველთვის ვცდილობ, ფორმაში ვიყო, რადგან თუ შენ არ მოგწონს საკუთარი თავი, შეუძლებელია სხვას მოეწონო. განწყობილების მიხედვით ვირჩევ ტანსაცმელს, ფერებს და ვარცხნილობასაც. ზოგჯერ, თმას თვითონ ვიკეთებ, მაგრამ არის პერიოდი, როდესაც თითქმის ყოველდღე სილამაზის სალონს ვსტუმრობ“.

29

ნაადრევ გათხოვებას შეწირული ყმაწვილქალობა

„ვიღაცისგან გაუგია, რომ შეყვარებული მყავდა და მას ჩუმად ვხვდებოდი, დამემუქრა, სკოლის გარდა ვერსად წახვალ, ყოველთვის გაგაკონტროლებო. მეც ამიტომ გავიპარე სკოლიდან“.

20

სნაიპერი, ჯაშუში, დედა...

„ჩემი შვილები შეგუებულნი იყვნენ იმ აზრს, რომ დედა სახლში არასდროს არ უნდა ყოფილიყო. როცა სამძებროში ვმუშაობდი, სახლში ღამის 3-4 საათზე შევდიოდი“.

27

ვინ შეუყვარდა ტატას „ჯეობარში“

„მართალია, ტატამ სხვებისგან რაღაცით გამომარჩია, ჩემ მიმართ სიმპათია გაუჩნდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თამაშის დასრულების შემდეგ, ეს გრძნობა ძალიან მარტივად გაუქრება“.

30

C M Y K

ჯანმრთელობა
- გემო და ხასიათი
- მგემ თუ კანი დაგიწვათ 43

სამზარეულო
პატარაობისას თათა ვარდანაშვილს დედა თეთრ ღვინოს ასმევდა 44

წარმატება
ირაკლი ლაბაძე – მილიონერი ქართველი ახალგაზრდა 45

ტაძარი
მდინარის ქვებზე შემორჩენილი სისხლის კვალი და მოწამე ბერების მაღლით განწმენდილი წყლის ძალა 47

აქტუალური ინტერვიუ
ფეხმოკლე ამბავი სიძლიერეზე და ის, რასაც სიკვდილი ვერ კლავს 48

გასტროლი
რას დაჰპირდა ბუშს მამუკა ლომაშვილი 51

ფესვები
საცერში მოთავსებული, რძლის უმანკოების დასტური... 52

ბომონდი 53

ბედისწერა
ქაკლინ კენედი – პაიკი თუ დედოფალი?.. 55

მოდელი
ორსული ქალი პოდიუმზე 57

ბომონდური მოზაიკა 58

ბესტსელერი
შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 60

რეპორტაჟი
გუდაურში გატარებული სამი დღე და ნაცარში ჩავარდნილი კოვზი 64

მუნდიალი 66

ავტო 68

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი
კვირის (13-19 ივლისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი 71

სახლის სახურავზე გახსნილი პლაჟი

„აქაც მაგრად ვერთობი – კარტი გვაქვს, ლუდს ვსვამთ, ნაძლევს ვდებთ და მერე, ხალხს, რომელიც აქედან ჭიანჭველასავით მოჩანს, ვაგიჟებთ“.

24

28 წლის ფილოსოფოსის დოქტორი, ფიზიკოსი

„როდესაც რაღაც ტექნოლოგიების მინიატიურიზაციაზე ვმუშაობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზომის შეცვლის შემდეგ, მან შესაძლოა, დაკარგოს რაღაც თვისება“.

12

ქაკლინ კენედი – პაიკი თუ დედოფალი?..

სულ ცოტა ხნის წინ მოკლული პრეზიდენტის ქვრივი და საიდუმლო სამსახურის აგენტი წითელ ტყავგადაკრულ სავარძელზე გადაწვნენ, სუფრა გადაიფარეს და სექსს მიეცნენ...

55

veluri wablis xeivani

– მოდი ჩემთან, ჩემო პატარა, ჩემო გოშია, მოდი, მოდი, ნუ გეშინია... – მიეფერა ის ნიკას. მერე სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა და ნიკა კალთაში ჩაისვა. – აბა, როგორ გრძნობ თავს? კარგად ხარ მოკალათებული თუ ვერა? აბა, ასე ხომ არ გირჩევნია? – ეფერებოდა ის ნიკას და ნიკაც ქალის ბარძაყებზე მშვენივრად გრძნობდა თავს.

– იფ... – წამოსცდა ნიკას.

– მე-ე? – შეშურდა ირაკლის.

– სენ – დიდი ნთხლე-ე! – ენა მოუჩლიქა თათიკომ ირაკლის.

38

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-74-44 email: gza@kvirispalitra.com

C M Y K

ენას დაჭერილი კბილი,
ანუ „ასე ნანატრი თავისუფლება"

მას შემდეგ, რაც თავისუფალი ქვეყნის მშენებლობას შევუდექით, დავათრევთ ამ ცემენტს და გაჯს აღმა-დაღმა, ხარაჩოდან ხარაჩოზე და ჯერ კიდევ ვერ მივიყვანეთ ეს ჩვენი მშენებარე ქვეყანა „თეთრკარკასულ" მდგომარეობამდე. რატომ?.. იმიტომ, რომ სახლის აშენებას ცემენტი თუ დააკლდა, დაინგრევა. ქვეყნის მშენებლობისას კი, თურმე ცემენტი დემოკრატია ყოფილა და თუ ამ ცემენტს ხან მუშა მოიპარავს და ხან ბრიგადირი დააკლებს, ვერაფერი ნამუშევარი გამოგვივა.

როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დემოკრატია არ დაგვაკლდეს? ეს დემოკრატია შენი ქვეყნის მოქალაქეების სიტყვის, ქცევის და არჩევანის თავისუფლებაა და ძალადობა ყოვლად დაუშვებელია. ჰოდა, მთავრობის უპირველესი მოვალეობაა, ყველა ძალა იხმაროს ძალადობის აღმოსაფხვრელად და ხელკეტებიანი პოლიციის კი არა, ავტომატებიანი ჯარის გამოყვანაც რომ დასჭირდეს, ძალადობა მაინც არ დაუშვას.

ისე, სიმართლე უნდა ითქვას, ხალხიც ბევრს სცოდავს: ზეწოლას ახდენს მთავრობაზე. მაგალითად, გინდა თუ არა, მერობა არჩევითი თანამდებობა უნდა იყოსო. კი, მაგრამ შენი სურვილის დაკმაყოფილება თუ დემოკრატიულია, მთავრობას სურს, თვითონ დანიშნოს მერები და რატომ უნდა გადადოს უკანა პლანზე თავისი დემოკრატიული სურვილი შენ გამო?! ეს ძალადობა არ არის?!

გნებავთ, ის მიტინგები ავიღოთ, ოპოზიციონერი პარტლიდერები რომ მართავენ დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ — ცუდია ეს მთავრობაო... რა უფლება გაქვს შენ, დემოკრატიულ ქვეყანაში აიძულო მთავრობა, კარგი იყოს... მოგკიდებს ხელს პატრული და მიგაბრძანებს, სადაც საჭიროა. მერე იტყვი, ჩემი აზრის გამოთქმისთვის დამიჭირეს და პოლიტპატიმარი ვარო... გამოდიან რიგი პარლამენტარები ეთერში და გამოთქვამენ თავის აზრს, კარგი მთავრობა გვყავსო, მაგრამ კაციშვილს არ დაუჭერია... ან რომ დაგიჭირეს და აიძულებ სახელმწიფოს, კამერაში გარჩინოს, გასვას, გაჭამოს, ეს არაა ძალადობა?!

მოკლედ, ენას რაც უფრო მაგრად დავაჭერთ კბილს, მით უფრო მშვიდად და დემოკრატიულად ვიგრძნობთ თავს. რომ დაგვიღია პირი და ვყვირით, თავისუფლება არ არის ჩვენს ქვეყანაშიო — როგორ არ არის?! ბოლოს და ბოლოს, იმხელა მოედანია ეგერ, მერიასთან; ყოველ მეორე „მარშრუტკას" აწერია — „რუსთაველი, თავისუფლება, ავლაბარი", ეს არ არის თავისუფლება?! თუ „მარშრუტკა" არ გაწყობს და სივიწროვეს გრძნობ, კი ბატონო, აგერაა ავტობუსიც, სადაც კიდევ უფრო მეტი თავისუფლებაა და ახლა ყველაფერი ერთად რომ გინდა — დემოკრატიაც, თავისუფლებაც და კანონის უზენაესობაც, ეს ტრანსპორტია, სტრასბურგი კი არა...

ასე რომ, შევწყვიტოთ ძალადობა მთავრობის წინააღმდეგ კრიტიკითა და მიტინგ-აქციებით და ვადროვოთ მუშაობა. ხომ ხედავთ, როგორ გვიდგას გვერდით ევროპა თუ ამერიკა. აგერ ბატონმა ბუშმა ძალიან ვიწრო, შინაურ წრეში გადაიხადა დაბადების დღე, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი მაინც დაპატიჟა. თქვა კიდეც, საქართველო ჩემს ფიქრებშიაო... ეს ცოტას ნიშნავს?! მართალია, ჩვენ ბუშის ფიქრებში ყოფნას, მის ჯიბეში ყოფნა გვირჩევნია, მაგრამ ფიქრიდან ჯიბემდე ხომ სულ ცოტა მანძილია. თან გადაჰყვა თურმე სტუმარს: ჩვენი პრეზიდენტი შუა სუფრიდან ამდგარა, წავალ აწი, მერე თვითმფრინავები აღარ იქნება და გზაში დამაღამდებაო... ვინ გამოუშვა?! აგერ, მეზობლად, პენტაგონში მოგასვენებთ ამაღამ და ხვალ „პახმელია" ჩემზე იყოს — რას ინებებო?.. სტუმარს უთქვამს, ჩვენში ხაში და არაყი იციანო... ბუშს უთქვამს, ხაში და არაყი არა და ჩიფსი და ერაყი ჩემზე იყოსო...

აი, ასე ვუყვარვართ ამერიკას და მზადაა, ხელისგულზე გვატაროს. არ გვატარებს და, დავაძალებთ, ძალადობა ხომ ჩვენი მოგონილია...

P.S. *განცხადება გაზეთში:*

„ვაშენებთ ქვეყანას სწრაფად და ხარისხიანად. ჩაგაბარებთ „თეთრკარკასულ" მდგომარეობაში. რუსეთის დენით, ყაზახეთის გაზით; ნატოზე მიშენების პერსპექტივით და საუკეთესო ხედით ევროკავშირზე...

შპს „ნაც-მოძ-მრეწვ-მშენი"..."

პროვოკატორი

„ნაციონალური მოძრაობის“ „სათადარიგოთა სკამი“ ყოველთვის მოკლე იყო“...

— თქვენი აზრით, რას შეცვლის საკუთარ გადაწყვეტილებებში, აშშ-დან დაბრუნებული პრეზიდენტი საკაშვილი?

სოსო ცინცაძე, *პოლიტოლოგი:*

— ჟურნალისტებთან შეხვედრისას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მთავრობა ცოცხალი ორგანიზმია და მისი მუდმივი განახლებაა საჭირო. მე მაინც მჯერა, რომ ბატონი მიხეილი თავის ახლო გარემოცვას ბრმად აღარ დაუჯერებს და ისე მიიღებს გადაწყვეტილებებს. ვფიქრობ, უახლოეს მომავალში, მთავრობის ძირეული შეცვლაა მოსალოდნელი. ზოგ მინისტრს გაუშვებს, ზოგს — უფრო შესაფერის ადგილზე გადაიყვანს. ქვეყანაში უმძიმესი სოციალური ფონია: უმუშევრობა, ინფლაცია; არსებობს უმრავი ოჯახი, სადაც ბავშვებს მინიმალური საკვებით ვერ უზრუნველყოფენ. ამაზე პასუხისმგებელია პრემიერ-მინისტრი; რა თქმა უნდა, მთელ ეკონომიკურ გუნდთან ერთად. ენერგორესურსების გაძვირებაზე ხმას არავინ იღებს, მაგრამ როდესაც ძვირდება სურსათი, ასეთ დროს, მთვარობა ხელს ვერ დაიბანს. საკმაოდ მძიმე მდგომარეობაა შექმნილი კონფლიქტური რეგიონების საკითხშიც. როცა რუსეთის სათათბირო იღებს კანონს, რომლის მიხედვითაც, პრეზიდენტს უფლება ეძლევა, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე სპეცოპერაციები ჩაატაროს, და ამის შემდეგ, საქართველოს საზღვარზე საგუშაგოს კეტავს — ეს თითქმის ომის გამოცხადების ტოლფასია. ახლა პროვოკაციების თავიდან აცილება ჩვენთვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. სამწუხაროდ, მთავრობის გუნდში ვერ ვხედავ ისეთი ინტელექტუალური პოტენციალის მქონე გუნდს, რომელიც პრეზიდენტს დაეხმარება ამ სიტუაციიდან უდანაკარგოდ გამოსვლაში. თუ პრეზიდენტი ახალი მთავრობის ფორმირებას დაიწყებს, მან უფრო კომპეტენტური კადრები უნდა შეარჩიოს, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ „სათადარიგოთა სკამი“ ყოველთვის მოკლე იყო და ეს შედეგებზეც აისახება. ■

„ეს მკვლელობა შიდაკონფლიქტის ნიადაგზე მოხდა“...

— ოლეგ ალბოროვის მკვლელობას ოსური მხარე საქართველოს ხელისუფლებას აბრალებს, რატომ მოიშორეს დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი?

გოგა ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— უკვე ერთი თვეა, რაც რუსული და ოსური მედია აქტიურად ლაპარაკობს იმაზე, რომ ქართული მხარე „დიდი რვიანის“ შეხვედრამდე, პროვოკაციებს გეგმავს და ახორციელებს. ეს სისულელეა. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების უშიშროების საბჭოს მდივანი საპრეზიდენტო არჩევნებში კოკოითის ერთ-ერთი რეალური მოწინააღმდეგე იყო. მისი ამოტივტივება რუსეთს არანაირად არ აძლევდა ხელს, ამიტომ, ალბოროვი ფაქტობრივად, ამ ქვეყნის სპეცსამსახურის წარმომადგენლებმა მოიშორეს. ქართული მხარე, ალბოროვის მკვლელობის გარდა, სხვა პროვოკაციებსაც უნდა ელოდეს. „დიდი რვიანის“ შეხვედრამდე, უამრავი არასერიოზული განცხადება კეთდება. ამბობენ — საქართველო ომს აპირებსო. საქართველოს პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტიც კი ამას მიაწერეს — ეს მაშინ, როცა თითოეული ჩვენი ნაბიჯი მხოლოდ სტაბილიზაციისკენაა მიმართული. ქართულ მხარეს მსგავსი ქმედების ჩადენის არც სურვილი აქვს და არც საჭიროება. უშიშროების საბჭოს მდივნის მკვლელობა შიდაკონფლიქტურ ნიადაგზე განვითარებული დაპირისპირების კულმინაციაა. ოლეგ ალბოროვი თავიდან მოიშორეს. როგორც ჩანს, ის მათ ინტერესებში „არ ჯდებოდა“, სისხლიანი ხელები კი ქართულ მხარეს უნდათ შეახოცონ. 17 ივლისს დაგეგმილი შერეული საკონტროლო კომისიის სხდომაზე, ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ და დეტალების გარკვევასაც ვეცდებით. ■

„სტუდენტი შეძლებს, ვებ-გვერდზე იხილოს საკუთარი ნამუშევრის ასლი“

— ერთიანი ეროვნული გამოცდები მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს. სიტუაციის დაძაბვა აპელაციის პერიოდშიც არ მოხდება?

კახა ლომაია, *განათლების მინისტრი:*

— ერთიანი ეროვნული გამოცდები მშვიდ და საქმიან გარემოში მიმდინარეობს. აბიტურიენტები და მათი მშობლები გაცილებით ნაკლებად ღელავენ, ვიდრე შარშან. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ საზოგადოების ნდობა ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართ, მაღალია. ჩვენი მიზანია, მომავალში კიდევ უფრო კომფორტული, მოსახერხებელი და მშვიდი გარემო შევქმნათ აბიტურიენტებისთვის. ამასთანავე, წელს ეროვნულ გამოცდებს 32791 ახალგაზრდა აბარებს, აქედან, 19699 გახდება სტუდენტი. გრანტებს სტუდენტები ზოგადი უნარების ტესტირებაში დაგროვილი ქულების მიხედვით მიიღებენ. წელს მათ ექნებათ საშუალება, 100, 70, 50 და 30%-იანი დაფინანსება მიიღონ. რაც შეეხება საასპელაციო პერიოდს, მღელვარება არც ამ ეტაპზეა მოსალოდნელი. ტესტირებისას, აბიტურიენტები 3 ფორმატის ფურცელზე მუშაობენ. პასუხებით შევსებული ეს ფურცლები დასკანირდება და მათი ელექტრონული ვერსია ინტერნეტში, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტზე განთავსდება. აპელაციის პროცესის დაწყებამდე, თითოეული აბიტურიენტი შეძლებს, ვებ-გვერდზე იხილოს საკუთარი ნამუშევრის ასლი. ნამუშევრების გასწორებულ ასლებსა და შედეგებს აბიტურიენტები ეტაპობრივად იხილავენ — კონკრეტული საგამოცდო საგნისა და ზოგადი უნარების პასუხების გასწორების შემდეგ. გასწორების პროცესი კი, 15 აგვისტოს დასრულდება. ■

რუბრიკა მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

C M Y K

„...პატრული მეორე დღესვე გავიდა შენობიდან“

— თქვენი ოპონენტები ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტში პოლიცია შეიყვანეთ, დიალოგის რესურსი ამოიწურა. ახლა რას სთავაზობთ ავჯანყებულ პროფესორ-მასწავლებლებს?

გია ხუბუა, *რექტორის მოვალეობის შემსრულებელი:*

— თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი იმ შემთხვევაში, როცა არარსებული, უკვე გაუქმებული ორგანო თვითმარქვია რექტორს ირჩევს და რამდენიმე ათეული კაცი უნივერსიტეტის ხელმძღვანელისგან მოითხოვს, რომ მან 10 წუთში, უნივერსიტეტი დატოვოს?.. ისინი ჩემს კაბინეტში შემოიჭრნენ, იმუქრებოდნენ, ილანძღებოდნენ, ადმინისტრაციული ფლიგელის ბლოკირება მოახდინეს. სამწუხაროდ, უნივერსიტეტის დაცვამ თავისი ფუნქცია ვერ შეასრულა და იძულებული გავხდი, სხვა ზომებისთვის მიმემართა. პატრული მეორე დღესვე გავიდა შენობიდან. მე ვფიქრობ, რომ უნივერსიტეტთან დაკავშირებული საკითხები აქციებზე ვერ გადაწყდება. ვერც მუქარითა და შანტაჟით მივიღებთ შედეგს. იმ შემთხვევაში, როცა ორი მხარე კანონის შინაარსზე, ნორმის განმარტებაზე ვერ თანხმდება, ერთადერთი ორგანო, რომელსაც ამის გარკვევა შეუძლია, სასამართლოა. ჩვენ შორის დავის გადაწყვეტა სწორედ ამ გზითაა შესაძლებელი. უნივერსიტეტში არსებობს მისი მუშაობის განმსაზღვრელი ნორმები, რომლის ზევით ვერც პროფესორი დადგება და ვერც რექტორი. კონკურსების ჩატარებაც ამ წესითაა დადგენილი და ის აუცილებლად გაიმართება. მე ნურავინ მომთხოვს ამ წესის შეცვლას, რადგან ამის უფლებამოსილება არ გამაჩნია. ■

„ჩვენი სენია – მაშინ ამოვიღოთ ხმა, როცა პირადად შეგვეხებიან...“

— ხომ არ ჩქარობს ოპოზიცია, როცა ხელისუფლების გადადგომას ითხოვს და რამდენად საფუძვლიანია მთავრობის შიში, მორიგ რევოლუციასთან დაკავშირებით?

ვახტანგ ხმალაძე, *პარლამენტის ყოფილი წევრი:*

— ოპოზიცია მოუწოდებს ხელისუფლებას კანონიერი ქმედებებისკენ. მოითხოვს ცალკეული თანამდებობის პირების გადაყენებას, პარლამენტის დაშლას და პრეზიდენტის გადადგომას. მიუხედავად ამ მოწოდებებისა, ოპოზიციას ერთიანი ჩამოყალიბებული პოზიცია მაინც არ გააჩნია, ხელისუფლება კი, თავისი გზით „მიერეკება“. როცა ხელისუფლება კარგავს მოსმენის უნარს, ეს ყოველთვის ცუდად მთავრდება. თუმცა იმაში, რომ ხალხს აღარავინ უსმენს, თავად საზოგადოებაცაა დამნაშავე. ნებისმიერი ხელისუფლებისთვის დამახასიათებელია თავნებობა. თუ საზოგადოება ფრთხილად არ იქნება და ყველა დარღვევაზე არ აანთებს „განგაშის ნათურას“, მაშინ მმართველი ძალა უფრო და უფრო ცუდად მოიქცევა. მას შემდეგ, რაც გირგვლიანის პროცესი დასრულდა და ქვეყანაში სინდისის პატიმრები გაჩნდნენ, აქციის მონაწილეთა რიცხვმა მოიმატა, თუმცა, როგორც ჩანს, საპროტესტო გამოსვლებმა არ მიაღწია იმ მასშტაბს, როდესაც ხელისუფლება საჭიროდ მიიჩნევს, რომ უკან დაიხიოს. ხელისუფლება ფიქრობს, რომ ეს პროტესტი არ არის მასობრივი. შესაძლოა, ასეცაა, რადგან ჩვენი სენია — მაშინ ამოვიღოთ ხმა, როცა პირადად შეგვეხებიან, მანამდე კი შორიდან ცქერას ვამჯობინებთ. ნებისმიერ კანონდარღვევაზე საზოგადოების რეაგირება, ხელისუფლებისთვისაც მომგებიანია: ის საკუთარ ქმედებებს მეტად გააკონტროლებს და საქართველო მუდმივ რევოლუციურ სიტუაციაში არ იქნება. ამის საფრთხე კი თანდათან, უფრო რეალური ხდება. ■

„ნებისმიერი ადვოკატი, თუ პროცესზე ოდნავ ხმას აუწია, შეიძლება დააპატიმრონ“

— საკონსტიტუციო სასამართლოში, სისხლის სამართლის კოდექსის 208-ე მუხლის გასაჩივრებას აპირებთ; თქვენი ვარაუდით, ადვოკატთა დაპატიმრება მასობრივ ხასიათს მიიღებს?

დავით ასათიანი, *„ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი:*

— 208-ე მუხლის მიხედვით, ადვოკატის დაპატიმრების საფუძველი შეიძლება გახდეს სასამართლოსადმი გამოხატული აშკარა და უხეში უპატივცემულობა. სამწუხაროდ, აღნიშნული მუხლი არ აკონკრეტებს, თუ როგორი მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს სასამართლოსადმი უპატივცემულობად. შესაბამისად, ნებისმიერი ადვოკატი, რომლის დაცვის ტაქტიკა მოსამართლისათვის მისაღები არ იქნება, თუ მან პროცესზე ოდნავ ხმას აუწია, ამ მუხლის მიხედვით, შეიძლება დააპატიმრონ. მოსამართლის ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება კი, კანონით, დაუშვებელია. ეს საშიში ტენდენციაა, რაც დაცვის ინსტიტუტის განვითარებას ხელს შეუშლის. ადვოკატთა კორპუსი ასეთ ფაქტებს ვერ შეეგუება. კანონმდებლობით, ადვოკატი სიტყვის თავისუფლებით სარგებლობს. ეს რევოლუციური ცვლილება შარშან შემოდგომაზე ამოქმედდა, მაგრამ მაშინ ის არავის გაუპროტესტებია; მიზეზი — დაზარალებულის არარსებობა იყო. რადგან, საკონსტიტუციო სასამართლო ასეთ დავას მანამდე ვერ განიხილავს, ვიდრე დაზარალებული არ არსებობს. ახლა როცა ქვეყანაში, ამ მუხლის გამოყენების შედეგად, გაჩნდნენ სინდისის პატიმრები და დააკავეს ადვოკატი ონისე მებონია, ჩვენ უკვე შეგვიძლია, საკონსტიტუციო სასამართლოს მივმართოთ. დარწმუნებული ვარ, ეს მუხლი ანტიკონსტიტუციურად გამოცხადდება. მხოლოდ მოსამართლის „კეთილ ნებაზე“ არ უნდა იყოს დამოკიდებული, სასამართლო დარბაზიდან ვის აიყვანენ და ყოველგვარი გასაჩივრების უფლების გარეშე, ციხეში უკრავენ თავს. ■

ჩაც ეპატიჟება იუპიტერს, აჩ ეპატიჟება ნაჩს

რუსუდან ლეგანიძე

რაც უფრო ახლოვდება „დიდი რვიანის“ სამიტი, მით უფრო აქტიურდება დასავლეთის პრესა რუსეთთან მიმართებაში, რაც აბსოლუტურად ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, ამ ბუნებრივ გააქტიურებაში ერთი, თითქოსდა არაბუნებრივი ტენდენციაც შეინიშნება. კერძოდ, რაც უფრო დამოკიდებულია ესა თუ ის კონკრეტული ქვეყანა ან ქვეყანათა ჯგუფი რუსეთის ენერგომატარებლებზე, მით მეტად ლოიალური ხდება მისი საინფორმაციო საშუალებები პუტინის პოლიტიკისადმი და — პირიქით. როგორც ჩანს, ყავლი საბოლოოდ გაუვიდა ვარაუდს — თავის დროზე, „დიდმა შვიდეულმა“ თავის დემოკრატიულ წიაღში რუსეთი მხოლოდ იმ მიზნით მიიღო, რომ ისიც გაედემოკრატიულებინაო. ამდენად, დადგა დრო, როცა (თავად რუსების გამოთქმისა არ იყოს), უნდა ეს დასავლეთს თუ არა, „ტკბილ ტყუილს“ მაინც „მწარე სიმართლე“ უნდა არჩიოს. ყოველივე ამის დასტურად, ალბათ, ქვემოთ მოხმობილი ორი პუბლიკაციაც გამოდგება. თუმცა, მათგან მეორე მხოლოდ ამ მიზნით როდი შევარჩიე. სხვისი არ ვიცი და მე პირადად მომეჩვენა, რომ საკმარისი იყო, აღნიშნულ წერილში სიტყვები — „პუტინი“ და „რუსეთი“ — „საკაშვილით“ და „საქართველოთი“ შემეცვალა, რომ ყველა ის საყვედური, რომელსაც ავტორი დასავლეთს რუსი ხალხის სახელით უთვლის, ქართველების ასეთსავე საყვედურადაც ქცეულიყო...

„ამსანაგმა მგელმა იცის, ვინ შეჭამოს“

(„გარდიანი“, დიდი ბრიტანეთი)

მაშინ, როდესაც რუსეთში დაგეგმილ „დიდი რვიანის“ სამიტამდე სულ ცოტა დრო რჩება, დასავლელი ანალიტიკოსები და პოლიტიკური მოღვაწენი ამ ქვეყანას კრიტიკის ქარცეცხლში აბარებენ. ამ კრიტიკის ნაწილი სამართლიანია, მაგრამ მთლიანობაში, ის მაინც აკვიატებულია. რუსოფობია დაბრუნდა. აკვიატებებით სავსე გახლდათ აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ლიტვაში გამოსვლაც, რომელიც მოსკოვისთვის გაფრთხილებასავით ჟღერდა, ხოლო ორმა კონსერვატორმა სენატორმა — რესპუბლიკელმა ჯონ მაკქეინმა და დემოკრატმა ჯო ლიბერმანმა — ბუშს ისიც კი ურჩიეს, რომ თუ პუტინი არ გამოსწორდებოდა, სამიტზე საერთოდ არ ჩასულიყო...

რუსეთისადმი უარყოფით დამოკიდებულებაზე ახლა, 3 ფაქტორი მოქმედებს. ესენია: პუტინის თვითმპყრობელური ამბიციები, მსოფლიო არენაზე მოსკოვის დამოუკიდებლობის განმტკიცება და მისი, როგორც ნავთობისა და გაზის მომწოდებლის მზარდი როლი.

როგორც საგარეო პოლიტიკის ცენტრის მოხსენებაშია აღნიშნული, პუტინის დროს, რუსეთში დემოკრატიის შესუსტება — უცილობელი ფაქტია და მისი ყველა ასეთი მოქმედება უთუოდ წუხილს იმსახურებს. მაგრამ მსგავსი მოქმედებები, მხოლოდ და მხოლოდ კრემლის მხრიდან ძალაუფლების ცენტრალიზაციისკენ მიმართული ტენდენციის გამომხატველია. თვით ცენტრალიზაცია კი, ჯერ კიდევ 10 წლის წინ, ბორის ელცინის დროს დაიწყო. ამდენად, ეს გარემოება დასავლეთის პოზიციების დღევანდელი უეცარი ცვლილებების ასახსნელად ნაკლებად გამოდგება. ვაშინგტონის უკმაყოფილების მიზეზი, რუსეთის დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკაშია საძებნელი.

ჩეინის გამოსვლიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ, ფედერალური კრებისადმი მიმართვაში პუტინმა სრულიად აუღელვებლად და მხოლოდ სამად სამჯერ თუ ახსენა ამერიკის შეერთებული შტატები. პირველად, მან ქებით მოიხსენია რუზველტის „ახალი კურსი“, რომელიც ნაწილობრივ, რუსეთისთვისაც მოდელად იქცა. მეორედ, აშშ-ის გლობალური ამბიციები და განკერძოებანი შეფარვით, სახელების მოუხსენიებლად გააკრიტიკა: „ჩვენ ხომ ვხედავთ, მსოფლიოში რა ხდება. როგორც იტყვიან, ამხანაგმა მგელმა იცის, ვინ შეჭამოს! ჭამს და ყურსაც არავის უგდებს...“ და ბოლოს, მან ამერიკის შეერთებული შტატები იმ ქვეყნებისა და რეგიონული დაჯგუფებების სიაში მოიხსენია, რომლებსაც რუსეთი მნიშვნელოვნად მიიჩნევს. ამ სიაში აშშ — ჩინეთის, ინდოეთის, ლათინური ამერიკისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის გვერდით აღმოჩნდა და ეს მაშინ, როცა ევროკავშირს პუტინმა რუსეთის „უმსხვილესი პარტნიორი“ უწოდა.

ეს ძალზე მნიშვნელოვანი ძვრა გახლავთ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რის გამოც აშშ ერთადერთ მსოფლიო იმპერიულ სახელმწიფოდ იქცა, ზოგიერთმა დასავლელმა პოლიტიკოსმა და სახელმწიფო მოღვაწემ მოსკოვს ზემოდან ცქერა დაუწყო. მაგრამ პუტინი, რომლის ქვეყანაც, გაზსა და ნავთობზე მაღალი მსოფლიო ფასების წყალობით, უზარმაზარ შემოსავლებს იღებს, ყოველ ნაბიჯზე იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ ასეთი დამოკიდებულება არასწორია. „მრავალპოლარულობის“ მომხრე რუსეთის პრეზიდენტი აშშ-თან ურთიერთობას მთავარ პრიორიტეტად აღარ მიიჩნევს. უფრო მეტიც: ალბათ, სიამოვნებასაც კი განიცდის, როცა ბუშის ადმინისტრაცია ევედრება — ირანთან დაკავშირებით დამეხმარეო...

„დიდი რვიანის“ კარიკატურა

ენერგორესურსების ექსპორტი — რუსეთის ახალი ძალაა. მაგრამ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ის ამ ძალას უპასუხისმგებლოდ გამოიყენებს. გასულ ზამთარს, უკრაინისთვის რუსული გაზის უცაბედი შეწყვეტა, რუსოფობებისთვის ცხვირწინ წითელი ნაჭრის აფრიალებას ჰგავდა. მათ მაშინვე განგაშის ზარს ჩამოჰკრეს: აქაოდა, რუსეთი თავის ენერგორესურსებს, ჩეინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დაშინებისა და შანტაჟის ინსტრუმენტად“ იყენებსო. ცხადია, გაზის მიწოდების შეწყვეტა, ფასებზე მოლაპარაკებების ფონზე, საკმაოდ მოუქნელი ნაბიჯი იყო, მაგრამ უშუალოდ პოლიტიკასთან დაკავშირებული მაინც არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, რუსეთის რეპუტაციამ დარტყმა მაინც მიიღო და გაზის მიწოდებაც სწრაფად აღდგა.

ენერგია რომ გაყიდო, მყიდველები უნდა არსებობდნენ. რუსეთი, როგორც ენერგიის უმსხვილესი მიმწოდებელი, ისევეა შეშფოთებული ერთიანი მყიდველის მონოპოლიით, როგორც დასავლელი მომხმარებლები — ერთი მიმწოდებლის მონოპოლიით. რუსეთისთვის პირველ რიგში, კომერციულადაა აუცილებელი, ჩინეთში, იაპონიასა და ინდოეთში ახალი კლიენტების ძებნა და აგრეთვე, დიდ ბრიტანეთსა და გასაღებით დაკავებულ ევროპის სხვა ქვეყნებში მოქმედი ენერგოკომპანიების აქციების შეძენა. უკრაინასთან კამათისას დაშვებულმა ერთადერთმა შეცდომამ მოსკოვის, როგორც ენერგორესურსების საიმედო მიმწოდებლის მრავალწლიანი რეპუტაცია არ უნდა გაანადგუროს. ის ხომ ასეთ მიმწოდებლად თვით ცივი ომის დაძაბულ წლებსა და რეიგანის მმართველობის დასაწყისშიც კი რჩებოდა...

ზოგ-ზოგები ევროპას ერთგვარი „ენერგეტიკული ნატოს“ შექმნას სთავაზობენ. მათი თქმით, ამ კავშირის ფარგლებში, დასავლეთი მინიმუმამდე დაიყვანდა „რუსულ შესყიდვებს“ და ევროკავშირის მილსადენების ახალ, ძვირად ღირებულ სისტემას შექმნიდა. ამის შედეგად კი, რუსული ენერგომატარებლების გარეშე დარჩენილი ნებისმიერი ევროპული ქვეყანა მეზობლებისგან სათბობის მიღებას შეძლებდა. თუმცა, ეს ყველაფერი წმინდა წყლის სისულელეა. ევროკავშირისთვის ბევრად უფრო მომგებიანია რუსეთთან გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება და ისეთი ინტეგრირებული მიწოდებისა და ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობის ქსელის შექმნა, რომლის დაწყვეტასაც აღარავინ მოინდომებს.

ახლახან, რუსეთის საკითხების სპეციალისტმა, მარგო ლაიტმა მოსწრებულად შენიშნა, რომ როგორც იქნა, რუსეთმაც მოახერხა, ერთგვარი „რბილი ძალისთვის“ მიეგნო. წინათ, თუ სხვა ქვეყნები, საზღვარგარეთ პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად, წარმატებით იყენებდნენ თავიანთ ეკონომიკურ, კულტურულ და დიპლომატიურ გავლენას, რუსეთის წინამორბედი საბჭოთა კავშირი, სხვა ბერკეტების არქონის გამო, მუდმივად მხოლოდ უხეში სამხედრო ძალის გამოყენებისთვის იყო მზად. ამიტომ ახლა, როცა რუსეთი ახალ გარემოებებს ეგუება, მასთან დაკავშირებულ ცვლილებებს მხოლოდ უნდა მივესალმოთ და არ შევხედოთ ისე, როგორც ახალ „რუსულ საფრთხეს“. როგორც ახლახან პუტინმა განაცხადა: პრინციპი — „რაც ეპატიება იუპიტერს, არ ეპატიება ხარს“, — თანამედროვე რუსეთისთვის აბსოლუტურად მიუღებელია“.

რუსეთსა და მთელ რიგ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის წინააღმდე-

„დიდი რვიანის“ წინა სამმიგის დროს

გობები ნამდვილად არსებობს და ეს ბუნებრივიცაა. ყოფილ მეტროპოლიასა და დამოუკიდებლობამოპოვებულ ექსკოლონიებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას ხომ ათწლეულები სჭირდება. კარგი იქნება, თუ დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნები თავიანთ უახლეს ისტორიას გაითვალისწინებენ და დანარჩენებს არარეალურ ტემპებს არ მოსთხოვენ. მათ ამ სახელმწიფოებს „ანტირუსული ბანაკის“ შექმნისკენ არ უნდა უბიძგონ.

რაც ცუდია პუტინისთვის, კარგია რუსეთისვის

(„ნიუიორკ თაიმსი“, აშშ)

როცა აკვირდები, დასავლეთსა და რუსეთს შორის მომხდარ გარიგებას, გახსენდება სიტყვები, რომლებსაც უინსტონ ჩერჩილს მიაწერენ: „რაოდენ მშვენიერიც არ უნდა იყოს სტრატეგია, დროდადრო, მის შედეგებსაც უნდა გადახედო“...

ბოლო 5 წლის მანძილზე, პრეზიდენტი ბუში იმაზე ლაპარაკობს, რომ მან რუსეთის მეთაური დაარწმუნა — დასავლური ფასეულობების გადაღება შენსავე ინტერესებშიაო. ცხადია, ეს გონივრულად ჟღერს, მაგრამ მხოლოდ თეორიით ვერ ვიხელმძღვანელებთ. არსებობს ფაქტობრივი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც, მკაფიოდ ჩანს, რომ დარწმუნებისა და დაშოშმინების პოლიტიკა რუსეთთან მიმართებაში საბოლოოდ ჩავარდა. დიდი ხანია, დადგა დრო, როცა დასავლეთის ლიდერები ბევრად უფრო ხისტ პოზიციაზე უნდა დადგნენ. ამის საუცხოო შესაძლებლობა მათ ამ კვირაში, სანქტ-პეტერბურში დაგეგმილ „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაზე მიეცემათ. „დიდი შვიდეულის“ და არა — „დიდი რვიანის“, — რადგან მე ჯერ კიდევ მაქვს იმის იმედი, რომ დასავლეთი კოლექტიურად მოიკრებს გაბედულებას და ამ კლუბში რუსეთის მონაწილეობას, დემოკრატიული ქვეყნებისადმი ჭეშმარიტ კუთვნილებაზე დამოკიდებულს გახდის.

სანქტ-პეტერბურგის შეხვედრა საზღვარგარეთის ქვეყნების მეთაურებს იმაში დარწმუნების საშუალებასაც მისცემს, თუ რამდენად ცუდადაა ყველაფერი. რუსეთის მოქალაქეების უფლება, აირჩიონ გუბერნატორები და წარმომადგენლები პარლამენტში, მეთოდურად ირღვევა, აღმასრულებელი ხელისუფლება კი, სულ უფრო მეტ ძალაუფლებას იძენს. თვით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, ალექსანდრ ვიშნიაკოვმაც კი, რომელსაც პრეზიდენტ პუტინის დროს ჩატარებული ყველა არჩევნების შედეგებზე პირადად მოუხდა ბეჭდის დასმა, ამას წინათ განაცხადა: პროპუტინული პარტია — „ერთიანი რუსეთის“ ყველა კანონპროექტი რომ მიეღოთ, არჩევნები სრულ ფარსად გადაიქცეოდაო.

ოპოზიციის აქტივისტებისა და ჟურნალისტების დაპატიმრება-დაკითხვა უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა. კრემლი, რომელიც სრულად აკონტროლებს სასამართლო ხელისუფლებას, ხელთ იგდებს კერძო კომპანიებს, შემდეგ კი, სახელმწიფო კომპანიების დახმარებით, ფულს საზღვარგარეთ ათეთრებს.

როგორც ჩანს, პრეზიდენტი ბუში და ევროპული ქვეყნების მეთაურები ფიქრობენ, რომ უკეთესია, ყველა ამ ულამაზო ფაქტს, უსაფრთხოებისა და ენერგეტიკის სფეროებში რუსეთთან თანამშრომლობის მიღწევის მიზნით, იგნორირება გაუკეთონ. ეს მორალური თვალსაზრისით ცინიკური და დასაძრახი პოზიცია სრულიად არაეფექტურიც აღმოჩნდა. ისევე, როგორც ძველ დროში, მოსკოვი ახლაც, მსოფლიოში სიმშვიდის დამრღვევ ანტიდემოკრატიულ ქვეყნებთან ამყარებს კავშირს. ირანის ბირთვული პროგრამის დახმარება, სარაკეტო ტექნოლოგიების ჩრდილოეთ კორეისთვის, სამხედრო ავიაციის კი — სუდანის, ბირმის და ვენესუელისთვის გადაცემა, „ჰამასთან“ მეგობრული ურთიერთობის გაბმა — ეს ყველაფერი არის ჯილდო, რომელიც დასავლეთმა იმისთვის მიიღო, რომ რუსეთში ადამიანის უფლებების დარღვევებთან დაკავშირებით ხმას არ იღებს.

პოლიგიკაში აქტიურად შეჭრილი გარი კასპაროვი

დროა, ხელი ავიღოთ თავის მოკატუნებაზე, ვითომდა კრემლი მსოფლიო თანამეგობრობის ინტერესებს იზიარებს. ენერგეტიკის მაღალი ფასები, პუტინის ადმინისტრაციისთვის ძალაუფლების შენარჩუნების მიზანს ემსახურება. ეს კი, ქმნის იმ დაძაბულობას, რომელიც ყოველი ჩრდილოეთკორეული რაკეტის გაშვებისა და ირანის ბირთვული მუქარისას იზრდება. გასაკვირი სულაც არ არის ის გარემოება, რომ რუსეთი ამ სახელმწიფოების წინააღმდეგ გაეროს სანქციების ბოიკოტირებას აგრძელებს. საკვირველია ის, თუ რატომ უყურებს დასავლეთი რუსეთს ისე, როგორც მოკავშირეს.

ამ დღეებში, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლები მოსკოვში ოპოზიციური ჯგუფების გაერთიანების შედეგად ორგანიზებულ კონფერენციას — „სხვა რუსეთი“ — უნდა დაესწრონ. ამ კონფერენციის უმთავრესი ამოცანაა, რუსეთის ხელისუფლებამ რუს ხალხსა და ფართო მსოფლიო აუდიტორიას დოკუმენტურად დაანახვოს ჩვენი ნაციონალური კრიზისი. ამ სიტუაციაში, არანაკლებ მნიშვნელოვანია, შესაძლებელ მოქმედებაზე მსჯელობაც და იმ ინფორმაციის მიწოდებაც, რომ ჯერ კიდევ არ არის ძალიან გვიან. ჩვენმა მოქალაქეებმა არავის უნდა მისცენ უფლება, რომ ისინი, ნავთობის შემოსავლების არამდგრადი ნაკადისა და ზესახელმწიფოს სტატუსის დაბრუნების მცდარი შთაბეჭდილებების ხარჯზე „იყიდონ“. დასავლეთის ქვეყნების ლიდერებმა, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით გაკეთებული საკუთარი განცხადებების შესაბამისად უნდა იმოქმედონ. მათ მთელი სიცხადით უნდა თქვან, რომ თუკი რუსეთი დიქტატურისკენ „ჩაცურებას“ გააგრძელებს, მაშინ მისი, როგორც სავაჭრო პარტნიორის, უსაფრთხოების სფეროში მოკავშირისა და „დიდი რვიანის“ წევრის სტატუსი საფრთხის წინაშე დადგება!..

რამდენიმე დღის წინ, ათეულობით აქტივისტი, რომელიც მოსკოვში, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად მოემართებოდა — დააპატიმრეს, ზოგიერთი კი, სცემეს კიდეც. რუსეთში ოპოზიციური ლიტერატურის შენახვა „კონსტიტუციურ გადატრიალებასთანაა“ გათანაბრებული. ნუთუ, დასავლეთის დელეგაციები ამას მოითმენენ?! ნუთუ, ამერიკის პრეზიდენტი ამაზე არაფერს იტყვის?!

შეიძლება, დუმილი — საუკეთესო გამოსავალია; შეიძლება, ყველაზე უკეთესი, რისი შემოთავაზებაც ბუშს შეუძლია, შეშფოთების გამოხატვა და პუტინთან მის პირად ურთიერთობასთან დაკავშირებული გამონათქვამებია. საბჭოთა კავშირის მიმართ გატარებული, რონალდ რეიგანის ხისტი პოლიტიკა იმის მიმანიშნებელი იყო, რომ არსებობს ვიღაცა, ვინც იცის ჩვენი გაჭირვებული ყოფის შესახებ, ვინც ჩვენთვის იბრძვის. ამერიკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა კი, ღამისაა, ისიც თქვას, რომ ერაყი და ავღანეთი რუსეთზე მეტ დემოკრატიას იმსახურებს...

კომუნისტური მმართველობის ყველაზე პირქუშ დღეებს ახლა მთელი თაობა გვაშორებს. კომუნისტური დიქტატურის ბოლოს და პუტინის დროს, დემოკრატიაზე შეტევის დაწყებამდე იყო მშვიდობის ხანმოკლე პერიოდიც. ცხადია, ის უხინჯო არ იყო, მაგრამ ნამდვილად შეიძლებოდა, დემოკრატიული რუსეთის ფუნდამენტად ქცეულიყო. მაგრამ 2000 წლიდან, პუტინმა ყველაფერი გააკეთა ამ ფაქიზი ნაგებობის დასანგრევად. როცა საქმე რუსეთთან გაქვთ, ძალიან გთხოვთ, რომ ის, რაც კარგია პუტინის რეჟიმისთვის, არ აურიოთ იმაში, რაც რუსეთის ხალხისთვისაა კარგი.

გარი კასპაროვი,

სრულიად რუსეთის სამოქალაქო კონგრესის თანათავმჯდომარე და რუსეთის გაერთიანებული სამოქალაქო ფრონტის თავმჯდომარე.

■

სესხება-გასესხება

შპს „ევრიკა+“

სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით, იპოთეკით.

გაქვთ თანხა დაგვირეკეთ,
არ გაქვთ – მით უფრო დაგვირეკეთ.
ჩვენთან ყველაზე კარგი პირობებია!

მის: კოსტავას ქ. 23 (რედაქციის პირდაპირ).
მარჯანიშვილის 21,33-4 სართ. (მაკდონალდსის მხარეს)
☎ 95-23-66; 99-69-00
899-44-64-60 ნინო 899-44-64-61 გიორგი

თბილისის მერიის ინიციატივით, სტუდენტებისთვის საზაფხულო სამუშაო ადგილების შექმნა გადაწყდა, სადაც ისინი მთელი თვის განმავლობაში იშრომებდნენ და შესაბამის ანაზღაურებასაც მიიღებდნენ. მსურველი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე სამუშაო ადგილი, ამიტომ მერიამ დამატებით, კიდევ 3000 ადგილი მოიძია, თუმცა, საკმარისი არც ეს აღმოჩნდა და 6 ათას სამუშაო ადგილზე, 9 ათასზე მეტი განცხადება შევიდა. საბოლოო ჯამში კი, ადგილები დარჩა კიდეც, რადგან ბევრმა სტუდენტმა, შეთავაზებული სამუშაოს შესრულება არ მოინდომა. ქალაქში ამბობდნენ, რომ მერიამ სტუდენტები მოატყუა — დაპირებული 400 ლარის ნაცვლად, მათ მხოლოდ 300 ლარს უხდიან, თანაც, მეეზოვეებად და კონდუქტორებად ამუშავებენ, თავიდან კი, ბავშვთა სახლებსა და ბანაკებში განაწილებას ჰპირდებოდნენო. მართლა მოატყუა თუ არა მერიამ სტუდენტები? რითი არიან ისინი უკმაყოფილო და რატომ დარჩა თავისუფალი სამუშაო ადგილები? — ამის შესახებ, თბილისის მერიის, განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, ფატი დავითულიანი მოგვითხრობს.

მეეზოვეებად ქცეული ქართველი სტუდენტები

და დაკირებული 409 ლარი და 80 თეთრი

მარი ჯაფარიძე

— პირველი შეხვედრა სტუდენტებთან უნივერსიტეტში, 1-ელ მაისს გვქონდა, სადაც ამ აქციის შესახებ, განცხადება გავაკეთეთ. შემდეგ, სხვა უმაღლეს სასწავლებლებშიც ჩავატარეთ შეხვედრები, დავარიგეთ ბუკლეტები, სადაც ჩამოთვლილი იყო — თუ რა სახის სამუშაოების შესრულება მოუწევდათ სტუდენტებს. მათ ვთავაზობდით ისეთ ადგილებს, სადაც სპეციალური განათლება აუცილებელი არ იყო. ეს გახლავთ უფასო სასადილოებში, ბავშვთა სახლებსა და ბანაკებში, ავტობუსებში — კონდუქტორებად მუშაობა, ეზოების, სკვერებისა და მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავება, სადარბაზოების გალესვა და შეღებვა, სამედიცინო დაწესებულებებსა და მშენებლობებზე დამხმარე სამუშაოების შესრულება. თავიდან ვფიქრობდით, რომ 3 ათას სტუდენტს დავასაქმებდით, მაგრამ ვინაიდან მსურველი გაცილებით მეტი იყო, კიდევ 3 ათასი სამუშაო ადგილი დავამატეთ. ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ჩვენს შენობაში — როგორც კი აქციის შესახებ გამოვაცხადეთ, სტუდენტებმა მეორე დღიდანვე დაიწყეს ჩვენთან მოსვლა. ასეთ აქტიურობას კი, არ ველოდით. იმისათვის, რომ განცხადება დაეტოვებინათ, რიგში დგომა საათობით უწევდათ და საბოლოოდ, 9136 განცხადება შემოვიდა.

ფატი დავითულიანი

— თქვენ მიერ ჩამოთვლილი სამუშაო ადგილებიდან, შედარებით მეტი მოთხოვნა რომელზე იყო?

— ძირითადად, ბავშვთა სახლებში, ბანაკებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და უფასო სასადილოებში მუშაობის მსურველები ჭარბობდნენ. რეალურად, ასეთი ადგილი ცოტა იყო. ჩვენ მათ ავუხსენით, რომ შესაძლოა, სასურველ სამუშაოზე ყველა ვერ მოხვედრილიყო, მაგრამ ისინი განცხადებას მაინც ტოვებდნენ. ვინაიდან სტუდენტებს შორის ასეთი განწყობილება იყო და მათ უმეტესობას, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ სამუშაოზე უნდოდა მოხვედრა, ხოლო ეზოების დასუფთავება არავის სურდა, წინასწარ ვიცოდით, რომ სხვა შეთავაზებულ ადგილზე უარს იტყოდნენ. მზად ვიყავით, რომ 6 ათასი სტუდენტი დაგვესაქმებინა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, 1-ელი ივლისისთვის, მხოლოდ 5 ათასმა სტუდენტმა გამოთქვა მუშაობის სურვილი. ვიცი, რომ ბევრი უკმაყოფილოა, მაგრამ ჩვენ მეტის საშუალება არ გვქონდა.

— რით დარჩნენ უკმაყოფილო?

— შეთავაზებული სამუშაოთი, მათ ეზოებისა და ქუჩების დასუფთავება ითაკილეს. განცხადების შემოტანის დროს, ალბათ ფიქრობდნენ, რომ სწორედ ის ადგილი შეხვდებოდათ, რომელსაც მიუთითებდნენ, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო... ახლა კი, უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ უკვე დაგვიანებით მოსულ სტუდენტებს ვეღარ ვასაქმებთ. ყოველი დასაქმებული სტუდენტისთვის, ბანკმა უფასო პლასტიკური ბარათი დაამზადა, რომლის საშუალებითაც, ისინი ხელფასს მიიღებენ. იმ სტუდენტების სიები, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს, ბანკს უკვე გადავეცით. დადის ჭორები, თითქოს ჩვენ კიდევ ვამატებთ სტუდენტებს — ნაცნობების შვილებს და ახლობლებს, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან თუ ახლა ვინმე მუშაობას დაიწყებს, ის ხელფასს ვერ აიღებს, ვინაიდან მას პლასტიკური ბარათი არ ექნება. შრომის ანაზღაურების გაცემა კი, სხვაგვარად არავითარ შემთხვევაში არ მოხდება. ხალხს იმის დაჯერება არ უნდა, რომ აღარ არის ის დრო, როცა ყველაფერი ნაცნობობით ხდებოდა. ყველა სტუდენტს ინდივიდუალურად ვერ დავურეკავდით, რადგან მათ, მობილიური ტელეფონის ნომერი ჰქონდათ მითითებული და ეს დიდ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. ამიტომ ტელევიზიით გამოვაცხადეთ, რომ ხელმეორე რეგისტრაციის გასავლელად მოსულიყვნენ. ასევე, ინფორმაცია ჩავდეთ ჩვენს ვებ-გვერდზე, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ახალგაზრდები მხოლოდ სერიალებისა და გასართობი პროგრამების ყურებით არიან დაკავებული და ჩვენ მიერ გადაცემული ინფორმაცია, მათი ყურადღების მიღმა დარჩა ახლა კი, უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

— ამა თუ იმ სამუშაოზე სტუდენტების შერჩევა როგორ მოხდა?

— ყველა განცხადება სათითაოდ განვიხილეთ. პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების სტუდენტები სიიდან

ამოვიღეთ და საბოლოო ჯამში, 7900 სტუდენტი დარჩა. ეს გახლდათ რეალურად არსებულ სამუშაო ადგილებზე 25%-ით მეტი. მათ დასაქმებაში 5 გამგეობა და 5 სხვადასხვა სამსახურია ჩაბმული. ყველა მათგანს გადავეცით სიები, სადაც საჭიროზე 25%-ით მეტი სტუდენტი იყო შესული და ბავშვების განაწილება მათ მივანდვეთ. მაგალითად, ჯანდაცვის სამსახურს 670 ადგილი ჰქონდა და იქ, მხოლოდ 595 სტუდენტი მივიდა. ვინაიდან სამუშაო ადგილები დარჩა, ვინც კი 3 ივლისს აქ მოვიდა, ყველა დავასაქმეთ. აქ არ არსებობდა კარგი და ცუდი სამუშაო. ყველა ადგილი ისეთია, რომელიც ფიზიკურ დატვირთვას ითვალისწინებს. სტუდენტების ნაწილი ბიბლიოთეკაში მუშაობს — ისინი ძველ წიგნებს ახარისხებენ, ალაგებენ, თუ რამე შესაკეთებელია, ისიც უნდა გააკეთონ. რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში, ბავშვების მოსანახულებლად ვიყავი მისული და მივხვდი, რომ ისინი ძალზე მძიმე სამუშაოს ასრულებენ, რადგან ძველ წიგნებს თავისებური, არასასიამოვნო სუნი აქვს, ასევე, გაჩენილი აქვს სოკო, რაც შესაძლოა, მათი ჯანმრთელობისთვის მავნე იყოს. მერიის შესაბამის სამსახურს ვთხოვე, რომ იქ მომუშავე სტუდენტებისთვის რეზინის ხელთათმანები და პირბადეები გამოყოს... კონდუქტორის სამსახურიც საკმაოდ მძიმეა. მთელი დღე, ამ სიცხეში, ავტობუსში უნდა დადგეს და ბილეთები გაყიდოს, თანაც, ყველაფერი დიდი სიზუსტით უნდა ჩაიწეროს. ვინც გამწვანებაზე მუშაობს, მათი სამუშაოც მძიმეა და მშენებლობაზე — მით უმეტეს.

— თავიდან ითქვა, რომ მათი ხელფასი 400 ლარი უნდა ყოფილიყო. ახლა კი, აღმოჩნდა, რომ ისინი თვის ბოლოს, მხოლოდ 300 ლარს მიიღებენ. რატომ?

— თავიდან ითქვა, რომ მათი ანაზღაურება 409 ლარი და 80 თეთრი იქნებოდა. ასეც არის. უბრალოდ, ეს თანხა ჩვეულებრივად, ისევე, როგორც ყველა ხელფასი, — იბეგრება და საშემოსავლოსა და სოციალური გადასახადების გამოკლებით, ისინი ხელზე ზუსტად 300 ლარს აიღებენ, მაგრამ არსებობს ერთი პირობა: თუ სტუდენტი სამ დღეს გააცდენს, მას მთელი თვის ხელფასი დაუკავდება.

— კიდევ ხომ არ არსებობს რაიმე საგანგებო მოთხოვნა?

— მხოლოდ ის, რომ არ უნდა გააცდინოს სამსახური და უნდა იაროს სპეციალური ფორმით — კეპით და მაისურით. ვისაც ეს ფორმა აცვია, მისთვის ქალაქის ტრანსპორტი მთელი თვის განმავლობაში უფასოა.

— გაისად, ამავე აქციის ჩატარებას თუ აპირებთ?

— რა თქმა უნდა, ვაპირებთ. ის კი არა, ვინც ამ ზაფხულს თავს გამოიჩენს, მას მთელი წლის მანძილზე, შაბათ-კვირას დავასაქმებთ და შესაბამისად, ანაზღაურებასაც მიიღებს.

— გაესაუბრეთ თუ არა იმ სტუდენტებს, რომლებიც უკვე მუშაობენ?

— კი, ბიბლიოთეკაში ვიყავი და იქ დასაქმებულები კმაყოფილები არიან. უკვირთ — არ ვიცოდით, თუ აქ, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად ამდენი ხალხი დადიოდაო. მომავალში ვფიქრობთ, რომ სახელობო-დაოსტატების კურსები გავხსნათ, მაგრამ ჯერ, სავარაუდო პარტნიორების მოსაძებნად მონიტორინგს ვატარებთ. მაგალითად, თუ გვეცოდინება, რომ ამა და იმ პურის მცხობელს შეგირდი სჭირდება, მას კანდიდატს გავუგზავნით. ეს ორივე მხარისთვის სასარგებლო იქნება. სტუდენ-

აქ არ არსებობდა კარგი და ცუდი სამუშაო. ყველა ადგილი ისეთია, რომელიც ფიზიკურ დატვირთვას ითვალისწინებს

ტები თავად ეძებენ მომავალ პარტნიორებს და ამ ძებნა-ძებნაში, ბალნეოლოგიურ კურორტსაც მისდგომიან და მის დირექტორთან შეხვედრა უთხოვიათ. მათ არ იცოდნენ, რომ ამ საავადმყოფოს დირექტორი, საქართველოს პრეზიდენტის მამა, ბატონი ნიკოლოზ სააკაშვილი გახლავთ. ბატონმა ნიკოლოზმა კი ის არ იცოდა, რომ ჩვენ ასეთ აქციას ვაწყობდით. მან ბავშვებს ყურადღებით მოუსმინა, მათი წინადადებით დაინტერესდა და დახმარებას შეჰპირდა.

— სტუდენტების მიერ შესრულებულ სამუშაოს ვინ ადევნებს თვალყურს?

— მათ გასაკონტროლებლად სპეციალური ჯგუფი გვყავს. ამ ჯგუფში, სპეციალურად შევიყვანეთ დათო ილურიძე, რომელსაც სტუდენტები დიდი სიხარულით ხვდებიან, მოსწონთ, როდესაც მათ შესამოწმებლად ცნობილი ადამიანი მიდის... ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის. სტუდენტები ხალისიანად შრომობენ და მათზე დაკისრებულ საქმეს კეთილსინდისიერად ასრულებენ. ვფიქრობ, მათ ეს შემართება მთელი თვის განმავლობაში გაჰყვებათ და აღებული ხელფასით კარგად დაისვენებენ.

Franck Provost
Paris

ფრანკ პროვოსტ
პარიზი
ფრანგული თმის სალონი

აცხადებს კონკურსს
პროფესიონალი ხელოსნების მიღებაზე
მოთხოვნები: არანაკლებ 3 წლის გამოცდილების
მქონე სტილისტები 20-დან 40 წლამდე

ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
ტელ: (995.77) 99.55.22; (995.99) 26.77.97; (995.99) 14.30.06.
გამოხმაურების საბოლოო ვადაა: 20 ივლისი

ლალი ფაცია

ნათესაური კავშირები და დამაბნეველი კითხვა... ვის ჩაებარა დათო დოიაშვილმა ეკა კახიანი

ჟურნალისტი – ეკა კახიანი
რესპონდენტი – დათო დოიაშვილი

— დოი, შენი მშობლები ფილოლოგები არიან, შემიძლია ვთქვა, რომ ისინი ქართული ენის „აკადემიკოსები“ არიან. შენ რამ შთაგაგონა, რეჟისორი გამხდარიყავი?

— ჩემი რეჟისორობა ჩემი მშობლების ფილოლოგობას არ გადაუწყვეტია. დედაჩემს განსაკუთრებით უყვარს თეატრი, ბავშვობიდან დავყავდი სპექტაკლებზე, თითქმის ყველა პრემიერაზე. ეს ის არის, რაც ოჯახიდან მომდევს დადებითი, ხოლო ჩემი ოჯახიდან მიღებული „უარყოფითი“ ის არის, რომ მეათეკლასელი, იმდენად გამართული ქართულით ვლაპარაკობდი, რომ ჩემმა პედაგოგმა, მიშა თუმანიშვილმა, რომელიც ასევე შენი პედაგოგიც იყო, როდესაც მნახა, ამიკრძალა წერა და საერთოდ, ხატოვანი სიტყვებით ლაპარაკი. ისაუბრე მხოლოდ ზმნების გამოყენებითო, — მითხრა, — წინააღმდეგ შემთხვევაში, შენგან რეჟისორი არ გამოვა, რადგან ლიტერატურული აზროვნება გაქვსო. ზმნებით საუბარი ნიშნავდა იმას, რომ მეტყველებაში მხოლოდ „ქმედითი“ სიტყვები გამომეყენებინა. სამი წლის განმავლობაში ფურცელსა და კალამს არ გავკარებივარ, არ მიწერია, რამაც თავისი შედეგი გამოიღო: ხატოვანი სიტყვებით აღარ ვლაპარაკობდი.

— მინდა, აღვნიშნო, რომ არაჩვეულებრივად წერ. სწორედ შენ დაწერე პიესა — „მარლენ დიტრიხი“, რომელზეც ჩვენ ახლა ვმუშაობთ. გერმანელი პროდიუსერი რომ იყო ჩამოსული, მან უმაღლესი შეფასება მისცა ამ პიესას.

— პიესა რამდენიმე წიგნის ნაზავი გახლავთ. ასეთ ნამუშევარს ინსცენირებას ეძახიან თეატრალურ სამყაროში.

— პირველწყაროებიდან თითქმის აღარაფერი დარჩა, სულ შენია ეს პიესა... ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, რომ ორივეს გვყავდა ისეთი უდიდესი პედაგოგი, როგორიც ბატონი მიშა თუმანიშვილი იყო. მან ბევრი რამ გვასწავლა, არა მარტო თეატრში მუშაობა, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა იცხოვრო, როგორ უნდა გიყვარდეს შენი საქმე... რაც ბატონმა მიშამ გასწავლა, იმას შემდგომ როგორ შეასხი ფრთები, პრაქტიკულად როგორ განახორციელე?

— მართლა უდიდესი ბედნიერებაა სტუდენტისთვის, როდესაც ძალიან მაგარ პედაგოგთან გიწევს მუშაობა. მით უფრო, თუ ეს პედაგოგი — მიშა თუმანიშვილია. კაცს მართლა ბედი გაგიღიმებს, როდესაც 15-16 წლის ასაკში მის სახელოსნოში აღმოჩნდები. ჩემთვის ყველაზე რთული რამ არის პედაგოგობა. ზუსტად ვიცი, რომ ვერასდროს ვიქნები პედაგოგი. ამას მხოლოდ ნიჭი კი არა, თავისებური, თანდაყოლილი ალღოც სჭირდება. უნდა იცოდე, როგორ დაელაპარაკო მოსწავლეს, როგორ აღზარდო ისე, რომ არ ჩაკლა მისი ინდივიდუალური მონაცემები. ამ დროს, არც საკუთარი მოახვიო და თან — მოახვიო

„იშვიათად მიყვარდება ადამიანები, მაგრამ მსახიობი ეკა კახიანი მათ რიგშია, ვინც მიყვარს,“ — აღნიშნა რეჟისორმა დათო დოიაშვილმა. ეკა და დოი, ვასო აბაშიძის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრში ერთად ახალ სპექტაკლზე („მარლენ დიტრიხი“) მუშაობენ. პრემიერა ოქტომბრისთვის იგეგმება. ამ შემოქმედებითი ტანდემის ნამუშევარს რამდენიმე თვეში შევაფასებთ. ახლა კი, მათი ჟურნალისტური უნარი გამოგვაქვს თქვენს სამსჯავროზე. ისინი ჩვენს რუბრიკაში ჟურნალისტ-რესპონდენტის როლში შეხვდნენ ერთმანეთს. ინტერვიუების ჩაწერის შემდეგ, ეკა კახიანმა თქვა, არც ისე ადვილი ყოფილა ჟურნალისტობაო, ხოლო დათო დოიაშვილმა დასძინა — აქამდეც ვიცოდი, მაგრამ ახლა საბოლოოდ მივხვდი, რომ ჟურნალისტობა ჩემი საქმე არ არისო.

კიდეც... ეს ურთულესი რამ არის. ერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა თეატრალურ ინსტიტუტში ჯგუფი მყავდა. მას შემდეგ ვთქვი, რომ ჯგუფს აღარ ავიყვანდი. უდიდესი პასუხისმგებლობაა, ამავე დროს, დიდი ტვირთიც... ბედნიერი ვარ, რომ მიშა თუმანიშვილთან მოვხვდი. აქ არ არის ლაპარაკი იმაზე, რომ მან რეჟისურის ანაბანა მასწავლა, ბევრ რამეზე შემიცვალა ცხოვრებისადმი დამოკიდებულება. როდესაც კითხვას უსვამდი, ის გეუბნებოდა — რატომ მისვამ მე ამ კითხვას, წაიკითხე „პატარა უფლისწული“ და იქ ყველაფერი წერიაო. ასეთი მიდგომა ფიქრისა და დასკვნების გამოტანის საშუალებას გვაძლევდა. ასე რომ, მიშა თუმანიშვილი რომ არა, სულ სხვაგან ვიქნებოდი, სხვა სამსახური მექნებოდა. დღევანდელი ჩემი ცხოვრება მისი დამსახურებაა. ახლა, თუ ვინმე მაკლია, ეს — ბატონი მიშაა. კიდევ ერთი გენიალური თვისება ჰქონდა: ზუსტად სამი სიტყვით მოგცემდა შენიშვნას და ეს სამი სიტყვა ახალი სპექტაკლის ტოლფასი იყო. აბსოლუტურად ზუსტად ხვდებოდა, რა ვერ გააკეთე, რა შეიძლებოდა გაკეთებულიყო და ეს რომ გაგეკეთებინა, რას მიაღწევდი.

— კაცი ფასდება იმით, თუ როგორი ოჯახი აქვს, ვინ არის მისი მეუღლე, შვილები... განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ გყავს არაჩვეულებრივად ლამაზი მეუღლე, უმშვენიერესი ქეთი ენდელაძე, ასეთივე შვილები. მათ შორის არის ჩემი ნათლული — ანა, 7 წლის გოგონა. ის თავისი ასაკისთვის, საოცრად გონიერ, ჭკვიანი ბავშვია. ულამაზესი პატარა თემურიკოც განსაკუთრებულია. სად და როგორ „მოიპოვე“ ასეთი მეუღლე? მოიტაცე თუ ღმერთის საჩუქარია?.. გრძნობ, რომ ძალიან ბედნიერი კაცი ხარ?

— საერთოდ, ოჯახზე, მეუღლეზე ლაპარაკი არ მიყვარს, რადგან ეს ძალიან პირადული რამ არის. არ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც გატაცებით ლაპარაკობენ საჯაროდ თავიანთ ოჯახებზე. ეს ძალიან ჩემია, ინტიმური და საერთოდ არ მინდა, ვინმემ მასში, უკაცრავად და, ოდესმე ცხვირი ჩაყოს.

— მე ამ შემთხვევაში, როგორც შენმა მეგობარმა ჟურნალისტმა გავბედე და დაგისვი ასეთი შეკითხვა... მინდა, მოგილოცო მუსიკალური დრამისა და კომედიის თეატრის ეზოში მშვენიერი ბაღის გახსნა, შენ ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ხარ და ამ საქმეში წვლილი მიგიძღვის. დღეს ასეთი ბაღი თბილისში არსად მეგულება, სადაც ყველანაირი ღონისძიების ჩატარება არის შესაძლებელი (კონცერტი, მოდელების ჩვენება...). საოცრად თბილი გარემოა. ისიც მინდა გკითხო, თუ რა გეგმები

გაქვს, როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რას აპირებ, საითკენ უნდა წავიდეს თეატრი, იქნება თუ არა აქ მიუზიკლები?

— ვფიქრობ, რომ ამ ნაგებობის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნავი ადგილი სწორედ ეს ბაღია, სადაც ახლა ჩვენ ვსხედვართ, რომელიც ცოტა ხანში მართლაც სასიამოვნო ადგილად იქცევა. აქ უამრავი კულტურის მოყვარული მოვა ხოლმე და საინტერესო საღამოებიც ჩატარდება. ბაღის ლანდშაფტი დიზაინერ ნინო შენგელიას ეკუთვნის, ვინც ლამაზად დაგვიპროექტა აქაურობა. საერთოდ, ბაღის მშენებლობა უშუალოდ ინა პატარკაციშვილის *(ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე. — ავტ.)* ინიციატივით დაიწყო. ის დღემდე აქტიურად არის ამ საქმეში ჩაბმული. აქ ჯერ კიდევ გვაკლია ნარგავები, გამწვანება, მაგრამ ნელ-ნელა ეს ბაღი შეივსება და გადაიქცევა ულამაზეს ოაზისად. ახლა თეატრის შესახებ გეტყვი. ძალიან მინდა, რომ ის ექსპერიმენტული თეატრი იყოს. ცოტა ხანში, საბოლოოდ გაკეთდება დიდი სცენა. მოგეხსენება, თეატრი 18 წლის განმავლობაში ავარიულ მდგომარეობაში იყო, აქ არაფერი ხდებოდა, შეჩერებული გახლდათ მისი ფუნქციონირება. ჩვენ დავიწყეთ ნელ-ნელა მისი აშენება, ჯერ გავხსენით მცირე სცენა, სადაც სპექტაკლებს ვთამაშობთ. ძალიან მიხარია, რომ მაყურებელმა გაიხსენა ეს ტერიტორიაც და თეატრიც, დაიწყო აქ სიარული. ალბათ კიდევ ორი წელია საჭირო, რომ თეატრმა თავისი ძირითადი მაყურებელი გაიჩინოს. რაც შეეხება ახალ-ახალ დადგმებს, მინდა სხვადასხვა ფორმის არაერთი სპექტაკლი შევთავაზო მაყურებელს, ისეთი, როგორსაც სხვაგან ვერ ნახავენ. ყოველ შემთხვევაში, აქ ბევრი საინტერესო რამის სანახავად უნდა მოდიოდნენ. მინდა, 50-კაციანი კინოთეატრი გავხსნათ, სადაც არაკომერციულ ფილმებს ვუჩვენებთ. საქართველოში ყოველთვის მოიძებნება 50 კაცი, რომელიც იმ ფილმებით დაინტერესდება, რასაც ჟეშმარიტი ხელოვნება ჰქვია.

— მოკლედ, უნივერსალური თეატრი იქნება...

— გვინდა გავხსნათ ასევე, საზაფხულო სცენა.

— დო, ჩემზე რატომ შეაჩერე ყურადღება? მე რატომ დამაკავე ამ სპექტაკლში, რა ნიშნით გამომარჩიე?

— გარდა იმისა, რომ არაჩვეულებრივი მსახიობი ხარ, რაც მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხარ (და ეს გაცილებით მნიშვნელოვანია) შესანიშნავი ადამიანი, მომხიბვლელი ქალი, ძალიან კარგი მეგობარი და მრავალმხრივი ნიჭის პატრონი. ასეთები ცოტანი არიან. მე ძალიან მიხარია, რომ ჩვენ ერთმანეთთან არა მარტო მეგობრობა, არამედ ნათესაობაც გვაკავშირებს. ყოველთვის მინდოდა, რომ მე და შენ ერთად რაღაც გაგვეკეთებინა. ადრე, პატარა შემოქმედებითი შეხება გვქონდა, როდესაც კინომსახიობის თეატრში დავდგი აკუტაგავას „ცხოვრება იდიოტისა“, სადაც პატარა როლი გქონდა. ამის შემდეგ, მინდოდა, სპეციალურად შენთვის გამეკეთებინა რამე. სხვათა შორის, გაკეთდა კიდეც „შელოცვა რადიოთი“, მაგრამ ჯერჯერობით დევს, რადგან მის დადგმას ხან დიდი სცენა დასჭირდა და ხან — ბევრი ფული. იმედი მაქვს, რომ მის დადგმას საშველი დაადგება. რაც შეეხება სპექტაკლს, რომელზეც ახლა მე და შენ ვმუშაობთ, — „მარლენ დიტრიხს“, — შენი მოწვევა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ალბათ, უპირველესად, ძალიან გამსგავსებ მარლენ დიტრიხს. გახსოვს — ერთ დღესაც, გაგანდვე ჩემი ჩანაფიქრი და გითხარი ამის შესახებ? შენ მიპასუხე: ამას წინათ, ვიღაცამ მითხრა, მარლენს ძალიან ჰგავხარო. ამის შემდეგ, ხელში ჩამივარდა მარლენ დიტრიხის წიგნი — „ჩემი ცხოვრების ანბანი“. მივხვდი, რომ ის ტყუილებით იყო სავსე. მერე, მისი შვილის ორი წიგნი წავიკითხე — „დედაჩემი მარლენ დიტრიხი“ და კიდევ რაღაც ლიტერატურა. მივხვდი, მზად ვიყავი, რომ ამ მასალისგან გამეკეთებინა ინსცენირება. გავაკეთე კიდეც. დაგირეკე, დავსხედით, წავიკითხეთ და მალევე დავიწყეთ მუშაობა. ხოლო კითხვაზე — რატომ მაინცდამაინც შენ? — გიპასუხებ: დღეს საქართველოში ცოტაა მსახიობი, რომელიც ერთროულად არის კარგი არტისტიც, ლამაზიც, მომხიბვლელიც, მომღერალიც, პლასტიკურიც... ეს ყველაფერი ერთად საჭირო იყო ამ პერსონაჟისთვის.

— როგორ ფიქრობ — ეს სპექტაკლი და როლი, რა ეტაპი იქნება ჩემს შემოქმედებით ცხოვრებაში? როგორც რეჟისორი, რას იტყვი ამაზე?

— ამას დრო გვიჩვენებს. მაგრამ მე მინდა, რომ ეს როლი ერთ-ერთი საუკეთესო იყოს შენს ბიოგრაფიაში.

— გმადლობ.

ჟურნალისტი — დათო ლომიაშვილი
რესპონდენტი — ეკა კახიანი

— ცოტა ხნის წინ ვთქვი, რომ თქვენ, ქალბატონო ეკა, მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანი ბრძანდებით. მე ასეთი ადამიანები მძულს!

— რატომ?

— იმიტომ, რომ ადამიანი როდესაც ვერ ხვდება — მომღერალია, კომპოზიტორი, დირიჟორი, მსახიობი, მოდელი, დედა თუ მეგობარი, — ის ცოტა „არეულია“. ახლა მითხარი, ვინ ხარ და რა ხარ?

— პროფესიით მსახიობი ვარ...

— მე, პროფესიით ვინ ხარ და რა დაამთავრე-მეთქი? — არ მიკითხავს. მე გკითხე, რა ხარ-მეთქი?

— ვარ მსახიობი და არც მომღერალი, არც კომპოზიტორი. არა მაქვს ამაზე პრეტენზია. პრეტენზია მაქვს იმაზე, რომ ვარ დედა, მეგობარი. ისე, არც მოდელობაზე მაქვს პრეტენზია *(იცინის)*. ალბათ სწორი იქნება, ვთქვა, რომ ვარ მსახიობი და დედა. დანარჩენს, რასაც ვაკეთებ, მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის. ისე, მუსიკა დიდი დოზით არის ჩემს ცხოვრებაში და ხშირად ვფიქრობ — რა უფრო მეტია ჩემში — მსახიობობა თუ მუსიკოსობა? ხანდახან, მუსიკა ჭარბობს. ახლა თეატრითა და როლით ვარ დაკავებული და ძალიან მაინტერესებს, რასაც ვაკეთებ და მუსიკას იმდენ დროს ვეღარ ვუთმობ.

ჩვენ ერთმანეთთან არა მარტო მეგობრობა, არამედ ნათესაობაც გვაკავშირებს

— მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს. საერთოდ, მუსიკაში ძალიან ძნელია თემის მიგნება. შენ, როგორც წესი, ეს იოლად გამოგდის. თან მგონია, კარგადაც. შემოქმედებითი წვის დროს, რა უფრო დიდ სიამოვნებას განიჭებს: მუსიკის შეთხზვა თუ როლის კარგად თამაში? ეს ერთიმეორეს ჰგავს თუ არა და რატომ?

— ალბათ, სცენაზე დგომა და თამაში ბევრად უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მუსიკის დაწერა. ისე, მაინცდამაინც ადვილი კითხვა არ არის... პასუხი ცოტათი მიჭირს. დავიბენი.

— კონკრეტული პასუხი მინდა. რით განსხვავდება ისინი და შენთვის რომელი უფრო სასიამოვნოა?

— უფრო იოლად გამომდის მუსიკის წერა, ვიდრე როლზე მუშაობა. ეს გაცილებით რთულია, რადგან ბევრი რამის მოფიქრება და გათვალისწინება გიწევს. დიდი ფანტაზია გჭირდება, როდესაც როლს ქმნი, სახეს ძერწავ, როგორი უნდა იყოს შენი პერსონაჟი, როგორი პლასტიკა და მეტყველება უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს, როდესაც მახსენდება ბატონი მიშა როგორ მასწავლიდა, როგორ უნდა მომეფიქრებინა როლი. ამიტომ, მელოდიის მოფიქრება გაცილებით იოლია: ჩემთვის ვზივარ ხოლმე და თავისით მოდის...

— ამის გათვალისწინებით, შენ კომპოზიტორი ხარ თუ მსახიობი?

— მსახიობი ვარ შინაგანად, რადგან კომპოზიტორი, რაღაცას უფრო დიდს ნიშნავს. კომპოზიტორები იყვნენ: ბახი, ბეთჰოვენი, ისინი, ვინც დიდ, სიმფონიურ ნაწარმოებებს ქმნიდნენ და ქმნიან. სიმღერის დაწერა მხოლოდ ავტორობას ნიშნავს. მე რამდენიმე სიმღერის ავტორი ვარ.

— ამას ახლა თავმდაბლობა გალაპარაკებს?

— არა, კომპოზიტორობა სხვა რამ არის.

— ქალბატონები — ნუნუ დუღაშვილი და მაცაცო სებისკვერაძე, კომპოზიტორები არ არიან?

— ეს ქალბატონები კომპოზიტორები არიან, რადგან უფრო სერიოზული ნაწარმოებები აქვთ შექმნილი. მე კი სულ რაღაც ათი სიმღერის ავტორი ვარ.

— მაგრამ, ჩემო ეკა, შენს სიმღერებს ხალხი მღერის.

— გმადლობ. ამით ბედნიერი ვარ. აქედან ორი — „წლის საუკეთესო სიმღერად“ დაასახელეს.

— ეკა, შენ საკმაოდ კარგ ოჯახში და კარგი მშობლების მიერ აღზრდილი ადამიანი ხარ, რაც მთავარია, დიდ ფუფუნებაში და

ძალზე სათუთად. არასდროს მოგკლებია ბავშვობიდანვე, საზოგადოების ყურადღება. „მზიურის“ პერიოდიდან მოყოლებული, დღემდე ასეა. თქვენ ხომ პოსტსაბჭოთა სივრცის „მერილინ მონროები“ იყავით... საკმაოდ პოპულარული სახე ხარ, მაგრამ ოლოლო შენ, წამოგეზარდა უფროსი შვილი, ნინი ბადურაშვილი, რომელმაც ცოტათი დაგჩრდილა კიდეც და გაჯობა პოპულარობის მხრივ. როგორი რეაქცია გაქვს ამაზე? ხომ არ ეჭვიანობ, ნინი რომ ასეთი პოპულარულია?

— ის, რომ დავიბადე და გავიზარდე ჩემს ოჯახში და ვარ ჩემი მშობლების შვილი, — დიდი ბედნიერებაა, რასაც ვაფასებ. ვგრძნობ, თუკი რამ სიკეთე მაქვს ცხოვრებაში, ეს ჩემი მშობლებისგან მაქვს. სულ მქონდა პასუხისმგებლობის გრძნობა, საკუთარ თავს მუდმივად კონტროლს ვუწევდი იმის გამო, რომ ვარ იმედა კახიანის შვილი. ვცდილობდი, ისე არ მოვქცეულიყავი, რომ იმედასთვის მიუღებელი ყოფილიყო. არც ისეთი ჯიუტი ბავშვი ვყოფილვარ, რომ ჩემი მშობლების აზრი არ გამეზიარებინა. სრულიად მშვიდი და განწონასწორებული ადამიანი ვარ. ის ტრადიციები, რომლებიც ჩემს ოჯახში არსებობდა, დღესაც გრძელდება. ჩემი შვილებიც ისეთსავე სრულ ჰარმონიაში გაიზარდნენ, როგორშიც მე ვიზრდებოდი. რაც შეეხება პოპულარობას, ეს ჩემი ცხოვრების თანამდევი რამ არის, რასაც თითქოს, მივეჩვიე კიდეც და მგონია, რომ ასეც უნდა იყოს *(იცინის)*. ყოველ შემთხვევაში, ესეც პასუხისმგებლობაა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ეს მაწუხებს ან მღლის. ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ქუჩაში მიდიხარ და ადამიანების განსაკუთრებულ ყურადღებასა და სითბოს გრძნობ. ახლა ნინიზე გეტყვი. მიხარია — მართლაც, ბევრი ადამიანი გამოხატავს ნინის მიმართ სიყვარულს.

— ჩვენ რომ განსხვავებულ რაღაცაზე ვლაპარაკობთ?! ნინი დღეს, ახალგაზრდების, თინეიჯერების კერპია. გაქვს თუ არა ეჭვიანობის გრძნობა ამასთან დაკავშირებით?

— არა, რა თქმა უნდა. მიხარია. ეჭვიანობის გრძნობა როგორ უნდა მქონდეს?! მეც გარკვეული წვლილი მიმიძღვის ნინის გაპოპულარულებაში. მას ბავშვობიდან გამოკვეთილად ეტყობოდა, რომ მუსიკალური ნიჭი ჰქონდა. მეც, როგორც შემეძლო, ყველანაირად დავეხმარე, რომ წარმატება ჰქონოდა. ახლა, ვფიქრობ, ნინის აღარ სჭირდება ჩემი დახმარება.

— ნინის დღეს შენი სიმღერები სჭირდება.

— ახლა მე როლზე ვმუშაობ და ამისთვის არ მცალია. ნინიმ თავისი გზა უკვე გაიკვლია. მე მხოლოდ შემიძლია ახლა შორიდან დავუტკბე მისი საქმიანობით.

— მსახიობებს ფობიები აქვთ ხოლმე. შენ რა ფობიით ხარ დაავადებული და ხარ თუ არა ცრუმორწმუნე?

— მართლა ძალიან ბევრი ფობია მაქვს, რომელსაც, რა თქმა უნდა, არ ვიმჩნევ. ისეთი პერიოდები მაქვს, როდესაც ფობიები მირთულდება და მიქრება. იმ დროს, თუ სერიოზულად ვარ რაიმე საქმით დაკავებული, აღარ მახსოვს ხოლმე. მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ახლა ამ ფობიების შესახებ არ ვიტყვი, რადგან არასერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას დავტოვებ და ამის მრცხვენია. არადა, აბსოლუტურად რეალური და ადამიანურია ის, რაც მე მჭირს... ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ რაღაც პატარ-პატარა დეტალები — ვთქვათ, ჩანთაში ჩადებული რაღაც ნივთი, თილისმის მსგავსი, — სულ მაქვს. მაგიდაზე სამჯერ დაკაკუნება და მსგავსი რაღაცებიც მახასიათებს.

— ჩემი ბოლო კითხვა ჩემს საოცარ მეგობარს — ბატონ ნიკოს ეხება, შენს მეუღლეს, რომელსაც შენი თავი ჩავაბარე. ნიკო არაჩვეულებრივი ადამიანია, ძალიან მიყვარს. გარდა იმისა, რომ კარგი მეგობარია, უზომოდ გულკეთილია, სხვას ასეთს არ ვიცნობ. მინდა, ზუსტად იგივე კითხვა დაგისვა, რომლითაც შენ მომმართე — ოჯახზე გკითხო...

— მეც იმავეს ვიტყვი, რომ ოჯახის თემა ადამიანისთვის ძალიან პირადულია. მიმაჩნია, რომ იმ ბედნიერი ქალბატონების რიგში ვარ, რომლებსაც ჰყავთ მეგობარი მეუღლის სახით. ჩემი მეუღლე მხარს მიჭერს და ყველანაირად ხელს მიწყობს ჩემს საქმიანობაში. ეს მსახიობისთვის დიდი ბედნიერებაა. მას ჩემი ყველა წარმატება ახარებს. არადა, მსახიობი ქალბატონების მეუღლეებს ხანდახან ეჭვიანობა ახასიათებთ. ეს ნიკოსგან შორს არის. თან, ამავე დროს, ის პროფესიით თვითონაც მსახიობია, ოღონდ არასდროს უმსახიობია. მადლობას ვუხდი მას მხარდაჭერისა და საერთოდ, ყველაფრისთვის.

— გმადლობ ინტერვიუსთვის.

■

პაატა კაკაშვილი

28 წლის ფილოსოფიის დოქტორი, ფიზიკოსი

როგორი შეიძლება იყოს ყველაზე მინიატიურული მობილური ტელეფონი

ახალგაზრდა ქართველი ფიზიკოსი პაატა კაკაშვილი თითქმის 5 წელია შვედეთში, ქალაქ გიოტებორგში ცხოვრობს და ნანოტექნოლოგიების კვლევითაა დაკავებული. ჩალმერსის ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტს, 28 წლის ასაკში, უკვე მიანიჭეს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი და შემდგომ აკადემიური საქმიანობის გასაგრძელებლად, ჰიუსტონში (აშშ), რაისის უნივერსიტეტში მიიწვიეს. ამერიკაში გამგზავრებამდე, პაატა ცოტა ხნით ოჯახს ესტუმრა თბილისში. ჩვენც ამ შემთხვევით ვისარგებლეთ და ქართველი ფიზიკოსის მიღწევებით დავინტერესდით. როგორია თანამედროვე ფიზიკის განვითარების დიაპაზონი, ატომის ზომამდე დაპატარავებული მობილური ტელეფონები და რატომ დააფინანსებს NASA (აერონავტიკისა და კოსმოსური სხეულების ნაციონალური ცენტრი, აშშ) პაატა კაკაშვილის კვლევების გარკვეულ ნაწილს, — ინტერვიუდან შეიტყობთ.

ემა ტუხიაშვილი

— ფიზიკით სკოლაში სწავლის დროს დავინტერესდი. ხშირად ვეცნობოდი ისეთ ლიტერატურას, რომელიც საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული არ იყო. დედაჩემი პროფესიით ფილოლოგია, მამა ჰიდროინჟინერი მყავდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მშობლები ჩემს პროფესიონალურ არჩევანს აღფრთოვანებით შეხვდნენ. ხომ იცით, ქართველი მშობლების მისწრაფება — ყველას უნდა, რომ ექიმი შვილი ჰყავდეს... სკოლის დამთავრების შემდეგ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე და ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც აქ დავამთავრე. 1999 წელს კი, თბილისში უცხოელი პროფესორ-მასწავლებლები ჩამოვიდნენ და ქართველი სტუ-

დენტებისთვის საზაფხულო სკოლა მოაწყვეს. კითხულობდნენ საინტერესო ლექციებს ფიზიკაში და ამ ლექციებს სისტემატურად ვესწრებოდი. უცხოელ პროფესორებს შორის, ჩემი მომავალი ხელმძღვანელი, შვედი მეცნიერი ჰენრიკ იოჰანსონიც იყო. სწორედ მისგან მივიღე შემოთავაზება — დოქტურანტურაში (როგორც ჩვენში ამბობენ — ასპირანტურაში) სწავლა შვედეთში, ჩალმერსის უნივერსიტეტში გამეგრძელებინა.

— რამდენად საინტერესო აღმოჩნდა ქართველი ფიზიკოსისთვის ევროპის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში სწავლა და მუშაობა?

— პირველ რიგში, ჩემთვის აბსოლუტურად ახალ, თანამედროვე გარემოში მოვხვდი. ჩალმერსის ტექნიკური უნივერსიტეტი შვედეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებელთა ოთხეულში შედის და სტოკჰოლმის უნივერსტეტის შემდეგ, სამეცნიერო დონით, მეორე ადგილზე დგას. ჩემი ინტერესის საგანს ნანოტექნოლოგიები, კერძოდ კი, დაბალგანზომილებიანი ელექტრონული სისტემები წარმოადგენს, ამიტომ სწორედ ამ საკითხების თეორიულ კვლევას მივყავი ხელი. ნანოტექნოლოგიებს დღეს მასშტაბური გამოყენება აქვს. ის გამოიყენება, როგორც მობილურ ტელეფონებში, კომპიუტერებში, ასვე კოსმოსურ ხომალდებშიც კი. დღეს მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები ამ მცირე ზომის დეტალების კიდევ უფრო მინიმალიზაციაზე მუშაობენ.

— მაგალითად, როგორი შეიძლება იყოს ყველაზე მინიატიურული მობილური ტელეფონი?

— თეორიულად და პრაქტიკულადაც შესაძლებელია, რომ მობილური ტელეფონი და მისი დეტალები, ატომებისა და მოლეკულების ზომამდეც კი დაიყვანო, მაგრამ რეალურად, ამის განხორციელებას არანაირი აზრი არა აქვს: მობილური ტელეფონის ხელში დაჭერა ხომ მაინც უნდა შეგეძლოს?! მაგრამ როდესაც რაღაც ტექნოლოგიების მინიატიურიზაციაზე ვმუშაობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზომის შეცვლის შემდეგ, მან შესაძლოა, დაკარგოს რაღაც თვისება, ან პირიქით — დამატებითი თვისება შეიძინოს. სწორედ ეს მიმართულება წარმოადგენს ჩემი სამეცნიერო კვლევის, სადისერტაციო ნაშრომის არსს. მაგრამ აქვე მინდა განვმარტო, რომ ჩემს კვლევას აკადემიური ინტერესი უფრო უდევს საფუძვლად, ვიდრე ექსპერიმენტული, თუმცა, ამ კვლევის გარკვეულ ნაწილში ცდები უკვე მიმდინარეობს. ექსპერიმენტული მეცნიერებაც ვითარდება, ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ამ კვლევის პრაქტიკულად შემოწმებაც შესაძლებელი გახდეს.

— საკმაოდ ახალგაზრდა, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ხარ...

— სულაც არა. ახალგაზრდები ხშირად იცავენ დისერტაციას ამ ასაკში. მაგალითად, ერთ-ერთ ჩემს კურსელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან უკვე მინიჭებული აქვს სამეცნიერო ხარისხი და საფრანგეთში კითხულობს ლექციებს. სხვა ჩემი ორი თანაკურსელი გერმანიაში ასპირანტურაში სწავლობს და შემდგომი აკადემიური საფეხურისთვის ემზადება.

— შენი სადისერტაციო ნაშრომის დაცვამ ჩალმერსის უნივერსიტეტში მშვიდ გარემოში ჩაიარა, თუ გყავდა კრიტიკულად განწყობილი ოპონენტები?

— რა თქმა უნდა, დაისვა შეკითხები, შენიშვნებიც გამოითქვა, მაგრამ ყველაფერმა მაინც კარგად ჩაიარა. ოპონირებას მიწევდა ისრაელიდან მოწვეული, იერუსალიმის უნივერსიტეტის პროფესორი. კომისიის წევრებს შორის, იყვნენ მეცნიერები ინგლისიდან და შვედეთიდან. დისერტაცია ნიშნით არ ფასდება, ამიტომაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი, ჩემთვის საუკეთესო შეფასება იყო.

— როგორ ფიქრობ — შენი პროფესიული ზრდისთვის საქართველოდან წასვლა აუცილებელი იყო?

— ფიზიკა მეცნიერების ისეთი დარგია, რომელიც ჩაკეტილ სივრცეში ვერ განვითარდება. საუკეთესო პირობებიც რომ იყოს საქართველოში სამეცნიერო საქმიანობისთვის, ქვეყნიდან წასვლა გამოცდილების გაზიარებისა და თუ ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, მაინც აუცილებელია. შვედეთშიც, გერმანიასა და საფრანგეთშიც ძალზე მაღალი დონის უნივერსიტეტებია. მაგრამ მათი კურსდამთავრებულები მაინც ცდილობენ, რომ აკადემიური გარემო შეიცვალონ და

უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ქვეყანაში დაბრუნების სურვილი მართლაც, მაქვს

განათლება სხვა ქვეყნებშიც მიიღონ.

— უკვე 5 წელია, შვედეთში ცხოვრობ. სხვა ქვეყანაში გამგზავრება არ გიცდია?

— მოდი, ცოტა უფრო შორიდან დავიწყებ. ამერიკელ ფიზიკოსთა საზოგადოება ყოველი წლის მარტში, ამერიკის რომელიმე ქალაქში, ფიზიკოსებისთვის მასშტაბურ კონფერენციებს ატარებს. მეცნიერები და ფიზიკის ფაკულტეტების სტუდენტები ამ კონფერენციაზე დასასწრებად, მრავალი ქვეყნიდან ჩადიან და საბოლოოდ, იქ 6000-მდე ადამიანი იყრის ხოლმე თავს. სამჯერ მქონდა შესაძლებლობა, დავსწრებოდი ამ კონფერენციას და ჩემი მოხსენებაც წამეკითხა. სწორედ იქ გავიცანი პროფესორი ჰიუსტონის უნივერსიტეტიდან, რომელმაც შემომთავაზა, ჩემი შემდგომი სამეცნიერო საქმიანობა ჰიუსტონში გამეგრძელებინა. რა თქმა უნდა, შემოთავაზება მივიღე და სექტემბერში უკვე ამერიკაში ვიქნები. პარალელურად, მქონდა შემოთავაზება გერმანიისა და საფრანგეთის უნივერსიტეტებიდან, მაგრამ უპირატესობა ამერიკას მივანიჭე: მიმაჩნია, ამ ქვეყანაში ფიზიკის განვითარებას გაცილებით მეტი პერსპექტივა აქვს და ამერიკელები ექსპერიმენტებზე გაცილებით მეტ ფულს ხარჯავენ.

— როგორც მითხრეს, დიდი შანსი გაქვს, რომ NASA-ში მიგიწვიონ სამუშაოდ. ალბათ, პირველი ქართველი იქნები, ამერიკის ნაციონალურ კვლევით ცენტრში, სადაც უამრავი ტექნოლოგიური საიდუმლო ინახება...

— არა, მთლად ზუსტი ინფორმაცია არ გაქვს. რაისის უნივერსიტეტსა და შ-ს რაღაც საერთო მართლაც აქვთ. ჯერ ერთი, ორივე ქალაქ ჰიუსტონში მდებარეობს და მეორეც — ის, რომ შესაძლოა, რაისის უნივერსიტეტის ბევრი მეცნიერი „ნასაში“ მუშაობს. გამომდინარე აქედან, არ გამოვრიცხავ, რომ ჩემი სამეცნიერო კვლევის 5% სწორედ „ნასამ“ დააფინანსოს, მაგრამ ვეჭვობ, რომ ამ ორგანიზაციასთან უშუალო შეხება მქონდეს. „ნასა“ მეტწილად, ასტროფიზიკოსებით ინტერესდება, მე კი, კონდენსირებული გარემოს სპეციალისტი ვარ. მართალია, მყარ სხეულებს, რომლებსაც მე ვიკვლევ, კოსმოსური შატლების დასაფარავადაც იყენებენ, მაგრამ ნასა ამ საკითხით შესაძლოა, უფრო საინჟინრო ხაზით დაინტერესდეს... ჰიუსტონში დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვიცხოვრებ, ამიტომ მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ, ვნახოთ, რა იქნება.

— წელან, მინიატიურული მობილური ტელეფონის თემას შეეხე. კიდევ რა ტექნოლოგიებს ეზიარე, რომლებმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შენზე?

— ძალზე საინტერესოა ნანომილების გამოყენებითი ტექნოლოგიები. ეს არის ნახშირბადის ფენა, დახვეული როგორც

მილი და მისი სიგანე მეტრის მემილიარდედია. ამ მილებისგან შემდგომ, შექმნიან ტრანზისტორებს, რომლებიც დიდი სიმტკიცით იქნება გამორჩეული. ნახშირბადის მილებს იყენებენ აგრეთვე ჩოგნების დასამზადებლად, საზეთ-საპოხი მასალების შესაქმნელად და შენ წარმოიდგინე, სამედიცინო დანიშნულებითაც კი. ბევრი საინტერესო თვისების გამო, აღნიშნულ მილებს წამლის „ტრანსპორტირებისთვის" იყენებენ: მაგალითად, შეგიძლია ეს ნანომილი მიუერთო რომელიმე წამალს და ამგვარად „გაუგზავნო" იმ ორგანოს, რომელიც მას საჭიროებს.

— ახლა ის გვითხარი, ყოფითი პრობლემები ხომ არა გაქვს შვედეთში და ქართველებთან ურთიერთობის შესაძლებლობა თუ გაქვს?

— საკმაოდ მაღალი დონის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობ. ჩემი მეზობლები იმდენად სწრაფად იცვლებიან, რომ მათთან დამეგობრებას ვერ ვასწრებ. ბოლო დროს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამა ევროპაში ძალიან გამარტივებულია, ამიტომ ყოველ აკადემიურ სემესტრში ახალ-ახალი სტუდენტები ჩამოდიან. რამდენიმე ქართველი მეგობარი მყავს შვედეთში. დღესასწაულებზე ვიკრიბებით ხოლმე და ვცდილობთ, რაიმე ქართული კერძი მოვამზადოთ. სამწუხაროდ, ქართული ღვინის დალევის საშუალება ხშირად არა გვაქვს — ეს მხოლოდ მაშინ ხერხდება, როცა თბილისიდან ჩამოიტანს ვინმე — მაგრამ

კარგი ქართული სადღეგრძელოს თქმა იტალიური ღვინითაც შეიძლება.

— საქართველოში თუ აპირებ დაბრუნებას?

— უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ქვეყანაში დაბრუნების სურვილი მართლაც, მაქვს. მაგრამ ის ელემენტარული სამუშაო პირობები მაინც უნდა მქონდეს, რომლებიც თეორეტიკოსს სჭირდება. პირველ რიგში, თანამედროვე ბიბლიოთეკას ვგულისხმობ. ახლა მხოლოდ წელიწადში ერთხელ, ერთთვიანი „ვიზიტით" ვიფარგლები. ჩემს ოჯახსა და მეგობრებს მოვინახულებ ხოლმე და ისევ სამეცნიერო სამუშაოს ვუბრუნდები...

■

„ბუხაიძე ეფრო ვეფსან იყვის..."

სასწრაფო წესით გამოტანილ განაჩენს ყიდევ ბევრჯერ დაუბრუნდებიან...

2006 წლის 27 იანვარს მოკლული სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლომ დასრულებულად გამოაცხადა. ამ გახმაურებული მკვლელობის საქმის განსახილველად მოსამართლისთვის სულ რაღაც 6 დღე აღმოჩნდა საკმარისი. საქმის მასალებში არსებული უამრავი გაურკვეველობის, განსასჯელთა ბუნდოვანი და ბევრ დეტალთან მიმართებაში, ლოგიკას მოკლებული ჩვენებების, სასამართლოზე დაუკითხავი მოწმეების, გამოუკვლეველი მტკიცებულებებისა და სხვა, დღემდე ღიად დარჩენილი კითხვების მიუხედავად, მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა. ამ ფაქტმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია არა მარტო დაზარალებული მხარის წარმომადგენლებში, არამედ საზოგადოებაშიც. სასწრაფოდ გამოტანილ განაჩენს, რომლის მიხედვითაც განსასჯელებს — შს სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსნებს 8 და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, პროტესტის ნიშნად, ხალხის ქუჩაში გამოსვლა, აქციები და მანიფესტაციები მოჰყვა...

აქციების მონაწილეთა აზრით, სასამართლო პროცესის რაც შეიძლება მოკლე ხანში დასრულება ხელისუფლების მიერ თავიდანვე იყო დაგეგმილი, მაგრამ სასწრაფო განაჩენის სასწრაფო წესით გამოტანაზე, საქმეში მთავარი მოწმის — ლევან ბუხაიძის ახალმა ჩვენებამ აშკარად იმოქმედა.

სასამართლო პროცესზე ლევან ბუხაიძემ ოლეგ მელნიკოვს — შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, რომლის გვარიც საქმეში თავიდანვე საეჭვოდ ფიგურირებდა, ხელი დაადო და თქვა, რომ მკვლელობის ღამეს, ოქროყანის სასაფლაოზე, ალანიასთან, აფციაურსა და ღაჭავასთან ერთად, ისიც იმყოფებოდა და მისი და გირგვლიანის ცემასა და წამებაში მონაწილეობდა. ბუხაიძის თქმით, მელნიკოვი მას ბიბილურიძეში აერია. ახლა დარწმუნებულია, რომ სასაფლაოზე სწორედ ის იყო.

შეგახსენებთ, რომ საქმის მასალების მიხედვით, ოლეგ მელნიკოვი 27 იანვრის საღამოს, „შარდენ ბარში" სწორედ იმ სუფრასთან იჯდა, რომელთანაც — თაკო სალაყაია, თათია მაისურაძე, დათა ახალაია, გურამ დონაძე და სხვები ისხდნენ. სანდრო გირგვლიანის მეგობრის, თათია მაისურაძის ჩვენების თანახმად, ბარში მომხდარი ინციდენტის შემდეგ, სუფრიდან მელნიკოვი წამოდგა და გავიდა, როგორც თავად თქვა, სალაყაიასთვის სიგარეტის მოსატანად. თუმცა, იმავე მაისურაძის თქმით, ბარში მისვლისას, სალაყაიას ორი კოლოფი „კენტი" ჰქონდა და იმ მომენტისთვის, იმდენად ცოტა დრო იყო გასული, რომ წარმოუდგენელია, მას სიგარეტი გასთავებოდა და მისი ყიდვის აუცილებლობა ყოფილიყო. ამასთანავე, ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ როგორც მაისურაძე ამბობს, მელნიკოვს საკმაოდ შეაგვინდა, ხოლო როცა დაბრუნდა, გათოშილი ჩანდა. თავისი დაგვიანება, მაისურაძის თქმით, მელნიკოვმა იმით ახსნა, რომ სიგარეტი ვერსად იშოვა და მის საყიდლად შორს წასვლა მოუხდა...

დაზარალებული მხარის ვერსიით, სინამდვილეში, მელნიკოვმა შეასრულა მითითება, სასწრაფოდ დაჰკავშირებოდა ალანიასა და მის ჯგუფს, რათა ისინი შს სამინისტროს თანამშრომლების (განსაკუთრებით ხშირად, დონაძის გვარი ფიგურირებს) შეურაცხყოფის გამო, გირგვლიანსა და მის მეგობარს გასწორებოდნენ. დღეს ბევრი — მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები — ხმამაღლა გამოთქვამს ეჭვს, რომ განკარგულება ამის შესახებ სალაყაიამ გასცა, მელნიკოვმაც, ისევე, როგორც ალანიამ და მისი ჯგუფის წევრებმა, მინისტრის ცოლის მითითება დაუყოვნებლივ და ზედმიწევნით მოიყვანეს სისრულეში. ანგარიშს-

წორება იმდენად სასტიკი აღმოჩნდა, რომ მას შედეგად, ახალგაზრდა ადამიანის სიკვდილი მოჰყვა...

ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩენილმა ბუხაიძემ, საქმის წინასწარი გამოძიების პერიოდში, ალანია და მისი ჯგუფის წევრები ამოიცნო, ოლეგ მელნიკოვის სასაფლაოზე ყოფნის შესახებ მაშინ მას არაფერი უთქვამს, ის არც ამოუცნია. დაზარალებული მხარის ადვოკატი — შალვა შავგულიძე ამას ასე ხსნის:

შალვა შავგულიძე:

„იმ დღიდან მოყოლებული, რაც ამ საქმეში ჩავერთე და ვითარება შევისწავლე, მივხვდი, რომ ბუხაიძემ გაცილებით მეტი იცოდა, ვიდრე ამას ხმამაღლა ამბობდა და წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აფიქსირებდა. მისი მდგომარეობა ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. ადამიანს მეგობარი თვალწინ უწამეს, შემდეგ მოუკლეს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ლევან ბუხაიძე თავად გახლდათ ამ საქმეზე პასუხისგებაში მიცემული და მკვლელობის დაფარვისთვის, ერთი თვის მანძილზე, ეჭვმიტანილად გახლდათ ცნობილი. აქედან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ზეწოლას განიცდიდა ის. ვიცოდი, ეს მისთვის ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ მაინც ყოველთვის მქონდა იმის იმედი, რომ სიმართლეს აუცილებლად იტყოდა. სასამართლო პროცესზე ასეც მოხდა. საერთოდ, სასამართლოში აშკარად ჩანს ადამიანების ემოციები, ამიტომაც მტყუანმართალიც ადვილი გასარჩევია. ბუხაიძემ, როგორც ჩანს, ვეღარ გაუძლო იმ ტყუილებს, რომლებსაც დარბაზში ისმენდა და თქვა კიდეც სიმართლე. უფრო მეტსაც იტყვის...“

მელნიკოვის შესახებ ბუხაიძის ჩვენების საფუძველზე, დაზარალებულმა მხარემ დამატებით ძიებაში საქმის დაბრუნებისა და მისი სრულყოფილად გამოძიების საკითხი დააყენა. მოსამართლე გიორგი ჩემიამ აღნიშნა, რომ ის ამის აუცილებლობას ვერ ხედავს. მან საქმის ძიებაში დაბრუნება მიზანშეწონილად არ მიიჩნია და შუამდგომლობის დაკმაყოფილების ნაცვლად, საქმის განხილვა დასრულებულად გამოაცხადა.

შალვა შავგულიძე:

„ეს მაშინ, როცა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, ლევან ბუხაიძის ჩვენება უმნიშვნელოვანესია. ეს ჩვენება საკმარისი საფუძველი უნდა გამხდარიყო იმისთვის, რომ სამართალდამცველებს მელნიკოვი დაუყოვნებლივ დაეკავებინათ, საქმე კი, დამატებით გამოძიებაში დაბრუნებულიყო. სწორედ ამ ჩვენებიდან გამომდინარე, მოსამართლეს ხელმეორედ მივმართეთ შუამდგომლობით „შარდენ ბარში“ მსხდომთა სატელეფონო საუბრების დეტალური ამონაწერის ამოღების თაობაზე; ასევე, ბუხაიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსაკვლევად, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება მოვითხოვეთ, მაგრამ უშედეგოდ. მოსამართლემ არც ერთი ჩვენი შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და არ დააკმაყოფილა“.

ლევან ბუხაიძის ახალ ჩვენებას თბილისის პროკურატურაც გამოეხმაურა. ამ საკითხთან დაკავშირებით, ქალაქის პროკურორის — გიორგი ღვინიაშვილის განცხადება, ალბათ, მოულოდნელი არავისთვის არ უნდა ყოფილიყო. ღვინიაშვილმა განაცხადა, რომ ის ლევან ბუხაიძის ჩვენებას აუცილებლად შეისწავლის და რომ ბუხაიძის მიერ სასამართლოში ნათქვამმა სიტყვებმა მისი გაოცება და გაკვირვება გამოიწვია. *„გამოძიების პროცესში ის უარყოფდა ოქროყანის სასაფლაოზე მელნიკოვის ყოფნის ფაქტს და ვერც ამოიცნო ის. უფლება ჰქონდა, მიეცა ჩვენება ამის თაობაზე, ჩვენ მიერ გარანტირებული იყო მისი უსაფრთხოების დაცვა. ბუხაიძე მაშინ აცხადებდა, რომ მისი ჩვენება სრულ სიმართლეს შეესაბამებოდა“*, — განაცხადა **ღვინიაშვილმა**.

ჩვენება სარწმუნოდ არ მიიჩნია არც სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარდამჭერმა — პროკურორმა შოთა გენგაშვილმა. მისი თქმით, ბრალდებულებმა თავიანთი ჩვენებებში დაადასტურეს მათ მიერ გირგვლიანისა და ბუხაიძის წამების ფაქტი, მათ შორის ბიბილურიძემაც, რაც იმას მოწმობს, რომ ისიც სასაფლაოზე იმყოფებოდა. *„ეს დასტურდება „ჯეოსელისა“ და „მაგთის“ ანძებზე შემავალი და გამავალი ზარების დეტალური მონაცემებითაც. ბუხაიძეს, წინასწარი გამოძიების პერიოდში, მელნიკოვის ფოტოსურათიც უჩვენეს, ფიზიკურადაც წარუდგინეს, მაგრამ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ამოიცნო იგი. ეს კი იმას მოწმობს, რომ მას მელნიკოვი ნანახი არ ჰყავდა და შესაბამისად, მელნიკოვი სასაფლაოზე არ იმყოფებოდა. აქედან გამომდინარე, ბუხაიძის ჩვენებას ვერ გავიზიარებ“*, — აღნიშნა **პროკურორმა**. თავის საბრალდებო სიტყვაში მან განსასჯელები სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებაში (რასაც შედეგად სიკვდილი მოჰყვა) დაადანაშაულა და ალანიასთვის 9 წლით, ხოლო დანარჩენებისთვის, 8-8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. აღსანიშნავია, რომ ალანიას ამ მუხლის გარდა, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაშიც ედებოდა ბრალი. მოსამართლე გიორგი ჩემიამ პროკურორის მოთხოვნას თითო-თითო წელი დაუკლო კიდევაც. განაჩენის გამოცხადების პროცესში, პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს დაზარალებულმა მხარემ, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრებმა და სხვა დამსწრეებმა. საბოლოოდ, მოსამართლე ჩემიას მხოლოდ ჟურნალისტები და დაცვის წევრები უსმენდნენ.

შალვა შავგულიძე:

„სასამართლომ ამ განაჩენით და საერთოდ, საქმის განხილვის მთელი პროცესით, ქართულ მართლმსაჯულებას შეურაცხყოფა მიაყენა. მოსამართლემ არაფერი გააკეთა იმისთვის, რომ აღნიშნულ საქმეზე ჭეშმარიტება დაედგინა. სასამართლო განხილვის პროცესი ყოვლად უსამართლოდ მიმდინარეობდა. მოსამართლის ყოველი გადაწყვეტილება იმაზე მეტყველებდა, რომ ის ხელისუფლების ზეწოლის შედეგად მოქმედებდა“.

დაზარალებული მხარის პოზიციის თანახმად, ტენდენციურობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სასამართლო პროცესი წინასწარი გამოძიების დასრულებიდან 5 დღეში დაინიშნა; 6 დღეში — საქმის სასამართლო განხილვას მორჩნენ. მიაჩნიათ, რომ თავიდანვე იყო დაგეგმილი, რომ პროცესი რაც შეიძლება მალე დამთავრებულიყო, მოსამართლე კი, შუამდგომლობებს არ აკმაყოფილებდა და არ ცდილობდა, სრულყოფილად გამოეკვლია საქმეში არსებული უამრავი, გაურკვეველი დეტალი, რათა წინასწარ დაწერილი სასამართლო განაჩენის გამოცხადება არ გაჭიანურებულიყო.

სასამართლო დარბაზში დაძაბულობა, ხმაური და პროტესტი არა მარტო განაჩენის გამოცხადებას მოჰყვა, არამედ წინაც უძღოდა. არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ — ხელმძღვანელმა და რესპუბლიკური პარტიის წევრმა თინა ხიდაშელმა ხმამაღლა აღნიშნეს, რომ პროკურორები, პროცესის მსვლელობისას, განსასჯელებს დაუფარავად ეკონტაქტებოდნენ და ლევან ბუხაიძის ჩვენების შემდეგ, ახალ მითითებებს აძლევდნენ. ხმამაღლა გამოთქმული რეპლიკებისთვის მოსამართლემ თინა ხიდაშელი 200 ლარით, გირგვლიანების ახლობელი — ზურაბ ჩხაიძე კი, 100 ლარით დააჯარიმა. თინა ხიდაშელის თქმით, მთელ პროცესს შს სამინისტრო ვიდეოკამერით იღებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სასამართლო პროცესზე კონტროლს ახორციელებდა.

ნანა კაკაბაძე:

„საზოგადოება ხელისუფლებას ამას არ შეარჩენს. მთავრობის ქმედება და ინტერესები ამ შემთხვევაში, აბსოლუტურად გაშიფრულია. სასამართლომ ყველა მნიშვნელოვანი დეტალის გარკვევას თავი აარიდა და პროცესი სასწრაფოდ დასრულებისკენ წაიყვანა“.

ელენე თევდორაძე:

„სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ვარ. იმედი მქონდა, რომ ბუხაიძის ჩვენების შემდეგ, საქმეში ცვლილება შევიდოდა. მე ზეწოლაზე არ ვსაუბრობ, მაგრამ სასამართლომ ამ საქმის განხილვა მართლაც ძალიან სწრაფად დაასრულა და ღრმად არ შეისწავლა. დარწმუნებული ვარ, სამართალი იზეიმებს და შესაძლოა, პროკურატურა ამ საქმის გამოძიებას კვლავ დაუბრუნდეს“.

მოსამართლე გიორგი ჩემიას მისამართით გამოთქმულ პრეტენზიებს სპიკერ-მოსამართლემ — შორენა გუნცაძემ უპასუხა. მან კატეგორიულად უარყო, რომ საქმე დაჩქარებული ტემპით იქნა განხილული. ხოლო რაც შეეხება დაზარალებული მხარის ადვოკატების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაუკმაყოფილებლობის ფაქტებს, სპიკერ-მოსამართლემ აღნიშნა, რომ ამ მხრივ ბრალდებები უსამართლოა. მისი თქმით, ჩემიამ 10 შუამდგომლობიდან 4 სრულად დააკმაყოფილა, ერთი კი — ნაწილობრივ. ახალაიას, სანოძისა და სხვა მოწმეების პასუხისმგებლობის თაობაზე სპიკერ-მოსამართლემ აღნიშნა, რომ სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, ამ საკითხზე ემსჯელა.

დაზარალებული მხარის ადვოკატებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენისა და სხდომის ოქმების გადაცემის მოთხოვნით მიმართეს. ადვოკატ შავგულიძის თქმით, ის ყველა იმ დარღვევას, რომელსაც პროცესზე ჰქონდა ადგილი, ასევე მოსამართლის მიერ მიღებულ დადგენილებებს, რომლებითაც უარი ეთქვა მხარეს შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე, დაწვრილებით ასახავს სააპელაციო საჩივარში.

მოკლულის დედა — **ირინა ენუქიძე** კი ამბობს, რომ მკვლელობის შემკვეთთა დასჯამდე, ის ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. *„ხელისუფლება ხალხს თვალებში ნაცარს ყრის და მთავარი დამნაშავეების გამოაშკარავებასა და მათ დასჯას არ ცდილობს. ოლეგ მელნიკოვი მაშინვე უნდა დაეკავებინათ, როცა ლევან ბუხაიძემ მას ხელი დაადო და თქვა, რომ სხვებთან ერთად, ისიც ნახა ოქროყანის სასაფლაოზე. ცხადია, რომ ხელისუფლებას, კონკრეტულად კი პრეზიდენტს, მათი გაწირვა არ უნდა. ამ პროცესში მთავარი სიტყვა სწორედ პრეზიდენტს ეკუთვნის. მაგრამ მე პირობას ვდებ, რომ პრეზიდენტი კი არა, ყველა გადაჰყვება სანდროს...“* — თქვა სასამართლო პროცესის შემდეგ მოკლულის დედამ. ■

ნიკა ლომინაძის მკვლელობაში ბრალდებულმა დანაშაული აღიარა

„ეი-ი-ეს თელასის“ ფინანსური მენეჯერის — ნიკა ლომინაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით გამართულ სასამართლო სხდომაზე, დანაშაულში ბრალდებული ავთანდილ ხერკილაძე დაიკითხა. მან სასამართლოს აღიარებითი ჩვენება მისცა. ჩვენების მიცემამდე, ხერკილაძემ პროცესის დახურვა მოითხოვა, მაგრამ მოსამართლემ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მან მხოლოდ ვიდეოგადაღება აკრძალა. ხერკილაძეს პროკურატურამ საპროცესო გარიგება შესთავაზა — იმ შემთხვევაში, თუ ის სასამართლოს აღიარებით ჩვენებას მისცემდა, მას სასჯელის ზომას 8 წლით შეუმცირებდნენ. ხერკილაძე საპროცესო გარიგებას დათანხმდა და დანაშაულიც აღიარა. მისი თქმით, მან ორ თანამზრახველთან ერთად, ნიკა ლომინაძე და თურქი ბიზნესმენი მოკლა. ლომინაძის მკვლელობა ხერკილაძემ დეტალურად აღწერა. მკვლელობის შეკვეთის ბრალდებით, სასამართლოს წინაშე, განსასჯელის სახით „თბილგაზის“ გაკოტრების ყოფილი მმართველი — გიორგი გვიჩიანიც წარდგა. ის წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს, მისი ადვოკატი კი აცხადებს, რომ გვიჩიანი მისი ოჯახის პირადი მტრების მხრიდან, შურისძიების მსხვერპლია. ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის თქმით, გვიჩიანის ნათესავებს — ნოდარ და ნუგზარ გვიჩიანებს ძმა მოუკლეს, რაშიც ისინი გიორგი გვიჩიანს ადანაშაულებდნენ. ამის გამო, მასზე შურისძიების მიზნით, ნოდარ გვიჩიანმა სამართალდამცველებს ცრუჩვენება მისცა და გიორგი გვიჩიანი, ნიკა ლომინაძის მკვლელობის შემკვეთად დაასახელა. ■

სასამართლოში, 19 წლის ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის განხილვა განახლდა

თბილისელი ამირან რობაქიძის მკვლელობის საქმის სასამართლო პროცესზე დასწრებაზე, დაზარალებული მხარე, სანდრო გირგვლიანის საქმის განხილვის დასრულებამდე უარს აცხადებდა. ამიტომ საქმის განხილვის განახლება, მხოლოდ ამ კვირაში გახდა შესაძლებელი. ამ პროცესზე, მოწმეების დაკითხვა დაიგეგმა. სასამართლოს წინაშე, განსასჯელის სახით, თბილისის საპატრულო პოლიციის თანამშრომელი — გრიგოლ ბაშალეიშვილი წარდგა. მას გიორგობის ღამეს, ამირან რობაქიძის გაუფრთხილებლობით მკვლელობაში ედება ბრალი. საქმის მასალების მიხედვით, სამართალდამცველებმა საეჭვო, შავი ავტომანქანა გააჩერეს, რომელშიც სხვა ახალგაზრდებთან ერთად, ამირან რობაქიძეც იჯდა. მათი დაკავებისას, პოლიციამ დამატებითი ჯგუფი გამოიძახა. სწორედ, იმ ჯგუფში იყო ბაშალეიშვილიც. ბრალდების თანახმად, ღონისძიების დროს, მან გაუფრთხილებლად გაისროლა. სროლის შედეგად, რობაქიძე მძიმედ დაიჭრა — მას თირკმელი და აორტა დაუზიანდა, რის შედეგადაც, იგი ადგილზე გარდაიცვალა. ■

დედამ 3 წლის შვილის გაყიდვა, სახლის შეძენის მიზნით გადაწყვიტა

რამდენიმე დღის წინ, ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველომ შემზარავი ფაქტი გამოავლინა. სამართალდამცველებმა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფი დააკავეს. მათი ინფორმაციით, ჯგუფის წევრებმა, თბილისში, ვარკეთილის სასაფლაოსთან, 5 ათას დოლარად 3 წლის ბავშვი — არკადი ბუწაშვილი ორ მოქალაქეს მიჰყიდეს.

ლევან მხეიძე, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსი:

„გაირკვა, რომ სამივე დაკავებული, სიღნაღის რაიონის სოფელ ულიანოვკის მკვიდრია. ბავშვის გაყიდვა თავად დედამისმა — ლია ბუწაშვილმა სოფელში სახლის ყიდვის მიზნით გადაწყვიტა. მან, ორი კვირით ადრე, თავისი განზრახვა დალი ჯანგულაშვილს და ია მასხარაშვილს გაუზიარა. სამივე მათგანი ეჭვმიტანილის სტატუსითაა დაკავებული. ისინი წინასწარი დაკავების საკანში არიან გადაყვანილები. მომხდარ ფაქტზე საქმე აღძრულია არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მუხლით, რაც 8-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“.

გამოძიების ინფორმაციით, 6 ივლისს, მასხარაშვილმა, რომელიც თბილისის 116-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელია, ჯანგულაშვილს უთხრა, რომ იპოვა უშვილო ცოლ-ქმარი, რომელიც მზად იყო, ბავშვის სანაცვლოდ 1.000 დოლარი გადაეხადა. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, რომ ბავშვი თბილისში ჩამოეყვანათ. შვებში გამოეწყვნენ, ბავშვი კი, დაარიგეს, ყველასთვის ეთქვა, თითქოს მშობლები დაეღუპა.

ფინანსურ პოლიციაში რომ მიიყვანეს, ბავშვი ამბობდა: დალიმ მითხრა, რომ დედაჩემს ფეხზე ცეცხლი წაეკიდა, მამა არ მყავს, ის მოკვდაო.

ეს ამბავი დაკავებულებმა ასე ახსნეს — *„არკადის დედა ტანად დაბალია და მყიდველი, მისი დანახვისას ბავშვს აღარ იყიდდაო“.*

დალი ჯანგულაშვილი მყიდველებს ბავშვის ბებიად წარუდგა. აღმოჩნდა, რომ ის და მასხარაშვილი ბავშვის დედასაც ატყუებდნენ. ეუბნებოდნენ, თითქოს მყიდველები მხოლოდ 1.000 დოლარს იხდიდნენ, სინამდვილეში კი, მათ 5 ათას დოლარზე შეუთანხმდნენ. დანარჩენი 4 ათასი დოლარის გადანაწილებას ისინი ერთმანეთში აპირებდნენ. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ვარკეთილის სასაფლაოსთან ფინანსური პოლიციის თანამშრომლებიც მივიდნენ. ქალბატონები მათ ფაქტზე დააკავეს. რაც შეეხება ბავშვის დედას — ლია ბუწაშვილს, ის მოგვიანებით, სიღნაღის რაიონიდან ჩამოიყვანეს. ის პოლიციაში ითხოვდა, რომ მისთვის ან ბავშვი დაებრუნებინათ, ან ფული... ■

ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲝᲝᲝᲔᲔᲔ, ᲧᲐᲜᲐᲐᲐ! ᲐᲜᲣ ᲫᲘᲠᲘᲡ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲬᲐᲬᲣᲜᲐ ᲠᲥᲔᲑᲣᲜᲔᲑᲘ

ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲘ ᲓᲠᲝᲐ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲔᲡ ᲗᲐᲕᲒᲐᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲰᲐᲛᲐᲙᲨᲘ ᲜᲔᲑᲘᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲬᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲒᲐᲮᲡᲘᲜᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲡ, ᲠᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲝᲗ? ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲝᲗ! ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, 100 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ 99-ᲘᲡ ᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲐᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ. ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲝ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ ᲥᲜᲐᲡ ᲛᲐᲜ, ᲕᲘᲜᲪ ᲣᲤᲣᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲗᲣ ᲣᲓᲠᲝᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲔᲑᲠᲫᲕᲘᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲔᲡ? ᲔᲠᲗᲒᲒᲐᲠ ᲠᲔᲪᲔᲠᲢᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲨᲔᲛᲝᲒᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲗ. ᲝᲚᲝᲜᲓ, ᲛᲘᲡᲘ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲓᲓᲔᲗ, ᲯᲔᲠ ᲖᲝᲝᲛᲐᲚᲐᲖᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲗ.

ᲛᲐᲠᲘ ᲧᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲩᲔᲜᲐᲚᲘ

„90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲨᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲡ ᲗᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲦᲐᲠ ᲒᲕᲘᲮᲓᲘᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲭᲘᲠᲓᲐ, ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲘᲢᲔ, ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲬᲐᲛᲝᲛᲔᲣᲬᲧᲝ. ᲪᲝᲢᲐ ᲤᲣᲚᲘ ᲕᲘᲡᲘᲡᲮᲔ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲗ, ᲖᲝᲝᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲒᲐᲕᲮᲡᲜᲔ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲒᲐᲛᲘᲩᲜᲓᲐ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐᲒᲐᲒᲕᲐᲠᲘ ᲔᲒᲖᲝᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲓᲐ. ᲔᲠᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ, ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲘᲐᲜᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ ᲛᲗᲮᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗ (ᲕᲘᲓᲠᲔ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲙᲠᲣᲘᲖᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ) ᲛᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲐ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲣᲐᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ. 100 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲡᲐᲘᲛᲘᲡᲝᲓ ᲓᲐᲛᲘᲢᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲜᲐᲡᲘ ᲛᲔᲧᲘᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲙᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲞᲘᲠᲡ ᲓᲐ 50 ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲪ, ᲩᲔᲛᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲠᲯᲔᲚᲝ. ᲒᲐᲛᲘᲮᲐᲠᲓᲐ. ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲔ, ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲓᲐᲕᲘᲡᲕᲔᲜᲔᲑ ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲜᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲖᲝᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲮᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲛᲔᲧᲘᲓᲐ, ᲛᲔ ᲠᲐᲦᲐ ᲓᲐᲛᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ? ᲐᲕᲓᲔᲥᲘ ᲓᲐ ᲨᲕᲠᲘᲘᲡ ᲤᲐᲤᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲧᲕᲐᲜᲔ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ 3 ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲞᲘᲠᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲙᲐᲠᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲨᲘᲕᲓᲐ, ᲨᲔᲭᲐᲛᲐ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲡᲣᲥᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲜᲨᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲔᲢᲔᲝᲓᲐ. ᲛᲔ ᲙᲘ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ 100 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲔ — ᲕᲘᲡᲔᲘᲠᲜᲔ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲗᲕᲔ ᲛᲔᲧᲝ (ᲛᲐᲨᲘᲜ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲫᲕᲘᲠᲔ ᲐᲠ ᲘᲧᲝ). ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚ ᲐᲠᲡᲔᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡᲕᲔ ᲛᲝᲐᲙᲘᲗᲮᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ? — ᲬᲐᲛᲝᲬᲝᲚᲘᲚᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲡᲘᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘ ᲓᲘᲕᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲕᲠᲝᲑᲡ. ᲣᲧᲣᲠᲐ, ᲣᲧᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲐ: ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲘᲛᲐᲢᲝᲝ? 200 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲢᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲘ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲐᲘ, ᲐᲡᲔ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐ ᲛᲐᲘᲛᲣᲜᲛᲐ, ᲔᲠᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ“.

ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘᲗ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲜ ᲘᲛ ᲬᲚᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ ᲓᲠᲝ ᲯᲝᲑᲓᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘᲪ ᲡᲬᲝᲠᲘᲗ, ᲐᲛ ᲐᲖᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲫᲕᲔᲚ ᲐᲛᲑᲐᲕᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲡ.

ᲦᲕᲗᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐ

„ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲔ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲛᲐᲪ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲘᲛ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ. ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲖᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ ᲓᲐ ᲒᲕᲘᲮᲐᲠᲝᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒ ᲓᲠᲝᲡᲐᲪ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲓᲘᲗ. ᲔᲠᲗ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲠᲗ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ, ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲒᲕᲘᲨᲕᲔᲡ. ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ ᲨᲔᲒᲕᲐᲡᲐᲮᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲖᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ — ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲖᲔ. ᲔᲠᲗ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ, ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲘᲪᲮᲐᲓᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲥᲔᲘᲤᲡ ᲣᲩᲕᲔᲜᲝᲓ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ — „ᲓᲔᲕᲩᲐᲢᲜᲘᲙᲘ“ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲐᲒᲕᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲡ. ᲑᲔᲓᲡ ᲨᲔᲕᲣᲠᲘᲒᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲖᲔ ᲨᲔᲕᲘᲙᲠᲘᲑᲔᲗ. ᲛᲐᲗᲘ ᲤᲐᲜᲯᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ, ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲒᲒᲔᲒᲝ, ᲩᲕᲔᲜ ᲮᲛᲐᲦᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲔᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲐ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲗᲕᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲮᲛᲐᲣᲠᲡ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲪᲝᲢᲐ ᲮᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ, ᲛᲐᲗᲘ ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲝᲪᲐᲠᲘ „ᲑᲠᲐᲰᲣᲜᲘᲡ“ ᲮᲛᲐ ᲩᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ. ᲘᲡᲔᲗᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲒᲕᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲡᲙᲐᲛᲔᲑᲖᲔ „ᲐᲛᲮᲔᲓᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ“ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲗᲐᲜ, ᲮᲛᲐᲦᲚᲐ ᲧᲕᲘᲠᲝᲓᲜᲔᲜ. ᲛᲝᲗᲛᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲐᲚᲐ ᲠᲝᲛ ᲐᲒᲕᲔᲕᲡᲝ, ᲗᲐᲜᲐᲪ, ᲣᲙᲕᲔ ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲒᲕᲔᲘᲜᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲓᲐᲕᲬᲧᲘᲢᲔ, ᲛᲐᲗᲗᲐᲜ ᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲭᲙᲣᲐ ᲛᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲜᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲛᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲘᲨᲕᲐ. ᲘᲥᲕᲔ, ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲖᲔ ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲘᲡ ᲤᲔᲠᲤᲚᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘᲡ ᲥᲘᲚᲐ ᲘᲓᲝ. ᲬᲐᲛᲝᲐᲕᲚᲝ ᲮᲔᲚᲘ, ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲡ ᲠᲐᲤᲐᲖᲔ ᲨᲔᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲘᲥᲜᲘᲐ. ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲘᲡ ᲥᲘᲚᲐ, ᲛᲐᲗ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ „ᲑᲘᲩᲝᲙᲔᲑᲘᲐᲜᲐᲓ“ ᲨᲔᲤᲠᲘᲜᲓᲐ. ᲣᲔᲪᲠᲐᲓ, ᲡᲘᲩᲣᲛᲔ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛ ᲦᲐᲛᲔᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲝᲗᲐᲮᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲘᲩᲣᲛᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲘᲡᲛᲝᲓᲐ. ᲒᲐᲕᲝᲪᲓᲘᲗ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ, ᲥᲔᲘᲤᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲕᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲪ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ.

თურმე, მთვრალებს სიგარეტი შემოლეევიათ. ჩვენთან ვერ ჩამოვიდნენ, რადგან იცოდნენ, რომ მაინც არ მივცემდით. იმ შუაღამისას კი, მაღაზია ღია არ იქნებოდა. მერე, ერთ-ერთ ჭკვიანს აზრად მოსვლია — ღმერთს შევეხვეწოთ, იქნებ, ჩვენი ვედრება შეისმინოსო. მეორე ჭკვიანს უთქვამს: მოდი, ჩვენი სკამებიანად ოთახში ვიაროთ, თან სკამებზე „ამხედრებულებმა" ვიძახოთ — ღმერთო, ერთი „ბიჩოკი" მაინც გადმოგვიგდეო... ამ დროს კი, მათ ოთახში „ბიჩოკებით" სავსე კონსერვის ქილა შეფრინდა და შიშისგან ენა ჩაუვარდათ. დილით კი, ნანობდნენ — ნეტავ, ღმერთისთვის „კოსმოსი" გვეთხოვაო (მაშინ ეს ყველაზე კარგი სიგარეტი გახლდათ). აი, ასეთი გახლავთ ჩემი საზაფხულო თავგადასავალი, ოღონდ, XX საუკუნის დროინდელი".

მენაგვე

„ერთ ზაფხულს, ძმაკაცებმა ცოლები და შვილები დასასვენებლად გავუშვით და დროს ტყუილად ხომ არ გავაცდენდით? — ყოველ საღამოს „შარაფი" და „ჩქარი ტაში" გვქონდა გამართული. ერთ დღეს, ჩემი ერთ-ერთი ძმაკაცის, გოჩას ოჯახში „პიკნიკი" მოვაწყვეთ და რა თქმა უნდა, ქალებიც მივიყვანეთ. კარგად მოვილხინეთ და ვიდრე ჩვენს ოთახებში გავნაწილდებოდით, ქალებს ვთხოვეთ, რომ მაგიდა აელაგებინათ, ჭურჭელი დაერეცხათ და ნაგავი ერთ ცელოფანის პარკში მოეგროვებინათ. დილით, ყველაზე ადრე მივდიოდი და ნაგვის გატანაც მე ვითავე — მანქანის საბარგულში ჩავდებ და რომელიმე ნაგავსაყრელზე გადავუძახებ-მეთქი. საკმაოდ გვიანი იყო, როდესაც დასაძინებლად დავწექით. დილაუთენია კი, გოჩას ცოლმა დარეკა — ნახევარ საათში შინ ვიქნებიო. გოჩა თავის ცოლს არ ელოდა და ყველანი დავფაცურდით. ქალები სასწრაფოდ გავუშვით და ჩვენ, დიასახლისს უცოდველი სახეებით დავხვდით. მოკითხვის შემდეგ, დავიშალეთ. ნაგვის ცელოფანს წამოვავლე ხელი და კიბეზე დავეშვი. შუადღე იყო, როდესაც გოჩამ დამირეკა და ნაგვის ამბავი მკითხა. გამიკვირდა და ვუპასუხე, რომ ნაგავი უკვე გადავყარე. მითხრა: შე აბდალო, შეცდომით, ჩემი ცოლის მოტანილი ცელოფანისთვის დაგივლია ხელი და ნაგავი შინ დაგიტოვებია. შიგ საფულე იდო, რომელშიც 300 ლარი „განისვენებდაო". ლამის გადავირიე. უცებ, წამოვხტი და ნაგავსაყრელისკენ გავემართე. წარმოიდგინეთ: ნაგვის ბუნკერთან ჩერდება „ბმვ", იქიდან კარგად ჩაცმული მამაკაცი გადმოდის და ბუნკერში იქექება. რას დავეძებდი? თავდაყირა ჩავძვერი ნაგავში და ცელოფანი ძლივს ვიპოვე. გახარებულმა ფული პატრონს მივურბენინე, მაგრამ იქ ამბავი დამხვდაააა! გოჩას ცოლს ნაგავი გადმოუპირქვავებია და გულდასმით გადაუქექავს. იქ კი, პომადიანი ხელსახოცები უპოვია და... გოჩა ცხვირ-ჩამოშვებული იჯდა, მაგრამ იმას ვინ ჩივის? მეც მაგრად მომხვდა, რადგან ჩემს ცოლს დაწვრილებით ჩაუკაკლა ყველაფერი. აი, ასე დამთავრდა ეს ამბავი. იმედია, მოგეწონათ".

როგორ უნდა გაარჩიოთ ერთმანეთისგან კარგი, ცუდი და ჭკვიანი გოგო? როგორც აღმოჩნდა, გულგატეხილობის ჟამს, კარგი გოგო ტირის, ცუდი — სასმელს ეძალება, ხოლო ჭკვიანი — შოპინგს აწყობს და კიდევ, ერთი რჩევა: კარგი გოგონა ქალწულობას ქორწინების ღამეს კარგავს, ცუდი — პირველსავე შესაძლო შემთხვევის დროს, ხოლო ჭკვიანი — რამდენჯერმე... ახლა კი, მომდევნო მესიჯი ჭკვიანი გოგოსგან.

ჯარგი, ცუდი და ჭკვიანი...

„2 დაქალი მყავს და არც ერთს არ გვახსოვს, როგორ გავიცანით ერთმანეთი, მაგრამ ხანდახან, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩემი ღვიძლი დები არიან. ერთმანეთისგან დაფარული არაფერი გვაქვს. ხასიათით კი, ერთმანეთისგან ძალიან განვსხვავდებით. უკვე 24 წლისანი ისევ გასათხოვრები ვიყავით. ერთ ზაფხულს, გადავწყვიტეთ, რომ ზღვაზე წავსულიყავით და თუ ვინმე მოგვწონებოდა — დავნებებოდით. მოკლედ, ასეთი გადაწყვეტილებით მივადექით ბათუმის სადგურს და კერძო ბინაში ოთახი დავიქირავეთ. რამდენიმე დღის შემდეგ, 3 ძმაკაცი გავიცანით. დავწყვილდით და მშვენიერ დროსაც ვატარებდით. ხან ყველანი ერთად დავდიოდით, ხან — წყვილ-წყვილად. ლამის ყურებამდე შემიყვარდა გიო და აღარ მინდოდა, მის გარეშე მეცხოვრა. მზად ვიყავი, მისი გავმხდარიყავი. ჩემმა ერთმა დაქალმა, ბიჭების გაცნობის მესამე დღესვე გამოგვიცხადა, რომ ლაშას დანებდა. კითხვები დავაყარეთ, ყველაფერი გვაინტერესებდა, მაგრამ არაფერიც არ გვითხრა. ერთ კვირაში, მეც იგივე გავიმეორე. დაგვრჩა მესამე დაქალი, რომელიც არ ჩქარობდა და მოხდა ისე, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ, ის ბიჭი ძალიან იშვიათად ეკონტაქტებოდა. ჩემი დაქალი კი, ტირილით თავს იკლავდა. როგორც იქნა, 2 თვის შემდეგ, სწორედ ზღვაზე გაცნობილ ბიჭზე გათხოვდა. მათი ქორწილის შემდეგ, ჩემი და მეორე დაქალის კავალრები სადღაც გადაიკარგნენ. ძალიან ვინერვიულეთ და გათხოვილ დაქალთან სიარულს მოვუხშირეთ, რომ მათი ამბავი გაგვეგო, მაგრამ მათი ასავალ-დასავალი ვერ გავიგეთ. ჩემი დაქალი ისე ნერვიულობდა, რომ ლამის გალოთდა, სმას ძლივს გადავაჩვიე. მე კი, დარდს მაღაზიებში სიარულით ვიქარვებდი. ისე მოხდა, რომ მალე ერთი არაჩვეულებრივი მამაკაცი გავიცანი და ძალიან ვინერვიულე იმის გამო, რომ ასეთი სისულელე ჩავიდინე, მაგრამ რაღას ვუშველიდი? იმ კაცის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. ავდექი და ექიმს მივაკითხე... გავთხოვდი და დღეს თავს კარგად ვგრძნობ, მაგრამ დაქალი გასათხოვარი დამრჩა და ამას ძალიან განვიცდი. ასეთი იყო ჩვენი ერთი ზაფხული".

„რამდენიმე წლის წინ, ამერიკაში, ოკლაჰომას შტატში, მოსამართლემ განიხილა განქორწინების საქმე. ცოლის თქმით, ქმარი წვერს არ იპარსავდა და თავს არ უვლიდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მოსამართლეს განქორწინების გადაწყვეტილება გამოეტანა. იაპონიაში, მიუღებელ პოზაში ძილი, შეიძლება, განქორწინების მიზეზი გახდეს, ხოლო კანადაში მცხოვრები ქალბატონებისთვის, საკმარისია დაამტკიცონ, რომ ქმარი ავტომობილის მოტორზე ხმამაღლა ხვრინავს და განქორწინება გარანტირებული აქვს. მაგრამ რა ქნას ქართველმა ქალმა, რომლის ქმარსაც სამივე პრობლემა აქვს? სწორედ, ისე უნდა მოიქცეს, როგორც ჩვენი შემდეგი რესპონდენტი.

თვითკმაყოფილი

„როდესაც გავთხოვდი, ყურებამდე ვიყავი შეყვარებული, მაგრამ წლები გავიდა და მივხვდი, რომ ჩემი ქმარიც ისეთივე მამაკაცი იყო, როგორიც — სხვები. თურმე, მასაც ჰქონია უარყოფითი თვისებები და ცუდი ხასიათი. სხვა მამაკაცებივით არ უყვარს წვერის გაპარსვა და თავის მოვლა. ისიც ხვრინავს და თუ მთვრალი მოვა, ფეხსაცმლით იძინებს. მოკლედ, გადავწყვიტე, აღმზრდელობითი სამუშაო ჩამეტარებინა და გამომესწორებინა, მაგრამ ძნელად აღსაზრდელი აღმოჩნდა, არ დამემორჩილა. ხან დავაფიცე, ხან — დავაგინე, ხან — გავებუტე, ხან — მოვეფერე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მოკლედ, ის თავისთვის ცხოვრობდა, მე — ჩემთვის. უკვე, მის დანახვასაც ვეღარ ვიტანდი. მიკვირდა, როგორ მიყვარდა ასეთი „ნირიახა" კაცი-მეთქი. მისი გულისთვის თავსაც გავწირავდი, ახლა კი... ერთ ზაფხულს, მე და ჩემი ერთადერთი შვილი დასასვენებლად წავედით. ჩემმა ქმარმა ზღვაზე არ გაგვიშვა, რომ კაცებს ჩემი შიშველი უკანალისთვის არ ეყურებინათ და ჩვენი ბორჯომში გაშვება ამჯობინა. სწორედ, მის მიერ არჩეულ კურორტზე გავიცანი ერთი მოვლილი და სიმპათიური მამაკაცი. ის ჩემი ქმრის ანტიპოდი გახლდათ და მისით უმალვე მოვიხიბლე. ქვრივი აღმოჩნდა. თბილისში ჩამოსვლამდე ფიზიკური ურთიერთობა გვქონდა. შემდეგ, ერთმანეთს აქაც ვხვდებოდით და ასე გრძელდებოდა მთელი 5 წლის განმავლობაში. შარშან კი, ხელი მთხოვა და უარი არ მითქვამს. ხელმეორედ გავთხოვდი და ძალიან კარგადაც მოვიქეცი".

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ

უსქესო არსება

„ყოველ წელს, დასასვენებლად ქობულეთში მივდივართ ხოლმე. შარშანაც, მე და ჩემი და გავემგზავრეთ. ერთ დღეს, ზღვა ძალიან ღელავდა, მაგრამ ბანაობა მაინც გადავწყვიტეთ. ჩემმა დამ იმეტიჩრა და მაშველი რგოლით ძალიან ღრმად შეცურა. მე და ჩვენი მეგობრები ნაპირზე ვბანაობდით და მისთვის ყურადღება არც მიგვიქცევია. უეცრად, შევნიშნეთ, რომ ერთ ადგილზე ხალხი შეჯგუფულიყო და ხმაურობდა. ჩვენც იქ მივედით და რას

ვხედავთ? ჩემი და, ნახევრად შიშველი პლაჟზე ივჯდა და თვალებს აფახულებდა. თურმე, ტალღას დაურტყამს და გონი დაუკარგავს. ვიღაცას უშველია და რგოლით გამოუთრევია. ამასობაში კი, ლიფის შესაკრავი გახსნია და სადღაც დაუკარგავს. ისე შეგვეშინდა, რომ მისი სიშიშვლისთვის ყურადღებაც კი არ მიგვიქცევია. როდესაც თავად მოეგო გონს, რგოლს ეცა და მკერდზე აიფარა. ისეთი მაგარი სანახავი იყო, რომ ვიღას ახსოვდა შიში და პანიკა? ლამის სიცილით დავიხოცეთ“.

„შარშან ზაფხულს ქმარს გავცილდი და ამ ზაფხულს გავთხოვდი. ჩემი მეორე მეუღლე, ჩემზე 24 წლით უფროსია, მაგრამ ძალიან მიყვარს. ჩემი ყოფილი ქმარი კი, გულზე სკდება, ასეთი ბედნიერი რომ ვარ. ნინი“.

„ზაფხული იყო, როდესაც ბათუმის გზაზე დიმა სიყვარულში გამომიტყდა. მთელი 2 წელი უარს ვეუბნებოდი, არ მიყვარდა და სასტიკად ვექცეოდი. 2 წლის მერე კი, ისევ ზაფხულში, ისევ ბათუმის

გზაზე, მე გამოვუტყდი სიყვარულში. მას კი, ეს თავში აუვარდა, წავიდა, გაუმარჯოს გიოს! ლანკა“.

„ზუსტად ერთი წლის წინ, ზაფხულში, ღვიძლმა ნათესავმა, მოტყუებით ჩამსვა მანქანაში და თავის მეზობელს გამაყოლა. მაშინ ყველაზე უბედურ ადამიანად მიმაჩნდა თავი. ახლა კი, უკვე დედა ვარ და ქმარიც სიგიჟემდე მიყვარს“.

„ისეთი „ეშხიანი“ ამბები იწერება „გზავნილებში“, რომ ბევრჯერ გამჩენია სურვილი, მეც მომეწერა. თუმცა, რაღაც კომპლექსები მქონდა და ამიტომ ვიკავებდი თავს. ამჯერად, იქნებ სწორედ „გზავნილებმა“ გადაარჩინოს ჩემი ოჯახი. არანაირი თავგდასავალი არ მქონია, მაგრამ თუ ჩემი ძვირფასი მეუღლე ისევ გააგრძელებს ტოტალიზატორებსა და რესტორნებში სიარულს, აღარ გავაფრთხილებ. ხომ გაგიგონიათ, უპატრონო თხაო მგელმა შეჭამაო? თავგადასავალს რამენაირად მოვიწყობ. მერე, პაწაწუნა რქებუნები ამოუვა და რომელი მეგობარი მოჰფხანს, ამას მერე მოგწერთ. პატივისცემით, გოშია“.

„შარშან, ჩემს დაქალთან, კახეთში ვისვენებდი. ერთ დღეს, სახლში ვიყავი და ვაუთოებდი, როდესაც დაქალმა ფანჯრიდან შემომძახა: — ოოოეეე, ყანაااა (იმ წელს, ეს ფრაზები აქტუალური იყო). რა თქმა უნდა, მეც ბანი მივეცი და უეცრად, მესამე ხმაც დაგვემატა. ის ჩემი დაქალის შორეული ნათესავი აღმოჩნდა. იმ დღიდან, ჩვენს ფანჯრებთან აბირჟავებდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ლიკას დედამ ეს „ყანა“ ბირჟა დაშალა. იმ ბიჭს უთქვამს, თქვენთან რომ გოგოა, ის ხომ არ არის ჩემი ნათესავი, გამაცანიო. ციური დეიდასაც უთქვამს: — მოდი და გაიცანიო, მაგრამ იმ დღიდან ბაღანა დაკომპლექსდა და ახლოს აღარ გაგვკარებია. თუ ამ წერილს კითხულობს, ვეტყვი, რომ წელსაც მივდივარ მათთან დასასვენებლად და თუ ჩემი გაცნობა უნდა, იქნებ ახლა მაინც მოახერხოს“.

„ეჰ, მარი, დამცინი, ხომ? ახლა დაიწყებენ საზაფხულო თავგადასავლების მოყოლას, მე კი, სხვისი სასიყვარულო ამბები უნდა ვიკითხო, რადგან ძალიან უიღბლო ვარ. ჩემი უიღბლობის მიზეზი კი, ჩემი სიმსუქნეა, რის გამოც გოგონები ყურადღებას არ მაქცევენ. სტუდენტი ვარ და უამრავ გოგოს ვიცნობ, მაგრამ რად გინდა? მათგან ნახევარზე მეტმა დობა შემომფიცა. რატომღაც ჩემში მამაკაცს ვერ ხედავენ. არადა, „ქალოია“ ტიპი ნამდვილად არ ვარ. მეგობარ გოგონებთან ერთად რომ ვდგავარ, ისე დაიწყებენ ხოლმე გამვლელი ბიჭების აღტაცებით თვალიერებას, რომ თითქოს მათ გვერდით უსქესო არსება იდგეს. ვინც მომეწონა და ჩემი გრძნობა გავუმხილე, ყველამ ლოყაზე მომითათუნა ხელი და მითხრა: ჩემო ბუთხუზავ, ასე მეორედ არ იხუმრო, შენ ჩემი ძმა ხარო. მინდა, მათ ხმამაღლა ვუთხრა: 90 დაქალი არ მჭირდება. საკუთარი, ერთადერთი დაიკოც მეყოფა. მირჩევნია, შეყვარებული მყავდეს. სასექტემბროდ ოციოდე კილოგრამს დავიკლებ და მერე ნახეთ, როგორ დაგერევით, ყველას. დაჩაგრული პრინცი“.

„წინა „გზავნილებში“ ჩემი მეგობრის, ლანკას მესიჯი დაიბეჭდა. მინდა ვუთხრა, რომ მასზე ნაწყენი არ ვარ. გარკვეული პერიოდი მონასტერში ვიყავი. მერე, როცა ერში დავბრუნდი, მეგონა, აღარ ვახსოვდი და შეგნებულად აღარ შევეხმიანე. სულ ეს არის ჩემი ახსნა-განმარტება. მიხარია, რომ ვიღაცას მაინც ვახსოვარ. პავლიკა, მონასტრის ბიჭი“.

„გონება სწორედ საზაფხულო თავგადასავალმა ამირია. 1 წლის წინ, დათო სრულიად შემთხვევით გავიცანი. ასევე შემთხვევით აღმოვჩნდი მის მანქანაში და ისევ შემთხვევით ვისეირნეთ წვიმაში. ამბობენ, შემთხვევით არაფერი ხდებაო... აზრები ამერია, გონება დამებინდა. მისი ნახვის სურვილი ძლიერდება, ის კი, არ ჩანს. მენატრება მისი ღიმილი, ტუჩები, პაწაწინა კვალი რომ დატოვეს ჩემს ბაგეზე. ნეტავ, რა ჰქვია, ამას? ნუთუ, მხოლოდ საზაფხულო თავგადასავალი?“

„მარი, შენი რუბრიკით შენი გვარის გამო დავინტერესდი. მთელი ჩემი ცხოვრება ერთმა ჯაფარიძემ თავდაყირა დააყენა. ის ნაძირალა დღემდე მიყვარს. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, უამრავი რომანი მქონდა, არც ახლა ვარ მარტო, მაგრამ ასე იცით, ალბათ, ჯაფარიძეებმა „დაბმა“, არა? გამანადგურა და მაინც მიყვარს. შენთანაც ასე დამემართა. გვარის გამო, პროტესტის ნიშნად, მესიჯს არ გწერდი, მაგრამ „გზავნილებს“ მუდამ ვკითხულობდი. შესაძლოა, ჩვენი ურთიერთობის შესახებ მოგიყვე კიდეც, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როცა შურს ისე ვიძიებ, რომ საკუთარი გვარიც კი დაავიწყდება“.

„ამ ზაფხულის 2 თვეს პოლიციის აკადემიაში ვატარებ, რადგან საპატრულო პოლიციის მოსამზადებელ კურსს გავდივარ. ისეთი მაგარი ინსტრუქტორები გვყავს, რომ ვეცემით, თორმეტივე გოგო. მე კი, ერთი მათგანი ყველაზე მეტად მომწონს. მას სახეზე უამრავი შრამი აქვს და „აშრევებულ-დაშრევებული“ კაცი დავარქვით (ასეთი ტერმინი არსებობს, კრიმინალისტიკაში). ყველაზე ცუდი ისაა, რომ მას ცოლ-შვილი ჰყავს. მაგრად გამიტყდა და ეს მესიჯი მაინც დამიბეჭდე, რომ გული მოვიოხო“.

„შარშან ბათუმში წავედი დასასვენებლად, ჩემს ძმასთან და რძალთან ერთად. რადგან თავს მარტოდ ვგრძნობდი, ხშირად დავდიოდი ზღვაზე ღამით და პლაჟზე საათობით ვიჯექი ხოლმე. ერთ დღეს, ისევ იმ ადგილისკენ წავედი, სადაც ყოველღამე ვჯდებოდი ხოლმე. როცა ნაცნობ ადგილს მივუახლოვდი, იქ ვიღაც შევნიშნე და უკან გამოვბრუნდი. ის იყო, შემოვტრიალდი, რომ მამაკაცის სასიამოვნო ხმა შემომესმა, რომელიც დარჩენას მთხოვდა. ჩემ წინ ძალზე სიმპათიური ახალგაზრდა იდგა და მიღიმოდა. მას შემდეგ, თითქმის 2 კვირის განმავლობაში, იმ ადგილზე ვხვდებოდით ერთმანეთს. ამან ჩვენში გრძნობა წარმოშვა. წამოსვლის წინადღეს ვუთხარი: ხვალ ქუთაისში ვბრუნდებიმეთქი (თვითონ თბილისელი იყო). აღარ გამომიშვა და იმავე საღამოს ცოლად მომიყვანა. ახლა ორივე საბერძნეთში ვართ და ბათუმს ხშირად ვიხსენებთ. ლუკა, მიყვარხარ! შენი ფისო“.

„კახა, გახსოვს, ზაფხულის ერთ დღეს მდინარე რაჩხაზე რომ უნდა წავსულიყავით და ბუჩქებში დამალული 2 ვედრო მაყვალი რომ იპოვე? ის დღე არასოდეს დამავიწყდება. სიყვარულით, ათენიდან“.

ამჯერად, „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით, მომდევნო ხუთშაბათამდე.

ბავშვობიდან მახსოვს — ჩემი დიდი ბებია (დედაჩემის ბებია) შვილთაშვილებს შუაში ჩაგვიჯდებოდა და თავისი ახალგაზრდობის ამბებს გვიყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დროის განმავლობაში მის მიერ განვლილი ცხოვრების შესახებ თითქმის ყველა წვრილმანი ვიცოდით, მაინც სიამოვნებით ვსხდებოდით მის მოსასმენად. განსაკუთრებით ის ამბავი გვხიბლავდა, თუ როგორ გაათხოვეს იგი 14 წლის ასაკში. თურმე მაშინ ოთხწლიანი სკოლა არსებობდა, რომლის დამთავრების შემდეგაც, ვაჟს მუშაობა უნდა დაეწყო, ქალს კი, უკვე გათხოვების დრო ჰქონდა. მისი მშობლები ამბობდნენ ხოლმე, დროზე უნდა ჩავაბაროთ პატრონსო. იმ პერიოდში სიყვარულსაც არავინ დაგიდევდათ. ვინმე მაჭანკალი გამოჩნდებოდა, ქალსა და ვაჟს ერთმანეთს გაურიგებდა და ახალდაქორწინებულ წყვილს შესაძლოა, პირველად ქორწილის დღეს ენახა ერთმანეთი. მიუხედავად ამისა, ბებიაჩემს კარგი მეუღლე შეხვედრია, მთელი ცხოვრება ერთმანეთი ჰყვარებიათ და სამი ქალიშვილიც გაზარდეს და გზაზე დააყენეს...

mcirewlovani dedebi

ნაადრევ გათხოვებას შეწირული ყმაწვილქალობა

ნათია ქივიძე

ახლა ცხოვრება შეიცვალა, სკოლა 11 კი არა, 12-წლიანი გახდა და ვიდრე ქალიშვილი 20 წელს არ გადასცდება, მისი მშობელი ფიქრობს, რომ შინ გასათხოვარი შვილი ჯერ არ ჰყავს... მიუხედავად ამისა, გამონაკლისები მაინც არსებობენ და ზოგიერთი გოგონა სკოლიდანვე თხოვდება. რა აიძულებს ქალიშვილს, რომ 14 წლის ასაკში გათხოვდეს? რა დადებითი და უარყოფითი მხარე აქვს ნაადრევად გათხოვებას? ამ ყველაფერზე 29 წლის ***ნანა კურტანიძე*** *გვესაუბრება:*

— 13 წლის ვიყავი, როცა ჩემზე 7 წლით უფროს ბიჭს გავყევი ცოლად. ერთ კვირაში, 14 წლის გავხდი.

— რატომ გადაწყვიტე, რომ 13-14 წლის ასაკში ოჯახის შესაქმნელად უკვე მზად იყავი?

— არ ვიცი. ყოველთვის ლამაზ გოგოდ მივიჩნეოდი და თაყვანისმცემლები არასოდეს მაკლდა. ჩემს მეუღლეს შეყვარებულობის დროს არაერთხელ მოუხდა ჩემ გამო ჩხუბი. რა თქმა უნდა, მე ეს ფაქტი ძალზე მხიბლავდა და საკუთარი თავის რწმენა უფრო მემატებოდა. ალბათ ბევრი თაყვანისმცემლის „ბრალი“ იყო, რომ 11 წლის მერე, ბავშვური თამაშები აღარ მაინტერესებდა. არც მეცალა ამისთვის, რადგან იმდენ ბიჭს მოვწონდი, რომ ყოველთვის ფორმაში უნდა ვყოფილიყავი. საკუთარი თავის მოვლას კი მთელ დღეს ვანდომებდი. იმის გამო, რომ ძალზე მკაცრი მამა მყავდა, მაკიაჟს შინიდან გამოსვლის შემდეგ, ხეს ამოფარებული, ჩუმად ქუჩაში ვიკეთებდი. ამის გამო სკოლაში დედაჩემი ხშირად დაუბარებიათ და ოჯახშიც მქონია პრობლემები, მაგრამ ვერ მომაშლევინეს. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემი ხშირად მცემდა, მაინც ძალზე ჯიუტი ვიყავი და ყოველთვის ისე ვიქცეოდი, როგორც მსურდა. ამის გამო, ჩემი და მამის ჩხუბი არც ისეთი იშვიათობა იყო ჩვენს ოჯახში... როგორც უკვე აღვნიშნე, რეზო ჩემზე 7 წლით უფროსი იყო ანუ — ყველა ჩემს „პაკლონიკზე“ უფროსი, თანაც საკმაოდ სიმპათიური და მეც შემიყვარდა. ერთი წლის განმავლობაში ჩუმად ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე შემომთავაზა, ცოლად გამომყევიო. მეც მაშინვე დავთანხმდი. მოვილაპარაკეთ და მეორე დღეს მასწავლებელს შუა გაკვეთილიდან დავეთხოვე, საპირფარეშოში გავალ-მეთქი და გარეთ გავედი, სადაც რეზო მანქანით მელოდა. წინა დღეებში მე და მამამ ისევ ვიჩხუბეთ. ვიღაცისგან გაუგია, რომ შეყვარებული მყავდა და მას ჩუმად ვხვდებოდი, დამემუქრა, სკოლის გარდა ვერსად წახვალ, ყოველთვის გაგაკონტროლებო. მეც ამიტომ გავიპარე სკოლიდან.

— როცა რეზოს მანქანაში ჩაუჯექი, გრძნობდი, რასაც აკეთებდი?

— პირველ რიგში, კმაყოფილების გრძნობა მქონდა, რომ მამას ასე მოვექეცი. არც მიფიქრია, რომ ჩემი საქციელით შეიძლებოდა, მშობლებისთვის ტკივილი მიმეყენებინა. მიხაროდა, რომ რეზოს სხვების უჩუმრად კი აღარ შევხვდებოდი, სულ ჩემ გვერდით იქნებოდა და სხვებისგან მალულადაც აღარ მაკოცებდა. რა თქმა უნდა, მშობლებმა ძებნა დამიწყეს, მაგრამ ერთი კვირა ჩემს კვალს ვერ მოაგნეს. მერე თვითონ დავურეკე, ჩამოვიდნენ და გამოვუცხადე, ჩემი ნებით გავთხოვდი, რეზო ახლა ჩემი ქმარია და პატივი ეცით-მეთქი. მამაჩემი ხან ჩემკენ იწევდა საცემრად და ხან რეზოსკენ, მაგრამ მისმა მეგობრებმა დააკავეს და წაიყვანეს. თავიდან არ მირიგდებოდნენ, მაგრამ რამდენიმე თვეში, რომ დავორსულდი, გული მოულბათ და შემირიგდნენ. მით უმეტეს, რომ საშინელი ორსულობა მქონდა. წოლითი რეჟიმი დამინიშნეს და დედა მჭირდებოდა გვერდით. ჩემი მეუღლისადმი კი ზიზღი გამიჩნდა... გაგა რომ დაიბადა, სიხარულის გრძნობა კი მქონდა, მაგრამ ისე ვერ აღვიქვამდი შვილს, როგორც საჭირო იყო. ღამე რომ ტიროდა, ხშირად მიფიქრია, ნეტავ, სადმე გადამაგდებინა-მეთქი. ვერ ვიტანდი, ძილს რომ მიფრთხობდა. არც ძუძუ მიჭმევია მისთვის, მეზარებოდა და თავიდანვე ხელოვნურ კვებაზე მყავდა, უფრო სწორად, დედაჩემს ჰყავდა, რადგან საცხოვრებლად დედასთან გადავედით და ბავშვს ის ზრდიდა... ოჯახური ცხოვრება არც ისეთი ადვილი ყოფილა, როგორიც წარმომედგინა. მეუღლის მიერ მოცემული არც ერთი შენიშვნა არ მსიამოვნებდა და რასაც მეტყოდა, პირიქით ვაკეთებდი. მაღიზიანებდა ის, რომ არ მუშაობდა, ჩემი მშობლების კმაყოფაზე იყო და მთელ დღეს ტელევიზორთან ატარებდა. აღარც მისი მოფერება მსიამოვნებდა. ხშირად იმასაც კი ვფიქრობდი, რომ არ მიყვარდა. 17 წლის რომ გავხდი, მაშინ გადავწყვიტე, რომ სწავლა მინდოდა, თუმცა მანამდე, კარგი მოსწავლე არასოდეს ვყოფილვარ. დედაჩემმა ამაზეც არ დამწყვიტა გული, საქმე ჩააწყო და მალე სტომატოლოგიურზე ჩამაბარებინეს. ისე ჩავეფლე წიგნებში, რომ ქმარიც დამავიწყდა და შვილიც. ახალი მეგობრები შევიძინე, მათთან ერთად

თავიდან არ მირიგდებოდნენ, მაგრამ რამდენიმე თვეში, რომ დავორსულდი, გული მოულბათ და შემირიგდნენ

კლუბებსა და კაფეებში დავდიოდი და დროს ვატარებდი. მოკლედ, არაფერს ვიკლებდი და შინ გვიან ვბრუნდებოდი, რაც, რა თქმა უნდა, ჩემს მეუღლეს არ სიამოვნებდა და ამის გამო, ყოველ საღამოს ვჩხუბობდით. არ მომწონდა, როცა ვიღაც მაკონტროლებდა, რომ ბავშვისთვის, თუნდაც ერთხელ უნდა გამომეცვალა (თუმცა მაშინ გაგა, დედას დედაჩემს ეძახდა), მე გართობა და მეგობრებთან ყოფნა მომწონდა. ახალი თაყვანისმცემლებიც გამოჩნდნენ ჩემს ცხოვრებაში და როცა იგებდნენ, რომ უკვე შვილი მყავდა, ძალზე უკვირდათ. მათ ფონზე, ჩემი მეუღლე გაუნათლებელი, არცთუ ისე სიმპათიური და უთავმოყვარეო მომეჩვენა. ამას ისიც დაერთო, რომ დედამ ძალზე კარგი სამსახური იშოვა და მითხრა, შვილი ხომ წამოგიზარდე, ახლა თავად მიხედე შენს ოჯახსო. მე და ჩემი მეუღლე ისევ ცალკე გადავედით საცხოვრებლად და ოჯახის მთელი სიმძიმე მე დამაწვა კისერზე. თავიდან ამან დეპრესიაში ჩამაგდო, მაგრამ მერე ბავშვს ჩემს უმუშევარ ქმარს ვუტოვებდი და მე ძველებურად განვაგრძობდი ცხოვრებას. დღემდე ასე გრძელდება. სწავლა უკვე დავამთავრე, ახლა ერთ-ერთ კლინიკაში

ადრე გათხოვილი გოგონები კი, ცხოვრების იმ ფაზას ვერ გადიან, რასაც ყმაწვილქალობა ჰქვია. ვერ ირგებენ სტუდენტობის ლამაზსა და ხალისიან ხანას

ვმუშაობ და ჩემს ჯერ კიდევ გასათხოვარ ჯგუფელებთან ისევ ისე ვმეგობრობ. ზოგჯერ მათთან აგარაკზე დასასვენებლადაც კი მივდივართ ხოლმე, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღით და ბავშვი მაშინაც მამასთან არის, თუმცა ახლა გაგა უკვე 14 წლის არის და იქით მოუვლის მამამისს.

— შენი ნაამბობიდან გამოდის, რომ ადრე გათხოვება კარგი არაფერით არის.

— მართალია. ამბობენ — ნაადრევი ყველაფერი კარგია, სიკვდილის გარდაო, მაგრამ ასე სულაც არ არის. იმის თქმაც იციან ხოლმე, კარგია ადრე გათხოვება, რადგან ბავშვს ახალგაზრდა დედა ჰყავსო. მე კი ვყავდი ახალგაზრდა, მაგრამ დედობას მას ახალგაზრდა ბებია უწევდა... ადამიანმა ცხოვრებაში ყველაფერი ეტაპობრივად უნდა გაიაროს. მე რომ მაშინ არ გავთხოვილიყავი, მეგობრებსაც ადრეულ წლებში „მოვიწყენდი“, დროს ტარებასაც, ვისწავლიდი კიდეც და დღეს სრულყოფილი ოჯახი მექნებოდა. ოჯახი ახლაც მაქვს, ჩემს მეუღლესთან ერთი დღეც არ ვყოფილვარ გაშორებული, რადგან ცოცხალი თავით არ უნდა ჩემგან წასვლა, მაგრამ ბავშვს დედის ხელი ხომ მოაკლდა, ფაქტობრივად, ქუჩაში გაიზარდა, რის გამოც, საზოგადოებაში მოქცევის ზოგადი წესებიც კი არ იცის, თავხედია, მაგრამ სამაგიეროდ, ისეთი, რომ თავს არავის დააჩაგვრინებს. შვილი, რა თქმა უნდა, ძალიან მიყვარს, მაგრამ მისი გაჩენა მაინც ნაადრევად მომიხდა... ახლა ამ ყველაფერს ძალიან ვნანობ, მაგრამ რაღა დროს. მე და ჩემს მეუღლეს „იძულებითი“ ოჯახი გვაქვს, არც კი ვიცი, ამას ვინ გვაიძულებს. რამდენჯერმე ვუთხარი, გავშორდეთ-მეთქი, მაგრამ უარი მითხრა. ჩხუბითაც კი აღარ ვჩხუბობთ. ის შეეგუა ჩემი ცხოვრების სტილს და ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე უვლის ბავშვს. ხანდახან იმითაც ინტერესდება, თუ სად ვიყავი მთელი საღამო, მაგრამ არც ამაზე გამოთქვამს უკმაყოფილებას. მოკლედ, „იდეალური“ ცოლქმრობა გვაქვს...

იმის გასარკვევად, თუ რა პრობლემები ექმნება ქალიშვილს ნაადრევად გათხოვების შემთხვევაში, ფსიქოლოგ ***მარინა რეხვიაშვილს*** *ვესაუბრეთ.*

— რა თქმა უნდა, ნაადრევად გათხოვება ადამიანის ფსიქოლოგიისთვის ძალზე ცუდია. გათხოვების საუკეთესო ასაკი, 24-28 წელია. ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული გემოვნება აქვს, დაღვინებულია და ჩემს ჯერ კიდევ ბავშვებს ეცოდინებიან, ეს ასაკში ქალიშვილში დედობის გრძნობაც საფუძვლიანად იღვიძებს და ის მზად არის, რომ შვილი გააჩინოს და თუნდაც ყველა ღამე გაუთენოს. ადრე გათხოვილი გოგონები კი, ცხოვრების იმ ფაზას ვერ გადიან, რასაც ყმაწვილქალობა ჰქვია. ვერ ირგებენ სტუდენტობის ლამაზსა და ხალისიან ხანას. როცა მისი მეგობრები გასართობად მიდიან, ის იძულებულია, შინ დაბრუნდეს და ქმარ-შვილს მიხედოს. თუ ქმარი ეჭვიანია, შესაძლოა, მას სწავლის საშუალებაც არ მიეცეს, ვერც მეგობრებთან ივლის. ეს ფაქტი კი ცოლ-ქმარს შორის უკმაყოფილებას აუცილებლად გამოიწვევს, მათ ოჯახში კონფლიქტებიც მოხშირდება, რაც სიყვარულის განელებას უწყობს ხელს და ნაადრევად შეუღლებულები ნაადრევად დაშორდებიან. ისევე, როგორც ვაჟს, ქალსაც უეჭველად სჭირდება მეგობრებთან ურთიერთობა და თუ ამას ვერ ახერხებს, აუცილებლად რჩება დაუკმაყოფილებლობისა და შინაგანი წინააღმდეგობის გრძნობა. გარდა ამისა, ადამიანი თანდათან იზრდება და ვითარდება. შესაბამისად, გემოვნებაც ეცვლება და თუკი 14-15 წლის ასაკში, უხეშად რომ ვთქვათ, შავგვრემანი ბიჭები მოსწონს, წლების შემდეგ ხვდება, რომ თურმე ღია ფერის თვალებიანი ბიჭები უფრო სიმპათიურად გამოიყურებიან. რა თქმა უნდა, ეს უხეში შედარებაა, თორემ ადამიანმა ცხოვრების თანამგზავრის არჩევისას თვალების ფერს კი არა, მის ხასიათს უნდა მიაქციოს ყურადღება. როცა გოგონა პატარაა, ის მართლა თვალებსა და შესაძლოა, ვაჟის ჩაცმულობასაც აქცევდეს ყურადღებას. გარდა ამისა, ამ ასაკის გოგონებს ქუჩის ბიჭები ხიბლავთ. ფიქრობენ, რაკი ისინი საქმეებს არჩევენ, ე. ი. მაგარი ტიპები არიან და თუ ერთხელ მათ გამო იჩხუბეს, მთელი ცხოვრება

რაც შეეხება მცირეწლოვან დედას, მან შესაძლოა, სერიოზული შეცდომები დაუშვას შვილის აღზრდისას

მათ თავს არავის დააჩაგვრინებენ. სინამდვილეში კი, ასეთი ბიჭები თავად ჩაგრავენ თავიანთ ცოლებს. გარდა ფიზიკური მოწონებისა, როცა გოგონები გარდატეხის ასაკში არიან, მათში ხორციელი ვნებები ჭარბობს და მამაკაცთან ცხოვრების სურვილი უჩნდებათ. იმის გამო, რომ ჩვენთან ბოიფრენდობისა და გელფრენდობის ინსტიტუტი არ არსებობს, თუ გოგონას ვინმესთან რაიმე სახის კავშირი ექნება, ამას ხალხი ცუდად გაიგებს, ამიტომ მათ ერთადერთი გამოსავალი — გათხოვება რჩებათ. თუმცა, ამით იმის თქმა სულაც არ მსურს, რომ 14-15 წლის ბავშვებს, გინდ კანონიერად და გინდაც უკანონოდ, მამაკაცთან ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ. ამ დროს ისინი ჯერ კიდევ ბავშვები არიან, ორგანიზმი ჩამოყალიბებული არა აქვთ და მამაკაცთან ფიზიკურმა ურთიერთობამ შესაძლოა, მათ ფსიქიკაზე ცუდად იმოქმედოს... რაც შეეხება მცირეწლოვან დედას, მან შესაძლოა, სერიოზული შეცდომები დაუშვას შვილის აღზრდისას, რადგან მას ხომ ცხოვრებისეული გამოცდილება ჯერ არა აქვს. ის კი ყველამ კარგად იცის, რომ აღზრდა ყველაზე მეტად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ადამიანი იქნება ის მომავალში...

■

ცოტა ხნის წინ, მსოფლიოს მედიის ყურადღება ერთმა უჩვეულო ამბავმა მიიპყრო: ბრაზილიის შტატ ალაგაოში მცხოვრები 10 წლის გოგონა, დედა გახდა. მასმედია იუწყებოდა, რომ ქალაქ მარეშალ-დეოდორუს კლინიკაში მცირეწლოვან პაციენტს საკეისრო კვეთა გაუკეთეს. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ახალშობილიცა და დედაც თავს კარგად გრძნობენ. ადგილობრივი ექიმების თქმით, ისინი მთელი ფეხმძიმობის პერიოდში, გოგონას ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევდნენ და ირწმუნებიან, რომ ორსულობა, სექსუალური ძალადობის შედეგი არ ყოფილა. ბრაზილიელი ექიმები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბოლო დროს, ამ ქვეყანაში სულ უფრო იზრდება მცირეწლოვანი დედების რაოდენობა.

mcirewlovani dedebi

13 წლის დედა და 8 წლის ასაკში მომწიფებული გოგონა...

ემა ტუხიაშვილი

მართალია, ეს სრულიად გამორჩეული შემთხვევაა, მაგრამ არასრულწლოვანი დედები იშვიათობას არც ქართულ სინამდვილეში წარმოადგენენ. ჩვენ რამდენიმე სამშობიარო სახლს ვეწვიეთ, სადაც გვითხრეს, რომ მცირეწლოვან ასაკში ძირითადად, აზერბაიჯანელი გოგონები მშობიარობენ და გაცილებით მეტი გამძლეობით გამოირჩევიან, ვიდრე იმავე ასაკის ჩვენი თანამემამულეები. ერთ-ერთ სამშობიარო სახლში კი, ამ ცოტა ხნის წინ მომხდარი საინტერესო შემთხვევა გაიხსენეს, მაგრამ პაციენტის ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავეს. როგორც აგვიხსნეს, სულ რაღაც ერთი თვის წინ, ამ სამშობიარო სახლში 14 წლის ქართველმა გოგონამ მოილოგინა. მშობიარობა ნაადრევი იყო, გოგონა ორსულობის მე-7 თვეს დაიბადა და მცირე წონის გარდა, სუსტი ჯანმრთელობითაც გამოირჩეოდა. ახალშობილი, იაშვილის სახელობის, ბავშვთა პედიატრიული კლინიკის, ჩვილ ბავშვთა განყოფილებაში მოათავსეს და მთელი თვის განმავლობაში, ექიმები მის გადასარჩენად იბრძოდნენ. ამჟამად, მცირეწლოვანი დედაც და მარიამიც თავს კარგად გრძნობენ. ექიმები კი, ყველა გართულების მიზეზად, არასრულწლოვანი დედის ჩამოუყალიბებელ ორგანიზმს ასახელებენ.

მანამ, სანამ მოზარდი დედიკო თავის ახალ ამპლუას გაითავისებს, გადავწყვიტეთ, შევხვედროდით ადამიანს, ვინც თავის დროზე, 13 წლის ასაკში „კუკუდამალობანას“ თამაშთან ერთად, ეზიარა დედობას. ამ ამბიდან თითქმის 15 წელი გავიდა, ამიტომ, ის ყველაფერზე გულახდილად ლაპარაკობს.

თამარ ნეგიერიძე:

— მე და ნიკუშას ქართული ცეკვის სტუდიაში შეგვიყვარდა ერთმანეთი. თავიდან, ყველა ფიქრობდა, რომ ეს მორიგი ბავშვური გატაცება იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სასკოლო ჩანთაში, წიგნების მაგივრად, საცვლები ჩავალაგე და ჩემზე ორი წლით უფროს ბიჭთან ერთად გავიპარე, მშობლები მიხვდნენ, რომ ჩვენ მიმართ მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ... მე და ნიკა მატარებლით მისი მეგობრის აგარაკზე გავემგზავრეთ, მშობლები კი სად აღარ გვეძებდნენ!.. იმ დროს, ჩემი დედ-მამა განქორწინებული იყო. მე მამასთან ვიზრდებოდი, ხოლო უდედო ბავშვის იმიჯი ნიკას მშობლებისთვის საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ეს ამბავი თითზე დაეხვიათ და მამაჩემისთვის ყოველ წამს შეეხსენებინათ. ვითარება ისე დაიძაბა, რომ ნიკას მეგობარმა უფროსების ზეწოლას ვეღარ გაუძლო და ჩვენი ადგილსამყოფელი დაუსახელა... უნდა ვაღიარო, რომ მამაჩემის დანახვა მაშინ ძალიან გამიხარდა: თითქმის ორი დღის მშიერი ვიყავი, არც მე და არც ნიკას აგარაკზე საჭმლის წაღება არ გაგვხსენებია... შემდეგ იქ ისეთი რამ მოხდა, რომ ჭამა და შიმშილი მთელი კვირა აღარ მახსოვდა: მშობლები შეყვარებულებს ფიზიკურად გაგვისწორდნენ და ნაცემ-ნაბეგვი, სახლებში წამოგვიყვანეს. რა თქმა უნდა, არც მე და არც ნიკას არ დაგვცდენია, რომ ჩვენ შორის უკვე ყველაფერი მომხდარი იყო... ამის თქმა მაშინ ალბათ არაფერს შეცვლიდა. ერთი კვირის განმავლობაში არ გამოვსულვარ სახლიდან. მამამ და ნათესავებმა ზურგი შემაქციეს, არც დედას გააგებინეს ჩემი ამბავი: წამოგვაძახებს, ბავშვი არც მე მომეცით და თქვენც ვერ უვლითო. ყურადღება მხოლოდ მაშინ მომაქციეს, როდესაც ფერი დავკარგე, გულყრა და გულისრევა დამეწყო. ამბობდნენ — ბავშვი დასუსტდა შიმშილისგანო. მოგვიანებით კი, სკოლაში და ცეკვაზე სიარულის ნება დამრთეს. ჩემი უტვინო ნათესავებისგან განსხვავებით, გარკვეული პერიოდის შემდეგ, აღმოვაჩინე, რომ მუცელი გამეზარდა და მივხვდი, რომ ეს ჩემი და ნიკას დაუდევრობისა და უპასუხისმგებლობის შედეგი იყო. არ მიწყინოს ჩემმა შვილმა, მაგრამ ახლა მართლა ასე ვფიქრობ... მუცლის დასამალავად მარტივ ხერხს მივაგენი. ცეკვის დროს გამოსაყენებელი სარტყელი შემოვიჭირე და მთელი 7 თვე ისე ვატარე ნაყოფი, რომ ნიკასთვისაც კი არაფერი მითქვამს... ჩემს საიდუმლოს, მხოლოდ მაშინ აეხადა ფარდა, როდესაც ერთ-ერთი რეპეტიციის დროს, სცენაზე უგონოდ დავეცი. მამა მიხვდა, რომ დედაჩემისთვის ამ ამბის დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და საცხოვრებლად მასთან გადავედი... 13 წლის ასაკში ვიმშობიარე. ბავშვს უამრავი პათოლოგია აღენიშნებოდა. მახსოვს, მთელი სამშობიარო სახლი ჩემს პალატაში მოდიოდა, ჩურჩულებდნენ და ჩემკენ

13 წლის ასაკში ვიმშობიარე. ბავშვს უამრავი პათოლოგია აღენიშნებოდა. მახსოვს, მთელი სამშობიარო სახლი ჩემს პალატაში მოდიოდა

ვენარო ძრისტესაშვილი, *პროფესორი, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციული კვლევითი ინსტიტუტის, ბავშვთა და მოზარდთა რეპროდუქციული სამსახურის ხელმძღვანელი:*

— ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, 15 წლამდე ასაკში, ორსულობის შემთხვევაში, 20-25-ჯერ უფრო მაღალია რისკი ორსულობის და მშობიარობის გართულებისა, დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობისა, ვიდრე ზრდასრულ

ასაკში. მთელი მსოფლიოს მედიკოსთა ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ მშობიარობის ასაკი, რაც შეიძლება ოპტიმალურ მაჩვენებელს მიუახლოვდეს, ასეთი კი 20 წლის შემდგომი პერიოდი გახლავთ. სამეცნიერო კვლევებმა დაგვარწმუნა, რომ 15-დან 20 წლამდე, 2-ჯერ მეტია პათოლოგიებისა და გართულებების ალბათობა, ვიდრე 20 წლის ასაკის შემდეგ.

— რა არის ამ გართულებების ძირითადი გამომწვევი მიზეზი?

— პირველ რიგში, ორგანიზმის უმწიფრობა, მოუმზადებლობა და ჩამოუყალიბებლობა. იმის გამო, რომ მცირეწლოვან გოგონებში ჯერ სათანადოდ არ არის მომწიფებული სასქესო ორგანოები, მეტია რისკი სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებით ინფიცირებისა. პათოლოგიებისა და გართულებების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს არასათანადო ზომის მენჯის ძვალი, საშვილოსნო და საშო, რაც მშობიარობის დროს, ჩახევებსა და დაზიანებებს იწვევს. სამშობიარო გზების დაზიანება კი შესაძლოა, სისხლდენის მიზეზი გახდეს და თუ ექიმმა დროულად არ შეაჩერა, მშობიარისთვის სასიკვდილო აღმოჩნდეს.

— რამდენად ხშირად ხდება ჩვენში, მცირეწლოვანი გოგონას დაორსულება?

— ასეთი რამ უფრო დაბალი კულტურის ქვეყნებში ხდება, მაგრამ ჩვენს რეალობაშიც ხდება სამწუხარო ფაქტები, როდესაც მცირეწლოვანი გოგონები სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდებიან. როგორც წესი, მსგავს შემთხვევებში, საქმე არასოდეს მიდის მშობიარობამდე, დროულად ხდება სამედიცინო ჩარევა, მაგრამ პირადად მე, ვარ მომსწრე ერთი ფაქტისა, როდესაც დაუნის სინდრომით დაავადებული 15 წლის ორსული გოგონა მოიყვანეს. ბავშვი რაიონში იზრდებოდა და სრულიად გაუაზრებლად, სექსუალური კავშირი ჰქონდა მის თანასოფლელ ბიჭთან. მშობლებმა შვილის ორსულობა გვიან შენიშნეს და მისთვის 7 თვის ორსულობისას, მცირე საკეისრო კვეთის ჩატარება მოგვიხდა. აბსოლუტურად ჯანმრთელი გოგონა გააჩინა, მაგრამ პაციენტის მშობლებმა უარი თქვეს მის წყვანაზე და ახალშობილი ბავშვთა სახლში ჩააბარეს... საქართველოში 12-14 წლის ასაკში მშობიარობა დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მახსოვს, ამბობდნენ, რომ ჩემი დიდი ბებია 12 წლის გათხოვილა და ორი წელი თურმე, დედამთილის გვერდით ეძინა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს წინაპრებს კარგად ესმოდათ — ადრეულ ასაკში მშობიარობა დიდად სარისკოა...

— ალბათ ეს ყველაფერი ნაადრევ სქესობრივ მომწიფებასთან იყო დაკავშირებული. გვიამბეთ, რა ტენდენციები შეინიშნება საერთოდ, მსოფლიოში ამ მხრივ?

— ცოტა ხნის წინ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა და გამოავლინა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში, მთელ რიგ ქვეყნებში (მათ შორისაა ამერიკის შეერთებული შტატები, ჩინეთი და სხვა), ერის აქსელერაცია შეინიშნება. ამის მიზეზად, ასახელებენ: ცვლილებებს კვების რაციონში, სიმსუქნეს... ამგვარად, იქ, სადაც ადამიანი გაცილებით უკეთეს პირობებში ცხოვრობს, სქესობრივი მომწიფება უფრო ადრეულ ასაკში იწყება. არის აგრეთვე, მთელი რიგი ქვეყნებისა, სადაც სექსუალური სიმწიფის ასაკმა უმნიშვნელოდ დაიწია. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, საგრძნობლად იმატა სპორტით დაკავებულ გოგონათა რიცხვმა, ხოლო ძლიერი ფიზიკური დატვირთვა მენსტრუალური ციკლის დაგვიანებას იწვევს. ჩატარებული კვლევის თანახმად, საქართველოში სქესობრივი მომწიფების ასაკი უმნიშვნელოდ — მხოლოდ 0,05 წლით გაახალგაზრდავდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაადგინა აგრეთვე, რომ ევროპის ქვეყნებისთვის, 8 წლამდე ასაკის გოგონებში მეორადი სასქესო ნიშნების გაჩენა (თმიანობა, სარძევე ჯირკვლების ზრდა, მენსტრუალური ციკ-

პროფესორი ჯენარო ქრისტესაშვილი

ლის დაწყება), ნაადრევ სქესობრივ განვითარებად იწოდება და პათოლოგიადაც მიიჩნევა. ფერადკანიანებში კი, ასეთი ნიშნების გამოვლინება პათოლოგიად მხოლოდ 7 წლის ასაკამდე მიიჩნევა.

— რა შეიძლება იყოს ნაადრევი სქესობრივი მომწიფების მიზეზი?

— ეს შეიძლება იყოს, თავის ტვინში, რეპროდუქციული სისტემის მარეგულირებელი ცენტრების ნაადრევი აქტივობა, რაც სტიმულს აძლევს სასქესო ჯირკვლების განვითარებას. პათოლოგიის მაპროვოცირებელი შეიძლება გახდეს მშობიარობის დროინდელი ტრავმები, სხვადასხვა სახის სიმსივნე. ეს გახლავთ ჰორმონულად აქტიური სიმსივნეები (საკვერცხის ან თირკმელზედა ჯირკვლის), რომლებიც ქალის ან მამაკაცის ჰორმონებს გამოყოფს და ნაადრევ სქესობრივ მომწიფებას იწვევს. ასეთ დროს, აუცილებელია კვალიფიციური ექიმის დროული ჩარევა, მაგალითად, მქონდა შემთხვევა, როდესაც 7 წლის გოგონა მომიყვანეს. როგორც მშობლებმა ამიხსნეს, ბავშვს 2 წლით ადრე სარძევე ჯირკვლების ზრდა, ხოლო იმ დროისთვის, უკვე მენსტრუალური ციკლი დაეწყო. რაიონის ექიმმა საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც მთელი 2 წელი არაფერი მოიმოქმედა. ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ უჩვენა, რომ 7 წლის ბავშვს, ქალის ჰორმონის მაპროვოცირებელი სიმსივნე ერთ საკვერცხეზე მთლიანად, მეორეზე კი — ნაწილობრივ მოსდებოდა. სხვა გამოსავალი არ გვქონდა — ბავშვისთვის ამ ორგანოების ამოკვეთა მოგვიხდა, არადა, დროულად ჩარევის შემთხვევაში, შევძლებდით მისთვის საკვერცხეების შენარჩუნებას... ყოფილა შემთხვევები, როდესაც ჩვენთან 1-დან 4 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც მენსტრუალური ციკლი დასწყებოდათ, მოუყვანიათ. თუ ეს პროცესი არ შეაჩერე, ბავშვი აღარ გაიზრდება და ე.წ „კარლიკი“ იქნება... არის შემთხვევები, როდესაც პატარა ბავშვს ნაადრევი სქესობრივი განვითარების ნიშნები აქვს და პოლიკლინიკის ექიმი სარძევე ჯირკვლების კომპრესებს უნიშნავს, რაც აბსურდული გადაწყვეტილებაა. ნაადრევი მომწიფების მიზეზი შესაძლოა, აგრეთვე გახდეს ბუნებრივი გარემო, ჰორმონებით გაჯერებული საკვები — მაგალითად, ხორცი და ა.შ.

— გამოდის, რომ თუ გოგონას სქესობრივი სიმწიფის ნიშნების გამოვლენა 8 წლის შემდეგ დაეწყო, ეს ნორმალურია?

— 8 წლის შემდეგ, სქესობრივი მომწიფების ნიშნების გამოვლენა პათოლოგია არ არის. მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევაა, რომელსაც ადრეული სქესობრივი მომწიფება ჰქვია. ასეთი რამ ხშირად ემართებათ ბავშვებს, რომლებიც ჰიპოთანამური სინდრომით — ანუ პოსტსამშობიარო სტრიეებით იბადებიან. ასეთ ბავშვებს მენსტრუალური ციკლი 10-11 წლის ასაკში ეწყებათ.

— ყოველივე ამის გათვალისწინებით ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭიროა, მოზარდების ინფორმირება?

— მოზარდებთან ერთად, აუცილებელია მშობლების ინფორმირება, მაგრამ ყველა ქვეყანას სჭირდება მის ხასიათსა და მენტალიტეტზე მორგებული პროგრამა. ყველაზე დიდი დანაშაული ის გახლავთ, როდესაც გადმოაქვთ მსგავს თემაზე მომზადებული, სხვა ქვეყნისთვის განკუთვნილი პროგრამა და ჩვენს მოზარდებს სთავაზობენ. იყო შემთხვევა, როდესაც ამერიკელი ბავშვებისთვის დაწერილი კითხვარით ქართველ ბავშვებში აბარებდნენ გამოკითხვას, სადაც მაგალითად, ასეთი კითხვა იყო დასმული: რამდენი სქესობრივი პარტნიორი გყავდათო?.. ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასაც ჰქონდა მცდელობა, ჩაეტარებინა ტრენინგი მშობლებისთვის და ისეთი უხამსი ბუკლეტები დაბეჭდა, რომ კვლევის მონაწილეთა აგრესია გამოიწვია. სულაც არ არის აუცილებელი მოზარდებთან საუბარს სექსოლოგიის გაკვეთილი დაარქვა — სავსებით შესაძლებელია, საჭირო ინფორმაცია შეფარვით მიაწოდო და თან ისე, რომ ეს ქრისტიანულ მორალს არ ეწინააღმდეგებოდეს. ჩვენ ვურჩევთ მოზარდებს, რომ სქესობრივი „დებიუტი“ რაც შეიძლება გვიან განახორციელონ, 18 წლამდე მაინც ნუ იჩქარებენ ამის გაკეთებას. გარდა ამისა, პირველი სქესობრივი აქტი უნდა იყოს კარგად გააზრებული, რათა თავი დაიზღვიონ, როგორც არასასურველი ორსულობისგან, ისე სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან.

■

რამდენიმე დღის წინ, 16 წლის ახლობელმა გოგონამ — ნინიმ — სახლში თვალცრემლიანმა და საშინლად გაწითლებულმა მომაკითხა და მთხოვა: 1-2 დღე შენთან დავრჩები, თორემ, დედაჩემმა ასეთ დღეში რომ მნახოს, ეგრევე ინფარქტს მიიღებსო. ვკითხე — რა მოგივიდა-მეთქი? და აი, რა მიამბო: ჩემი თეთრი კანის გამო, მეგობრები დამცინოდნენ — შუა ზაფხულია, შენ კი, ისევ ბატივით თეთრი ხარო. მოკლედ, ამიკლეს, რა. მათი დანახვა აღარ მინდოდა, შეყვარებულის თვალწინ დამცინოდნენ და რა უნდა მექნა? დღეს, გასარუჯავად სახლის სახურავზე ავიპარე (დედაჩემს რომ არ დავენახე) და მაგრად დავიწვიო. ვკითხე: კი, მაგრამ იქ მარტომ ასვლა როგორ გაბედე-მეთქი? სიცილი აუტყდა: რა მარტო, მართლა გიჟი კი არ ვარ, მთელი კორპუსის ბავშვები და ქალები იქ წვანანო. ის კი მქონდა გაგებული, რომ თინეიჯერები სახლის სახურავზე გასარუჯავად ადიოდნენ, მაგრამ იმას ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ იქ ზრდასრული ადამიანებიც (როგორც თვითონ მითხრეს — მოსასვენებლად) ადიოდნენ... მოკლედ, ამ ამბავმა დამაინტერესა და ნინის შეეპირდი — თუ ხვალ შენი კორპუსის სახურავზე ამყვები, დადაშენთან საქმეს ჩაგიწყობ-მეთქი. სიხარულით თვალები გაუბრწყინდა და მეორე დღეს, დაახლოებით 11 საათზე, 9-სართულიანი კორპუსის სახურავზე ამოვყავი თავი...

ბავშვივით თეთრი კანი, გაბრუჯული ცხიერი, „მოლუნგული" თეძოები და ცხრილის ცხოვრებაზე გაბრაზებული პროტესტი

ლიკა ქაჯაია

ნინის არ მოვუტყუებივარ, იქ არა მარტო თინეიჯერი გოგოები და ბიჭები, არამედ, საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ზრდასრული მანდილოსნებიც (სახლიდან მოტანილ ქვეშაგებსა თუ „ადიელებზე") იწვნენ, გვერდით ლუდის ბოთლები, „ჯონსონ ბეიბის" ზეთი და ცივი „კოკა-კოლა" თუ „ფანტა" ედგათ. მათ სრული ბედნიერებისთვის ზღვა ან საცურაო აუზი აკლდათ და რომ მცოდნოდა — იქვე ახლოს, თუნდაც პატარა მდინარე ჩამოდიოდა ან რაიმე აუზისმაგვარი მომჩვენებოდა, ნინის დასაცინი არ გავხდებოდი — ამ ყველაფრის დანახვისას, სახე გაკვირვებისგან აშკარად დამეღრიცა, თვალებგაფართოებული ერთ ადგილას ვიდექი და „პლაჟზე" გაწოლილ ხალხს გაშტერებული ვუცქერდი. ნინიმ მიყურა, მიყურა და ბოლოს, ისეთი ხარხარი და ხველება აუტყდა, იქვე ახლოს მჯდომ ქალს მისთვის წყალი რომ არ შეესხა, აუცილებლად დაიხრჩობოდა. რატომღაც ყველა მე მომაშტერდა და დაიწყო...

გიო, *15 წლის:*

— ვა, ეს რა ჩიტი მოფრენილა?! ნინი, შენი მეგობარი ტანსაცმლის გახდას არ აპირებს *(იცინიან)?*

მარინა, *37 წლის:*

— კარგი, შვილო, ამათ ყურადღებას ნუ მიაქცევ, თორემ, გაგაგიჟებენ. მოდი, ნუ გერიდება. ისეთი მზეა, რომ ხვალ უეჭველად მაგარი „ზაგარი" გექნება *(სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, სიგარეტს მოუკიდა და გემრიელად გააბოლა).*

ზუკა, *22 წლის:*

— ეგ ისეთი გოგო ჩანს, ეტყობა, მორიდებულია. არ ეგონა, აქ ბიჭებიც თუ ვიქნებოდით, თორემ, არ ამოვიდოდა. ნაძლევს ჩამოვდივარ, რომ ცოცხალი თავით არ გაიხდის და ასე ჩაცმულ-დახურული გაირუჯება.

ნინი:

— შენ, ბიჭო, ხომ არ ურიკინებ? დაუკვირდი, რაებს ბაზრობ, გაიგე? ხომ არ გინდა, რომ ძვალ-რბილი გაგიერთიანონ? გოიმო.

ზუკა:

— ბევრს ნუ ტლიკინებ, თორემ, შენს ძმას ვაცემინებ შენს თავს, ლაწირაკო.

ვინაიდან გაჩერებას არც ერთი მხარე არ აპირებდა, კამათში ჩავერთე, თან, ცოტა არ იყოს, თავი თინეიჯერად ვიგრძენი და მათნაირად (შეძლებისდაგვარად) შევუბერე.

— შენ, ბიჭო, რა გქვია?

— ზუკა. მერე რა, რო? მოგეწონე?

— ჰო, ძალიან მომეწონე. მომისმინე, თავი მაგარი ბიჭი გგონია?

— რა, ტო, ეჭვი გეპარება?

ნინი:

— წადი, შე სოფლელო. ჩამოეხეტა მიყრუებული უდაბნოდან და ახლა ჭკუაზე არ არის. ლიკა, ნუ დაელაპარაკები, მაგას ჩემი ძმა მიხედავს.

— ზუკა, თუ მართლა მაგარ ტიპი ხარ, გასარუჯავად სახურავზე რომ ამოძვერი, ეს არ „გიტყდება"?

ზუკა:

— რატომ უნდა „გამიტყდეს", აქ ისეთს რას ხედავ? თუ გასატეხია, შენ რას მოდიოდი?

— მე გოგო ვარ, შენ — ბიჭი, ამაში განსხვავებას ვერ ხედავ?

— აუ, მიდი, რა, ვერ ამაგდებ. თუ გინდა, ლუდი დავლიოთ და შევრიგდეთ. კარგი გოგო ჩანხარ, არ მინდა გაწყენინო.

ნინი:

— აუჰ, ახლა სალაპარაკო გამოელია, დაიბნა. მე შენ გიჩვენებ შერიგებას და ლუდით გამასპინძლებას, შე კაცობის კარიკატურავ...

მოკლედ, ზურასთან საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ან ის მოკლავდა ნინის, ან პირიქით მოხდებოდა, თან, საუბარში უფროსებიც ჩაერევნენ და... ნინის ვთხოვე — ჩემს საუბარში არ ჩარეულიყო და მორიგი „მსხვერპლის" გამოსაჭერად მიმოვიხედე.

თიკო, *18 წლის:*

— კარგი, რა, ნერვები არ მოიშალო. უცხო რომ გნახეს, ჭკუაზე აღარ არიან. ბიჭების ამბავი ხომ იცი?..

— კი, მაგრამ მაინც გავბრაზდი, რა გოიმები არიან.

— ნინისი ვინ ხარ?

— დაქალი ვარ. სახურავზე მართლა მაგარი „ზაგრის" მიღება შეიძლება?

— რას მეკითხები? პირველად გუშინწინ ამოვედი და ნახე, როგორ გავირუჯე. ხომ მაგარ „ვიდზე" ვარ?

— ჰო, ძალიან მაგარია, მეც მინდა, მაგრამ ნინოს არ უთქვამს, აქ „სვეტსკი" სიტუაცია რომ იყო, თორემ, საცურაო კოსტიუმს წამოვიღებდი.

— შენ მერე გენახა ამათი დაშტერება. არა უშავს, ხვალ ამოდი და 2 დღეში შენც მაგარ „ვიდზე" მოხვალ.

— მოვალ, მაგრამ დედაჩემმა თუ გაიგო, შეიძლება, ფეხებით ჩამომკიდოს. დედაშენმა იცის, აქ რომ ხარ?

— აბა, რა. დღეს ისვენებს და თვითონაც აქაა (დედამისს გასძახა). დე, გამოიხედე, რა?! ამ გოგოს შენი გაცნობა უნდა.

ჩვენკენ ქალბატონმა მარინამ გამოიხედა, ხელი დამიქნია და გაგვიღიმა.

— ეს არის დედაშენი?

— რა იყო, რო? რა უცნაურ კითხვებს მისვამ, აბა, ხომ არ მოგატყუებ?

— მაგარი დედა გყოლია, ალ-

ბათ, დაქალებივით ხართ, არა?

— ჰო, ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ. ოღონდ, მამაჩემმა არ იცის, აქ რომ ვართ, თორემ, ბუზღუნით ტვინს წაიღებდა.

— თიკო, შეყვარებული გყავს?

— კი, დედაჩემიც იცნობს, ჩვენთან ამოდის ხოლმე. ახლა ქობულეთშია, რომ ჩამოვა და „დაზაგრულს“ მნახავს, დაიშოკება.

— მერე ეტყვი, სახლის სახურავზე რომ გაირუჯე?

— გაგიჟდი? ვეტყვი — თბილისის ზღვაზე ვიყავი-მეთქი. იცის, რომ ქალაქიდან ვერსად გავალ, გამოცდები მეწყება.

— ვითომ, თბილისის ზღვაზე ყოფნა პრესტიჟულია?

— ყოველ შემთხვევაში, სახურავს მაინც სჯობია.

— მაშინ, იქ რატომ არ მიდიხარ?

— მეზარება — წადი-წამოდი. შენ რატომ არ დადიხარ?

— მეც მეზარება. თქვენს სახურავზე ყოველთვის ასეთი ხალხმრავლობაა?

— ყოველთვის არა, მარტო შაბათ-კვირას. დანარჩენ დღეებში, 5-6 კაცი წევს ხოლმე.

— ეს ქვეშაგები რამ ამოგატანინა, არ დაგეზარა?

— რა დაზარება უნდა, აბა, ბეტონზე წოლა სჯობდა? გინდა, ლუდი დაგასხა?

— არა, მერე ლუდის სუნი მექნება და სახლში ვეღარ წავალ, სხვა დროს იყოს... ისე, ლუდს ტანზე რატომ ისხამ?

— შენ რა, მეკაიფები? დავიჯერო, არ იცი, რომ ასე უფრო მაგარ ფერს მიიღებ...

თიკოს ჩემი კითხვებით მგონი, თავი მოვაბეზრე, ამიტომაც ნინისთან გადავინაცვლე, რომელიც მოშორებით იჯდა და მზეს ეფიცხებოდა. მას ვთხოვე: იქნებ, რომელიმე შენს ნაცნობ ბიჭს დაუძახო, ისეთს, ვისაც ბევრი ლაპარაკი უყვარს. მერე კი, მარტო დაგვტოვე-მეთქი. კარგიო, თვალი ჩამიკრა და ცოტა ხანში, ვიღაცას ხელით ანიშნა — მოდიო.

გიო, *18 წლის:*

— ნინი, რა ხდება?

ნინი:

— ისეთი არაფერი. მოდი, რა, ჩვენთან დაჯექი. ჰო, გაიცანი, ჩემი დაქალია.

გიო:

— სასიამოვნოა *(ხელი გამომიწოდა და რატომღაც დაიმორცხვა)*

— ჩემთვისაც. ვა, რა მაგარი „ზაგარი“ გაქვს?

— ჰო, აქ მივიღე.

— სახურავზე ხშირად ამოდიხარ ხოლმე?

— ჰო, დილით ამოვდივარ და შუადღემდე აქ ვარ.

— არ გეწყინოს, მაგრამ მართლა მაინტერესებს — ბიჭებისთვის სახურავზე გასარუჯავად ამოსვლა, მართლა არ „ტეხავს“?

— რატომ უნდა „ტეხავდეს“? რა მნიშვნელობა აქვს, სად გაირუჯები? ადრე, სასწავლო წლის დამთავრებისთანავე, მთელი 3 თვით სოფელში, ბებია-ბაბუასთან მივდიოდი, მათ ხან თოხნაში, ხან ცხოველების მწყემსვაში ვეხმარებოდი და სექტემბერში აქ რომ ჩამოვდიოდი, ისეთი „დაზაგრული“ ვიყავი, რომ არა მარტო ბიჭები, არამედ გოგოებიც კი შურით სკდებოდნენ, მეკითხებოდნენ: სად დაისვენეო? ხომ არ ვეტყოდი, მთელი ზაფხული მუშაობაში გავატარე-მეთქი და მათ „ვაბოლებდი“ — 1 თვე ქობულეთში ვიყავი, იქიდან ბორჯომში წავედი, მერე კი, ისევ აჭარაში დავბრუნდი-მეთქი.

— მერე, გიჯერებდნენ?

— ფაქტი სახეზე იყო და როგორ არ დაიჯერებდნენ?

— სახურავზე წოლას, მგონი სოფელში ყოფნა სჯობია. იქ რაღაცით მაინც გაერთობი...

— აქაც მაგრად ვერთობი — კარტი გვაქვს, ლუდს ვსვამთ, ნაძლევს ვდებთ და მერე, ხალხს, რომელიც აქედან ჭიანჭველასავით მოჩანს, ვაგიჟებთ.

— კი, მაგრამ ამას როგორ ახერხებთ?

— აქედან ხან ლუდს ვასხამთ და ვინმეს მისი წვეთები რომ შეეშხეფება, მგონი, წვიმა ან რაღაც საძაგლობა ჰგონიათ, აქეთ-იქით იხედებიან, მაგრამ რას დაგვინახავენ?.. პლასტმასის ბოთლებს ვისვრით. ზოგჯერ, გოგოებს (რომლების სილამაზეში დარწმუნებული არ ვართ, რადგან აქედან ვერაფერს ვხედავთ), ხილს ან პატარა კენჭებს ვესვრით ხოლმე.

რომელიმეს რომ აკოცო, 3 დღის განმავლობაში კუჭი აშლილი გექნება

— მიზანში ყოველთვის არტყამთ?

— არა. ზოგჯერ, შეიძლება, შენი ნასროლი მიზანს ასცდეს და სხვას მოხვდეს, მაგრამ ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს? ვისაც მოხვდება, ის ისეთ სასაცილო რაღაცებს აკეთებს, რომ „ვიგუდებით“ ხოლმე.

— და დაზარალებული თქვენი ნათესავი რომ აღმოჩნდეს?

— მერე რა მოხდა, ყუმბარას ხომ არ ვისვრით?

როგორც ჩანს, 15 წლის ეკა და გიო (ის, ვინც ჩემი დანახვისთანავე იყვირა — ეს რა ჩიტი მოფრენილაო) ჩემით დაინტერესდნენ, მოვიდნენ და გვერდით მომისხდნენ.

ეკა:

— შენ ლიკა გქვია და ჟურნალისტი ხარ, არა?

— შენ რა იცი?

— ნინიმ მარინა დეიდას უთხრა: ჟურნალისტია და იმიტომ ამოვიდა, თორემ მართლა გარუჯვა კი არ უნდაო.

— მართალია, მერე, რა?

— არა, არაფერი. უბრალოდ მაინტერესებდა, რაზე საუბრობდით.

— თქვენ მეზობლები ხართ?

გიო:

— ესენი ჰო, მე კი, აქ ზუკას მოვყევი, ჩემი მეგობარია.

ეკა:

— ე.ი. ზუკასთან მოხვედი, არა?

— აბა, ვისთან უნდა მოსულიყო?

გიო:

— არა, ეკასთან მოვედი, ჩემი შეყვარებულია. ხომ მაგარ გოგოს „ვევასები“?

— კი, კარგი გოგოა, მაგრამ არ გირჩევნიათ, რომ ერთმანეთს სხვაგან შეხვდეთ?

ეკა:

— რატომ, ყველაფერს თავისი მუღამი აქვს.

გიო:

— როგორ არ მირჩევნია, მაგრამ ეს რაღაცებს მიჩალიჩებს — ხან სახლიდან არ უშვებენ, ხან სახურავზეა „ზაგრის“ მისაღებად, ხან დაქალოჩკებთან ეჩქარება და ათასი მიზეზი აქვს ხოლმე, სადაც მეტყვის, იქ მივდივარ. მოკლედ, მაჩმორებს. ეკა, ისე შენს სიყვარულში, ხანდახან ეჭვიც მეპარება.

ეკა:

— მორჩი მაიმუნობას... აბა, დასასვენებლად ვერ მივდივარ, თბილისის ზღვაზე და სოლარიუმში არ მიშვებენ და რა უნდა ვქნა?

— და „ზაგრის“ მიღება აუცილებელია?

— აბა, ყველა გარუჯული რომ იქნება და მათ გვერდით, ბატივით თეთრი რომ გამოჩნდები, ეს ჯობია? ვიღაცამ რატომ უნდა დამცინოს?

გიო:

— ერთი განახვა, ტანსა და სახეზე რას ისვამენ.

— რას ისვამენ?

— რა ვიცი, ლუდს, ზეთს, რაღაც სპეციალურ კრემებს და რომელიმეს რომ აკოცო, 3 დღის განმავლობაში კუჭი აშლილი გექნება.

— რა იყო, ეს გამოცდილი გაქვს?

— აბა, რა! ამას წინათ, ჩემს ტალახიან ეკუნას ვაკოცე და 3 დღე კი არა, ერთი კვირა ცუდად ვიყავი. ამიტომ გავაფრთხილე — როცა კანი სუფთა გექნება, მაშინ ჩამეხუტე-მეთქი.

ეკა:

— უკვე პირველი საათი გამხდარა, აწი უნდა ჩავიდეთ, თორემ, დავისიცხებით და ამას კიდევ მზის დაკვრა უნდა? — ისედაც დარტყმულია. აბა, კარგად...

ვიფიქრე, სანამ ყველა ქვევით ჩასულა, იქნებ, ერთ დიდ „თინეიჯერსაც“ გავესაუბრო-მეთქი და ქალბატონ მარინასთან მივედი.

— დაჯექი, შვილო. მითხარი ერთი, რა უნდა დაწერო?

— მაინტერესებს — სახურავზე გასარუჯავად რატომ ამოდიან?

— იმიტომ, რომ „ზაგარი“ ყველას უნდა, მაგრამ ზღვაზე წასვლის ან სოლარიუმში შესვლის ფული ყველას არა აქვს. ყოველ წელს, 2 კვირით ბათუმში მივდიოდი, მაგრამ ახლა, იქ ფასები ისეა მომატებული, რომ ვეღარ შევწვდები.

— ისე, სახურავზე მაგარი პლაჟი მოგიწყვიათ.

— თავიდან, თიკომ აქ ამოსვლა რომ გადაწყვიტა, უარი ვუთხარი. მერე, გამომეპარა და რომ მოვაკითხე, სიტუაცია მომეწონა, კორპუსში ჩემნაირი გიჟები მოვძებნე და შაბათ-კვირას, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა კარგი ამინდია, აქ ვისვენებთ ხოლმე.

— აქ რომ წევხართ, თქვენმა მეუღლემ იცის?

— არა, მას ჰგონია, აუზზე დავდივარ, ფულს მაძლევს და იმას სხვა რაღაცებში ვიყენებ. მოკლედ, ფულს „ვღუნავ“ *(იცინის).*

— და რომ დაგინახოთ, რას ეტყვით?

— ენამ არ გიყივლოს, რას ამბობ, შეიძლება, სახლიდან ცხვირიც აღარ გამომაყოფინოს.

— მართალია, თქვენ ახლაც თინეიჯერივით გამოიყურებით, მაგრამ მაინც, როცა 20 წლამდე ასაკის იყავით, ქალაქში მყოფი როგორ ირუჯებოდით ხოლმე?

— მაშინ „ზაგარზე“ არავინ გიჟდებოდა და შესაბამისად, ვერც სახურავზე ასვლას მოვიფიქრებდით. რაც უფრო თეთრი პირისახის იყავი, მეტი „პაკლონიკი“ გყავდა. ახლა კი, თეთრი კანი თურმე, „ტეხავს“. დრო მიდის, ბატონო და ყველაფერი, მათ შორის, გემოვნებაც იცვლება.

— ზაფხულში, გარუჯვის გარეშე სიარული თქვენც „გიტყდებათ“?

— არ ვიცი, რა გითხრა, მაგრამ „დაზაგრული“ კანი ძალიან მომწონს, თან მიხდება და ამას ჩემი მეუღლეც აღნიშნავს ხოლმე. ერთხელ, ზამთარში ისიც კი შემომთავაზა — იქნებ, სოლარიუმში წახვიდეო.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

■

ეპამოცხადება

ნინო, *16 წლის:*

„აუ, ამიკო რომ ძაან მაგარი იყო, ვიცოდი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ძლიერი იქნებოდა... რეპერო, მაგრად მიყვარხარ და პატივს გცემ, პირველ რიგში იმიტომ, რომ ზესტაფონელი ხარ, ისევე, როგორც მე და იმიტომაც, რომ მაგარი რეპერი ხარ. გაუმარჯოს ზესტაფონს. გფარავდეთ უფალი შენ და შენს ანგელოზ ბავშვებს. გაიხარე, გკოცნი ბევრს“.

ამიკო:

— ძალიან დიდი მადლობა, მაგრამ ჩემზე მაგრებიც არიან. ჰო, ზესტაფონელი კი არა, წარმოშობით ქუთაისიდან ვარ.

პაკო, *18 წლის:*

„ამიკოს ინტერვიუ წავიკითხე და ლამის მართლა მიმტყუნა გულმა. შეიძლება მას რაღაც ვურჩიო? მე ნამდვილ რეპს ვუსმენ... გირჩევ, დაუღალავ შრომას; ჯერ „ცუდი ბიჭების კამპანიას“, „ცხოვრებით ჯარისკაცებს“, „თეთრ რეპერებს“ მოუსმინე და მერე აღიარებ — მე უბრალოდ, მოყვარული ვყოფილვარო. გაუმარჯოს ექსცესს! რეპის მოყვარული გოგო“.

ამიკო:

— შვილო, წადი და დაიძინე, რა. „ცუდი ბიჭების კამპანია“, რაც იქიდან ძვალი წამოვიდა — მოკვდა. მათთან ხშირად იარე და რბილი „ლ“-ები ერთად გამოასწორეთ.

ლანკა, *19 წლის:*

„ეჰ, ამიკო. სულ ცოტაც და ვადაგასული თინეიჯერის იარლიყს მომაკრავენ! ამის წარმოდგენაც არ მინდა. მინდა, სულ 19 წლის ვიყო. მართალია, უბედნიერესი ცხოვრება მაქვს და ყველა ოცნებაც მისრულდება (შეიძლება ეს ცოტა დაუჯერებელია), მაგრამ ძალიან, ძალიან მაინტერესებს როგორია სიკვდილი... თუმცა, სიცოცხლეც მიყვარს. სიამოვნებით მოვკვდებოდი კლინიკური სიკვდილით... კიდევ, ძალიან მინდა, აჩრდილები ვნახო — თეთრები და ლამაზები. შენ ამაზე ოდესმე გიფიქრია?“

ამიკო:

— შვილო, შეყვარებული ხარ თუ რა ხდება? სიკვდილზე მეც მიფიქრია, მაგრამ ეს სასიამოვნო არ იყო და სულაც არ მინდა, კლინიკური სიკვდილით მოვკვდე, რადგან ვიცი, რომ ეგრევე დამმარხავენ.

ალა, *17 წლის:*

„ამიკო, მაგარი „როუა“ ხარ! შენი აზრი მაინტერესებს — ადრეულ ასაკში ქორწინებასთან დაკავშირებით და კიდევ, შეიყვარებდი თუ არა შენს ფანს?“

ამიკო:

— ჩემს ფანს ვეღარ შევიყვარებ. მართალია, ამბობენ: ნაადრევი სიყვარული არ ამართლებსო, მაგრამ ეს ტყუილია. ცოლი რომ მოვიყვანე, 17 წლის ვიყავი. მას შემდეგ 4 წელი გავიდა და ერთმანეთთან ერთხელაც არ გვიჩხუბია. ჩვენ ვერაფერი დაგვაშორებს.

ანკა, *14 წლის:*

„მე როკს ვუსმენ, ამიტომ ამიკოს სიმღერის სტილი დიდად არ მომწონს, მაგრამ თვითონ, ძალიან საყვარელია. ჩემს უბანში ყველა რეპს უსმენს და ამიტომ ამითვალწუნეს. გემოვნებაზე არ დაობენ... მთავარი ხომ ადამიანობაა? ვერ გავიგე, მათ რა დავუშავე, ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ რეპერმა და როკერმა ერთმანეთს გაუგონ? იქნებ, რამე მირჩიოთ? ჩემს მოთმინებასაც ხომ აქვს საზღვარი? მერე იტყვიან — ყველა როკერი აგრესიულიაო“.

ამიკო:

— რა მნიშვნელობა აქვს — როკერი ხარ თუ რეპერი? რაღაც დოზით როკსაც ვუსმენ, აბა, სულ რეპს რომ ვუსმინო, შეიძლება დავდებილდე.

ნინი, *16 წლის:*

„ამიკო ძალიან მიყვარხარ, ნეტავ, შენნაირი მეგობარი მყავდეს. ადრე დაგირეკე, მაგრამ ალბათ, არ გახსოვს — ცოტა ხანს ვილაპარაკეთ. მინდა გკითხო: ტელეფონით გაცნობილი ადამიანი, რომელსაც მხოლოდ სურათებზე ვყავარ ნანახი, სიყვარულს მეფიცება, დავუჯერო? ჩემს ადგილას შენ როგორ მოიქცეოდი? თქვენი ერთგული მკითხველი“.

ამიკო:

— რა სისულელეა? ეტყობა, ის ბიჭი ქალთან ნამყოფი არაა. აბა, რა უბედურება სჭირს? არ დაუჯერო მანამ, სანამ კარგად არ გაიცნობ და არ გეცოდინება, რომ შენი ღირსია.

ანა, *19 წლის:*

„გამარჯობა, ამიკო. შენი რჩევა მჭირდება — გათხოვილი ვარ და სხვა მიყვარს, მასაც ვუყვარვარ და ყველანაირ ურთიერთობას მთავაზობს. სხვაგვარად დავკარგავ. რა ვქნა?“

ამიკო:

— ნუ გადამრიეთ, ხალხნო. თუ შენი ქმარი არ გიყვარდა, რას თხოვდებოდი?

ნინა, *18 წლის:*

„პრივეტ“, ამიკ. სიმართლე რომ გითხრა, საქართველოში რეპი არ არსებობს, იმიტომ, რომ ის შავებისაა, მაგრამ შენ მაინც მაგარი ტიპი ხარ. გისურვებ „დაიჰაცუს“ ყიდვას“.

ამიკო:

— ეტყობა, ჩემს ინტერვიუებს ხშირად კითხულობ. დამიჯერე, საქართველოში 6 ნამდვილი რეპერია, დანარჩენები კი, მართლაც „კეპერები“ არიან.

სოფო, *20 წლის:*

„ამიკო, გგონია, რომ შავთვალასგან რაიმეთი განსხვავდები? „კაკაია რაზნიცა?“ მაინტერესებს — რამდენი გადაგიხადეს ერთ ქართულ ფილმში, სადაც დგახარ და ტიტლიკანა ხმალაობ? შენი თავი მოგეწონა? და კიდევ, შენს სიმღერებს თავადვე თუ უსმენ?“

ამიკო:

— მართლაც გადამიღეს ფილმში — „პოეტური ჩანახატები“, სადაც რომაელს ვასახიერებ — 5 კაცი სააბაზანოში ვდგავართ და ვუყურებთ, როგორ ბანაობს ჩვენი შეფი. ამ ფილმში ხმალი ნამდვილად არ მჭერია... „პოეტური ჩანახატები“ ჯერ არ მინახავს. რაც შეეხება ჩემს სიმღერებს, მისთვის არასდროს მომისმენია *(იცინის).* დაბოლოს, ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებმაც 6 თეთრი გაიმეტეს და სასიამოვნო თუ ცუდი მესიჯები მომწერეს. თითოეულ მათგანს ვკოცნი.

■

ნათელა ქარდავა — აფხაზეთის ომის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, სნაიპერი, მეთაური და ის ქართველი ქალია, რომელიც მზად არის, ნებისმიერ სიტუაციაში თავი დადოს საქართველოს მთლიანობისათვის. ვაჟკაცური ბუნებისა და სიმამაცის გამო, თანამებრძოლებმა მას რემბო შეარქვეს. „მე მივდიოდი იქ, სადაც ჩემი ყოფნა საჭირო იყო, უკან არასოდეს ვიხევდი, ბევრჯერ მტრის კლანჭებში ჩავარდნის საშიშროებაც მქონია, მაგრამ მაინც თავდადებულად ვიბრძოდი ჩვენი ტერიტორიის შესანარჩუნებლად — სოხუმში დღესაც არის გამოკრული 4 მეტრი სიგრძის ჩემი სურათი წარწერით — „Враг народа“ ... ქალბატონი ნათელა ომში თავზე გადახდენილ ამბებს თვალცრემლიანი იხსენებდა.

სნაიპერი, ჯაშუში, დედა...

„მებრძოლებმა, ჩემი პროფესიონალიზმიდან ეპოვდინარე, მეტსახელად რემბო შეეარქვეს“

სოფო ჭონიმვილი

— აფხაზეთში დავიბადე და გავიზარდე, ამიტომ ის მხარე ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა. დედა ადრე დამეღუპა და მამამ 5 შვილი მარტომ გაგვზარდა. ბავშვობიდან, ძლიერი ბუნების, ამაყი და ენერგიული ვიყავი, ჩემში მამაკაცური თვისება უფრო მეტი იყო, ვიდრე ქალური სინაზე. მეშვიდე კლასში ვიყავი, როცა მომიტაცეს და მას შემდეგ, თბილისში ვცხოვრობ. 14 წლის ასაკში, უკვე დედა ვიყავი.

— სამხედრო სამსახურში მოლვაწეობა რამ გადაგაწყვეტინათ?

— ბავშვობიდანვე ვგრძნობდი, რომ აფხაზები ქართველებს ვერ იტანდნენ, ყოველივე ეს კი, ჩემში სამშობლოს სიყვარულს უფრო ამძაფრებდა. ყოველთვის მქონდა სურვილი, ჩემს ქვეყანას რამეში გამოვდგომოდი და ამან სამხედრო სასწავლებელში ჩაბარება გადამაწყვეტინა. უკვე სამი შვილის დედა ვიყავი, როცა თან ვსწავლობდი და პარალელურად, სამხედრო სამსახურშიც ვიყავი. მაშინ შინაგან ჯარებს სამძებრო ოცეული ჰყავდა, რომლის მოვალეობაში ციხიდან გაქცეულების, მიმალული დამნაშავეების მოძებნა შედიოდა და მეც ამ ოცეულში ვმსახურობდი. შემდეგ, უკვე სამძებროს ხელმძღვანელიც ვიყავი. ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, იმ დროს, როცა საქართველოში კომუნისტები ჯერ კიდევ „ბობოქრობდნენ“, მიტინგებს ვაწყობდით, ლოზუნგებით გამოვდიოდით. ზვიად გამსახურდია მეუბნებოდა: არ მინდა, რომ შენ „გაიშიფროო“, რადგან მე ვწყვეტდი — სად უნდა შევკრებილიყავით და როგორ უნდა მოვქცეულიყავით. აფხაზეთის ომში რომ არ წავსულიყავი, აქ მაინც მომკლავდნენ: მდევნიდა უშიშროება, შევარდნაძის ხალხი. პირველი ტყვია ჩემს სადარბაზოში მესროლეს. ბედმა გამიღიმა და ფეხში დავიჭერი. მეზობლები მაშინვე შეიკრიბნენ, დაინტერესდნენ — ვინ მესროლა, მაგრამ მათი ვინაობა არავისთან გამიმხელია, შვილებიც კი მოვატყუე. რადგან თვითონ იარაღს ვატარებდი, ვთქვი — იარაღი მე გამივარდა-მეთქი.

— ოჯახის წევრები როგორ ეგუებოდნენ იმ აზრს, რომ მათთვის თითქმის ვერ იცლიდით?

— ჩემი შვილები შეგუებულნი იყვნენ იმ აზრს, რომ დედა სახლში არასდროს არ უნდა ყოფილიყო. როცა სამძებროში ვმუშაობდი, სახლში ღამის 3-4 საათზე შევდიოდი.

— როგორც ვიცი, თქვენ პროფესიონალი სნაიპერი ხართ...

— დიახ, იარაღი ბავშვობიდანვე მიყვარდა. ერთი პერიოდი, მოსწავლეებიც კი მყავდა, რომელთაც სროლაში ვავარჯიშებდი. ჩემი უმცროსი ბიჭი 9 წლის იყო, როცა გენერლებს სროლაში ეჯიბრებოდა. სამივე შვილი სპორტსმენია — გოგო ძიუდოისტია, შავი ქამრის მფლობელი... თავდაპირველად, „რუსულ“ ჯარში ვმსახურობდი, მერე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველოდან გასვლა დაიწყეს, ოთხმა კაცმა საქართველოს შინაგანი ჯარი ჩამოვაყალიბეთ. აფხაზეთის ომის დაწყებისთანავე მივიღე გადაწყვეტილება, რომ შეგვიერიბა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ბიჭები და წინა ხაზზე წავსულიყავი. ეს განზრახვა მაშინდელი, ისანი-სამგორის მილიციის უფროსს, ჯემალ ჯანაშიას გავუმხილე, რომელმაც მითხრა — დაფიქრდი, სად მიდიხარ, თუ იცი, თავს რა ხიფათში იგდებო?! მაგრამ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა და ვერავინ გადამაფიქრებინებდა. ერთადერთი, ის მადარდებდა, რომ შვილებს ვტოვებდი, თუმცა, უფროსი ბიჭი ჩემ გვერდით იყო და ერთად ვიბრძოდით.

— თქვენ ასევე ბატალიონის მეთაურიც იყავით...

— ჩემს ბატალიონში 120 კაცი იყო. ეს გახლდათ გასაიდუმლოებული სადაზვერვო ჯგუფი, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცოდა, გარდა ჩვენი გენერლისა (გელა ლანჩავა). ბატალიონის შემადგენლობაში პროფესიონალი ჯარისკაცები იყვნენ, რომლებიც სროლაში თვითონ გამოვცადე. ასევე, საჭირო იყო სხვადასხვა ენის ცოდნა, ამიტომ, ჩემს ბატალიონში ოსიც იყო, სომეხიც და რუსიც, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ და ძალოვან სტრუქტურებშიც მუშაობდნენ... როცა აფხაზეთის ომი დაიწყო, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩემს საბუთებს გადახედეს, მათ უკვე იცოდნენ — რა შემეძლო, რისი გამკეთებელი ვიყავი და ყალბი საბუთები გამიკეთეს — ვითომ ქართველზე გათხოვილი აფხაზი ვიყავი და იმ დროისათვის მეუღლესთან გაყრილი ვიყავი, ამიტომ მინდოდა აფხაზეთში დაბრუნება. სინამდვილეში კი, სხვა მიზნები მამოძრავებდა, მიღებული მქონდა დავალებები, რომლებიც ერთი თვის განმავლობაში უნდა შემესრულებინა. იქ ჩასულმა, ყველა დავარწმუნე, რომ აფხაზი ვიყავი, მით უმეტეს, აფხაზური ენაც ვიცოდი. მათ ვეუბნებოდი, რომ ქართველების შესახებ ყველაფერი ვიცოდი, ისიც ვთქვი — მე-8 პოლკში ვცხოვრობდი და ვიცი, რა ტექნიკასაც ფლობენ-მეთქი. ჩემი პიროვნებით რატომღაც, ძალიან დაინტერესდნენ, მაჩვენებდნენ თავიანთ ტექნიკას, გამიმხილეს, რა შესაძლებლობები ჰქონდათ, რას აპირებდნენ. ერთმანეთს ეუბნებოდნენ, — ეს ქალი მე-8 პოლკში, — იქ, სადაც ქართველების საბრძოლო ტექნიკაა, განლაგებული, ცხოვრობდაო. საწყობებში შევყავდი. მაჩვენებდნენ თავიანთ მარაგს. მე კი ჩუმად ჩამოვდიოდი ადლერში, სადაც მხვდებოდა კაცი, რომელსაც ყველანაირ ინფორმაციას დაწვრილებით გადავცემდი.

ჩემს ბატალიონში 120 კაცი იყო. ეს გახლდათ გასაიდუმლოებული სადაზვერვო ჯგუფი

— „რაზვედკაში“ ყოფნის პერიოდში, სად ცხოვრობდით?

— აფხაზეთში ჩასვლისას, შემთხვევით, ჩემი თანაკლასელი ვოვა შემხვდა, რომელთანაც ძალზე კარგი ურთიერთობა მქონდა. როცა მკითხა — აქ რას აკეთებო? — ვუპასუხე: ქმარს გავშორდი, საქართველოში ცხოვრება აღარ მინდა, იქნებ, რაიმე ბინა მომაძებნინო, რომ შვილებიც ჩამოვიყვანო-მეთქი. მან დროებით, საკუთარ სახლში ცხოვრება შემომთავაზა, სადაც დედასთან და პატარა ძმისშვილ დიმასთან ერთად ცხოვრობდა. ამ სახლშივე იყვნენ შამილ ბასაევის მებრძოლები. ვოვას დედა მეც და იმ ბიჭებსაც დიდ პატივს გვცემდა. ის ქალბატონიც დავარწმუნე იმაში, რომ ქართველებზე ძალზე გამწარებული ვიყავი. მენდობოდნენ და მათში დიდი პატივისცემითაც ვსარგებლობდი. მეკითხებოდნენ — რა იარაღი აქვთ ქართველებს, რა ტექნიკას ფლობენო? მე ისე ვიქცეოდი, თითქოს იარაღსა და ტექნიკაში საერთოდ ვერ ვერკვეოდი. ამიტომაც შევყავდი თავიანთ ბატალიონებში, ყველაფერს მათვალიერებინებდნენ და მერე, შედარებას მაკეთებინებდნენ. ძალიან კარგი, კომპიუტერივით მეხსიერება მქონდა, რასაც კი ვნახავდი, ყველაფერს ვიმახსოვრებდი და შემდეგ, ინფორმაციას ჩვენებს ვაწვდიდი. მაგრამ ბოლოს, აღარ გამიმართლა. 2 დღის სამუშაოღა მქონდა დარჩენილი, როცა დილით, საინფორმაციო გამოშვებას ვუყურებდი. შემთხვევით, თბილისის არხზე გადავრთე, სადაც გადაცემა „ალიონი“ გადიოდა ეთერში. აჩვენებდნენ აფხაზეთში ჩემს ჩასვლამდე გადაღებულ რეპორტაჟს, სადაც ჩემს ბატალიონთან ერთად, საომრად ვემზადებოდი... მაშინ, შინაგან ჯარში ერთადერთი ქალი ვიყავი, რომელიც სნაიპერიც იყო, „რაზვედკასაც“ აკეთებდა და იბრძოდა კიდეც, ამიტომ ჩემით ყველა ინტერესდებოდა. ამ რეპორტაჟის ჩვენების შემდეგ მივხვდი, რომ უკვე „გაშიფრული“ ვიყავი. სიკვდილს ვინღა ჩიოდა? — აფხაზები ტანჯვა-წამებაში ამომხდიდნენ სულს!.. დილის 9-ის ნახევარი იყო, დიასახლისი სამზარეულოში ტრიალებდა, ოთახში ვოვას პატარა ძმისშვილი, დიმა იყო. ბავშვს ხელი დავავლე და ვუთხარი — წამოდი, „ჟვაჩკას“ გიყიდი-მეთქი. პირობა შევუსრულე. მერე ბაღში, სკამზე დავსვი — აქ დამელოდე-მეთქი და იქვე, საპირფარეშოში შევედი, სადაც რაღაც კედელზე ავძვერი და 4 მეტრის სიმაღლიდან გადავხტი. ტაქსი გავაჩერე, კაპიკი ფული არ მქონდა, ერთი ბაჯაღლოს რგოლი და ერთიც — ბრილიანტის ბეჭედი მეკეთა. ტაქსის მძღოლს ვთხოვე — სასწრაფოდ ადლერამდე ჩამიყვანე-მეთქი, — და სანაცვლოდ, ბრილიანტის ბეჭედი შევთავაზე. ტაქსიმ რამდენიმე წუთში მიმყვანა დანიშნულების ადგილამდე. ამ გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ, ნახევარ საათში განგაში ატყდა და ჩემი ძებნა დაიწყეს. როცა ადლერში ჩავედი, იქაური აეროპორტის უფროსმა (ქართველი იყო) თავის კაბინეტში, მაგიდის ქვეშ დამმალა. მანაც იცოდა, თუ რა სიტუაციაში ვიყავი, ზედმეტი კითხვა აღარ დაუსვამს. კარი გარედან ჩაკეტა და თვითონაც მიიმალა. ზუსტად ნახევარ საათში, ათკაციანი შეიარაღებული ბანდა მოვიდა, რომელსაც ხელში ჩემი ფოტოსურათი ეჭირა. თქვეს — ეს ქალი ქართველი „შპიონია“ და უნდა დავხვრიტოთო. იმ დღეს, საღამომდე მაგიდის ქვეშ ვიჯექი. მერე, ჩუმად „მეშოკში“ ჩასმული, თვითმფრინავში ჩამსვეს. იმ დღეებში, დიდი სტრესი მივიღე, ორი კვირის განმავლობაში საავადმყოფოში ვიწექი.

— აფხაზებს ტყვედ რომ აეყვანე, საიდუმლოებებს გასცემდი?

— ამას არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებდი, რადგან სულით პატრიოტი ვარ. ვეცდებოდი, მათთვის დამემტკიცებინა, რომ ის ქალი არ ვიყავი, ვისაც ისინი ეძებდნენ.

— ეთერში გასული რეპორტაჟის შესახებ პრეტენზია არ გამოგითქვამთ?

— კი, როგორ არა?! ვისთანაც საჭირო იყო, ვთქვი: რომ სასიკვდილოდ გამიმეტეს — „რაზვედკაზე“ გამიშვეს და მერე, ეკრანზე „გამომაჭენეს“. ამის შემდეგ, ეჭვი გამიჩნდა, რომ შეიძლება, ჩემი სიკვდილი უნდოდათ, რადგან ზვიადისტი და ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ვიყავი... ჩემს დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. გამოჯანმრთელების შემდეგ, მებრძოლი ბიჭები შევკრიბე და აფხაზეთში, ოჩამჩირის მიდამოებში დავბანაკდით. ამ დროს, ჩემი უფროსი შვილიც ჩემ გვერდით იყო, ერთად ვიბრძოდით.

— როგორც ქალს, იმ პირობებთან შეგუება არ გიჭირდათ?

— მიჭირდა კი არა, იმ ჩემი ლამაზი კუთხის გადასარჩენად, ყველაფრის გაკეთება შემეძლო, ყველანაირ რისკზე მივდიოდი. იქ დავინვალიდდი. თვითმფრინავს, რომელშიც მე და ჩემი ბატალიონის ბიჭები ვისხედით, აფხაზებმა ყუმბარა ესროლეს. ჩვენც სათითაოდ დავიწყეთ გადმოხტომა. სწორედ ამ დროს დავიზიანე მუხლები და დღეს ქუჩაში მარტო გასვლის მეშინია, რადგან ხანდახან, ფეხები მეკვეთება და ვეცემი.

— მიზანს ხშირად აცდენდით?

— ეს თითქმის არ ხდებოდა. მე ამ საქმის პროფესიონალი ვარ. როცა აფხაზეთში ვიბრძოდი, მამაკაცების უმეტესობამ ისიც არ იცოდა, რომ ქალი ვიყავი, რადგან ჩემს ნამდვილ სახელსაც არავან მეძახდა. მებრძოლებმა ჩემი პროფესიონალიზმიდან გამომდინარე, მეტსახელად რემბო შემარქვეს და ყველა ამ სახელით მომმართავდა.

— თქვენი სამიზნის მიმართ სიბრალულის გრძნობა არ გიჩნდებოდათ ხოლმე?..

— იმდენ საშინელებას და უბედურებას ვხედავდი, რომ გული გამიქვავდა... „რაზვედკაში“ ყოფნის დროს, ტექნიკის დასათვალიერებლად ახალ ათონში ჩამიყვანეს. საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ მოჰყავდათ აფხაზებს ქართველი ფეხმძიმე ქალები, აშიშვლებდნენ, მუცელს უფატრავდნენ, ჩვილები ამოჰყავდათ და ტბაში ყრიდნენ. ყოველივე ამის შემდეგ, შეიძლებოდა, მათ მიმართ, სიბრალულის გრძნობა მქონოდა?!. ტყვეც ამიყვანია, მიწამებია, ყელიც გამომიჭრია. ამ დროს, შურისძიების გრძნობა მიღვივდებოდა და დაუნდობელი, შეუბრალებელი ვხდებოდი... მიუხედავად ასეთი თავდადებული ბრძოლისა, მაინც დავმარცხდით. დავმარცხდით იმიტომ, რომ აფხაზეთი გაყიდული იყო. შევარდნაძემ მოგვატყუა, ბოლოს, როცა უკიდურესი მდგომარეობა შეიქმნა და დამხმარე რაზმები გვჭირდებოდა, მან ვითომ გაგვამხნევა — ნუ გეშინიათ, ახლა მოვა დამატებითი ძალა და ყველაფერი კარგად იქნებაო. თვითონ მას კორიდორი გაუკეთეს და თბილისში ჩამოვიდა. ჩვენ კი, იქ უიმედოდ, მოტყუებულნი ჩავრჩით... ამ ბრძოლის დროს მე და ჩემმა შვილმა, 2 მძიმე კონტუზია გადავიტანეთ. ნერვიულობისა და შიშისაგან, კვანძების სიმსივნე გამიჩნდა... ბოლოს, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რომ ბალახის ჭამა დავიწყეთ... აქ უკვე აღარ გველოდებოდნენ, იფიქრეს — დაიხოცნენო. რატომღაც, ჩვენი საბუთები მოუძებნიათ და დაუწვავთ. როცა თბილისში დავბრუნდით, არ ვიცოდით — ვინ ვიყავით და რას წარმოვადგენდით.

— თბილისში დაბრუნების შემდეგ, სამხედრო სამსახური არ გაგიგრძელებიათ?

— ჩემი თავდადება არავინ დამიფასა, პირიქით, ლანძღვა დაგვიწყეს — ვინ ხართ, რა გაგიკეთებიათო?!. მე და ჩემს შვილებს გვდევნიდნენ, ქუჩაში ვერ გამოვდიოდით, ამიტომ, გავყიდე ერთი საცხოვრებელი ბინა და შვილები საზღვარგარეთ გავუშვი, დღემდე იქ არიან. იქიდან რომ არ მეხმარებოდნენ, ალბათ შიმშილით მოვკვდებოდი.. მე და ჩემმა თანამებრძოლებმა ჩამოვაყალიბეთ „პატრიოტთა და მებრძოლთა“ პარტია, რომელიც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დალოცა. გვაქვს ჩვენი დროშა და ლოგო. პარტიის თავმჯდომარეა გენო კვერნაძე, მე კი, თანათავმჯდომარე ვარ. ჩვენი ტკივილი — საქართველოა... ძალიან მწყდება გული, რომ ჩვენმა ხალხმა და მთავრობამ მებრძოლი, პატრიოტი ადამიანები უყურადღებოდ დაგვტოვა. პენსიაც კი არ დამინიშნეს. მიუხედავად ამ დიდი გულისტკივილისა, მაინც შემწევს იმის ძალა, რომ ჩემი ქვეყნის ინტერესების დასაცავად კვლავ ვიბრძოლო.

მე და ჩემმა თანამებრძოლებმა ჩამოვაყალიბეთ „პატრიოტთა და მებრძოლთა“ პარტია

როგორ ატარებს ერთ ჩვეულებრივ დღეს, როგორ ერთობა და რაში ხარჯავს დროს ტელეკომპანია „იმედის“ ტელეჟურნალისტი ინგა გრიგოლია? — ამის გასარკვევად, მას სამსახურში შევხვდი. ჩვენ, დღის უმეტესი ნაწილი ერთად გავატარეთ. როგორც ინგამ მითხრა, ამ ბოლო დროს, დილის 7 საათზე ეღვიძება, თავს იწესრიგებს და 12-საათიანი საინფორმაციო გადაცემის ყურების შემდეგ, სახლიდან გამოდის.

„ცხოვრება სამსახურზე მაქვს აწყობილი, მაგრამ მიუხედავად ამისა, პირადი ცხოვრებისთვის, მეგობრებისთვის, შვილთან და ნათესავებთან ურთიერთობისთვის დროს მაინც ვპოულობ“, — ამბობს ინგა.

ინგა გრიგოლიას ორი წლის ბავშვივით ეფერებიან

ნინი ქისტაური

ის ყოველთვის წინასწარ გეგმავს — რა უნდა ჩაიცვას მეორე დღეს. სახლიდან გარეთ გამოსულს, საკუთარი ავტომანქანა ყოველთვის ფარეხიდან გამოყვანილი ხვდება, რომელიც ან მარიამს (შვილს) გამოჰყავს, ან ინგას მამას (ინგა მშობლებთან ახლოს ცხოვრობს. — ავტ.). იმ დღეს, როდესაც ჩვენ ერთმანეთს შევხვდით, ინგამ მთხოვა — სახლიდან ისე გამოვედი, არ მისაუზმია, სასადილოში ჩავიდეთ და ყავა დავლიოთო, მაგრამ... ყავის დალევა ვერ შევძელით, რადგან ინგას მობილურ ტელეფონზე დაურეკეს და მის კაბინეტში მოგვიხდა ასვლა. სანამ მე მის კაბინეტს ვათვალიერებდი, ინგამ ვიღაცას საქმიანი შეხვედრა გადაუდო და გამიმხილა: მაქსიმალურად ვეცადე, შეხვედრები გადამედო და ეს დღე საინტერესოდ გამეტარებინაო. ცოტა ხანში, მას მარიამმა დაურეკა:

„მე და ჩემს შვილს, მთელი დღე სატელეფონო საუბრები გვაქვს, ერთმანეთს სულ ვაკონტროლებთ, მაგრამ უფრო ხშირად, მარიამი მეხმიანება. ხანდახან იმდენჯერ მირეკავს, რომ ისტერიკაში მაგდებს“.

ამის შემდეგ, ინგამ ჩანთა აიღო და მითხრა: სალონში წავიდეთ, თავს მოვიწესრიგებო. მინდა გითხრათ, რომ ის ავტომანქანას სწრაფად და პროფესიონალურად მართავს:

„მეგობრები მაშაყირებენ — მოწოდებით მძღოლი ხარო და მეც ვეთანხმები. შემიძლია, დიდი ხანი ვიჯდე საჭესთან და არ დავიღალო. მქონია შემთხვევა, ბათუმში ჩავსულვარ და იმ დღესვე, უკან დავბრუნებულვარ. ჩემთვის ავტომანქანით მგზავრობა კომფორტია. როდესაც ცუდ ხასიათზე ან დაღლილი ვარ და განტვირთვა მჭირდება, ყველას „დავუტყდები“, საჭეს მივუჯდები და ქალაქგარეთ მივდივარ ხოლმე. შემიძლია, მთელი ღამე წინ და უკან ვიარო და საოცარია, რომ ეს არ მბეზრდება“.

მიუხედავად იმისა, რომ ინგას გოგონა ჯერ სულ 16 წლისაა, უკვე 4 წელია, რაც საჭეს დედასავით კარგად ფლობს. მას მანქანის ტარება ბაბუამ ასწავლა. როდესაც ინგა უმანქანოდ ქალაქიდან გადის, შინ დაბრუნებულს ავტოფარეხი ცარიელი ხვდება, რადგან დედის ავტომობილს, შვილი დაატარებს ხოლმე. ეს კი, დედა-შვილს შორის ჩხუბის მიზეზი ხდება. საუბარში გართულებმა თავი ვაკეში ამოვყავით და სილამაზის სალონში შევედით. ინგა უკვე სამი წელია, რაც ხელოვნურად დაგრძელებულ თმას ატარებს. ჩემდა გასაოცრად, მას სამკაულები არ მოსწონს. სამაგიეროდ, პარფიუმერიულ ნაწარმში ფულს სიამოვნებით ხარჯავს. მას, ოპერაციის შემდეგ, სოლარიუმზე უარის თქმა უწევს, თუმცა, სხეულის ფერის ოდნავ შეცვლას მაინც ახერხებს. მისი კანის ბუნებრივი ფერი, როგორც თვითონ თქვა — „საშინლად თეთრია“.

„ყოველთვის ვცდილობ, ფორმაში ვიყო, რადგან თუ შენ არ მოგწონს საკუთარი თავი, შეუძლებელია სხვას მოეწონო. განწყობილების მიხედვით ვირჩევ ტანსაცმელს, ფერებს და ვარცხნილობასაც. ზოგჯერ, თმას თვითონ ვიკეთებ, მაგრამ არის პერიოდი, როდესაც თითქმის ყოველდღე სილამაზის სალონს ვსტუმრობ“.

ამასობაში, ინგას ვარცხნილობა გაუკეთეს და სალონიდან წამოვედით. ამის შემდეგ, მან თავისი ახალი ბინის დათვალიერება შემომთავაზა, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდი. მისი ბინა ვაკეში, ახალაშენებულ კორპუსში მდებარეობს. მართალია, რემონტი დამთავრებულია, მაგრამ იქ, ჯერ არ გადასულა. ოთახების ფერის შერჩევა, ინგას და მარიამის გემოვნების სინთეზით მოხდა. ბინის მოწყობას ზაფხულში, ინგას შვებულების დროს აპირებენ. მათი გათვლებით, ეს პროცესი სექტემბერში უნდა დამთავრდეს. ინგამ დანანებით თქვა, რომ თავს დიდი ფუფუნების უფლებას ვერ მისცემს — „საბანი სადამდეც გაგწვდება, ისე უნდა დაიფაროო“.

„ჩემთან შედარებით, მარიამს, უფრო დახვეწილი გემოვნება აქვს. როდესაც ტანსაცმელს ვყიდულობ, რჩევას აუცილებლად მას ვეკითხები. მის აზრს ყოველთვის ვიზიარებ და წაგებული არასდროს ვრჩები“.

ახალი ბინიდან მალე წამოვედით. გადასვლისას, ინგას მისმა დამ დაურეკა.

„მე და ჩემი და ერთმანეთზე სულიერადაც და ფიზიკურადაც გადაბმულები ვართ. როცა ჩემი და დასასვენებლად მიდის, ის პერიოდი ჩემთვის აუტანელი ხდება. ის არის ადამიანი, რომელმაც ჩემი ცხოვრების ნებისმიერი დეტალი იცის. დედასთან, შვილთან და დასთან, პრაქტიკულად არაფერი მაქვს დამალული. ზოგჯერ, ნოსტალგია მომეძალება — დედა არანორმალურად მომენატრება და მაშინვე მასთან მივდივარ. წუხელ, მეგობრები „სითი ქლაბში“ ვიყავით და იქიდან, პირდაპირ დედასთან ავედი — როცა მოწყენილი ვარ ან რამე პრობლემა მაქვს, ერთადერთი თავშესაფარი დედაჩემის სახლია. ის ისევ ისე მეფერება, როგორც ორი წლის ბავშვს. მარიგებს, მამშვიდებს“.

მისი კანის ბუნებრივი ფერი, როგორც თვითონ თქვა — „საშინლად თეთრია“

ინგას დიზაინერებთან სიარულსა და სამოსის კერვას, მზა ტანსაცმლის ყიდვა ურჩევნია. მან მითხრა, რომ შოპინგს ბევრჯერ მოუყვანია ხასიათზე:

„მაგრამ სულ სხვაა, როცა საზღვარგარეთ ხარ, ბევრი ფული გაქვს, მაღაზიებში დადიხარ და რასაც გინდა — ყიდულობ, კაიფია რა“...

ამასობაში, ტელევიზიაში დავბრუნდით და მან, გადაცემაზე მუშაობა დაიწყო. მისთვის დაუვიწყარი გადაცემა იყო, როცა „რეაქციაში“, სტუმრად პოლიტიკოსების შვილები ჰყავდა. რთული წასაყვანი კი იყო,

მაგრამ ყველაზე გემრიელი და სასიამოვნო გამოვიდაო — მითხრა. ინგა საქმიანობის დროს, ცოტა არ იყოს მკაცრია...

„მართალია, მკაცრი ვარ საკუთარი თავის მიმართ და აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სხვის მიმართაც სიმკაცრეს ვიჩენ. სამუშაო დიდ პასუხისმგებლობას და ენერგიის ბოლომდე დახარჯვას მოითხოვს“.

ტელეჟურნალისტის მუშაობის პროცესი, ჩემთვის მოსაწყენი აღმოჩნდა... მას საქმიანი და დატვირთული დღის შემდეგ, მეგობრები საღამოს ერთად გასატარებლად ეპატიჟებოდნენ. მათ, თბილისში, რამდენიმე ამორჩეული ადგილი აქვთ.

„როცა გართობა, ცეკვა და ყველაფრის დავიწყება მინდა, „სითი ქლაბში“ მივდივარ და „ავიწყვეტ“ კიდეც, რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად, ხოლო თუ მშვიდად ლაპარაკი, ჭორაობა გვინდა, მაშინ შარდენზე, რომელიმე კაფეში მივდივართ, სადაც დროს ბალიშებზე მოკალათებულები ვატარებთ. 35 წლის ვარ და არ მახსოვს, საღამოს 10 საათზე სახლში ვყოფილიყავი და საოჯახო საქმეებზე მეფიქრა. ყოფილა შემთხვევები, როცა ღამის 2-3 საათზე, გადაცემის შემდეგ, ტელევიზიიდან გამოვსულვარ, სახლში ამირბენია, ტანსაცმელი გამომიცვლია, მაკიაჟი გამიკეთებია და გასართობად, მეგობრებთან „ტუსოვკაზე“ გავქცეულვარ“.

საუბარ-საუბარში ტელევიზიიდან გამოვედით, უკვე კარგად შებინდდა. ინგამ მარიამს დაურეკა და უთხრა — მოემზადეო.

„მარიამი უკვე ჩემს მეგობრებთან ერთად დადის გასართობად. ხშირად, მათთან ჩემ გარეშეც წასულა. ჩემი უპირველესი მოვალეობა, შვილთან ხშირი ურთიერთობაა. მას ჩემს ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ადგილია უკავია.

თუ მშვიდად ლაპარაკი, ჭორაობა გვინდა, მაშინ შარდენზე, რომელიმე კაფეში მივდივართ

ჩვენი დუხჭირი ცხოვრების „რეალური შოუ“ არ გვეყოფოდა, ახლა „რუსთავი 2“-ის რეალური შოუ — „ჯეიობარი“ რომ გაგვიხდა თავში სახლელი. გამუდმებით ვფიქრობთ იმაზე, ვის დასვამენ მინუსსკამზე მოთამაშეები, რა ინტრიგა გათამაშდება „ჯეიობარში“, ვინ აკოცა ტუჩებში ყველაზე სექსუალურ და ვნებიან ტატას, ვინ ვისი შეყვარებულია და ასე შემდეგ. მაგრამ რადგანაც ეს „რეალური შოუც“, ისევე, როგორც ბევრი სხვა რამ, ჩვენი ცხოვრების „რეალური შოუს“ შემადგენელი ნაწილია, რა გაეწყობა? მეტი რა გზა გვაქვს? ყოველ ცისმარე დღეს, მივჩერებივართ ტელეეკრანს და გვაინტერესებს, ვინ გახდება კიდევ ერთხელ 35.000 ლარის მფლობელი.

გასულ კვირას, „ჯეიობარი“, კოტიკო თოლორაიასთან ერთად, კიდევ ერთმა ადამიანმა დატოვა. ეს, „ჯეიობარში“ მომუშავე „ბომონდის“ ჟურნალისტი — ნიკა ხაჩიძე გახლავთ. ნიკას სამსახური პროდიუსერმა, გიორგი ხაბურზანიამ დაატოვებინა, მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ის ყველაზე სექსუალურ და ვნებიან ტატას შეუყვარდა. არადა, მოთამაშეებსა და კადრს მიღმა მომუშავე ჟურნალისტებს შორის მსგავსი რამ კატეგორიულად იკრძალება...

ვინ შეუყვარდა ტატას „ჯეიობარში“ და ვინ დაკარგა სამსახური ამის გამო

ლალი ფაცია

— ნიკა, როდესაც „ჯეიობარი 2“ იწყებოდა, შენ ამ პროექტის პროდიუსერისგან შემოთავაზება მიიღე, რომ „ჯეიობარში“ ჟურნალისტად გემუშავა — კადრს მიღმა აგელო ინტერვიუები მონაწილეებისგან. შენ პარალელურად, პრესის („ბომონდი“) ჟურნალისტიც ხარ, ამიტომ მაინტერესებს — მაშინვე დათანხმდი ამ წინადადებას?

— დიახ, ბევრი არ მიფიქრია, რადგან „ჯეიობარის“ პროდიუსერი გიორგი ხაბურზანია თავისი საქმის პროფესიონალია, მას ბევრი პროექტი აქვს წარმატებით განხორციელებული, მათ შორის — „ვის უნდა ოცი ათასი“, „ხალხის პირისპირ“, „ყველაზე ჭკვიანი“ და ბოლოს, „ჯეიობარი“. ჩემთვის ის ავტორიტეტი იყო, ძალიან მინდოდა, მასთან მემუშავა, იქ მიღებული გამოცდილება ბევრ რამეში დამეხმარებოდა ჩემს შემდგომ კარიერაში.

— რადგან „ჯეიობარი 2“-ში კადრს მიღმა მუშაობის გამოცდილება გაქვს, მოდი, გვითხარი, რა ხდება კადრს მიღმა, ეს ყოველთვის აინტერესებს მაყურებელს.

— ჩვენ — შიგნით მომუშავე ჟურნალისტები მუდამ მოვლენების ეპიცენტრში უნდა ვყოფილიყავით. ტელეეკრანებზე ვუყურებდით, თუ რა ხდებოდა ბარში და როდესაც საინტერესო სიტუაცია იქმნებოდა, მივდიოდით და მონაწილეების ინტერვიუებს ვწერდით. მაგრამ ჟურნალისტებსა და „ჯეიობარელებს“ შორის, დისტანცია უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ იქ ჩემი რამდენიმე ნაცნობი და მათ შორის, ერთი უახლოესი მეგობარი — კოტიკო იყო, არ შეიძლებოდა რომელიმე მათგანისთვის რჩევის მიცემა ან საერთოდ, რაიმეზე დალაპარაკება. იმაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, რომ „ჯეიობარელთან“ გეფლირტავა...

— მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ვიცი, შენ იქ შეიტყვე, რომ შენ მიმართ „ჯეიობარელ“ ტატას სიმპათია გასჩენია...

— დიახ, რამდენიმე მონაწილემ მითხრა — ტატას სიმპათია აქვს შენ მიმართო.

— თვითონ თუ იღებდი ტატასგან ინტერვიუებს?

— კი და სხვათა შორის, ჩემთან საუბრისას, იხსნებოდა. მე მასთან მეტი შეხება არ მქონია. „ჯეიობარამდე“ საერთოდ, არც ვიცნობდი.

— როგორი რეაქცია გქონდა, როცა შეიტყვე შენ მიმართ ტატას სიმპათიის შესახებ, როგორ შეხვდი ამას?

— თავიდან ამის შესახებ ნატამ და გუგამ მითხრეს, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მოგვიანებით, იგივე

მითხრა კოტიკომ, ჩემმა მეგობარმა, რომელიც შევიდა ბარში და მანაც იქ გაიგო ამის შესახებ. შემდეგ დავფიქრდი — ეს ამბავი რომ გახმაურდეს, უფროსებმა რომ გაიგონ, სამსახურიდან წასვლა მომიწევს-მეთქი. ვიმეორებ: პირადი ურთიერთობები ჟურნალისტსა და „ჯეობარელს“ შორის, პროექტის მიხედვით, სასტიკად აკრძალულია. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობდი, ეს თემა „ჩამეკლა“ და ამისთვის აფიშირება არ გამეკეთებინა. ხუმრობად ავღვიქვამდი.

— თავად ტატა არაფერს ამჟღავნებდა?

— თავიდან მას ეგონა, რომ ამის შესახებ არაფერი ვიცოდი. მერე, ერთ-ერთ ჟურნალში დაიბეჭდა კოტიკოს ინტერვიუ და იქ ჩემზე იყო ლაპარაკი. ამის შემდეგ, ის მიხვდებოდა, რომ ამის შესახებ ვიცოდი, თუმცა ჩემთან არაფერს იმჩნევდა.

— საოცარია, ის საკმაოდ თამამი და გაბედული გოგოა და თავის გრძნობებში როგორ არ გამოგიტყდა?

— არა, არა, მსგავსი რამ რომ გაეკეთებინა, მას პროექტის დატოვება მოუწევდა.

— ნიკა, შენ თვითონ რას ფიქრობ ამ ადამიანზე?

— მე მას ახლოს არ ვიცნობ. შემიძლია, შევაფასო როგორც მოთამაშე. ვიტყვი, რომ მომწონს. მართლაც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. როგორც ქალზე, ვერაფერს ვიტყვი, ჩემი დასაწუნი მართლა არაფერი სჭირს, მშვენიერი გოგონაა.

— ის იმიჯი, რომელიც „ჯეობარში“ შეუქმნეს — ყველაზე ვნებიანი, სექსუალური ტატა, — რეალობას შეესაბამება?

— სექსუალური არის და ამის გამოც გამოირჩეოდა ყველა სხვა დანარჩენისგან...

— შენ თქვი, რომ არც მონაწილეს და არც იქ მომუშავე ჟურნალისტს, თავის გრძნობები არ უნდა გამოემჟღავნებინა, თორემ, იქაურობის დატოვება მოუწევდა. ტატამ, გარკვეული დოზით, ეს გრძნობა გამოხატა, მაგრამ დღესაც აგრძელებს თამაშს, პროექტი და სამსახური კი, შენ დაგატოვებინეს. რატომ?

— ბოლო „ლაივ-შოუზე“ თამუნამ აღნიშნა — ტატა მოწყენილია, დეპრესიაშია, რადგან საყვარელმა ადამიანმა უღალატაო. ამ საყვარელ ადამიანში, მე ვიგულისხმებოდი, თუმცა, ასე არ ყოფილა — ყველაფერი თამუნას ფანტაზიის ნაყოფი იყო. რატომ თქვა ეს, რისთვის, — არ ვიცი.

— როგორ ფიქრობ — ტატას შენ მიმართ გრძნობა თამაშიდან გამოსვლის შემდეგაც ექნება?

— მართალია, ტატამ სხვებისგან რაღაცით გამომარჩია, ჩემ მიმართ სიმპათია გაუჩნდა, მაგრამ დაწმუნებული ვარ, თამაშის დასრულების შემდეგ, ეს გრძნობა ძალიან მარტივად გაუქრება.

— რომ არ გაუქრეს?

— *(იცინის)* ეს ჩემი პრობლემა არ იქნება.

— ტატამ რომ გაიმარჯვოს ამ „რეალურ შოუში“?

— ძალიან გამიხარდება.

— მისი გამარჯვება შენთვის რამდენად მნიშვნელოვანია?

— ჩემთვის დღეს იქ დარჩენილი სამი მონაწილიდან (ტატა, თამუნა, ჩელე), მაინცდამაინც არც ერთის გამარჯვება არ არის მნიშვნელოვანი, რადგან ვისაც ვგულშემატკივრობდი — კოტიკოს — იმან დატოვა თამაში.

— კარგი, შენ რატომ დაგატოვებინეს სამსახური?

უბრალოდ, „ლაივ-შოუზე“ რაღაც-რაღაცები გამჟღავნდა

ტატა შიგნით სულ ლაპარაკობდა ნიკუშაზე, ელოდებოდა ხოლმე სამსახურში მის მოსვლას...

— მე რომ იქ დავრჩენილიყავი, არ შეიძლებოდა, რადგან, ტატა იმით „იგრუზებოდა“, რომ ადამიანი, რომელიც შეუყვარდა, გვერდით ჰყავდა, მაგრამ ვერ ელაპარაკებოდა.

— იქნებ, შენი წასვლით უარესად შეწუხდეს?..

— როგორც ვიცი, მას უთხრეს, — შენ გამო პროექტი დავატოვებინეთ ნიკასო. თურმე, ძალიან განიცადა, ეხვეწებოდა — დააბრუნეთო, — მაგრამ აზრი აღარ ჰქონდა, მე თვითონაც აღარ დავბრუნდებოდი.

— ისე, სულ არანაირი გრძნობა არ გაგჩენია ტატას მიმართ?

— ბოლოს, მის მიმართ სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა. „ლაივ-შოუზე“ თამუნამ ეს თემა რომ წამოსწია და კოტიკო აჰყვა, ტატა ძალიან დაიძაბა, ეს ეკრანზეც ჩანდა. მან ხელები სახეზე აიფარა.

— რა მოხდებოდა მაშინ, შენ რომ გაგჩენოდა მსგავსი გრძნობა ტატას მიმართ?

— ვეცდებოდი, ჩემი გრძნობა გამეკონტროლებინა...

— რამდენად შესაძლებელია, სიყვარულისა და გრძნობის გაკონტროლება?..

— მე ჩემს გრძნობას ყოველთვის ვაკონტროლებ. მით უფრო იქ, სადაც ვიყავი, აუცილებლად გავაკონტროლებდი.

— შეიძლება, ზედმეტი კონტროლით სიყვარული დაკარგო...

— თუ ნამდვილი სიყვარულია, არ დაიკარგება...

კოტიკო თოლორაია:

— პროექტში რომ შევედი, ტატამ გაიგო, რომ ნიკუშა ჩემი მეგობარი იყო და ცდილობდა, ჩემთან მასზე ელაპარაკა. უნდოდა, რაღაც ტექსტები დაეწერა და კონვერტით გაეგზავნა. ვეუბნებოდი — არ გინდა, შენც საფრთხეში ჩაიგდებ თავს და სხვასაც შეუქმნი საფრთხეს-მეთქი.

— ესე იგი, ტატამ, ფაქტობრივად, ნიკა გაწირა?

— ხმამაღალი ნათქვამი იქნება — ტატამ ნიკუშა გაწირაო ის ამ თემაზე ხმადაბლა და ჩუმად ლაპარაკობდა... უბრალოდ, „ლაივ-შოუზე“ რაღაც-რაღაცები გამჟღავნდა და — არა ტატას მიერ.

— ესე იგი, თამუნამ გაწირა?..

— გაწირა — არ ვიცი, მაგრამ ამ თემის გახმაურებასა და გამჟღავნების ინიციატივა თამუნასგან წამოვიდა... არადა, ტატა შიგნით სულ ლაპარაკობდა ნიკუშაზე, ელოდებოდა ხოლმე სამსახურში მის მოსვლას...

ნიკა ხაჩიძე:

— მე ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ეს თემა არ გახმაურებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა...

■

თამუნა კვინიკაძე

როდესაც მუსიკოს ზაზა კორინთელს ინტერვიუსთვის შეხვედრა ვთხოვე, იუარა — „არტ-გენი“ იწყება და ძალიან დაკავებული ვარო... მიუხედავად ამისა, ჩვენი დიალოგი მაინც შედგა და ზუმბამ მის ცხოვრებაში პირველად მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები ხალისით გაიხსენა.

სკოლადამთავრებულ ანმოსოული „ეხიარული გულები“ და მეგობრისაგან ბოსი დეპუტატი ქალი „ის განცდა და ემოცია სიცოცხლის ბოლომდე გამყვება“

— „არტ-გენი“ 14 ივლისს გაიხსნება. ვფიქრობ, რომ ამ ფესტივალის ჩატარების ტრადიცია მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. ბევრი კარგი, მაგრამ მივიწყებული მელოდია ახალგაზრდობისთვის უცნობი არ უნდა იყოს. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ჯანსაღი კრიტიკა არ არსებობს. დღევანდელი პოპმუსიკის ხარისხს არ შევაფასებ, იმიტომ, რომ უფრო ღირებული რამ მაინტერესებს — ის, რაც დროს გაუძლებს.

— დღევანდელი პოპმუსიკა ღირებული არ არის?

— ღირებული, 60-70-იანი წლების ესტრადა იყო.

— მოდი, ჩვენი რუბრიკის ძირითად თემას დავუბრუნდეთ...

— ცხოვრებაში პირველად მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, არა?.. ჩემი პირველი ჯგუფის შეკრება ისე მახსოვს, როგორც პირველი სიყვარული. ალბათ, ამ თემაზეც მკითხავ რამეს, ამიტომ დაგასწრებ და გეტყვი, ბაღში სიარული საშინლად არ მიყვარდა. ამის გამო, ყოველთვის ვჭირვეულობდი, მაგრამ მოგვიანებით, როცა მშობლებმა სხვა ბაღში გადამიყვანეს, იქ ხალისით მივდიოდი ხოლმე.

— ალბათ, იმიტომ, რომ იქ ვილაც შეგიყვარდა, არა?

— გამოიცანი *(იცინის)*. მასთან ერთად ვთამაშობდი, მეძინა, სხვა ბავშვებისგან განმარტოვდებოდით და ხის ძირას, ხელიხელგადახვეულები ვისხედით. ის განცდა და ემოცია ახლაც მახსოვს და ალბათ, სიცოცხლის ბოლომდეც გამყვება.

— პირველ კოცნაზე და პირველ პაემანზე რას გვეტყვი?

— არ ვიცი, არ ვიცი, არ ვიცი...

— რა არ იცი?

— ასეთ რაღაცეებს ყურადღებას არ ვაქცევ... 5 წლიდან სულ შეყვარებული ვარ. ჩვენი ცხოვრება, ისედაც პეპლის ცხოვრებასავით ხანმოკლეა და ისიც თუ უსიყვარულოდ გაატარე, რა ფასი ექნება მას?! მოდი, „სიყვარულობანაზე“ საუბარი ამით დავასრულოთ.

— კარგი, მაშინ პირველი ჯგუფის შეკრება გაიხსენე.

— 13 წლის რომ გავხდი, პაპამ დაბადების დღეზე ჩეხური გიტარა მაჩუქა (ეს მაშინ დიდი ფუფუნება იყო). მამამ გიტარის შემსწავლელ კურსებზე შემიყვანა, სადაც 2-3 წელი დავდიოდი და 7 შემსრულებელთან ერთად ვუკრავდი. ჯგუფის შექმნის იდეაც მაშინ გამიჩნდა. კლასელები ერთ-ერთი მეგობრის სარდაფში ვიკრიბებოდით და სხვადასხვა მიმდინარეობის მუსიკას ვუსმენდით. თანდათან, ჩამოვაყალიბეთ ჩვენი პირველი ჯგუფი — „მხიარული გულები“, რომელიც 9 წევრისგან შედგებოდა. ნელ-ნელა დავიხვწეთ და სარდაფიდან ამოვედით (უნივერსიტეტში რომ ჩავაბარეთ, რექტორმა მუსიკალური აპარატურის მთელი კომპლექტი გადმოგვცა). მიწისქვეშა გადასასვლელებში, ქუჩაში ვუკრავდით... მერე ცუდი პერიოდი დაიწყო. შევარდნაძის რეჟიმმა მიიჩნია, რომ საზოგადოებისთვის სახიფათოები ვიყავით, რადგან ჩვენ მიერ ქუჩაში გამართულ კონცერტებზე 400-500 კაცი იკრიბებოდა. ამის შემდეგ, პოლონეთში წავედი.

— პირველი აპლოდისმენტები თუ გახსოვს?

— ეს იყო ქუჩაში, სადაც ჩატარებული კონცერტები ყველაზე ღირებული იყო — იღებ გიტარას, დგახარ გარეთ, უკრავ და ახერხებ იმას, რომ ათასგვარ საფიქრალს მიცემული ხალხი წუთიერად მაინც გააღიმო. ამას რა სჯობია?!.

— პირველ დათრობას ხომ ვერ გაიხსენებდი?

— ჯერ ისე არ დავმთვრალვარ, რომ ჭკუა დამეკარგოს. ახლა კი, საერთოდ აღარ ვსვამ. პირველად, 2004 წელს, როცა ფესტივალი „არტ-გენი“ ჩავატარეთ, მანამდე, მთელი 3 თვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვმოგზაურობდი, დღეში 3-4 ოჯახში მიწევდა მისვლა. ყველგან მიმასპინძლდებოდნენ და ჩემი მხრიდან უხერხული იქნებოდა — ოჯახის დალოცვაზე უარი მეთქვა. თითოეულ ოჯახში 4 ჭიქის დალევა მაინც მიწევდა. თბილისში რომ ჩამოვედი, 15 კილო მქონდა მომატებული. 2005 წლის „არტ-გენმა“ კი, სულ მომიღო ბოლო...

— პირველად როდის იგრძენი, რომ წარმატებული ადამიანი გახდი?

— ალბათ, ხალხმა სიმღერით — „ვაშლის გამყიდველო“ გამიცნო. პოლონეთიდან რომ ჩამოვედი, შემოქმედებითად ისეთი ანთებული ვიყავი, რომ მუშაობით არ ვიღლებოდი. მაშინ ჩავწერე ალობმი — „ევრორეკორდი“. პირველი კონცერტი „სარდაფში“ ჩავატარეთ. მას სპექტაკლის ფორმა ჰქონდა და „ევროპაროდია“ ერქვა. სცენაზე სუფრა იყო გაშლილი, რომელსაც თამადაც ჰყავდა. პირველად, სიმღერა — „ვაშლის გამყიდველო“ ტელევიზიით რომ გაუშვეს, ამან ხალხში დაბნეულობა გამოიწვია — ზოგს ეგონა, რომ ვაშლის გამყიდველმა გამაბრაზა, ზოგმა რატომღაც, ეს პოლიტიკას დაუკავშირა..

— საერთოდ, კონფლიქტური თუ ხარ?

— კონფლიქტური არა ვარ. მაგრამ მოთმინების ფიალა თუ ამევსო, მერე — ო-ო-ო... ამას არავის ვურჩევ.

— პირველად როდის და რატომ იჩხუბე?

— არ მახსოვს, მაგრამ სკოლებს შორის ჩხუბების დროს, აქტიური ვიყავი და ხშირად, ჩვენი ჩხუბი დამეგობრებით მთავრდებოდა.

— პირველად სიგარეტი როდის მოსწიე?

— სკოლიდან „შატალოზე“ გავიპარეთ და პირველ სიგარეტს გემო მაშინ გავუსინჯე. ეს იყო „განთიადი“, რომელიც იმ დროისთვის საკმაოდ კარგ სიგარეტად მიიჩნეოდა. ახლა, აღარ ვწევი და ალბათ, არც არასოდეს მოვწევ.

— ზაზა, პირველი ჰონორარი რაში დახარჯე?

— პოლონეთში ყოფნისას, 400 დოლარი ავიღე. იმ პერიოდში, როგორც მუსიკოსი, თანდათან ვყალიბდებოდი. სირცხვილი იყო, რომ ნორმალური ინსტრუმენტი არ მქონდა და აღებული თანხით, გიტარა ვიყიდე — გამყიდველს ბოლო ხურდა ფული ისე მივუთვალე, არ დამნანებია.

— თუ გაგიგონია ისეთი ჭორი საკუთარ თავზე, რომელმაც გაგაღიზიანა?

— საერთოდ, ჭორებზე მეცინება ხოლმე, რატომ უნდა გავღიზიანდე? ამას წინათ კი, უთქვამთ: მომღერალი ზუბა ჩინოვნიკი გამხდარაო. ამ სათაურით, რომელიღაც გაზეთში სტატიაც კი დაიბეჭდა, სადაც ჩემი ფოტო, ვიღაც მკერდსავსე რუსი დეპუტატი ქალის გვერდით იყო დაბეჭდილი *(იცინის)*... მე და ჩინოვნიკი?! იცით, ეს რისი ბრალია?

— რისი ბრალია?

— ხალხს კორუმპირებული აზროვნება ჩამოუყალიბდა. ადამიანებს ვერ წარმოუდგენიათ, კაცმა კეთილი საქმე ისე გააკეთოს, რომ მიზნად გამორჩენა არ ჰქონდეს... დიდი სურვილი მაქვს, რომ ასეთი აზროვნება შეიცვალოს. ჩვენ ურთიერთობის კულტურა არ გაგვაჩნია. მეზობლის მიერ დაყრილი ნაგვის გადაყრა, სირცხვილად მიგვაჩნია. მაგრამ მჯერა, რომ მომავალი თაობა ჩვენს შეცდომებზე რაღაცის სწავლას შეძლებს და მალე ყველაფერი კარგად იქნება. ■

sanam cocxlebi varT...

60-iani wlebi

მანანა იამვილი

დასაწყისი იხ. „გზა“ №24-27.

ჟურნალ „გზის“ წინა ნომერში 60-იანი წლების ის ძირითადი ტენდენციები მოვნიშნეთ, რომელიც ჩვენს ცხოვრებას დღემდე მოჰყვება. ქართულ ყოფასა და ცნობიერებაში სწორედ მაშინ მოხდა დიდი გარდატეხა, რომელიც „თავისუფალი სამყაროს“ ქვეყნებმა ისევე განიცადეს, როგორც „სოციალისტურმა ბლოკმა“, მაგრამ ეს თემა ჩვენსას სცილდება და მეცნიერების საკვლევ-საჩხრეკია.

საბჭოთა ბავშვობის იდუმალი ხიბლი

დრაკონები და ძეგლები

ახლა, როდესაც ქუჩაში სამათხოვროდ დაყრილ ბავშვებს ჩავუვლი, რომელთა ანგარიშიანი მზერა ზუსტად აფასებს, რამდენის გამეტების თავი გაქვს, მრცხვენია იმის თქმა, რომ ჩემი თაობის ბავშვობა მაინც უსასრულო ზღაპარს ჰგავდა. ყოველ ახალ დღეს, ახალი შეგრძნებები და საოცრებები მოჰქონდა თან, სასიხარულო, ხანაც, საშიში და გაუგებარი; მაგრამ ეს ჩვენი ბავშვური თამაშის ნაწილი იყო, რომლითაც რეალობას ვსწავლობდით და ვეჩვეოდით.

...აი, დედა სანოვაგის საყიდლად, გასტრონომის უსასრულო რიგში დგას. მე და ჩემი მეგობრები კი, ჩინური ფაიფურის ვარდულებით მორთულ დიდ ლარნაკებს ვათვალიერებთ, რომლებიც სხვადასხვა ფორმის და გემოს შოკოლადის ფილებითა და კანფეტებითაა სავსე. ურიცხვი რაოდენობის „ზეფირი“, „გრილიაჟი“, „დათუნია“, „კიბოს კისერი“, „მოსკოვური“, ხილის და შოკოლადის „ბატონჩიკი“ მაცდურად გამოიყურება, ხოლო, გასტრონომის ვეებერთელა დარბაზის ამ ნაწილში დადგმული, კაცის სიმაღლე დიდი ლარნაკებიდან ოქროსფრად აელვარებული დრაკონები ისე შემოგაცქერიან, როგორც ამ გმირიელი სიმდიდრის მცველები. ბავშვები გადაჯვარედინებული ხელებით ერთმანეთს ვეჭიდებით და ტრიალს ვიწყებთ. თანდათან სისწრაფე მატულობს და მოჭუტულ თვალებში ბროლის ჭაღებიდან გადმოფრქვეული ვარსკვლავების წვიმა თავზე გვეყრება. ჩვენი „წკრიალა“ სიცილი ჭერს სწვდება და მოხუცი მოლარეების აღშფოთებას იწვევს. სალაროს აპარატები „ბრაზიანად“ ჩხაკუნობს და ხმაურიანი „დაცემინებისთანავე“, უხეშ, ოთხკუთხა ქაღალდებს ისვრის. ესეც ძალიან სასაცილო და საინტერესოა. რიგში დგომით დაქანცული უფროსები თამაშს გადაყოლიან ბავშვებს ყასიდად გვტუქსავენ. მათი რეაქციის მიხედვით ვხვდებით, რამდენად შეუძლიათ ტკბილეულთან დაკავშირებული ჩვენი სურვილის ასრულება.

ბრაზიანი და ბოროგი ყოველ ნაბიჯზე დადგმული ძეგლები იყო, რომლებიც მაფრთხობდა და მაშინებდა

დრაკონები სულაც არ იყვნენ ბოროტები, ისინი მშვიდი და ლამაზები ჩანდნენ. არც მოლარეები იყვნენ ყოველთვის ბრაზიანები. თუ რამეს ყიდულობდი, ღიმილით გიბრუნებდნენ ხურდას და გამყიდველსაც გასძახებდნენ — ურიგოდ გაუშვიო. ჩემთვის ბრაზიანი და ბოროტი ყოველ ნაბიჯზე დადგმული ძეგლები იყო, რომლებიც მაფრთხობდა და მაშინებდა. ჩვენი ქუჩიდან როგორც კი გახვიდოდი, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, მაღალ კვარცხლბეკზე „ამძვრალი“ ლენინი ჩრდილოეთისაკენ სასაცილოდ ფშეკდა თითს და მოედნის სივრცეს კეტავდა. პიონერთა სასახლის ფოიეში დამდგარ ლენინის თავს კიდევ უფრო ბოროტი გამომეტყველება ჰქონდა. წარბაწეული ეჭვიანად გაკვირდებოდა და თუ მას მშვიდობიანად აუქცევდი მხარს, სარკეებიანი დარბაზის მიღმა დეიდა მაროსა და ძია დავითის (მარიამ აბრამიშვილი და დავით ჯალაღანია) ჯადოსნურ სამფლობელოში მოითქვამდი სულს. იქ, მიმქრალ ბინდბუნდში თოჯინები ცხოვრობდნენ და ხშირად, მხოლოდ შენთვის მხიარულ სპექტაკლებს მართავდნენ. მათგან განსხვავებით, „ნამდვილი“ თოჯინების თეატრი“ სულ სხვანაირი იყო. მწვანედ დაბურულ ხეივანში უსასრულო კიბე ჩადიოდა და პატარა სასახლის სიბნელეში ხვდებოდი. მოხუცი დეიდები დარბაზამდე გაცილებდნენ, სადაც უამრავი ბავშვი ჟივილ-ხივილით გულშემატკივრობდა და აფრთხილებდა წითელქუდას: „მგელია, მგელი!“ ან გასუსული უსმენდა ნაბდიან კომბლეს: „კომბლე ის კაცია, კომბლებსა თლის და ჭერში აწყობს!“

მაგრამ „საშიში“ ძეგლები და სურათები ყველგან იყვნენ ჩასაფრებული. პუშკინის ქუჩაზე, უნივერმაღ „ბავშვთა სამყაროს“ ვიტრინაში პატარა მანეკენებს მკვდარი ღიმილი შეჰყინივოდათ სახეზე. შესასვლელში კი, უზარმაზარ, ჩექმებიან, ულვაშა სტალინს, საშინლად მახინჯი გოგონა ჩაეკრა გულში... იქ წასვლა ჩემთვის წამება იყო, თვალდახუჭული, დედას ხელს ჩავავლებდი და ისე ჩავივლიდი ხოლმე „საშიშ ზონას“. იქ სანახავი ბევრიც არაფერი იყო: ხაერდის უგვანო დათუნიები და ყურცქვიტები; უშნოდ მოხატული და ფეხებდაბრეცილი ჭყეტელა თოჯინები; რაღაც ჩასაცმელი, რომლის გადაკეთებაც დედას მუდმივად უხდებოდა და სათამაშო რკინიგზა, რომელიც მართლა მომწონდა, მაგრამ არ იყიდებოდა.

სამაგიეროდ, მოედნის მეორე მხარეს, ორსართულიანი უნივერმაღის ჭრაჭუნა ხვეული კიბე რაღაც საინტერესოს მიყვებოდა. მოპირდაპირე მხარეს, რუსთაველის პროსპექტზე ვიტრინაში კი, თვითმფრინავის მაკეტი იდგა. შიგ პატარა კაცუნები ორ რიგად ისხდნენ და გაფრენას ელოდნენ. თვითმფრინავის ცხვირში სამი პილოტის ფიგურაც მოჩანდა. საათობით შემეძლო ამ თვითმფრინავისა და მისი მგზავრების ცქერა. მამა მოთმინებით მიცდიდა, პაპიროსს ეწეოდა და იღიმებოდა. შემდეგ, სასეირნოდ ალექსანდრეს ბაღში მივდიოდით.

ყველაზე სასიხარულო და სანატრელი, ოპერის ზღაპრულ სასახლეში სტუმრობა იყო, სადაც ლამაზი ფერიები ჯადოსნური მუსიკის თანხლებით დაფარფატებდნენ. სცენაზე ბოროტი ჯადოქრები შავად ტრიალებდნენ თეთრი პრინცების გარშემო და მზეთუნახავებს იტაცებდნენ. მწუხარე აბესალომი მოჯადოებულ ეთერს დასტიროდა და თეთრი გედები სადღაც შორს მიფრინავდნენ... ჩემთვის ყველა სპექტაკლი ერთ რეალობას წარმოადგენდა, რომელიც მუდმივად არსებობდა და მისი გმირებიც ამ ჯადოსნურ სასახლეში ცხოვრობდნენ.

სკოლაში რომ წავედი, ძეგლები იქაც „ჩასაფრებული“ მელოდნენ. ჩვენი სკოლის ძველებურად ლამაზი შენობა ახლაც დგას ქიქოძის ქუჩაზე, სადაც ჩემამდე და ჩემ შემდეგაც, ღმერთმა იცის, მერამდენე თაობა სწავლობს.

მარმარილოს კიბეს აირბენდი და ქვის მოაჯირის ორივე მხარეს, ლენინი და სტალინი გხვდებოდა. თუ აგვიანებდი — მით უარესი: ამ დროს მათ გვერდს დირექტორი ან მორიგე მასწავლებელი უმშვენებდა... ძეგლები ძალიან ბრაზიანები იყვნენ. სადაც არ უნდა მდგარიყავი, მკაცრად და ბოროტად გიყურებდნენ... ჩემთვის ეს ბარიერი, კარგა ხანს, მძიმე დასაძლევი იყო. სკოლასთან დღეში რამდენჯერმე მიწევდა ავლა-ჩამოვლა, ახლოს ვცხოვრობდით. ერთ დღეს, გაკვეთილები კარგა ხნის დამთავრებული იყო, სკოლასთან ჩავიარე. შესასვლელი დიდი კარის ორივე მხარე ფართოდ

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ლვალის უბის წიგნაკიდან:

1. ილინჭა ჩიტის მახეა.
2. უნაყოფო ვაზს ავრეხს ეძახიან.
3. „მაწვევარი“ და „მოპატიჟე“ სინონიმებია.
4. შიმპანზეები 45 წლამდე ცოცხლობენ.
5. საწნახელში, ტკბილის გამოსაწურად ჩასადებ ლასტს ტოპკირი ჰქვია.
6. სპილო ერთადერთი ცხოველია დედამიწაზე, რომელსაც ოთხი მუხლი აქვს.
7. უსუპი მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა და მას სამკურნალოდ იყენებენ.

8. თავის დროზე, ბუბა კიკაბიძე ფილარმონიაში დაიწუნეს — ხრინწიანი ხმა აქვსო.
9. ჯორჯ ვაშინგტონს საკუთარ ეზოში, დეკორატიული მიზნით მარიხუანა მოჰყავდა.
10. თითის ანაბეჭდის მსგავსად, ენის ანაბეჭდიც ყველა ადამიანს ინდივიდუალური აქვს.
11. ბოლო 4000 წლის განმავლობაში, ადამიანს არც ერთი ცხოველი არ მოუშინაურებია.
12. საფრანგეთის სანაპიროდან (ლამანშის სრუტეზე), კარგ ამინდში ინგლისის სანაპირო ჩანს.
13. ერთი ღამის განმავლობაში, თხუნელას 76-მეტრიანი ხვრელის გათხრა შეუძლია.
14. იტალიის ქალაქ სიენაში, ქალს არა აქვს უფლება მეძავი იყოს, თუკი მას სახელად მარია ჰქვია.
15. კემუხტი ცხენის გავის ტყავია. მას მწვანედ ან შავად ღებავდნენ და ქოშების საპირედ იყენებდნენ.
16. გარდაცვალების მომენტში, ლენინის ტვინიდან მისი მოცულობის ერთი მეოთხედიღა იყო დარჩენილი.
17. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთა სიას ორი ჰარისონი, ორი ჯონსონი და ორი რუზველტი ამშვენებს.
18. ჩინგიზ-ყაენის საფლავი ყველასათვის უცნობია. ლეგენდის თანახმად, მისი დაკრძალვის ყველა მოწმე სიკვდილით დასაჯეს.
19. აშშ-ის ყველა პრეზიდენტი ხმარობდა სათვალეს, უბრალოდ, ბევრ მათგანს ამის სახალხოდ დემონსტრირება არ უყვარდა.
20. „პო დანნიმ ფონდა აბშესტვენნოვა მნენია ვ მირე სტალა მოდნიმ

იყო გაღებული. ნაცრისფერებში გამოწყობილი ქურთი მუშები კიბეზე თავდაღმა დაგდებულ სტალინს ბაწრებით მოათრევდნენ, სახლისკენ მოვკურცხლე და ყველას შევატყობინე ეს ამბავი. ეზოს ბავშვებმა არ დამიჯერეს — ფანტაზიორობო, მაგრამ მეორე დღეს მე მართლა გამარჯვებული ვიყავი: ლენინი ეულად დარჩა!.. მომეჩვენა — მოწყენილი და გაბუტული იყო. ენა გამოვუყავი და კიბე სწრაფად ავირბინე...

ნინა

ამ ამბიდან სულ მალე, ჩვენთან სტუმრად უცნაური ქალი მოვიდა. მშობლები მას პატივისცემით და სიხარული შეხვდნენ, რაც ძალიან გამიკვირდა, რადგან მაშინდელი საზომითაც კი, ცუდად ეცვა და მათხოვარივით, ფუთები ჰქონდა აკიდებული. მთლად გათეთრებული ხვეული თმა ჯიღად ადგა თავზე, ხელზე თითები მოჭრილი ჰქონდა და ლაპარაკისას, უცნაურად უქცევდა. ჩვენები გაუმასპინძლდნენ და მათ საუბარში ჩამეძინა. დიდხანს კი ჩამესმოდა იმ ქალის ხმა, რომელიც ხმამაღლა რაღაცას ამტკიცებდა: „ჩემი თედორიზა, ჩემი თედორიზა“... არ მახსოვს, მაშინ რამდენ ხანს დარჩა ჩვენთან, მაგრამ მომდევნო წლებში, მის უცაბედ ვიზიტებს შევეჩვიეთ. ეს უცნაური ადამიანი, ბაბუაჩემის ძმის მეგობრის, თევდორე კალანდაძის მეუღლე, ნინა კალანდაძე იყო.

თევდორე კალანდაძეს ბოლშევიკურ მთავრობაში მაღალი თანამდებობა ეკავა, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს, მენშევიკ მეგობრებთან კარგი ურთიერთობა შეენარჩუნებინა. ჩვენები მიყვებოდნენ, რომ კატორღიდან დაბრუნებულ ივლიანე ბაბუას მან უპატრონა და სამსახურიც უშოვა. თევდორე კალანდაძე 1937 წელს დაუპატიმრეს და დახვრიტეს. ნინა კალანდაძეს „ხალხის გამყიდველის ცოლობისათვის“, 10 წელი მიუსაჯეს და მრავალი სხვა ქართველი ქალივით, გულაგის გზებზე ატარეს. მანიფესტის შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს და რამდენიმე წელი გადასახლებაში გაატარა. მხოლოდ ხრუშჩოვის რეფორმის შემდეგ მოახერხა საქართველოში დაბრუნება.

ამ ჩვეულებრივმა, გაუნათლებელმა ქალმა დახვრეტილი მეუღლის მიმართ შესაშური ერთგულება გამოიჩინა. უსახლკარო, უპოვარი და საპატიმროს განსაცდელისაგან ფსიქიკადარღვეული, რაღაცნაირად ახერხებდა, კრემლისა და საქართველოს ცეკას მაღალი ინსტანციების აწრიალებას, რათა თავისი მეუღლის რეაბილიტაციისთვის მიეღწია. მოზრდილ პარკში, რომელსაც გვერდიდან არ იშორებდა, უამრავი საბუთი, განცხადება და დეპეშა დაჰქონდა. მისთვის სულერთი იყო, სად დაუღამდებოდა, სად მიდებდა თავს, რას ფიქრობდნენ მასზე ადამიანები, ჰქონდა თუ არა ფული ან ზამთრის ტანსაცმელი. მხოლოდ ერთი იდეა ასულდგმულებდა — რეაბილიტაცია. ჩვენთან თუ იყო, დაგვსხამდა ბავშვებს და გვეჩიჩინებოდა: „ჩემი თეოდორე ხალხის მტერი არაა, ის ლენინის ანდერძს იცავდა“: მაშინ გავრცელებული იყო აზრი, რომ სტალინმა ლენინის ანდერძი გადამალა და საბჭოეთი ლენინურ გზას ააცდინა.

— ნინა, დაანებე ბავშვებს თავი, ადრეა მაგათთვის, — რბილად საყვედურობდა მამა.

— რა არის ადრე? ბაღნებს უფრო გაეგებათ, ვიდრე ახლანდელ პარტიულებს, — არ თმობდა ნინა ჩვენს პატარა აუდიტორიას. ასეთ კარგ ქალს ბოლშევიკებთან რა გინდოდაო?! — ეხუმრებოდნენ ჩვენები.

— იდეიზა, ნენა. მიტინგზე რო „გამოვხტენდი“, მთელი დუნია ტაშს მიკრავდა.

— რაზე „გამოხტენდი?“ — ვმხიარულობდით ბავშვები.

— რეიზა და — ძირს დამპალი კაპიტალისტები, გაუმარჯოს პროლეტარების რევოლუციას-მეთქი!.. ჩემი თედორეც პირველად იქ ვნახე. ეკითხა, ვინაა ეს აქტიური ახალგაზრდაო...

— აბა, სწორად გამომხტარხარ!.. — იღიმებოდა მამა. ნინა იბუტებოდა და ბუზღუნებდა — მაგ ენამ დაგლუპათ იაშვილებიო, — მაგრამ წყენა უცებ ავიწყდებოდა და ისევ თევდორეზე იწყებდა ლაპარაკს.

როდესაც ცოტათი წამოვიზარდე, ციხეზე, გადასახლებასა და მოჭრილ თითებზე ვეკითხებოდი, მაგრამ ამაზე ლაპარაკს თავს არიდებდა. როდესაც ჩავეძიე, — მომაშორეთ აი, ბაღანაო! — და იმ დღეს, სადღაც გაემგზავრა.

დიდი ხნის შემდეგ, მაინც მიამბო მოჭრილი თითების ამბავი. საპატიმრო ზონიდან ტაიგაში აგზავნიდნენ ხეების მოსაჭრელად. ქალისთვის კი არა, მამაკაცებისთვისაც მძიმე სამუშაო იყო, დღეში შვიდი კუბმეტრი იყო ნორმა. თუ ვერ შეასრულებდი, მთელ ბრიგადას სჯიდნენ, კუთვნილ პურის ულუფას უნახევრებდნენ. მძიმე შრომა, უჭმელობა და კოღოები სიცოცხლეს უმწარებდა ადამიანებს. ავადმყოფებსაც ისევე ერეკებოდნენ ტაიგაში, როგორც სხვებს და ბევრი იქვე კვდებოდა. ნინამ თავის გადასარჩენად, რამდენჯერმე სცადა თავის დასახიჩრება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს, ნახევარ „ბუხანკა“ პურად, ბრიგადირმა სტიოპამ ნაჯახით მოასხიპა ორი თითი. „თვალი რომ გავახილე, თითები აღარ მქონდა. არაფერს ვგრძნობდი. სისხლი თქრიალით მომდიოდა. „მახორკა“ დამაყარეს და ჭინჭებით გადამიხვიეს. საღამომდე ასე ვიყავი, სანამ ზონაში წაგვიყვანდნენ. იქ კარცერში ჩამსვეს და „საკუთარი თავის განზრახ დაშავებისათვის“ სასჯელიც დამიმატეს. ექიმმა კი მხოლოდ ერთხელ მნახა“.

მაღალ კვარცხლბეკზე „ამძვრალი“ ლენინი ჩრდილოეთისაკენ სასაცილოდ ფშეკდა თითს და მოედნის სივრცეს კეგავდა

ნინა ქმრის რეაბილიტაციას ვერ მოესწრო. 70-იან წლებში, ქალაქის აღმასკომის თავმჯ-

შიგნით წიგნების სუნი იდგა და საოცარი თავგადასავლები გველოდა. ერთმანეთს რჩევას ვაძლევდით, წიგნებს ვუცვლიდით და შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით

დომარემ, ნინო ჟვანიამ შეიბრალა. პენსია დაუნიშნეს და ერთოთახიანი ბინაც მისცეს, მაგრამ ამის შემდეგ, დიდხანს აღარ უცოცხლია. სრულ მარტოობაში გარდაიცვალა...

ერთხელ, გადამეკიდა — წერა-კითხვა კარგად გეხერხება და თევდორეზე დაწერო. მოვიმარჯვე რვეული და კალმისტარი, მომიყევი-მეთქი. დალაგებულად ვერაფერი მომიყვა. მხოლოდ იმეორებდა — „ჩემი თედორე, ჩემი თედორიზა“. მეჩხუბა კიდეც — რა მოყოლა გინდა, ხომ იცი ყველაფერიო! მათზე არც ახლა ვიცი ბევრი რამ და მაშინ — მით უმეტეს. მეხსიერებაში კი, სამუდამოდ ჩამრჩა ნინას ხმა: „ჩემი თედორიზა, ჩემი თედორიზა“...

როდესაც დედამ გულში ჩამიხუტა

ვფიქრობ, ბავშვური განცდა და თავს გადახდენილი ამბები ჩემი თაობის ბავშვების თავგადასავლებისაგან დიდად არ განსხვავდება. პირიქით, სხვებმა შეიძლება უფრო საინტერესო ამბები გაიხსენონ, სხვა რაკურსის აღქმა და შეგრძნებები ჰქონდეთ. მაგრამ თითოეულ ჩვენგანს სკოლის პირველსავე წლებში მშობლიური ენის ასათვისებლად გვაკითხებდნენ ვაჟას შვლის ნუკრის და ობლების გულსაკლავ ამბავს, ილიას „კაკო ყაჩაღს“და „საღრჩობელაზე“, „ეგნატე ნინოშვილის ღატაკთა გაჭირვებების ამსახველ მოთხრობებს. მდიდარი რუსული ლიტერატურა კი, ჩვენთვის მხოლოდ მუნჯი გერასიმეს და საცოდავი ლეკვის ტრაგიკულ ამბავს (ტურგენევის „მუმუ“), ნეკრასოვის უზარმაზარ ლექსს: „Однажды в студеную зимнюю пору я из лесу вышел“-ს გვთავაზობდა. ვიღაცამ, თითქოს თავდასაცავად, მაშინ მოიგონა პასუხი: „обратно зашел“.

თითქოს პირი შეკრესო, სკოლისა და პიონერთა სასახლის მოღიმარი ბიბლიოთეკარები სივაშის მარილში გაყინული „მალჩიშ-კიბალჩიშის“, თეთრგვარდიელებთან მებრძოლი არკადი გაიდარის შვილის, მამის გამყიდველი პავკა მოროზოვის ამბებს გვთავაზობდნენ. დამაგვირგვინებელი კი, ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ იყო. ასე რომ, სამუილ მარშაკი, „ბურატინოს თავგადასავალი“ და „ბიძია თომას ქოხი“ ჩვენთვის სულის ცხონებას წარმოადგენდა. ვფიქრობ, კარგი მშობლები და პედაგოგები მყავდა, რომლებმაც, როგორც შეძლეს, ამ ბაკქანალიისგან დამიცვეს და კითხვა შემაყვარეს.

ჩვენ ყველანი ვკითხულობდით ბევრს და განურჩევლად. ქალაქის ყველა ბიბლიოთეკა „ათვისებული“ გვქონდა. სულ მალე, უკვე შეგვეძლო, კეთილი ბიბლიოთეკარების შემოთავაზებისთვის გვერდი აგვევლო, გავშინაურებულიყავით და წიგნებით სავსე თაროებს შევსულიყავით. შიგნით წიგნების სუნი იდგა და საოცარი თავგადასავლები გველოდა. ერთმანეთს რჩევას ვაძლევდით, წიგნებს ვუცვლიდით და შთაბეჭდილებებს ვუზიარებდით. ქართული ლიტერატურის პატარა ნაკადულს მსოფლიო ლიტერატურის „ნიაგარის ჩანჩქერი“ ყლაპავდა და იქვე მდორედ და ზვიადად მოედინებოდა რუსული ლიტერატურის დიდი მდინარე.

იმ დროს, თუ რაღაც ფილმი გადიოდა, იმ ოჯახში ვიკრიბებოდით, სადაც ტელევიზორი იყო ან კინოში დავდიოდით. იქაც უმეტესად, ომის უბედურებებზე, ფაშისტების მხეცობებზე და საბჭოთა ჯარისკაცების გმირობებზე გვიყრუებდნენ ყურებს. ერთხელ, მულტფილმის სანახავად წამიყვანეს, მაგრამ „ჩხიკვთა ქორწილის“ ნაცვლად, რაღაც „დიდების“ ფილმი გაუშვეს. იქ ფაშისტები სათვალიან კაცს აწამებდნენ. აბრმავებდნენ და ფრჩხილებს აძრობდნენ. შემდეგ, ვიღაცები წყლით სავსე გვირაბში დაუსრულებლად მიდიოდნენ, ერთმანეთს კლავდნენ და ცოცხლად დარჩენილს მზის სინათლეზე ამოსვლისთანავე, ფაშისტი ჯარისკაცი ავტომატის ჯერით ცხრილავდა. დაზაფრული გამოვედი კინოთეატრიდან და დღემდე ვერ მივხვდი, რა ფილმს ვუყურე. იქნებ, „ცეცხლი და ალმასი“ იყო ან ზბიგნევ ციბულსკის მონაწილეობით რაღაც სხვა ფილმი. ამგვარი კინოსურათი მაშინ უთვალავი იყო. საბჭოთა კავშირს ხომ, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებისა და ფაშიზმის დამარცხების გარდა, სატრაბახო არაფერი ჰქონდა...

მოვესწარით და ვნახეთ, რომ საბჭოთა იდეოლოგებს ზედმეტი მოუვიდათ, როდესაც გვარწმუნებდნენ, რომ ოქტომბრის რევოლუციამდელი ცხოვრება საშინელი იყო და ახალი, ბედნიერი საბჭოთა მომავლის დასაცავად, კამიკაძეებივით თავის შეწირვა უნდა შეგვძლებოდა. ამას ყოველი ფეხის ნაბიჯზე, პირდაპირ თუ ირიბად, ისე გვაწვეთებდნენ, რომ თავს ვერ დაველწევდი. ჩემს თაობას უამრავი ბარიერის გადალახვა მოუხდა, სანამ შეევიგრძნობდით და მივხვდებოდით, თუ რა ბედნიერებაა, იყო თავისუფალი.

მწარედ მახსოვს ის დღე, როდესაც ორუელის გმირივით, ხანგრძლივი წვალებისა და ჯახირის შემდეგ, დავწერე პირველი მართალი სიტყვა. ეს, ერთი, ბავშვურად ცუდი ლექსი იყო, მაგრამ დავწერე და ვიგრძენი, როგორ გავიდა ჩემგან შიში — ძველი, სადღაც ბავშვობაში უკითხავად შემოპარული და მყარად დაბუდებული, ალბათ, იმ ქვის მეგაძეგლებიდან და სურათებიდან გადმოსული. ან იქნებ, გარდაცვლილი გალაკტიონის კუბოდან გადმოვიდა, რომელსაც ხალხის მასა ატორტმანებდა და გაზაფხულის ნიავი მკვდარ სახეზე წვერს უნწავდა. მე კი, პატარამ, ეზოში სათამაშოდ ჩასულმა, პროცესიას ყოფილი კიროვის ქუჩიდან მთაწმინდის ძირამდე ვდიე და დავიკარგე. თავისუფლება კი, იმ გრძნობას ჰგავს, რომელიც მაშინ განვიცადე, როდესაც მიპოვეს და ატირებული და დაღლილი, დედამ გულში ჩამიხუტა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალის *უბის წიგნაკიდან:*

მუჟჩინამ პრისუსტვოვატ პრი როდახ, პო სკოლკუ მნოგიე იზ ნიხ ატსუტსტვოვალი პრი ზაჩატიი...“ — არ ისვენებს მიხაილ ზადორნოვი.

21. „ფრეკენ ბოკი სად არის?“ — ჰკითხა ერთხელ კარლსონმა ფანჯარაში შეფრენისთანავე ბიჭუნას. — „ტორტს აცხობს!“ — „კარგი, მაშინ ჯობს, დღეს თავი დავანებოთ, თორემ ამჟავდება და ტორტსაც აამჟავებს!“ — გეგმები მომავლისათვის გადადო კარლსონმა.

22. „კაიფი“ — ასე ეძახდნენ არაბები სადილის შემდეგ სასიამოვნო უსაქმურობას. სწორედ, ეს სიტყვა ჩაწერა ალა პუგაჩოვამ სასტუმრო — „ლენინგრადის“ ბლანკის გრაფაში, სადაც ვიზიტის მიზანი იყო მინიშნებული.

23. ჰიტლერის მოადგილე, მარტინ ბორმანი, საკუთარი შეფის ხასიათს კარგად იცნობდა და მისი გულის მოსაგებად, თავშეკავებული კაცის, ყოფით ცხოვრებაში ჰიტლერის სრული ასლის როლს თამაშობდა. ჰიტლერთან ერთად სადილობისას, გემრიელი კერძების მოყვარული ბორმანი მაგიდიდან თითქმის მშიერი დგებოდა. ჭამდა მხოლოდ იმას, რასაც მისი შეფი მირთმევდა. თავგადაკლულ მწეველს, ფიურერის თანდასწრებით არასდროს მოუწევია. მისი თავშეკავება, მორჩილება, ლაქიის პოზა და მუდმივად უკანა პლანზე დგომის ხელოვნება იყო მიზეზი, რისთვისაც ჰიტლერმა მას საკუთარი ჩრდილი შეარქვა.

24. 1991 წელს, საკონდიტრო ფირმა „ჰერშიმ“, შეერთებული შტატების არმიისაგან სოლიდური შეკვეთა მიიღო, რის შედეგადაც, ფირმის ხელმძღვანელობისათვის ნათელი გახდა, რომ ამერიკა ერაყში სახმელეთო ოპერაციას გეგმავდა. სამხედროებმა ზემოთ ხსენებულ ფირმას, დიდი რაოდენობით შოკოლადის ნაწარმი შეუკვეთეს, რომელიც სიცხეში არ დნებოდა.

25. ყველასთვის ცნობილია ნიკიტა ხრუშჩოვის საქციელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე, როდესაც მან ფეხსაცმელი გაიძრო და პროტესტის ნიშნად ტრიბუნაზე ურტყა. ამასთან დაკავშირებით, ჟურნალისტებმა ჩერჩილს ჰკითხეს, თუ როგორ შეხვდა ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მომხდარ ფაქტს: „საკმაოდ მშვიდად... რაც შეეხება იმას, რომ იგი სხდომაზე მუქი ლურჯი კოსტიუმითა და ყვითელი ფეხსაცმელებით გამოცხადდა, ეს მართლაც საშინელება იყო“.

ჟურნალის საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. დაასახელეთ ინგლისელი მწერალი, რომელიც რუსეთში საიდუმლო აგენტად მუშაობდა. მან, ამ საქმიანობას, მოგვიანებით მოთხრობების ციკლი მიუძღვნა.

2. ეს ორი ადამიანი თანამედროვენი იყვნენ. ფილოსოფიის მამა, მედიცინის მამაზე ექვსი წლით უფროსი იყო. დაასახელეთ ისინი.

3. დაასრულეთ სტენდალის სიტყვები: „თუ გსურს ბრძნულად მოიქცე, მოუსმინე ცოლს და ...“

4. რა არის ზედაშე?

5. „ახალი მოძრაობის წინამორბედი, მაგრამ საწაღმართოსი და არა საუკუღმართოსი, დღეს უკუღმართად მოკლული, ძევს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს, გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად, შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!“ ვინ, სად და რა ვითარებაში წარმოთქვა ეს სიტყვები?

6. დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომლის მიმდევარს არა აქვს უფლება, წარბის ოდნავი შერხევითაც კი, გამოხატოს გამარჯვების სიხარული ან დამარცხების სინანული.

7. „ამ ჩვენს საცოდავ პროზას, თუ გამოვაკლებთ „ოზას“ და დავუმატებთ „უწუნს“, მივიღებთ პრუწუნ-პრუწუნს,“ ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

8. როცა ამ ქალაქში არაკაცებმა რუსთაველის ძეგლი დაამტვრიეს, არც ერთ ადგილობრივ მწერალს ხმა არ ამოუღია და არ გამოუხატავს სინანული მომხდარის გამო. დაასახელეთ ეს ქალაქი.

9. დაასრულეთ თემურ ლენგის სიტყვები: „ქვეყნიერება იმის ღირსი არ არის, რომ ორი ხელმწიფე ჰყავდეს. მას უნდა განაგებდეს ერთი და ...“

10. რა არის ალთინგი?

11. ვისი წაქეზებით გადაწვა ალექსანდრე მაკედონელმა ულამაზესი ქალაქი — პერსეპოლისი.

12. ვინ იხმარა პირველად გამოთქმა „ვრაგ ნაროდა“?

ანეკდოტები

* * *

პროვინციაში ორი ასაკოვანი ქალბატონი მგზავრობს მანქანით. ანაზდად, სატელეგრაფო ბოძზე აცოცებულ ორ ხელოსანს ხედავენ.

— იდიოტები, — ამბობს საჭესთან მჯდომი ქალი, — მაგათ ჰგონიათ, პირველად ვზივარ საჭესთან!

* * *

— პოლკოვნიკო, სადილი მხოლოდ ნახევარ ასეულს ეყოფა!

— გასაგებია, შეტევის შემდეგ ვისადილებთ.

* * *

— ჭიჭიკია, ჩემო ერთადერთო, მხოლოდ ერთხელ მაკოცე და მთელი ცხოვრება შენი ვიქნები.

— რაია ახლა, აქედანვე რომ მემუქრები, შენი კი არ მეშინია.

* * *

სიდედრი უყვირის სიძეს:

— ნამდვილი კრეტინი ხარ! შენი მშობლებიც და შენი ნათესავებიც

კრეტინები არიან. რასაც აკეთებ, კრეტინულად აკეთებ. კრეტინების კონკურსი რომ ჩატარდეს, მეორე ადგილს დაიკავებ!

— რატომ მეორეს?!

— იმიტომ, რომ კრეტინი ხარ!

* * *

ორი გინეკოლოგი ძმაკაცი მოწყენილი ზის სტრიპტიზბარში.

— ესაა სტრიპტიზი?!

— ეე, ადე, ძმაო, სამსახურში წავიდეთ!

* * *

ნარკომანი მიდის სახლში. კარს

მამამისი უღებს. ნარკომანი უყურებს და ეუბნება:

— შემოხვალ თუ დავკეტო კარი?!

* * *

ზესტაფონელს შვილმა ამერიკიდან ფერმერი ჩამოუყვანა სტუმრად. კარგად რომ მოილხინეს, ამერიკელი, ზესტაფონელის მეურნეობით დაინტერესდა:

— მიწა რამდენი გაქვს?

— რა ვიცი, ბოშო, მაგას რა გაზომავს, უშველებელია.

— მაინც რამდენი იქნება? — არ ეშვება ამერიკელი.

— რამხელა და თავში რომ დავქოქავ ჩემს მაშინას, ათი წუთი ვუნდები ბოლომდე ჩასვლას.

— არ ყოფილა ბევრი, — ჩაიცინა ამერიკელმა.

— შენ რამდენი გაქვს? — შეუბრუნა კითხვა იმერელმა.

— მე ჩემი მანქანით სამ საათს ვანდომებ თავიდან ბოლომდე გასვლას.

— მაგისთანა მაშინა მეც ქე მყავდა, მაგრამ გავყიდე და კარგი ვიყიდე.

* * *

საპარლამენტო არჩევნებზე, დეპუტატობის კანდიდატმა სამი ხმა დააგროვა.

— გარყვნილო! — უყვირის შინ მისულს ცოლი. — საყვარელი გაიჩინე, ხომ!

* * *

— ექიმო, ცუდად არის ჩემი საქმე, ამ ბოლო დროს, უმნიშვნელო რამეც კი მაღიზიანებს.

— ვერ გავიგე, ერთხელაც გამიმეორეთ.

— ყრუ ხარ, შე დეგენერატო?!

* * *

ორი კაცი საუბრობს:

— გუშინ ისე დავთვერი, სახლში მისულს, ჩემი ცოლი, ქურდი მეგონა და ფანჯრიდან ვაგდებდი.

— ეგ რა არის?! მე ისე დავთვერი, რომ ბინაში შესული ქურდი, ჩემი ცოლი მეგონა. შენ იმის წივილ-კივილი უნდა გენახა!

* * *

სვანი კონსერვატორიაში გამოცდას აბარებს.

— მე ნოტს ავიღებ და შენ გამოიცანი, — ეუბნება გამომცდელი.

— მიდი! — რიხიანად ეუბნება სვანი და ზურგით ტრიალდება.

გამომცდელი იღებს ნოტს. სვანი შემოტრიალდება და ეუბნება.

— შენ იყავი, ვერ მომატყუებ!

* * *

ნარკომანი ხედავს — ეზოში სპილო დგას, მცენარეებს ხორთუმით გლეჯს და ჭამს. გაგიჟებული ექიმთან გავარდა:

— ექიმო, გუშინ გავიღვიძე და დავინახე — დიდი თაგვი კუდით მცენარეებს გლეჯდა.

— მერე?

— მერე, რომ გითხრა, რას აკეთებდა, ნაღდად არ დაიჯერებ.

* * *

— მითხარი, გეთაყვა, შეიძლება, პატიმარ ციხელაშვილთან პაემანი?

— გუშინ გათავისუფლდა. ერთი თვის შემდეგ გამოიარე.

* * *

ჭიჭიკია უყვება მეგობარს:

— რა კარგი რამეა ეს ჯგუფური სექსი, ისე გამოვიპარე, რომ კაციშვილს არაფერი გოუგია.

* * *

— შესაძლებელია თუ არა ქალის გაუპატიურება შუა ქუჩაში?

— არ გირჩევთ, ხალხი რჩევადარიგებით შეგიკლავთ!...

* * *

— შეყოფ, გამოყოფ, მოდიხარ კმაყოფილი.... მიყვარს ეს ბანკომატები.

* * *

ველურებმა ცოლ-ქმარი ჩაიგდეს ხელში.

— ქალი შევჭამოთ და კაცი გავაუპატიუროთ! — ლაპარაკობენ ერთმანეთში.

— კი, მაგრამ, ეგ სადაური წესია?! — გადაირია ცოლი.

— სადაური წესია და აქაური წესია! — რიხიანად გამოაცხადა ქმარმა.

* * *

— გახსოვს ლევანა?

— რომელი ლევანა?

— ციხის წინ რომ ცხოვრობდა?

— ჰო, მერე?

— ახლა თავისი სახლის წინ ცხოვრობს!

* * *

სვანმა ოქროს თევზი დაიჭირა. თევზმა კარგა ხანს ათვალიერა და ეკითხება:

— სვანი ხარ, არა?

— კი, სვანი ვარ!

— აუ, ძმურად, შემწვი და შემჭამე რა!...

* * *

მამალი სირაქლემა დედალ სირაქლემას მისდევს. დედალი სირაქლემა ხედავს, რომ მამალი ეწევა, უცბად, ჩერდება და თავს ქვიშაში ყოფს. მამალი გაოგნებული იყურება აქეთ-იქით:

— ვაა, რა მიწამ ჩაყლაპა ეს ქალი!

* * *

ერთი კაცი დირიჟორს ეტრაბახება:

— ბევრს უთქვამს, რომ ასეთი ხმით ოპერაში შემიძლია მოხვედრა. თქვენ რას იტყვით?

— რა თქმა უნდა, თუკი ბილეთს იყიდით!...

ჯორნალის სპეციალური

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. სომერსეტ მოემი.
2. სოკრატე და ჰიპოკრატე.
3. „— გააკეთე საწინააღმდეგო“.
4. წითელ ღვინოს, რომელსაც საეკლესიო რიტუალების დროს ხმარობენ, ზედაშე ეწოდება.
5. ეს სიტყვები, აკაკი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის კუბოსთან წარმოთქვა.
6. სუმო.
7. გალაკტიონ ტაბიძეს.
8. შოთა რუსთაველის ძეგლი გაგრაში, აფხაზებმა დაამტვრიეს.
9. „— ისიც ჩემებრ მახინჯი“.
10. ისლანდიის პარლამენტს ალთინგი ჰქვია.
11. პერსეპოლისი, ალექსანდრე მაკედონელმა როსკიპი ქალების წაქეზებით გადაწვა.
12. ლენინმა.

ჩვენი ოფლი

ისევ სადღაც მემალება...

veluri wablis xeivani

დასაწყისი იხ. „გზა“, №24-27

ზაზა ვაჩნაძე

ამერიკაში თითქმის 15 წლის წინ წასული არქიტექტორი ნიკა ბერიძე თბილისში დაბრუნების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვეტს, სამშობლოში დარჩეს და ბიზნესსაქმიანობას მიჰყოს ხელი. ამ ამბით აღფრთოვანებული, მისი 13 წლის ქალიშვილი თეონა ეუბნება — კარგი ოფისის პოვნაში მე დაგეხმარებიო, — და ნიკას ყოფილ ცოლთან — ეი. თავის დედასთან, უძრავი ქონების ფირმაში მიიყვანს.

ნიკა სავარძელში ჩაეშვა.

— თეონა, არ უნდა გაგეფრთხილებინე?! კინაღამ დავეცი, გული სადღაც ფეხებში წამივიდა. მიდი, მიხედე დედაშენს, რამე არ დაემართოს.

— დედა! — თეონა დედასთან შევიდა.

— არა, არაფერი, ცოტა მოვსულიერდი, — ღიმილით გამოვიდა უკან ნატო.

ნიკა წამოდგა.

— ახლა უკვე შეიძლება, ხელიც ჩამოვართვათ ერთმანეთს... — ნიკამ ხელი გაუწოდა ნატოს.

— და აკოცოთ! — თქვა თეონამ.

— კარგი, თუკი შენ ასე გინდა... — თქვა ნიკამ.

ყოფილმა ცოლ-ქმარმა ერთმანეთს კი აკოცა, მაგრამ სიცივე მაინც იგრძნო.

თეონამ ტაში შემოჰკრა. ამაზე ორივეს გაეცინა. „სულ ოდნავ დასტყობია წლები“, — გაიფიქრა ნიკამ. „დავაჟკაცებულა“, — გაიფიქრა ნატომ.

— რომ იცოდე, შენი დანახვაც არ მინდოდა. შენი სახელის ხსენებაც კი მაცოფებდა... — ახლა უკვე გემრიელად გაიცინა ნატომ.

— ახლა? — იკითხა ნიკამ.

— ახლა ეტყობა, გადამიარა. გიყურებ და თითქოს უკან დავბრუნდითო, არა?

— ჰო! — თქვა ნიკამ.

— ჰო! — გამოაჯავრა ნატომ.

ორივეს გაეცინა.

— ეს შენი ოფისია? — შეეკითხა ნიკა.

— გახლავს, — თქვა ნატომ.

— მშვენიერია, — თქვა ნიკამ.

— ჰო, — თქვა ნატომ.

— თანამშრომლები? — იკითხა ნიკამ.

— აგენტები? გასულები არიან. რა ვიცი... ზოგი კლიენტს ხვდება, ზოგიც — ბინებშია. ეძებენ, აფასებენ... მუშაობენ, მოკლედ.

— ჰო, მართლა, დიდი მადლობა უნდა გითხრა: ძალიან კარგი ბავშვი გაგიზრდია, — ხელი გაიშვირა თეონასკენ ნიკამ. — რა იქნა?

თეონა ამასობაში, აორთქლებულიყო.

— გაპარულა, — თქვა გაკვირვებულმა ნიკამ. — გადამრევს ეს ბავშვი. — ორივეს გაეცინა.

— ...ელისო რომ არა, ვინ იცის... ელისო მაგრად დამეხმარა, — თქვა ნატომ. — მარტოობაც კი არ მაგრძნობინა. დაიჯერებ?.. როგორ არ მინდოდა, როგორ არ მინდოდა, მაგრამ იცი, რა წლები იყო?.. ქალაქში მანქანა არ დადიოდა, ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ იყო... მკვდარი იყო ქალაქი, ცარიელი. ხელფასები?.. ცხრა ლარი! მოვკიდე ბავშვს ხელი და მივედი თქვენებთან. ერთი წამითაც არ დაფიქრებულან!.. მთელი ღამე ვტიროდი... მეც გადავრჩი და შენი შვილიც, ძვირფასო. ჰო, შენ იქ თბილად და ტკბილად გეძინა და მე აქ ღამეებს ვათენებდი, რომ ორი „გროში“ მეშოვა.

— მერე ხომ გიგზავნიდით ფულს.

— კი, კი, რაზეა ლაპარაკი?! ძალიან დაგვეხმარე.

— შენ ისევ ისეთი ლამაზი ხარ. მგონი, უფრო ლამაზიც... — წაუკომპლიმენტა ნიკამ.

— ვიცი, — ცივად თქვა ნატომ.

— ჰო, მართლა, ნატუშ, არ გაინტერესებს, აქ რას ვაკეთებ, რატომ მომიყვანა თეონამ?

— ნატუშ, არა?!. გინდა, რომ პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ?.. მოიცა, ყავას მოგიდუღებ!

ნატო გავიდა. ნიკა ფიქრებში გადავარდა. გაელიმა...

ნატომ ყავა გამოიტანა. ნიკა რატომღაც გამხიარულდა.

— ...მეშვიდეში ვიყავით, არა?.. კომშები რომ მოგქონდა სახლიდან და გაკვეთილებზე, ჩუმ-ჩუმად ჭამდი. მე რომ ჩავჭერი და შიგ წიწაკები ჩაგიტენე. ხომ გახსოვს? — შეეკითხა ნატო. — შენ გარდა, მთელმა კლასმა რომ იცოდა და გითვალთვალებდით... სამი გაკვეთილი პირი რომ არ დააკარე! ჩვენ კიდევ, გელოდებით, გელოდებით... მაინცდამაინც გროზნოს გაკვეთილზე არ მოგშივდა?! რომ ჩაკბიჩე და აგიტყდა ხველა და კლასი რომ ახარხარდა... გროზნო რომ ცოფებს ყრიდა და შენი ჩანთიდან კომშებს იღებდა...

— მეათეში ვიყავით, არა? — აუბა მხარი ნიკამ. — მაგარი ყინვები რომ დაარტყა და რადიატორების მილები დახეთქა. ღუმელი რომ დაგვიდგეს და ბესომ შიგ ტყვიები შეყარა... უეცრად, შუა გაკვეთილზე სროლა რომ ატყდა, ქიმია არ იყო?.. ნონა მასწავლებელი გიჟივით რომ დარბოდა და კინაღამ ფანჯრიდან გადახტა.

— ჰო, მერე, გროზნო რომ შემოვარდა და ბესო მერხიანად გარეთ „გაიტანა“...

— ვარძიაში, „ნატვრის წყალში“ რომ გაჭყუმპალავე, ის თუ გახსოვს? — შეეკითხა ეშმაკურად ნატო.

— ვარძიიდან მე სხვა რაღაც-რაღაცები უფრო მახსოვს... — რაღაც ინტიმურზე ჩაუკრა სიტყვა ნიკამ.

— იმიტომ, რომ დეგენერატები ხართ, ყველა ბიჭი! — აილეწა ნატო.

— გოგოები? ვითომ, თქვენ ჩვენზე ჭკვიანები ხართ?! — შეეკითხა ნიკა.

— ალბათ, არა... — დასერიოზულდა ნატო.

— მეგონა, გათხოვდებოდი. შენისთანა ქალს... მაშინ მთელ კლასს უყვარდი...

— დავაპირე, მაგრამ გადავიფიქრე. შენ დაგელოდე... არა, არა, ვიხუმრე. ცოტა მწარედ, ალბათ... ხომ იცი, ქალები მარტოობას ვერ ვიტანთ...

— მართალია. ან რატომ უნდა ყოფილიყავი მარტო?!

— შეცდომები ყველას მოსდის, — თქვა ნატომ. ამ დროს, მისი მობილური აწკრიალდა.

— ბოდიში... გისმენ, შაკო... ჰო, აქა ვარ... კი, ბატონო, — ნატომ საათზე დაიხედა.

— ელოდები ვინმეს? — შეეკითხა ნიკა.

— კი. ალბათ, ჯობს, საქმეზე გადავიდეთ.

— კი, ბატონო. ოფისის ყიდვა მინდა ან არენდით აღება. გააჩნია ოფისს.

— რისთვის, რა უნდა აკეთო იმ ოფისში? — უკვე საქმიანი ტონით შეეკითხა

ნატო.

— რა უნდა ვაკეთო და ჩემი პროფილით მინდა, რაიმე საქმე ავაწყო. ჯერ პატარა საპროექტო ბიურო მინდა გავხსნა, მერე — სამშენებლო. ვნახოთ, როგორ წავა საქმე... — თვალებში უყურებდა ნატოს ნიკა.

— მოგიძებნი. არ არის ძნელი. ორი საშუალო, ნათელი ოთახი, ისეთი, რომ შესამჩნევი იყოს... სადმე ცენტრალურ ქუჩაზე... რომ რეკლამამ იმუშაოს. გაწყობს?

— ჰო, — თქვა ნიკამ.

— სხვა არაფერი? — ჰკითხა ნატომ.

— კი. მიწის ყიდვა მინდა, „სერიოზული“ ფართის — რამდენიმე ჰექტარის... თუ შიგ ქალაქში არა, ქალაქთან ახლოს მაინც.

— მერე, გასწვდები? რა ბიჭი დამიკარგავს!.. ეს — ხუმრობით, მაგრამ ძალიან საინტერესო ფართი შემიძლია შემოგთავაზო. ძველ თბილისში, სანაპიროზე, ასე, ოცამდე ოჯახია გასაყვანი...

— რა ჯდება კვადრატული? — დაინტერესდა ნიკა.

— ახლა, 600-700 დოლარი, მაგრამ ძალიან სწრაფად იწევს ზევით.

— კარგი, ეგ გასაგებია. სხვა?

— მტკვრის მარჯვენა სანაპიროა.

— ქალაქგარეთ? ქალაქგარეთ არაფერი გაქვს ნორმალური?

— კი, როგორ არა?! აი, მოდი, ნახე. — კომპიუტერმა ეკრანზე რაღაც ტერიტორიის გეგმა გამოიტანა. ნატომ სხვანაირად ამოხედა. ნიკამ თავი უკან წაიღო. ნატო ისევ საქმეზე გადავიდა: — აი, ამ წითელ ხაზს ხომ ხედავ?.. აი, ეს ფართობი. ცოტა მთაგორიანია, მაგრამ — ტყიანი. აი, ეს, აქამდე, სულ იყიდება. სულ 80 ჰექტარია... ტენდერზე არ გააქვთ — კერძო მფლობელობაშია უკვე. ვიღაცამ ჩალის ფასად ჩაიგდო ხელში, ეტყობა, და ახლა ყიდის. სულ ახლოს ქალაქთან, ქსნის ხეობაში.

— ქსნის ხეობაში?! ჩემი გვარი მაქედან მოდის, მანდ ცხოვრობდა ჩემი მამა-პაპა.

— აი, ეს დასავლეთის ტრასა ჰოა?

— ჰო.

— ჰოდა, ტრასიდან თხუთმეტ... არა, ზუსტად ჩვიდმეტ კილომეტრშია ალბათ. ადრე, ცოცხალი დასახლება, იყო... მინის ტარის ქარხნები იყო იქ ახლოს, დიდი... ახლა აღარაფერი არ არის. ეტყობა, გაიქცა ხალხი... ადგილი კი გადასარევია. ფასს დაგიზუსტებ, თუ დაგაინტერესა... სხვაც შემიძლია შემოგთავაზო.

— არა, სხვა არ მაინტერესებს. დაელაპარაკე. ფასები ვიცი, მიახლოებით, გაკითხული მაქვს. შეგიძლია, ხომ, მზა პაკეტი ჩამაბარო? — შეეკითხა ნიკა.

— კი, რა თქმა უნდა. — ნატომ უჯრა გამოსწია. სავიზიტო ბარათი გაუწოდა. წამოდგა. — აი, ტელეფონები. ნებისმიერ დროს, შეგიძლია, დარეკო. ჩვენი ბუკლეტიც...

— არა, ბუკლეტი არ მინდა... — არ გამოართვა ნიკამ. — გაკოცებ ერთხელაც და რაც მალე მომიგვარეთ ამ საქმეს, მით უკეთესი...

სწორედ მათი კოცნის მომენტში შემოეხეტა ოფისში შაკო, ნატოს საყვარელი, დღევანდელი გაგებით — ბოიფრენდი. ხელში გასაღებების ასხმულა ეჭირა, ატრიალებდა და აჟღარუნებდა. მოკლედ, ცალ ფეხზე ეკიდა „ორი და ათი შაური“. არიან ასეთი გულარხეინი ტიპები — დიდი „მე“ რომ აწერიათ შუბლზე... ის სავარძელში შინაურულად მოკალათდა და მეტოქე, როგორც მას ეგონა, თავიდან ფეხებამდე „აწონ-ჩაზომა“... ნატო აილეწა, საათზე დაიხედა და ნიკა მიხვდა, ვინც იყო ეს ტიპი.

— ეს ჩემი თანაკლასელია, ნიკა ბერიძე, — ამოღერღა ნატომ. — ამერიკიდან დაბრუნდა, ახლახან.

— მე? მე რატომ არ წარმადგინე, ვითომ? — შეეკითხა შაკო.

— ეს კი, ჩემი მეგობარია, შაკო ნემსიწვერიძე.

— მაშ, „ქვისლები“ ვართ? — თავი უკან გადააგდო და ისე იკითხა შაკომ.

— ქვისლები? — ვერ მიუხვდა იუმორს ნატო.

— ასე ამბობენ, რა, როცა ერთ ქალს ორი კაცი ჰყავს... — უცნაურად მიაჩერდა შაკო თვალებში ნატოს.

ნატოს ხმა ჩაუვარდა.

„მეტრაბახება ვირიშვილი!“ — სისხლი თავში აუვარდა ნიკას. მაგრამ ნატოს გაფითრებული სახე რომ დაინახა, თავი შეიკავა...

— ჩვენ რესტორანში მივდივართ, მე და ნატო, შენც ხომ არ წამოხვალ? — შესთავაზა შაკომ ნიკას.

— არა, — მოკლედ მოჭრა ნიკამ.

— არა და არც რა!.. — გასაღებების ტრიალი და ჟღარუნი გააგრძელა შაკომ.

ნიკამ ნატოს გახედა.

— ნიკა! — რაღაცის თქმა უნდოდა ნატოს.

ამ დროს, ნიკას მობილურზე ზარი დაირეკა.

— კაი, გასაგებია... კარგი, დედა, მოვდივარ... მშვიდობაა, კი... ჰო, მოვდივარ! — უპასუხა ტელეფონზე ნიკამ და ნატოს მიუბრუნდა: — წავედი, შენს ზარს დაველოდები.

ნატომ კარამდე მიაცილა. ფერი ისევ არ ედო.

— ოფისი, პირველ რიგში, ხომ? — შეეკითხა.

— ერთიც და მეორეც — პირველ რიგში! ნახვამდის.

— ნახვამდის. ვეცდები, არ დაგაღალატო, — უთხრა ნატომ.

კართან მისულმა ნიკამ ორი სიტყვა მაინც გადაუგდო შაკოს.

— შევხვდებით ალბათ, კიდევ...

— კი, გენაცვალე... — მხრები აიჩეჩა შაკომ.

ნიკა გავიდა. ნატომ კარი მიკეტა.

— რომ დააღალატო?.. მე უფრო სხვანაირი მეგონა. რა კლიენტი იყო, სუფთა ფრანტი!.. — აგრძელებდა „იაზვობას“ შაკო.

— ფრანტი შენა ხარ. რა ძველბიჭური დაუჭირე, ვითომ?! რომ აგყოლოდა? — ცოტა ფერი მოუვიდა ნატოს.

— ამყვებოდა და მიიღებდა, — ისევ ისე არხეინად ატრიალებდა გასაღებს შაკო.

— შეგიძლია, მარტო წაბრძანდე იმ შენს რესტორანში, მე აღარ მოვდივარ, — თქვა ნატომ.

— რატომ? პირველი სიყვარული ჩამოგიფრინდა? მიძინებული გრძნობები გაგიღვიძა?.. ისევ რომ გაგიფრინდეს, ჭირიმე?..

— ჩვენ მხოლოდ საქმიანი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან.

— ძალიან კარგი. მაგასთან — საქმიანი, ჩემთან — სარფიანი, ხომ?

— წადი! წადი, გთხოვ! — კარი გამოუღო. სასოწარკვეთილების ზღვარზე იყო ნატო.

შაკო წამოდგა და გასაღების ტრიალით, სტვენა-სტვენით გავიდა გარეთ. ნატომ მთელი ძალით მიაჯახუნა კარი.

შინ მისულ ნიკას, კარი ვერიკომ გაუღო.

— თეონა მარტო დაბრუნდა, შენ აღარ გამოჩნდი. ვერ გამიძლო გულმა და დაგირეკე. უნდა მაპატიო, — მოუბოდიშა ვერიკომ.

— მიპატიებია, მაგრამ სხვა დროს, ჯობს, ნაკლებად შემაწუხო, — უთხრა ნიკამ.

— წამოდი, წამოდი. ვერა ხარ ხასიათზე, რაღაც... — შეატყო უგუნებობა ვერიკომ ნიკას.

— ჰო, იქ ნოსტალგია მჭამდა, აქ მგონი, ხალხი აპირებს ჩემს შეჭმას... — ჩაიბურტყუნა ნიკამ.

— ეგ არ უნდა გაგიკვირდეს, ყველგან ასეა — თუ საჭმელი შემოაკლდათ, ერთმანეთს ჭამს ხალხი. თუმცა, ჩვენთან ბდღვნიან კიდეც... — უთხრა ვერიკომ.

ნიკას, სამზარეულოში უკვე კარგად ნაცნობი სურათი დახვდა: ელისო გაზქურასთან ტრიალებდა, თეონას წიგნი გადაეშალა. ნიკა ჩამოჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ერთ წერტილს მიაშტერდა. მერე თავი ასწია და თეონას შეშინებულ თვალებს წააწყდა. ნელ-ნელა გაუღიმა და თვალი ჩაუკრა. თეონას გულზე მოეშვა.

— ვინ იცის, იქნებ, არც ღირდეს, მარ-

თლაც, აქ დარჩენა... — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— როგორც გერჩივნოს, შვილო. — მიბრუნდა მისკენ ელისო. — თუ დარჩები, როგორც კი ხელს გაატოკებ, იცოდე, უამრავი მუმლი დაგეხვევა, აურაცხელი კოღო და კრაზანა, ათასი ოხერი და მამაძაღლი შემოგიძვრება.

— ვიცი, — თქვა ნიკამ.

— ან იცი, ან — არა, — გააგრძელა ელისომ. — იცი, რა ხალხთან გექნება საქმე?.. ამათ მარტო, გაბდღვნა, გატყავება და გადასანსვლა ეხერხებათ. ჩაიჯიბავენ მილიონებს და გარბიან მერე ამ ქვეყნიდან თავქუდმოგლეჯილები... იქ, დარწმუნებული ვარ, რაიმეს აუცილებლად მიაღწევ, აქ — ძალიან მეეჭვება.

— შენ, დედა, შენც ასე ფიქრობ? შენ რას მირჩევ? — დედას მიაჩერდა ნიკა.

— არ ვიცი, არ ვიცი... ალბათ, ვერაფერს. იქ რომ იყავი, ბევრად მშვიდად ვგრძნობდი თავს. ახლა კი, ყველაფერზე უნდა ვინერვიულო — სადა ხარ, რას აკეთებ, რატომ აგვიანებ, როდის მოხვალ... ყველაფერზე, ყველაფერზე... აი, თუნდაც, ახლა: რატომ დაბრუნდი ასეთ ხასიათზე?.. დარჩენა გადაწყვიტე. ქუჩაში გახვედი და გადაიფიქრე. როგორ გგონია, არ ვინერვიულებ? უკან დაბრუნდე და ოჯახს როდისღა უნდა მოეკიდო, ეს დროც რომ კატასტროფულად სწრაფად გარბის.

— აბა, რას ამბობ, ქალო, ჩემს დაგვიანებაზე უნდა ინერვიულო?! შენ შემთხვევით, ჩემი დაბადების წელი ხომ არ დაგავიწყდა? — გაეცინა ნიკას.

კარზე ზარი დაირეკა. თაზო მაგრად გატრეტილიყო. სიდედრს დამცინავად შეხედა. კედელს მიეყუდა.

— ვერიკო, იცი, რა გენიალურია, კარს რომ საყვარელი სიდედრი გაგიღებს?! — პირში ენას ძლივს ატრიალებდა თაზო. — ამაზე გემრიელი არაფერი ყოფილა. გეფიცები, კუპატზე გემრიელია, კუპატზე!.. ჩემი ცოლი მინდა. ხო შინ არი? მითხარი, ხო შინ არი? არ მომატყუო ოღონდ. ხო იცი, ტყუილებს ვერ ვიტან... — თაზომ რატომღაც ჩაიქირქილა. — მე ტყუილს დღეში მარტო ასჯერ ვამბობ, მეტჯერ — არა. გეფიცები ანის. ხო, შინ არი?

ვერიკომ ხელი მოჰკიდა და საძინებლისკენ წაათრია. სამზარეულოს კართან თაზო გაჯიუტდა.

— წამოდი, წამოდი, დაისვენე, მანდ აბა, რაღა უნდა აკეთო?!. ჭამა შენ აღარ გინდა, არც სხვა რამე, — შეეცადა, გადაეფიქრებინებინა სამზარეულოში შესვლა.

— ჰო, ჭამა — არა, მაგრამ ცოლი ხო მინდა?! სად არის ჩემი ცოლი? — არ დანებდა თაზო. — სად მიგყავარ, რატომ მებღაუჭებით, ქალბატონო ვერიკო, თქვენ რა?.. ჯერ არ მეძინება! ჯერ რომელი საათია?!. ჰო, დილაა თუ საღამოა? ყველაფერი ამერია... საფულე სად არის ჩემი? — თაზომ ჯიბეები მოიჩხრიკა, საფულე ამოიღო. — ჯერ აქ უნდა შევიდეთ. სამი მწვადი მინდა, შევუკვეთო. ელისო შინ არის? — იძალა და მაინც შეაღო კარი. — საქართველოს გაუმარჯოს!.. ნიკა?! ამდენ ქალებში, მარტო?! აი, დიდი კაცი! აი, წესიერი ადამიანი ვინ არი... ბოდიში უნდა მოვიხადო... ბოდიში, მაგრამ იცოდეთ, მე და ნიკამ თითო ჭიქა უნდა დავლიოთ. ელისო, გამოაჩინე ახლა, ხო ვიცი, მოტეხილი რომ გაქვს. გამოაჩინე! ალავერდი შენთანა ვარ, ერთი ჭიქა უნდა დამილიო. მარტო ერთი... ნიკა, შენ გენაცვალე, ბოდიში უნდა მოგიხადო, რომ უშენოდ დავლიე... შენმა დამ გამაბრაზა, ხო იცი... მაგრად მაბრაზებს, ძალიან, ძალიან მაგრად. ქალია, ხელი როგორ დავაკარო?!. ხო გაგიგია, ქალს ძაღლიც არ დაჰყეფსო... მაგრამ დღევანდელ ქალებზე არ არის ეგ ნათქვამი. დღევანდელ ქალებს ძაღლები ჭამენ კიდეც... ჰო, დამიჯერე... არა გჯერა? არა გჯერა და ნუ გჯერა... — თაზომ თავი მაგიდაზე დადო და ვეღარ ასწია.

— იყოს და ცოტა ხნის მერე გავიყვან, — თქვა ვერიკომ.

ნიკას მობილურზე დაირეკა.

— გისმენ... სახლში... კარგი, მოვდივარ. ახლავე. ჰო, გასაგებია. გამოვდივარ, — უპასუხა ნიკამ და წამოდგა.

— სად მიდიხარ? — დაინტერესდა ვერიკო.

— ირაკლისთან, დედა. ირაკლი იყო. შეგიძლია გადამამოწმო. მაქვს უფლება, რომ წავიდე?.. თუ არა მაქვს?.. — ხელები გაშალა ნიკამ.

— შეკითხვაც არ შეიძლება? — ეწყინა ვერიკოს.

— მაპატიე... ალბათ, იქ დავრჩები, კარგი? — თხოვნა გაურია კითხვაში ნიკამ.

— კარგი, — თავი დაუქნია დედამ ნიკას და მაგიდასთან ჩაძინებულ თაზოს დახედა. — ეს ხომ ასეთი არანორმალურია!.. მაინც მიყვარს... მეცოდება ანის ხელში... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ვერიკომ.

— თეონა, აბა, შენ იცი, მაგრად იმეცადინე, კარგი? — მოვალეობა მოიხადა მამამ.

— კარგი, — გაუღიმა თეონამ.

— აბა, ყველას გემშვიდობებით, — რატომღაც ღრმად ამოისუნთქა და გარეთ გავიდა ნიკა. იმ მოშხამული ხასიათის კვალობაზე, როგორზეც ვიღაც კრეტინ შაკოსთან შეხვედრამ დააყენა, ირაკლის ზარი ნიკასთვის ნამდვილი ხსნა იყო.

ირაკლის მანქანა სადარბაზოს წინ ჰყავდა გაჩერებული. ნიკა ჩაჯდა და ამოისუნთქა. ირაკლიმ მანქანა დაძრა.

— რომელი გირჩევნია: კულტურული ღონისძიება, რესტორანი თუ ბაითი, მაგარი ძუძუებით? — გაიცინა ირაკლიმ.

— ბოლო ვარიანტზე შევთანხმდეთ... — გაიღიმა ნიკამ.

— ძუძუები, „სისკები“, „ლიაშკები“!.. მოსულა! — თქვა ირაკლიმ და „გაზის“ პედალს მიაჭირა ფეხი. „მერსედესმა“ გეზი ვაკისკენ აიღო...

ირაკლიმ მანქანა ფარეხში ჩაკეტა და ნიკა თავისთან აიყვანა. სუფრა ძალიან სწრაფად გააწყო. „ეტყობა, დახელოვნებულია ამ საქმეში“, — გაიფიქრა ნიკამ, როცა ირაკლი სუფრის გასაწყობად ტრიალებდა. ღამაზი გამოვიდა: შამპანური, კონიაკი, ზეთისხილი, ხიზილალა, კარაქი, შავი „ახაშენი“. „ნახევრად ტკბილი“, — წაიკითხა ღვინის ეტიკეტზე ნიკამ. მერე ბოთლი გახსნა, ერთი ჭიქა დაისხა და ჟურნალების მაგიდის გვერდზე, დაბალ სავარძელში მოკალათდა. ირაკლი ტელეფონს მიუჯდა. წინ გადაშლილი ბლოკნოტი ედო.

— ...თეატრში მიდიხარ?.. როდის იყო, თეატრში დადიოდი?! გოგო, ძმა ჩამომივიდა ამერიკიდან და შენთვის მინდოდა, გამეცნო. კაი, კაი, კაი, გასაგებია. არ გინდა, ნუ გინდა... — უკვე მესამე თუ მეოთხე ქალისგან მიიღო უარი ირაკლიმ. — გადამრევენ ესენი! არავის არ სცალია. გიჟებივით მორბიან ხოლმე. აქეთ მირეკავენ ყოველთვის... რუსი რომ იყოს? — ჰკითხა მან ძმას.

— გააჩნია. შენ უფრო არ იცი?! — მიუგო ნიკამ.

ირაკლი ცოტა შეფუცხუნდა. რაღაც ეჭვმაც გაჰკრა... პირველად იყო მის ცხოვრებაში, რომ ამდენ ქალს ერთად ეთქვას უარი... ის, რომ დღევანდელი მთავრობა ყველაფერს აკონტროლებდა და ავსა და კარგს თავის სასარგებლოდ იყენებდა, ძალიან კარგად მოეხსენებოდა, მაგრამ ვერ დაეჯერებინა, რომ ორი დღის წინ ჩამოსული მისი ძმა უკვე კონტროლზე იყო აყვანილი. მოკლედ, იძულებული გახდა, „სათადარიგოებზე“ გა-

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

დასულიყო და კრებდა და კრებდა ნომრებს.

— ესეც გამოირიცხა, არ იღებს ყურმილს... აბა, დეა ვნახოთ. ამასთან არ დამირეკავს ორი წელიც იქნება... დეას სთხოვეთ... შენა ხარ? აბა, ვინა ვარ, თუ გამოიცნობ?.. საღოლ, მოარტყი!.. მომისმინე, მარტო ხარ? მაგარ ბაითში გაგჩითავ, ოლონდ, დაქალიც უნდა გამოიყოლო ვინმე... რატომ? რატომ? ვის არ აგონდები, როგორ გეკადრება?!. სიაში?!. როგორ გეკადრება, პირველ ნომრად თუ არა, სამეულში ყოველთვის ხარ... მომისმინე, ორნი ვართ ჩვენ. მე და ჩემი ძმა ვართ... არა, არ იცნობ შენ... ხომ მიხვდი, არა?.. ჰოდა, ძალიან კარგი. ჩემთან, ჩემთან. კი, ვაკეში... ჰო, გელოდებით... ესეც ასტე! ხო გავჩითეთ მაინც!.. ეს იცი, რა ნაშაა?! — ირაკლიმ შვებით ამოისუნთქა.

— არ არსებობს, თავისზე კარგი წამოიყვანოს. აი, ნახავ, მაგარ ბანძს მოათრევს... — თქვა ნიკამ.

— ვნახოთ, ვნახოთ. წინასწარ რატომ ვიმკითხაოთ?! ბოლო-ბოლო, დაგითმობ, რომელიც მაგარი ნაშა იქნება, შენი იყოს. თუ გინდა, „არიოლ-რეშკა“ ავაგდოთ, როგორც შენ გენდომება. — ირაკლიმ ვიდეომაგნიტოფონში კასეტა ჩადო. — „კაზანოვა“ არ გევასება? ამაზე უცბად ავარდებიან... ხო გევასება?

— ჯერ მოვიდნენ... — თქვა ნიკამ. — ეგრევე რომ ამიდგეს, რა ვქნა?!

— მაწვნის ბანკა დაგჭირდება... მაგრამ არა გვაქვს... — გაიცინა ირაკლიმ.

— შეიძლება, არ მოვიდნენ? — იკითხა ნიკამ.

— გამორიცხულია. ერთი ათ წუთში მოაზარებენ, აი, ნახავ, — თქვა ირაკლიმ და მართლაც, სულ მალე, ზარის ხმაც გაისმა.

— აი, რა გითხარი! მოვდივაარ!

ირაკლი კარის გასაღებად გაიქცა. ნიკაც წამოდგა სკამიდან და კარს მიაშტერდა. მაგრად აინტერესებდა, ვინ შემოვიდოდნენ.

კარი გაიღო და ზღურბლზე, ჯანმრთელი, დაბალი, „მძიმეწონოსანი“, ლამაზსახიანი მდედრი გამოჩნდა. იდგა და სახეგაბადრული, ეშმაკურად იღიმებოდა... „რა ნაცნობი იერი აქვს!..“ — გაიფიქრა ნიკამ, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა, საიდან შეიძლებოდა, სცნობოდა ეს ქალი.

ყველას გინახავთ, ალბათ: მსუქანი, მაგრამ კოხტასახიანი, პატარა, მრგვალტუჩებიანი, სათნო ქალბატონები. ეს ჩვენი ახალი გმირიც სწორედ ასეთი ბრძანდებოდა, მაგრამ ყველა სიკეთესთან ერთად, ცოტა ელამიც გახლდათ. დოინჯშემოყრილი იდგა კარში და თვითონაც აინტერესებდა, მისი დანახვა ბიჭებში რა რეაქციას გამოიწვევდა... ბიჭებს ჰომერული ხარხარი აუტყდათ. ქალი სწორედ ასეთ რეაქციას მოელოდა. ამაყად შემოვიდა, მკვეთრი მოძრაობით შეტრიალდა და ბიჭებს უკანალი მიუშვირა. მას, გაღიმებული დეა შემოჰყვა. მსუქანა, პოდიუმზე გასული ტოპმოდელივით გამოეწართა ოთახისკენ. შუა ოთახში შედგა და კაბა მუხლს ზემოთ აიწია. ბიჭების რეაქციაც ადეკვატური იყო — სტვენა და ყიჟინა. სიცილით ჩაოსდნენ. დეამ კი თეატრალურად გამოაცხადა:

— თათიკო ლეშკაშელი. თვით მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილი!

— არაა! — განცვიფრდა ირაკლი.

— დიახ, დიახ, ნამდვილად მისი ქალიშვილი გახლავთ. როგორია? — იკითხა დეამ.

— გრანდიოზულია! — თქვა ნიკამ.

— ეს ქალი — ჩემია, — გამოაცხადა ირაკლიმ.

— კი, ბიჭო, აბა! ჩემია და მოვრჩეთ ბაზარს, — არ დაუთმო ნიკამ.

— ჩემია-მეთქი! — მამლაყინწასავით წინ დაუდგა ძმას ირაკლი.

— რატომ ვითომ?! წონითი კატეგორიით, მე უფრო შემეფერება, — მოუყვანა არგუმენტი ნიკამ.

— მაშინ, ჯერ დავლიოთ და მერე — ვნახოთ... — არ დაყარა ფარ-ხმალი ირაკლიმ.

— კარგი, — დათანხმდა ნიკა.

— დეა, „დავაი“, ცოტა მოშინაურდით. ხელები დაიბანეთ და მობრძანდით სუფრასთან, — კულტურული ტონით ბრძანა ირაკლიმ.

— ძალიან კარგი. წამო, თათიკო, — სააბაზანოსკენ გაუძღვა მეგობარს დეა.

ბიჭები სუფრასთან დარჩნენ. ჯერ კიდევ ელიმებოდათ.

— შენ რაღა დაგემართა?! დეა არ გირჩევნია? ის ბევრად მაგარი ნაშა არ არის?! — შეუტია ძმას ირაკლიმ.

— რას ამბობ? მაინტერესებს: უნდა ვეჭიდაო. წავაქცევ თუ ვერ წავაქცევ... — გაიცინა ნიკამ.

— ჰოდა, გაგუიმავს გემოზე, ბეჭებზე, — უთხრა ირაკლიმ.

— დიდი ხალიჩა რომ გვქონოდა, ვაგორავებდით ზედ, ხან — შენკენ, ხან — ჩემკენ.

— სახე ძალიან ლამაზი აქვს. როგორი ტუჩები აქვს?

— ტუჩ-კბილი... არ დამავიწყდება, კარი რომ გაიღო და შემოვიდა.

— იცოდე, დეას დაკარგავ, — გააფრთხილა ძმა ირაკლიმ. თითქოს ნიკას აქამდეც ჰქონოდა საყვარლობანა დეასთან გაჩაღებული.

— არა, დეა შენია. ეს, ჩემი იქნება, — ისევ უარი სტკიცა ნიკამ.

— არა, ვერ დაგითმობ, არ არსებობს. დუელმა გადაწყვიტოს! — არ დაუთმო ირაკლიმ.

— მასე იყოს, — დაეთანხმა ნიკა. — მამამისმა რომ გაუგოს, ხო დაკლავს...

— მოიცა, თუ ძმა ხარ, დაკლავს კი არა... თვითონ, ვინ იცის, ჩვენზე უარეს ბაითშია ახლა.

— პოლიციელი, ტო?! — არ დაეთანხმა ნიკა.

კარი გაიღო და ლამის მთლად გაშიშვლებული დეა შემობრძანდა. მხოლოდ თეთრი მაქმანებიანი ტრუსისა და წითელი ლიფის ამარა იყო დარჩენილი.

— ისიც შიშველი შემოვა?.. მე ნაღდად გავაფრენ!.. — თქვა ირაკლიმ და გაშიშვლებული თათიკო წარმოიდგინა, თავისი „ტონიანი“ უკანალით.

თათიკო ჩაცმული შემობრძანდა. ტუჩებში ეღიმებოდა.

— აბა, რომელს უნდა, ჩავუსკუპდე კალთაში? — იკითხა თათიკომ და ბიჭებს გადახედა.

— მეე, რა! — ყელი გამოუწია ორივემ ერთდროულად.

— მე დამიწუნეთ, ხომ?! — უკანალი ააქანავა და მაგიდასთან დაჯდა დეა. და უეცრად, ორივეს ბრანწი უჩვენა: — აი, თქვენ, მიიღეთ! — თან, ბრანწიანი მუშტები ცხვირებთან მიუტანა. ბიჭებმა თვალები დააელმეს. — მსუქანი ხორცი გიყვართ, არა?! ლურთ-ლურთი... — და თათიკოზე მიუთითა. — შეჭამეთ!

— საიდან დაიწყებთ? — იკითხა თათიკომ და ხელი საჯდომზე დაირტყა. — აქედან? — ბიჭები ახარხარდნენ. თათიკო ნიკას მიუახლოვდა. — ნებას დამრთავთ, თქვენს მუხლებზე მოვკალათდე?

— სიამოვნებით, — მიიპატიჟა ნიკამ.

— გამიძლებთ? — შეეკითხა თათიკო და რაღაც უცნაურად ჩაეღიმა, რაც ნიკას არ გამოჰპარვია.

— ნიკა კი გაგიძლებთ, მაგრამ სკამი — ცოტა მეეჭვება... — თქვა ირაკლიმ და ხმაურით გახსნა შამპანური.

თათიკო ახტა და ნიკას კალთაში ჩაუხტა.

ნიკამ ერთი კი დაიყვირა — ვაიმე, დედაო! — ქალის ხელში დაჭერაც სცადა, მაგრამ მის სიმძიმეს მაინც ვერ გაუძლო და სკამიანად უკან გადაყირავდა. ორივენი რბილ იატაკზე გაგორდნენ. თათიკო ქვემოდან მოხვდა. ნიკამ წამოდგომა დააპირა, მაგრამ თათიკომ ხელი სტაცა და თავისკენ მოქაჩა.

— საით?! — მერე, ეგრევე თავი დაუჭირა და ტუჩებში გემრიელად „დაუზასა“. ნიკა არ გასძალიანებია... როგორც კი კოცნა დამთავრდა, თათიკომ ნიკა რომელიღაც საჭიდაო ილეთით ამოატრიალა და ქვეშ მოიგდო.

— მიშველეთ, გავიჭყლიტე! — იღრიალა ნიკამ.

— ხომ გითხარი, გაგუიმავს-მეთქი!.. — დაიყვირა ირაკლიმ.

ყველანი ახარხარდნენ. თათიკო წამოდგა. ნიკაც წამოაყენა, მაგრამ ხელი მაინც არ გაუშვია.

— მოდი ჩემთან, ჩემო პატარა, ჩემო გოშია, მოდი, მოდი, ნუ გეშინია... — მიეფერა ის ნიკას. მერე სავარძელში ფრთხილად ჩაჯდა და ნიკა კალთაში ჩაისვა. — აბა, როგორ გრძნობ თავს? კარგად ხარ მოკალათებული თუ ვერა? აბა, ასე ხომ არ გირჩევნია? — ეფერებოდა ის ნიკას და ნიკაც ქალის ბარძაყებზე მშვენივრად გრძნობდა თავს.

— იფ... — წამოსცდა ნიკას.

— მე-ე? — შეშურდა ირაკლის.

— სენ — დიდი ნთხლე-ე! — ენა მოუჩლიქა თათიკომ ირაკლის.

ყველანი ახარხარდნენ. მოგეხსენებათ, ამ დროს, მომავალი სიტკბოების მოლოდინში, ორგიის წევრები ხშირად უმიზეზოდაც იცინიან და თუკი საბაბი აქვთ, მაშინ ხომ ვერც გააჩუმებთ... მოკლედ, ეს „ქალბატონ-ვაუბატონებიც“, როცა ჭიქებში შამპანური აჩუხჩუხდა, უკვე ასეთ განწყობილებაზე ბრძანდებოდნენ. ტელეეკრანზე კი, „კაზანოვადან“ ცნობილი, სექსში ასპარეზობის ეპიზოდები მიდიოდა...

— აუ, ესენიც რას გრიალებენ, ბიჭო! — მიახედა ეკრანისკენ მეინახეები ირაკლიმ.

...თათიკო მსუქანა კი იყო, მაგრამ მშვენიერი, ტკიცინა კანი აღმოაჩნდა. ნიკას შამპანურის ხსნარი სხეულში ტკბილად გაუღენთოდა და მოეთენთა. მის განწყობილებას საოცრად მიესადაგა თათიკოს ფრიგიდული ბუნება. ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს რბილ, გრილ ზღვაში ბანაობდა და თათიკოს ამობურცულ ძუძუებს, რომლის თავებსაც ლილისფერი დაჰკრავდა, ზღვის ტალღებივით აქანავებდა და სახით რჩოლავდა. ორივენი სასიამოვნო რიტმში ირწეოდნენ და სექსის ხელოვნური გაჭიანურებით, სიტკბოებას იხანგრძლივებდნენ.

დეამ კი, რატომღაც, „ქალურობა“ მოიმიზეზა და უარი თქვა სექსზე. ირაკლი, რომელიც მიხვდა, რომ დეა ტყუოდა, საშინლად გაღიზიანდა. ბუნებით მაქსიმალისტი, წიმააღმდეგობას არამცთუ სექსში, არამედ საერთოდ ვერ იტანდა და დეას, რა თქმა უნდა, მინეტი მოსთხოვა. და რადგან დეამ ეს საშინლად შეიცხადა, ირაკლიმ არც აცივა, არც აცხელა და სილა გააწნა. ასეთ რეაქციას მამაკაცის მხრიდან ხშირად, ალკოჰოლიც იწვევს — ის ნახევრად მთვრალი მდგომარეობა, როცა აგზნებულია და საერთოდ — ყველაფერზე წამსვლელი... დეამ ხურდა დაუბრუნა, ჩამოპორჭყნა კიდეც, ხელიდანაც დაუსხლტა და იმ ოთახში შევარდა, სადაც თათიკო და ნიკა ნებივრობდნენ. ჩხუბის, ძიძგილაობისა და სილების გაწვნის ხმა ნიკას და თათიკოს მაშინვე შემოესმათ, ასე რომ, როცა დეა მათთან შევარდა, ისინი უკვე ლოგინში წამომსხდარი დახვდნენ.

შეშინებული დეა პირდაპირ შუაში ჩაუხტა მწოლიარეებს.

— მიშველეთ! — ტირილს აპირებდა დეა.

ირაკლი, რომელიც დეას მოსდევდა, ძმის განცვიფრებული სახის დანახვაზე, გაჩერდა.

— რა ხდება? — იკითხა მკაცრად ნიკამ.

— არ იძლევა ეს ძუკნა!

— ძუკნა — დედაშენია! — მიახალა დეამ.

— გესმის?! მოვკლავ, მე ამის, ამ კახპას!.. — ირაკლი ქალისკენ წამოვიდა, მაგრამ ამ დროს, საწოლზე მთელი ტანით წამოიმართა ნიკას განრისხებული პარტნიორი. მთლად შიშველი და აგრესიული თათიკო ბევრად დიდი ჩანდა, ვიდრე ტანსაცმელში და ირაკლიმ მისდა უნებურად, უკან დაიხია. მაგრამ თათიკოს მოქნეულ მარჯვენას მაინც ვერ გადაურჩა და მისმა ლოყამ ლაწანი გამოსცა.

— შენ კიდევ — ბოზი ხარ, „სტუკაჩი“, არაკაცი! არ გადმოადგა ფეხი, თორემ, დაგინაყავ ცხვირ-პირს! — საწოლიდან გადმოალაჯა და ირაკლის წინ დაუდგა თათიკო...

ის არა მარტო დიდი იყო, ამასთანავე — მურაზ ლეშკაშელის ქალიშვილიც გახლდათ და ირაკლიმ ფარ-ხმალი დაყარა. ნიკას კი, ის ქალი გაახსენდა, რომელიც თვითმფრინავში შეეჩეხა. „ეს ის ბრძანდება, ის გაფითქინებული „გვირილის ბერეტი“... ნაღდად ისაა, ჰო...“ — მაგრამ ის მკაცრი ქალბატონი და ეს რბილი, ფუმფულა ქალი მაინც ვერაფრით დაუკავშირა ერთმანეთს და ამ ამბის გარკვევა სამომავლოდ გადადო.

— აუუჰ! — თქვა ირაკლიმ და ხელი ჩაიქნია.

— ჰოო, მორჩეს ახლა, გადი გარეთ! — წაუღრინა თათიკომ.

— გადი, — ცივად გამოცრა კბილებში ნიკამ.

— სად გავიდე?! ჩემს სახლში ვარ და მე გავიდე?!. — ხელები გაშალა ირაკლიმ.

— არ შემიძლია და — მომკალით! ხომ ხდება, არა?! — შველას ითხოვდა დეა.

— არ შეუძლია, ბიჭო, მართლაც ხომ ხდება, არა?! — წაეშველა დეას ნიკა.

— თან, იცით, რას მთხოვს?!. — არ დაასრულა სათქმელი დეამ.

— რას გთხოვ ისეთს, რაც არ გაგიკეთებია?! — „მიაწვა“ ირაკლი.

— არ გამიკეთებია, არა, არასოდეს!.. ბოზი ვარ, კი, ბოზი ვარ და არც ვმალავ, მაგრამ ეგ არ გამიკეთებია და არც ვაპირებ. ეგეც თუ გავაკეთე, ბარემ ცირკთან დავდგები და ის იქნება! მე ჩათლახი არა ვარ, გესმის?! მე ბოზი ვარ. რა იყო? როგორც ნახევარზე მეტი თბილისი!.. მე უბრალოდ, არ გამიმართლა, თორემ, არც ბოზი არა ვარ, დიახ!.. — მიახალა გაკვირვებულ ირაკლის დეამ.

— „სვეცკი“ ბოზი ვარო, — ხომ გესმის, რას გეუბნება?!. — უთხრა ნიკამ ძმას.

— დიახ, „წავისვეტებთ“. თორე არა!.. — თქვა თათიკომ. და ჩაცმა დაიწყო: — მე ვეღარ დავრჩები აქ, თორემ მეც მომთხოვენ, ალბათ, რაღაც-რაღაცებს... რის გაკეთებასაც არ ვაპირებ.

— არავინ გებღაუჭება... — ეწყინა ნიკას.

— რა-ა? წელან მაგრად კაიფობდი, ძვირფასო!.. — მიაჩერდა ნიკას თათიკო.

— მართალი გითხრა, არ მეგონა, თუ ასეთი სლიკინა კანი გქონდა... — მიუგო ნიკამ.

— ეგ, კი... მაგრამ შენ ჩემი გაგიუება და გაცოფება არ გინახავს... და ალბათ, ველარც ნახავ... — უთხრა თათიკომ.

— რატომ? რატომ?!. მოდით, რა, შევრიგდეთ და ნუ ჩავიშხამებთ ამ საღამოს, — თქვა ნიკამ.

— უკვე ჩაშხამებულია. მე სირამოღებული დავრჩი... — თქვა გამწარებულმა ირაკლიმ და დეას მიუბრუნდა. — რას მოდიოდი, შე ჩემისა, თუ გაჟიმვა არ გინდოდა?! მე აქ კონცერტის საყურებლად კი არ დაგპატიჟე!

— როცა მოვდიოდი, მინდოდა... — ჩაილაპარაკა დეამ.

— და მერე გადაგიტრიალდა ტვინი, ა-აქ? — ჰკითხა ირაკლიმ.

— დიახ, თუ გინდა სიმართლე. შენი ძმა მომეწონა, ნიკა... — თითი გაიშვირა შიშველი ნიკასკენ დეამ. — ჯერ ამან მინდა, გამჟიმოს.

— ახლა, ჰო-ო?! შენ ძმებს შორის „ჩორტს“ ნუ აგდებ! — ხუმრობაში ნახევარი სიმართლეაო, „ამ პონტში“ თქვა ნიკამ.

— თქვენი დედაც!.. — თქვა ირაკლიმ და ოთახიდან გავიდა.

— გაიხადე და ჩამიწექი, — უთხრა დეას ნიკამ.

— თქვენ ხომ არ გაგიჟდით?! ჩემი ხელით დაგკლავთ ორივეს! — თქვა თათიკომ და თავისი ელამი თვალები ჯერ ერთს „მიაჭირა“, მერე — მეორეს.

— სხვა დროს იყოს... — უთხრა დეამ ნიკას.

— აკი, ბოზი არა ვარო?!. ამწუთას არ ამბობდი?! ნიკა ჩემია და თქვენ შორის რომ რამე მოხდეს, ჩათვალეთ, რომ „ტრუპები“ ხართ ორივე. ჰო, ჰო, სერიოზულად! — თქვა თათიკომ. — არ გამომივიდნენ „რომეო და ჯულიეტა“?!.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გემო და ხასიათი

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ახდენს თუ არა გავლენას ჩვენ მიერ მირთმეული საკვები ჩვენი ხასიათის ფორმირებაზე? თურმე ახდენს — სწორედ საკვებზეა დამოკიდებული ადამიანის განწყობილება, ცნობიერება, გრძნობა და ფიზიკური მდგომარეობა. დღეს ბევრი დიეტოლოგი მიუბრუნდა ჯანსაღი კვების უძველეს ცნობარს — აიურვედა (აიურ — სიცოცხლე, ვედა ცოდნა), რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს საკვების გემოს. განასხვავებენ ექვს გემოს: ტკბილს, მჟავეს, ცხარეს, უმარილოს (მწკლარტეს), მარილიანს, მწარეს.

ტკბილი გემო

ტკბილი საკვების ზომიერად მიღება ორგანიზმს წონასწორობის უნარს, გულგრილობას, ზომიერებას და ფიზიკურ ძალას ანიჭებს. ტკბილი პროდუქტები (შაქარი, ბოსტნეული, ხილი, ხორცი, ზეთი, რძის პროდუქტი, თხილეული, ბარდეული) თრგუნავს წყურვილს და აქვეითებს გაღიზიანებულობას. ასეთ პროდუქტთა ჭარბად მიღება კი აჩლუნგებს გრძნობებს და ძილიანობას იწვევს. მათ, ვინც ბოროტად მოიხმარს ტკბილეულს, გამოხატული აქვთ ისეთი თვისებები, როგორებიცაა: სიძუნწე და ამპარტავნება.

მჟავე გემო

ლიმონის და მჟავე ხილის, ძმრის და რძემჟავა პროდუქტების მცირე რაოდენობით მიღება ხელს უწყობს ნაღვლის წვენისა და ნერწყვის გამომუშავებას, ავითარებს გონებამახვილობასა და გამჭრიახობას.

მჟავე პროდუქტების სიჭარბე ამძაფრებს წყურვის გრძნობას, სითხის ჭარბად მიღებას კი, მოსდევს შეშუპებები, რაც ადამიანის ხასიათში შურიანობისა და ბუტიაობის განვითარებას უწყობს ხელს.

ცხარე გემო

წიწაკა, ხახვი, ნიორი, ბოლოკი, სუნელები ააქტიურებს საჭმლის მონელებას.

ცხარე საკვების სიჭარბემ შეიძლება გამოიწვიოს კანისა და ლორწოვანი გარსების გაღიზიანება, წყურვილი, თავბრუსხვევა, ნერვული სისტემის მეტისმეტი აგზნება.

მწკლარტე (უმარილო) გემო

ვაშლის, მსხლის, ბარდის და სხვა მსგავსი პროდუქტების ზომიერი რაოდენობით მიღება აგრილებს და ამშვიდებს ორგანიზმს.

მწკლარტე პროდუქტის სიჭარბე კი, ყაბზობას, პირის სიმშრალეს, გაზების წარმოქმნას, მუცლის შებერვასა და გრძნობების გაცივებას იწვევს.

მარილიანი გემო

მარილი მცირე რაოდენობით აძლიერებს მადას, ასტიმულირებს ნერწყვისა და საჭმლის მომნელებელი წვენის გამოყოფას.

მარილის სიჭარბე თრგუნავს ყველა სხვა გემოს შეგრძნებას. მარილი იკავშირებს წყალს, რის შედეგადაც მცირდება შარდის გამოყოფა, ქსოვილებში გროვდება წყალი და ცხიმი, ვითარდება ჰიპერტონია და აკვიატებული სურვილები.

მწარე გემო

მწარე ორგანიზმს სიმსუბუქეს ანიჭებს. იგი გამოიყენება გემოვნების შეგრძნების კორექციისთვის. მაგალითად, მარილიანი, ტკბილი და ცხარე პროდუქტებისადმი ლტოლვის დროს, მწარე აღიზიანებს სასას და ასტიმულირებს საჭმლის მონელებას.

მწარე პროდუქტის სიჭარბეს კი, საწინააღმდეგო ეფექტი აქვს.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული დებულებები ერთმნიშვნელოვნად არ უნდა იქნას გაგებული. მთავარია, ყური მიუგდოთ საკუთარ ორგანიზმს და დაიცვათ ზომიერება. ■

მზემ თუ კანი დაგიწვათ

მზისაგან დამცავი საშუალების სიჭარბის მიუხედავად, ზაფხულში ბევრი ადამიანი იღებს კანის დამწვრობას მზეზე ხანგრძლივად ყოფნის გამო. დამწვარი უბნების სწრაფად მორჩენაში ხალხური საშუალებები დაგეხმარებათ.

● დამწვარ უბანზე დაიდეთ კომბოსტოს ფურცელი ან გახეხილი სტაფილო. საფენი ყოველ 2 საათში ერთხელ გამოცვალეთ.

● უმი კარტოფილი გახეხეთ, ოდნავ გაწურეთ, ჩადეთ ბამბის ქსოვილში და დაიფინეთ დამწვარ კანზე. ეს პროცედურა დღეში რამდენჯერმე, ძილის წინ უნდა ჩაიტაროთ.

● სახის დამწვრობისას მოხარშეთ კარტოფილი კანიანად, გაფცქვნით, დასრისეთ არაჟანთან ერთად და მიღებული ფაფა წაისვით კანზე.

● 1 ლ ზეთში ჩაშუშეთ 5 ცალი საშუალო ზომის ხახვი ისე, რომ ოქროსფერი გახდეს, შემდეგ ზეთი გაწურეთ დოლბანდში და წაისვით დამწვარ კანზე.

● მზის დამწვრობას ეფექტურად კურნავს საცხი, რომელიც წინასწარ უნდა მოამზადოთ და ყოველი შემთხვევისათვის თან იქონიოთ. აიღეთ 100-100 გ ნაძვის ფისი, ღორის მუცლის ქონი და ფუტკრის ცვილი, აურიეთ, წამოადუღეთ. დამწვარი უბანი ჯერ ჩამოიბანეთ კირიანი წყლით (1 ს/კ კირი იხსნება 1 ლ წყალში), შემდეგ წაისვით მომზადებული მალამო. საკმაოდ მძიმე დამწვრობაც კი, 3-4 ასეთი პროცედურის შემდეგ იკურნება.

● მზის დამწვრობის სამკურნალო საკმაოდ ეფექტური საშუალებაა ბარდის ფქვილი, რომელიც უნდა დაიყაროთ დამწვარ უბანზე და სულ მალე, დამწვრობისაგან კვალიც აღარ დარჩება. ■

დიზაინერი თათა ვარდანაშვილი, თურმე, კარგი მზარეული ყოფილა. მას იმდენნაირი კერძის მომზადება შეუძლია, რომ მისი ბევრ გამოცდილ მზარეულსაც შეშურდება.

პატარაობისას თათა ვარდანაშვილს დედა თეთრ ღვინოს ასმევდა ხოლმე

„ბავშვობიდან მოყოლებული, სახლის გარდა, საჭმელს ვერსად ვჭამ“

ეკა მინდაძე

— არაჩვეულებრივ ხაჭაპურს, ხორცის ღვეზელსა და პიცას ვაცხობ; ასევე ვიცი ჩაქაფულის, ჩიხირთმის, ყაურმის, ტოლმის და მწვადის მომზადებაც.

— გამოდის, რომ კარგი მზარეული ხარ...

— „ბელარუჩკა“ გეგონე, არა *(იცინის)*?!. სხვათა შორის, ბავშვობაში არასოდეს მქონია იმის სურვილი, რომ ესა თუ ის კერძი მომემზადებინა. ამას დედა და ბებია ძალიან განიცდიდნენ. 20 წლის ვიყავი, როცა პირველად შევედი სამზარეულოში და ხაჭაპური გამოვაცხვე. სხვათა შორის, მაშინ ყველამ, ვინც კი ის გასინჯა, ერთხმად აღიარა, რომ გემრიელი იყო... დედა შესანიშნავ კერძებს ამზადებს და ალბათ, მეც მას დავემსგავსე — გენი თავისას შვრება.

— ოდესმე ხინკალი თუ გაგიკეთებია?

— კი, როგორ არა და ძალიან გემრიელიც გამომდის.

— რამდენნაოჭიან ხინკალს აკეთებ?

— ბევრი ნაოჭის გაკეთება არ მიყვარს. ვფიქრობ, ხინკალი რომ კარგი გამოვიდეს, მთავარი ნაოჭის რაოდენობა კი არა, ცომის ხარისხია — ისეთი ცომი უნდა მოიზილოს, რომ თავმოკრული ხინკლიდან წვენმა არ გამოჟონოს.

— ნამცხვრის ცხობაც გეხერხება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამ ბოლო დროს, სამწუხაროდ, სამზარეულოში ფუსფუსისთვის დრო არ მრჩება. ადრე, როცა ამის დრო მქონდა, ძალიან გემრიელ, ხილფაფიან ღვეზელს ვაცხობდი.

— გურმანი ხარ?

— ძალიან ცოტას ვჭამ, მაგრამ გემრიელად *(იცინის)*. არ შემიძლია ვჭამო ის, რაც არ მომწონს. მირჩევნია, თუნდაც ერთი კვირა, მშიერი ვიყო, ვიდრე უგემური კერძი მივირთვა. პურს და ცომეულს ნაკლებად ვეტანები. ძალიან მიყვარს შემწვარი კარტოფილი და ნებისმიერი სახეობის თევზი, განსაკუთრებით, ვგიჟდები თევზის თავზე და ის რაც უფრო ცხიმიანია, მით უკეთესია.

— ამჟამად, ყველაზე მეტად, რა კერძი გენატრება?

— ძალიან მენატრება ბატკნის ნეკნები წალამზე შემწვარი. დრო რომ მქონდეს, დიდი სიამოვნებით გავიდოდი ბუნებაში და მას საკუთარი ხელით შევწვავდი.

— სასმელებიდან რომელს გამოყოფდი?

— ძალიან მიყვარს ნატურალური ღვინო. ოჯახში, როგორც წესი, სადილობის დროს, თითო ჭიქა ღვინოს ყველა ვსვამთ. რადგან ეს, ორგანიზმისთვის სასარგებლოა. მახსოვს, პატარაობისას, ზაფხულში წყალი ხშირად რომ არ მომწყურებოდა, დედა წყალში გაზავებულ ღვინოს მასმევდა.

— სახლში თუ გაქვს ფინჯანი, რომლითაც მხოლოდ შენ სარგებლობ?

— კი. მაქვს ფინჯანი, რომლითაც ჩაის ან ყავას ვსვამ და ის, ნახევარი ლიტრის მოცულობისაა.

— თათა, რომელიმე კერძის შენეულ რეცეპტს ხომ ვერ გაგვიმხელ?

— ღორის ხორცი გარეცხეთ და დაჭერით. აიღეთ ჭურჭელი, მასში ხორცის ერთი ფენა ჩაალაგეთ, ზემოდან კი, დაფნის ფურცელი, შავი პილპილი და დაჭრილი ხახვი მოაყარეთ. ჭურჭელში ასევე, ჩაალაგეთ შემდეგი ფენები და მასში, დროდადრო ჩაასხით თეთრი ღვინის და ვაშლის ძმრის ნაზავი. ასე დამზადებულ ე.წ. „ბასტურმას“ ზემოდან მარილი მოაყარეთ და ის მაცივარში, ერთი დღე-ღამე გააჩერეთ. მეორე დღეს კი, ხორცი ნელ ნაკვერჩხალზე შეწვით. როცა ქონი დნობას დაიწყებს, მას ზევიდან თეთრი ღვინო დაასხით. იმ შემთხვევაში, თუ მწვადს ტაფაზე წვავთ, სანამ ჭუჭელზე ხორცის დაყრიდეთ, მასზე სიმინდის ზეთი მოასხით. შემწვარი ხორცი ნედლ, დაჭრილ ხახვში აურიეთ და მას, თეთრ ღვინოში გაზავებული ბროწეულის წვენი მოასხით. გააჩერეთ დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში და მიირთვით. ამას გარდა, მინდა შემწვარი ინდაურის რეცეპტიც გაგანდოთ: აიღეთ ინდაური, კარგად გარეცხეთ და გასუფთავებული ფრინველის მუცელში მოათავსეთ წინასწარ მომზადებული ფლავი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება: წვრილად დაჭრილი რამდენიმე თავი ხახვი და სტაფილო ცხიმში მოშუშეთ, მას შეურიეთ მოხარშული ბრინჯი და გაცივების შემდეგ, ეს მასა ჩატენეთ ინდაურში. შიგთავსი რომ არ გადმოიყაროს, ამოკერეთ, შედგით ჰაერღუმელში და დაახლოებით ექვსი საათის განმავლობაში, დაბალ ცეცხლზე შეწვით.

— სასმლის მომზადება თუ გიცდია?

— რა თქმა უნდა. ბევრჯერ მომიმზადებია „საშობაო“. ვიღებ შუშის დიდ ჭურჭელს და მასში ყველანაირ ხილს ვყრი. ერთ კილო ხილს, ზემოდან იმდენივე შაქარს და 900 გ სპირტს ვასხამ. საშობაოდ კი, მას გადავწურავ და მივირთმევთ.

— სუფრის გაშლის დროს, მის სილამაზეზეც თუ ზრუნავ?

— ამა თუ იმ კერძმა, რაც არ უნდა გემრიელი იყოს, თავდაპირველად, ვიზუალური მხარით უნდა მიგიზიდოს. აქედან გამომდინარე, მეც მიყვარს სუფრის ლამაზად და გემოვნებით გაწყობა.

— ალბათ, საზღვარგარეთ არაერთი უცხო კერძი გექნება გასინჯული...

— ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე, სახლის გარდა, საჭმელს არსად ვჭამ და ეს სხვების გაღიზიანებას იწვევს. რა ვქნა, ასეთი ვარ... ■

ხინკალი რომ კარგი გამოვიდეს, მთავარი ნაოჭის რაოდენობა კი არა, ცომის ხარისხია

ირაკლი ლაბაძე

მილიონერი ქართველი ახალგაზრდა

ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი, რომელსაც ყველაზე პრესტიჟულ — უიმბლდონის საჩოგბურთო ტურნირის ფინალში უთამაშია, ალექსანდრე მეტრეველი გახლავთ. მის შემდეგ, არც ერთ ჩვენს თანამემამულე მამაკაცს ამგვარი შედეგისთვის არ მიუღწევია. წლევანდელი „უიმბლდონი“ ჩვენთვის დასამახსოვრებელი სწორედ იმით გახლდათ, რომ საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელმა — ირაკლი ლაბაძემ პირადი რეკორდი გააუმჯობესა და ტურნირის მერვედფინალში გავიდა.

ლაშა თაბაგარი

აღსანიშნავია, რომ განვლილ ასპარეზობაში ქართველმა სამი საკვალიფიკაციო შეხვედრა მოიგო და ამდენივეჯერ ძირითად ტურნირში იმარჯვა. თან, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, შეჯიბრებაზე ჩვენებურმა, „უიმბლდონის“ შარშანდელი გამარჯვებული, არგენტინელი გასტონ გაუდიო დაამარცხა. ირაკლის წინსვლა კი, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა და საფრანგეთის ღია პირველობის წლევანდელმა ჩემპიონმა, ესპანელმა რაფაელ ნადალმა შეაჩერა. მანამდე ისინი ერთმანეთს ორჯერ შეხვედრიან და ანგარიში 1:1 გახლდათ. სხვათა შორის, ნადალი მატჩამდე აცხადებდა, რომ ლაბაძე სახიფათო ჩოგბურთელია, რომელსაც კარგი ჩამოწოდება აქვს და კორტზე ბოლომდე იბრძვის. თუმცა საბოლოოდ, მშვენიერ სათამაშო ფორმაში მყოფმა ესპანელმა, ქართველს მოგების საშუალება არ მისცა. ერთეულთა თანრიგის გარდა, თბილისელმა სპორტსმენმა, სერბ დუშან ვემიჩთან ერთად, წყვილებშიც კარგად ითამაშა და იქაც მერვედფინალში დამარცხდა. საერთო ჯამში, განვლილ „უიმბლდონზე“ ლაბაძემ 12 შეხვედრა ითამაშა და ათში გამარჯვებული გამოვიდა, ხოლო ჰონორარის სახით, 46.000 გირვანქა სტერლინგი მიიღო. „უიმბლდონამდე“, მსოფლიო რეიტინგში ლაბაძეს 166-ე ადგილი ეკავა, ამჟამად კი იგი 147-ეა.

ირაკლი ლაბაძე რომ დღესდღეობით ჩოგბურთელია, ამაში უდიდესი წვლილი მამამისმა, პროფესიით არქიტექტორმა, გივი ლაბაძემ შეიტანა. ოჯახის უფროსი თავის დროზე, ფეხბურთს მისდევდა, მაგრამ ტრავმის გამო, იძულებული იყო, სპორტის საყვარელი სახეობისთვის თავი დაენებებინა. ბატონი გივი 33 წლის გახლდათ, როდესაც ხელში ჩოგანი აიღო და ორი წლის განმავლობაში, მოყვარულის დონეზე ჩოგბურთს საკმაოდ კარგად თამაშობდა. მისი შემხედვარე, ყველა ეუბნებოდა — შენგან კარგი მწვრთნელი დადგებაო და ამიტომ, გადაწყვიტა, შვილი აუცილებლად ჩოგბურთისთვის ეზიარებინა.

ირაკლი 3 წლის რომ გახდა, ბატონმა გივიმ სახლში ერთი ოთახი დაცალა და იქ შვილს პატარა ბურთით ჩოგბურთს ათამაშებდა. 6 წლის ასაკში ბიჭი წვრთნის გასაგრძელებლად, უკვე სანაპიროზე მდებარე „დინამოს“ საჩოგბურთო კორტებზე მიიყვანა. აღსანიშნავია, რომ 8 წლის ირაკლი 4 თვე ჭადრაკზე დადიოდა, რომლითაც სერიოზულად არ დაინტერესებულა. 1995 წელს, ბატონმა გივიმ სამსახურს თავი დაანება და 14 წლის შვილთან ერთად, გერმანიას მიაშურა. ამ შემთხვევაში, ის ვა-ბანკზე წავიდა და იმოქმედა პრინციპით — ან არაფერი ან — ყველაფერი. ფაქტობრივად, მამამ მთელი აქცენტი შვილის მომავალ კარიერაზე გააკეთა და როგორც შემდეგ გამოჩნდა, რისკმა გაამართლა. თავად ირაკლი აღიარებს, რომ ბატონი გივი მისი ყველაზე ერთგული გულშემატკივარია და მამა მუდამ მკაცრი იყო, როგორც ვარჯიშის დროს, ასევე — კორტს მიღმა. პირველ დიდ წარმატებას ლაბაძემ 1998 წელს მიაღწია, როდესაც უიმბლდონის იუნიორთა ტურნირში იასპარეზა და ფინალში გავიდა, სადაც ამჟამინდელ, მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, როჯერ ფედერერთან ორთაბრძოლაში დამარცხდა. სწორედ მაშინ დაედო სათავე მის პროფესიონალურ კარიერას, რომლის განმავლობაშიც, ლაბაძეს რომელიმე მნიშვნელოვანი ტურნირი არ მოუგია. ცხადია, წლევანდელი „უიმბლდონის“ მერვედფინალში ქართველის გასვლა მისი ყველაზე დიდი გამარჯვებაა, მაგრამ ლაბაძისთვის წარმატებული მაინც 2004 წელი გახლდათ. იგი მაშინ, ორი პრესტიჟული ტურნირის — „ინდიან უელსისა“ (აშშ) და „ეშტორილის“ (პორტუგალია) ნახევარფინალში გავიდა. ამერიკაში მან მეოთხედფინალში ბლეიკი დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში ინგლისელ ტიმ ჰენმანთან წააგო. შედეგად, 2004-ის ივლისში, მიმდინარე რეიტინგში 42-ე ადგილი დაიკავა. თუმცა, იმავე წელს, მაჯის ტრავმის გამო, ათენის ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარა. ჩოგბურთელი საბერძნეთში კი ჩავიდა, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ხელი საკმაოდ ასტკივდა და იძულებული გახდა, ელადა დაეტოვებინა. სხვათა შორის, ტრავმები ამ სპორტსმენს ხშირად სდევს თან და სწორედ მაჯის, ასევე — წელის ტკივილის ბრალია, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, სათანადო სათამაშო ფორმაში არ იმყოფებოდა.

ცხადია, ირაკლიმ ყველაზე შთამბეჭდავი გამარჯვება 2001 წელს, შანხაის ტურნირზე მოიპოვა, როდესაც პირველ წრეში ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი, ანდრე აგასი დაამარცხა. ბუნებრივია, 20 წლის ქართველისგან ამას არავინ ელოდა და დაფიქსირებული შედეგი დიდ სენსაციად მოინათლა. რაც შეეხება ლაბაძის სათამაშო სტილს, თავად აღიარებს, რომ კორტზე გარისკვა უყვარს. თუმცა, თუ კარიერის დასასწყისში ხშირად ამას დაუფიქრებლად აკეთებდა, ამჟამად თითოეული სარისკო ნაბიჯის გადადგმას უფიქრდება. მისი თქმით, თამაშისას, პირველ ჩაწოდებას დიდ ყურადღებას აქცევს და თუ ეს კომპონენტი კარგად გამოსდის, ამ შემთხვევაში, ბადესთან გასვლაც უადვილდება. თუ ცუდად აწვდის, შესაბამისად, თავდაჯერებულობა აკლდება.

ლაბაძე, რომელიც ქართულის გარდა, ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს ფლობს, ბოლო 2 წელია, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში ცხოვრობს და ვარჯიშობს. შარშან ის სწორედ ავსტრიულ სასამართლოში დაიბარეს „ჩაწყობილი თამაშების“ გამო ჩვენების მისაცემად. სასამართლო პროცესი ვენის მახლობლად, ქალაქ კორნიუბურგში მიმდინარეობდა და ქართველ სპორტსმენს, ერთ-ერთი ტურნირის პირველ წრეში ავსტრიელ იულიან ნოულთან დამარცხების თაობაზე დასმული კითხვებისთვის უნდა გაეცა პასუხი. მაშინ, ირაკლი მეოთხე ნომრად იყო განთესილი და მისმა წაგებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია. როგორც გამოძიებამ დაადგინა, ლაბაძის ავსტრიელმა მეგობარმა, ვინმე მარტინ ფიურხერმა საბუკმეკერო კანტორაში თანხა ნოულის მოგებაზე დადო და 17.400 ევრო მოიგო. ეჭვი ირაკლის მიმართ სწორედ ამ ფაქტმა გამოიწვია. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ქართველს ვერაფერი დაუმტკიცეს. მით უმეტეს, რომ თავად ნოული აღნიშნავდა — კარიერაში ალბათ, საუკეთესო თამაში ჩავატარე და დამსახურებულად მოვიგეო. ირაკლის აგენტმა, შტეფან ვეხზელბერგერმა კი, ავსტრიელ სამართალდამცველებს განუცხადა — ორი ან სამი წრის გავლის შემთხვევაში, ირაკლის გაც-

კორგზე გამოსვლისას ქართველი ჩოგბურთელი თამაშში ყოველთვის მთელი არსებით არის ჩართული

ილებით მეტი თანხის შოვნა შეეძლო და ნებისმიერი ბრალდება — სრული სისულელეაო.

საერთოდ, პროფესიონალურ ჩოგბურთში მატჩების „ჩაშვების“ პრაქტიკა დიდი ხანია, არსებობს და ამისთვის ხაზგასასმელად, სპეციალურ ტერმინს — TANKING — იყენებენ. თუმცა, არცთუ ისე იშვიათად ხდება, რომ მოთამაშე ამა თუ იმ ტურნირისთვის სათანადოდ მომზადებას ვერ ასწრებს და მიუხედავად მასში მონაწილეობის წინასწარი განაცხადისა, ასპარეზობაზე უარს ამბობს. ასეთი რამ პრაქტიკაში ლაბაძესაც ჰქონია, რისთვისაც ერთხელ, 7.200 დოლარით დააჯარიმეს.

კორტზე გამოსვლისას ქართველი ჩოგბურთელი თამაშში ყოველთვის მთელი არსებით არის ჩართული და ამიტომ, ხანდახან, წაგებაზე თუ მსაჯის მიერ არჩათვლილ ბურთზე ფრიად ემოციურად რეაგირებს. მაგალითად, „ნასდაქ ოუფენის“ მეორე წრეში, რუს მარატ საფინთან მარცხმა ჩვენებური ისე გააბრაზა, რომ მთელი ძალით დაიყვირა — 3 ბურთი და დამარცხებული მყავდაო! — თან, მაისური ტანზე შემოიხია, ხოლო ჩოგანი — დალეწა... ერთ-ერთი მატჩის დროს, არბიტრმა ირაკლის საზიანოდ აშკარა შეცდომა დაუშვა და ქართველი მის კოშკურაზეც კი ავიდა სიტყვებით — აბა, აქედან როგორ ჩანსო?!. მორიგი ტურნირის მსვლელობისას, ბურთის წარუმატებლად გათამაშების შემდეგ, ლაბაძემ ჩოგანი ტრიბუნისკენ მოისროლა; იქ მჯდომმა ბავშვმა თქვა, რომ ჩოგანი მას მოხვდა და დაეზიანა. ამისთვის, სპორტსმენი დააჯარიმეს, მაგრამ თავად ირწმუნება, რომ მოზარდმა აშკარად იცრუა.

წლების განმავლობაში, ირაკლი ლაბაძე ჩვენი ქვეყნის ნომერ პირველი ჩოგბურთელი და საქართველოს ეროვნული გუნდის გამოკვეთილი ლიდერია. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჩოგბურთელთა ნაკრები დივისის თასის გათამაშების მეორე ჯგუფში ადგილს ინარჩუნებს. სხვათა შორის, ირაკლიმ აღნიშნულ ტურნირში საქართველოს ღირსება რვაჯერ დაიცვა და მხოლოდ ერთი მატჩი წააგო. ეს გასულ გაზაფხულს, თბილისის სპორტის სასახლეში, სამხრეთ აფრიკის გუნდთან შეხვედრისას მოხდა. აქვე გეტყვით, რომ ირაკლის დედა, ქალბატონი ქეთინო შვილის თამაშს არასოდეს ესწრება, რადგან ძალიან ნერვიულობს და გამონაკლისის სახით, სამხრეთაფრიკელებთან დაპირისპირებისთვის თვალის დევნება უშუალოდ ტრიბუნიდან გადაწყვიტა. მაგრამ ბურთის ორი გათამაშების შემდეგ, ნერვებმა თავისი ქნა და ქალბატონმა ქეთინომ დარბაზი დატოვა.

ირაკლის ჰყავს უმცროსი ძმა — კოტე, რომელიც თავიდან, ასევე ჩოგბურთზე დადიოდა, ხოლო მოგვიანებით, ფეხბურთში გადაინაცვლა, თუმცა, საბოლოო ჯამში, სპორტს აღარ გაყჰოლია. როგორც თავად ჩოგბურთელი იხსენებს, ერთხელ კოტემ მთელ ოჯახს სთხოვა მისი თამაშის სანახავად მისვლა, მაგრამ სხვების მოუცლელობის გამო, ეს მხოლოდ ბაბუამ, ბატონმა სულიკომ მოახერხა. შინ დაბრუნებულს როდესაც ჰკითხეს — შეხვედრა როგორ დამთავრდაო? — ოჯახის წევრებს ასეთი პასუხი გასცა — მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე და კარში რომ დაარტყა, ხელი მეკარემ შეუშალაო...

მიუხედავად იმისა, რომ საჩოგბურთო კორტზე ყოფნისას, სპორტსმენები ყურადღების მაქსიმალურ კონცენტრაციას ახდენენ, ქართველი სპორტსმენი ზოგჯერ იუმორით ცდილობს დაძაბულობის განმუხტვას. 2004 წელს, „უიმბლდონზე“, ლეიტონ ჰიუიტთან შეხვედრის მესამე სეტში, წვიმა წამოვიდა და ლაბაძემ გასახდელში წასვლა დააპირა. მსაჯმა არ გაუშვა და ჩოგბურთელს მიუთითა — ჩამოაწოდეო. მართლაც, ლაბაძის ჩაწოდების შემდეგ, უფრო გაწვიმდა და ჩვენებურმა არბიტრს პირსახოცი გადაუგდო — აჰა, დაიფარე, არ დასველდეო... ლივერპულში საჩვენებელ ტურნირში, როდესაც ირაკლიმ ნახტომში უძნელესი ბურთი მოიგერია, ამან ტრიბუნაზე მსხდომ მაყურებელთა ოვაცია გამოიწვია, ხოლო ამ დროს, ქართველმა ხმამაღლა წამოიძახა — ეს რა ვქენი? უკანასკნელი შორტი დავსვარეო!..

რამდენიმე წლის წინ, უიმბლდონის ტურნირის დაწყებამდე, თბილისელი სპორტსმენი კორტზე ვარჯიშობდა და რაღაც ისე რომ არ გამოუვიდა, როგორც სურდა, ჩოგანი ღობის იქით მოისროლა, სადაც სკვერი იყო. საკუთარი სპორტული ატრიბუტიკის საძებრად წასულმა ჩოგბურთელმა მას ვერაფრით მიაგნო და საშველად, იქვე მოთამაშე ბავშვებს უხმო. თან, ჩოგნის მოძებნის შემთხვევაში, ჯილდოდ 5 გირვანქა სტერლინგი შეჰპირდა. ცოტა ხანში, ირაკლის ბაშვების ძიძა მიუახლოვდა და პრეტენზია გამოთქვა — ეს რა ქენი, ჩემმა აღსაზრდელებმა ლამის თავ-პირი დაიმტვრიესო!.. ირაკლის სომეხი მეგობარი ჰყავს — ჩოგბურთელი სარქის სარქისიანი, რომელთან ერთადაც, ვენაში 2 წელი ცხოვრობდა. ერთმანეთის გაცნობის პირველსავე დღიდან (ფილმ „მიმინოს“ ასოციაციით), სარქისმა ირაკლის მეტსახელად, ვალიკო დაარქვა, ხოლო ლაბაძემ სარქისიანს — რუბიკა. შარშანწინ, სარქისიანი მონტე-კარლოში წასვლას აპირებდა და ირაკლიმ კოლეგას სთხოვა — ცოტა გავისეირნოთ, შემდეგ, ქალაქის ცენტრში დამტოვე და აეროპორტში ისე წადიო. მართლაც, ვენის ცენტრალურ ქუჩაზე რომ მივიდნენ, სარქისიანმა ავტომანქანის საბარგულიდან საბურავი გადმოიღო და ირაკლის მისცა. ცხადია, ლაბაძემ ჰკითხა — რად მინდაო? რაზეც პასუხად მიიღო — გაყიდეო, — და რუბიკა წავიდა. ქალაქის ცენტრში, სადაც უამრავი ადამიანი მოძრაობდა, ლაბაძე საბურავით ხელში დარჩა, რაზეც თავად იცინოდა. თავის მხრივ, სარქისიანს თურმე, თვითმფრინავით გადაადგილების ეშინია და ერთხელ, ტურნირზე რომ უნდა წასულიყო, ლაბაძემ უთხრა — ამ ავიაკომპანიის თვითმფრინავები კატასტროფას ხშირად განიცდიანო. ამის გაგონებაზე, სომეხი სპორტსმენი საკმაოდ შეშინებულა და დანიშნულების ადგილზე ჩაფრენამდე, ფრიად უნერვიულია. სხვათა შორის, თვითმფრინავით მგზავრობასთან დაკავშირებით, უჩვეულო ამბავი ირაკლისაც გადახდა თავს. ორიოდე წლის წინ, პალერმოს ტურნირში სათამაშოდ ჩასულ ქართველს, ავიაკომპანიის დაუდევრობის გამო, ბარგი, რომელშიც სპორტული ამუნიცია ჰქონდა, დაუკარგეს და მხოლოდ 3 დღის გასვლის შემდეგ დაუბრუნეს. სპორტსმენს კორტზე გასვლამ სხვისი ფორმით მოუწია და ერთი ზომით პატარა სპორტული ფეხსაცმელი ეცვა. რა თქმა უნდა, ყოველივე ამან ჩოგბურთელზე იმოქმედა და მან წარუმატებლად ითამაშა. საქართველოს პირველ ჩოგანს იტალიასთან კიდევ ერთი ამბავი აკავშირებს: რომის ტურნირზე ჩაფრენისთანავე, ლაბაძემ შეიტყო, რომ სასტუმროს, რომელშიც ის უნდა დაბინავებულიყო, ხანძარი გაუჩნდა. თავად ირაკლიმ აღნიშნა — კიდევ კარგი, რომ 3 საათით გვიან ჩამოვედი, თორემ, ჩემი ამბავი რომ ვიცი, რაღაც მომივიდოდაო.

„ნასდაქ ოუფენის“ მეორე წრეში, რუს მარატ საფინთან მარცხმა ჩვენებური ისე გააბრაზა, რომ მთელი ძალით დაიყვირა – 3 ბურთი და დამარცხებული მყავდაო! – თან, მაისური ტანზე შემოიხია, ხოლო ჩოგანი – დალეწა...

მართალია, კარიერის განმავლობაში ლაბაძის მიერ აღებული ჰონორარები, მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელების მიერ ნაშოვნ თანხებს ვერ შეედრება, მაგრამ საქართველოს მასშტაბით ის ერთ-ერთი უმდიდრესი სპორტსმენია. ამაზე ირაკლის მიერ გამომუშავებული, მილიონ დოლარზე მეტი მეტყველებს. ■

ქვეტფკეთ ღმუიჭუ Ꭰუქწკპუტედ თეთრდეთ ღმფდ

ვფ ქწცფქუ იუკუიეთ ქფვდშე ᲞᲤᲢᲪᲥᲣᲢᲕᲔᲓ ᲪᲜᲓᲔᲗ ᲭᲤᲓᲤ

ჩითახევის წმინდა გიორგის მამათა მონასტერი ბორჯომის რაიონში, ჩითახევის ხეობაში მდებარეობს. იგი მთლიანად მწვანეშია ჩაფლული, ამიტომ ხალხმა „მწვანე მონასტერი“ უწოდა. ისტორიული წყაროების თანახმად, მონასტერი IX-X საუკუნეების მიჯნაზეა დაარსებული, თუმცა, როგორ და ვის მიერ, — ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება. სამონასტრო კომპლექსის ვრცელ ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილ ნაგებობათა ნაშთები იმაზე მეტყველებს, რომ იქ თავის დროზე, საკმაოდ დიდი სამონასტრო კომპლექსი უნდა ყოფილიყო.

ᲛᲝᲠᲔᲜᲐ ᲛᲔᲠᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ

ჩითახევის წმინდა გიორგის მონასტრის შესახებ ჩვენამდე მოღწეული მწირი ცნობების თანახმად, ისიც ნათელია, რომ XV საუკუნეში სავანე დაცარიელდა და სამონასტრო ცხოვრება შეწყდა, რაზეც გავლენა იქონია იმ პერიოდში სამცხეში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. მოგვიანებით, ალექსანდრე დიდის მღვაწეობის პერიოდში (1412-1442) მიტოვებული და დაზიანებული სამონასტრო კომპლექსი საფუძვლიანად შეუკეთებიათ და სავანეში კვლავ დამკვიდრებულან ბერები. ამავე პერიოდში აიგო სამრეკლოც.

1578 წელს, სამცხის საათაბაგომ დამოუკიდებლობა დაკარგა და ოსმალეთის იმპერიის ნაწილი გახდა. მასთან ერთად, ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში გადავიდა ბორჯომის ხეობაც. ამის შემდეგ, ამ ტერიტორიაზე არსებული ყველა ეკლესია-მონასტერი, მათ შორის, ჩითახევის წმინდა გიორგის მონასტერიც, დაცარიელდა და დაიხურა. მიტოვებული და უმოქმედოდ მყოფი სავანის შესახებ XX საუკუნემდე არავინ არაფერი უწყოდა, ამიტომ ამ დრომდე, „მწვანე მონასტერი“ დაკარგულად იხსენიებოდა. როგორც ჩითახევის წმინდა გიორგის მონასტრის მორჩილმა გვითხრა, XX საუკუნეში მონასტერი ხელახლა იქნა აღმოჩენილი: იქ სრულიად შემთხვევით მოხვდა ბორჯომის რაიონის სოფელ ჭობისხევის მკვიდრი ქალბატონი, რომელიც ხეობაში პირუტყვის საძებნელად იყო წასული. მან ნანახის შესახებ თანასოფლელებსაც მოუთხრო. მათგან, ჩითახევის ხეობაში ქრისტიანული კერის არსებობის შესახებ ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლებმაც შეიტყვეს და ხალხმა იქ ასვლა იწყო... ასწლეულების მანძილზე მიტოვებული სავანე ძლიერ იყო დაზიანებული — ჩამონგრეული ჰქონდა ტაძრის სახურავი, კედლებიდან ქვები გამოსცლოდა, მონასტრის ტერიტორიას კი, სარეველები მოსდებოდა.

დაზიანებული და უპატრონოდ მიტოვებული მონასტერი 1978 წელს, ძეგლთა დაცვის სამსახურმა მოაწესრიგა, გადახურა და პირვანდელი სახით აღადგინა მონასტრის მთავარი, ბაზილიკის ტიპის, წმინდა გიორგის ტაძარიც. მაგრამ მაშინ, კომპლექსი აღდგა არა როგორც სასულიერო კერა, არამედ როგორც არქიტექტურული ძეგლი, რათა ტურისტებისა და დაინტერესებული პირებისთვის ეჩვენებინათ. ამის შემდეგ, მონასტერში ძეგლთა დაცვის სამსახურის რამდენიმე წარმომადგენელი ცხოვრობდა, ამიტომ, ცხადია, სამონასტრო ცხოვრება არ განახლებულა. ბერები „მწვანე მონასტერში“ მხოლოდ 2002 წლის დეკემბრიდან დამკვიდრდნენ და ბორჯომისა და ბაკურიანის ეპისკოპოსის, სერაფიმეს (ჯოჯუა) ლოცვა-კურთხევით, სამონასტრო ცხოვრებაც აღდგა.

ჩითახევის წმინდა გიორგის მონასტერი

„მწვანე მონასტრის“ გვერდით, პატარა მდინარე ჩამოედინება, სადაც ქვებს დღემდე ეტყობა სისხლის კვალი. ეს სავანეში რამდენიმე საუკუნის წინ მოღვაწე ბერების სისხლია. მონასტრის მორჩილმა გვიამბო: ბერები, რომელთა სისხლის ნაკვალევი დღესაც თვალნათლივ ეტყობა მდინარის ქვებს, ამ სავანეში, დაახლოებით XV საუკუნეში მოღვაწეობდნენ. ისინი სასტიკად აწამეს და ამოხოცეს შაჰ-აბასის მეომრებმა. იმ პერიოდში, როდესაც დავითგარეჯის უდაბნოში მოღვაწე ექვსი ათასი ბერი ამოწყვიტეს — გარეჯიდან ურჯულოები სამცხე-ჯავახეთში შემოიჭრნენ და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული მონასტრები, მათ შორის, ჩითახევის მონასტერიც დაარბიეს. სწორედ ამ დარბევისას აწამეს ეს ბერები, მონასტრის მთელი ტერიტორია მათი სისხლით ყოფილა მორწყული. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი მდინარეში ჩახოცეს. მოწამეთა სისხლით მორწყული ქვების ძალითა და მადლით, მდინარის წყალიც განიწმინდა. დღესაც, ვინც რწმენითა და სასოებით მიიღებს ამ წყალს, სნეულებათაგან იკურნება, ამიტომ „მწვანე მონასტერში“ ასული მორწმუნენი კრძალვით იხმევენ მას, შინაც მიაქვთ და სულიერი და ფიზიკური უძლურების ჟამს იყენებენ. ზოგიერთი, მდინარის წყალს მთელ სხეულზე ივლებს.

მონასტრის მორჩილმა ბერების სისხლით მორწყული ქვებისგან აღსრულებული შემდეგი სასწაულიც გვიამბო: დაახლოებით 2 წლის წინ, „მწვანე მონასტერში“, ბაკურიანში მცხოვრები გოგონა იყო ამოსული. მონასტრის მოლოცვის შემდეგ, მას მდინარიდან ორი მცირე ზომის სისხლიანი ქვა აუღია და ჩვენს დაუკითხავად, თან წაუღია. როდესაც ქვები შინ შეუტანია და გამორჩეულ ადგილას დაუბრძანებია, საშინელი ხმაური ამტყდარა — ჭურჭელს რახარუხი დაუწყია, ოჯახის წევრებიც ცუდად გამხდარან. რადგან ეს ამბები სისხლიანი ქვების შინ შეტანის შემდეგ მოხდა, ისინი გარეთ გამოუტანიათ. მართლაც, ყველაფერი მიწყნარებულა... მოგვიანებით, ქვები ისევ შეუტანიათ სახლში და იგივე განმეორებულა. შეშინებულმა გოგონამ ქვების უკან დაბრუნება გადაწყვიტა, პარკში ჩადო და ახლობლებთან ერთად, „მწვანე მონასტერში“ წავიდა. გზაში ქვები იმდენად გაცხელებულა, რომ პარკი დაუდნია. მასზე არასათნო სურათი იყო გამოსახული და როგორც ჩანს, ქვების გაცხელება ამანაც განაპირობა, რადგან სიწმინდეები შეურაცხყო. სიმხურვალის გამო, ქვებს ხელში ვერ იჭერდნენ და ერთმანეთს გადასცემდნენ გოგონა და მისი თანმხლებნი. ასე მოახერხეს მონასტრამდე მათი მოტანა. როდესაც ადგილზე მოვიდნენ, სისხლიანი ქვები გაგრილდა... გოგონამ პატიება ითხოვა, სიწმინდეთა დაუკითხავად წაღების გამო. მონასტერში მოწამე ბერების სულის მოსახსენებელი პანაშვიდიც აღევლინა. ამის შემდეგ, იმ ოჯახში სიმშვიდემ დაისადგურა. ერთი ქვა კვლავ მდინარეში დავაბრუნეთ, მეორე — მონასტრის მთავარ — წმინდა გიორგის ეკლესიაში დავაბრძანეთ და დღემდე იქ იმყოფება. იგი მონასტრის ერთ-ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს სიწმინდეს წარმოადგენს.

მონასტერში ასული მომლოცველები თაყვანს სცემენ ბერების სისხლით მორწყულ ქვებს და მოწამე ბერებს მეოხებასა და შემწეობას შესთხოვენ სხვადასხვა საჭიროებისთვის...

როგორც მონასტერში გვითხრეს, ეკლესიიდან, კურთხევის გარეშე არაფრის წაღება არ შეიძლება. მას შემდეგ, კი, რაც სისხლიანი ქვის დაუკითხავად წაღებას ზემოაღნიშნული სასწაული მოჰყვა, ბორჯომისა და ბაკურიანის ეპისკოპოსმა სასტიკად აკრძალა მდინარიდან ქვების ამოღება. ■

ადამიანმა, ალბათ, ჯერ საკუთარი თავი უნდა შეიგრძნო, რომ მერე ქვეყნის მოწყობაზე იფიქრო და იზრუნო. მაშინ პურს ხაბაზი გამოაცხობს, მიწას გლეხი დაბარავს, მასწავლებელი — ასწავლის, მშენებელი — ააშენებს, მწერალი — დაწერს და ვერავინ იტყვის, რომ სახელმწიფო ხელისუფლებაა და არა — ხალხი. ამასობაში „ახალი გრიგალები“ ხან ჩაგიქროლებს, ხან — წამოგედება და ხან — თავს დაგატყდება, გააჩნია, სად ხარ ამ გრიგალის დროს... აქტუალურ თემებზე სასაუბროდ, ამჯერად, პოეტი დათო მაღრაძე მოვიწვიეთ.

ვაჩაღიანი სიყვარულის გამოქმედი; ფეხმოკიდე ამბავი სიძლიერეზე და ის, რასაც სიკვდილი ვერ კლავს

ირმა ხარშილაძე

— მოდი, განვსაზღვროთ, რა დანიშნულება აქვს პოეტს XXI საუკუნეში, რა ევალება და რის გაკეთება შეუძლია, ჩვენს საზოგადოებაში.

— ახლახან დავბრუნდი იტალიიდან, პოეზიის ფესტივალიდან და იქ იტალიელმა პოეტმა — კლაუდიო პოცანიმ თქვა: წელიწადში ერთხელ ვატარებთ ამ ფესტივალს იმიტომ, რომ მოსახლეობას გავძახოთ: „ჰეი, მოიცალე ლექსისთვის!“ — არ ჩაიკეტოს პოეზია ელიტურ წრეში, „გაქვეყნდეს“, გამოითქვასო. ამ ნათქვამში სიმართლეა იმიტომ, რომ ადამიანები ერთფეროვნებაში, ყოველდღიურ ყოფაში ისე ჩავეფლობით ხოლმე, აღარ გვახსენდება, მშვენიერების განსაცდელად რომ ვართ მოვლენილნი. ბუნებრივია, არის ისეთი ყოფაც, რომელმაც შეიძლება, დაგავიწყოს კიდეც ძველი ემოციები, მაგრამ უამემოციებოდაც ჭირს წუთისოფელი. ამიტომ სულ ვფიქრობ, რომ პოეტები არიან ის ადამიანები, ვინც გამოთქვამენ მარადიულ სიყვარულს, ყველა — თავისებურად, თავისი ეპოქის ნიშნით, ტალანტის ხარისხითა და ინდივიდუალური ფერით. მერე, გოგოს და ბიჭის სიყვარული პოეტების მიერ გამოთქმულ სტრიქონებზე არის გამოდევნებული. ახალგაზრდებს ერთმანეთი რომ შეუყვარდებათ, იქ ლექსი გაჩნდება, ერთი სტრიქონი მაინც ამოვა მათი ემოციის ზედაპირზე. სწორედ ის სტრიქონი არის მარილი ამ სოფლის. თვითონ ხელოვნების დანიშნულება მგონია მე თანაგრძნობა, უფრო სწორად — ხელოვნების მასაზრდოებელი ნიადაგი, საიდანაც იღებს შთაგონებას ადამიანი, ხელოვანი, საიდანაც იღებს პასუხისმგებლობას და ჰუმანიზმის პრინციპებს, რომლითაც იჟღინთება თვითონ და ცდილობს, დანარჩენ საზოგადოებასაც გადასდოს, თანაზიარი გახადოს იმ მშვენიერების, რომელსაც ღვთის წყალობით ეზიარა: განმარტოებით გახარება ხომ, ჭირის ტოლფასია!

— ადრე სახალხო მგოსნებიც არსებობდნენ, დღეს, მგონი, ასეთი რჩეულები აღარ ჩანან, ხომ არ დასცილდნენ პოეტები ხალხს?

— სახალხო მგოსანზე აკაკი გამახსენდა და მისი ლექსი პოეტის დანიშნულებაზე: „შუაკაცი ვარ, უბრალო, ხან მიწისა ვარ, ხან — ცისა“. მაშინ, ილიას და აკაკის დროს, არ არსებობდა ქართული სახლმწიფო და ამ ადამიანებს უხდებოდათ ბევრი სხვადასხვა ტვირთის ზიდვა.

— საზოგადოებაში პოეტის დანიშნულება დამოკიდებულია მხოლოდ გარემო პირობებზე, თუ არსებობს დაუწერელი, ზოგადი პრინციპები, რომელსაც აუცილებლად უნდა ასრულებდეს პოეტი?

— რა თქმა უნდა, არსებობს რაღაც ზოგადი, არა აქვს მნიშვნელობა, პრინციპს დავარქმევთ თუ ხერხემალს. როგორც გალაკტიონი ამბობს: „თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ“. საიდან უნდა მოვიდეს სტრიქონი, თუ ადამიანში არ არის სიყვარული, სულგრძელობა, თანაგრძნობა და, თუ ის არ არის იმ წიაღიდან, საიდანაც მადლი უნდა მიიღოს ხელოვანმა?! წმინდა მამები ქადაგებისას, მადლს ხომ ღმერთისგან იღებდნენ! ზუსტად იმ წიაღიდან ელოდება ხელოვანი მადლს, რომელიც მერე გონიერების ღუმელშიც გადაიხარშება, სულიერების წიაღშიც თავის ფორმას მიიღებს და ან დაწერს, ან დახატავს.

— რა ხდება მაშინ, როცა დაკვეთით წერ, მით უმეტეს, შენი ქვეყნის ჰიმნის ტექსტს, რომელიც ხალხმა უნდა მიიღოს და აიტაცოს?

— შევეცადე, ტექსტის ავტორი ვყოფილიყავი და არა ჩემი პირადი ლექსის. იმასაც ვეცადე, ჰიმნის ტექსტი არ დაწყებულიყო ჩვენი თაობით, დღევანდელი დღით. ჰიმნში, რაღაც ნიშნით, ქართული კულტურის საგანძური უნდა აღბეჭდილიყო, ამიტომ გამოვიყენე აკაკის სიტყვები: „ჩემი ხატია სამშობლო“... გეტყვით, რომ საქართველოში, მრავალ საყრდენთან ერთად, გაჩნდა ქვეყნის ჰიმნი — ერთ-ერთი სულიერი საყრდენი, რომლითაც შენი ნაციონალობის იდენტიფიკაცია ხდება. როცა ყმაწვილი მღერის: ცისკრის ვარსკვლავი ამოდისო, — ეს დიდებული განცდაა ჩემთვის.

— წელან ბრძანეთ — ილიას და აკაკის დროს ქართული სახელმწიფო არ არსებობდაო. დღეს რაგორი სახელმწიფო გვაქვს და რამდენად ჩამოყალიბებულია ამ სახელმწიფოში ადამიანების სამოქალაქო აზროვნება?

— შეიძლება, პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ XX საუკუნეში, როცა არ იყო სახელმწიფოებრიობა, ქართული საზოგადოება უფრო მაღალი ხარისხის საზოგადოება იყო ზნეობრივ-შთაგონებით, ღვაწლით, შრომისუნარიანობით, თავის ქვეყანაზე ზრუნვით, კულტურით, ურთიერთობების დღესასწაულით, რაც ყველას იზიდავდა საქართველოში, ვიდრე დღეს, როცა სახელმწიფოებრიობა გვაქვს. ილია ჭავჭავაძეზე კი გეტყვით, რომ განცდა მაქვს — ეს ადამიანი თვითონ არის სამშობლო, მთელი სიგრძე-სიგანით, ღვაწლის უსაზღვროებით, შრომით, ფიქრით, სიწრფელით, საოცარი ცხოვრებით და საოცარი აღსასრულით. ის თვითონ გახდა სულიერი საყრდენი მომავალი საქართველოს ცხოვრებისა. დღევანდელ სახელმწიფოსა და საზოგადოებაზე რომ ვისაუბროთ, დღეს გვაქვს სახელმწიფო და მის არსებობას თავისი ხიბლი აქვს. როცა სხვა ქვეყანაში ჩავდივარ, ვგრძნობ, რომ ეს სახელმწიფო ხერხემალივით მიდგას ზურგში, მხნეობას მმატებს ადამიანებთან საურთიერთოდ... ადრე გიძნელდებოდა, როცა ჩადიოდი სადმე ან ვინმე ჩამოდიოდა და ეუბნებოდი: საბჭოთა კავშირის ნაწილი კი ვარ, მაგრამ ერთ დროს, ქვეყანა ვიყავი, სახელმწიფო ვიყავი, ახლა რუკაზე აღარ მაწერენ იმიტომ, რომ აღარ მაქვს სახელმწიფოო. ამ მხრივ, დიდი საქმე გაკეთდა, რომ სახელმწიფოებრიობა აქვს დღეს საქართველოს.

— გარედან შეიძლება, უფრო კარგად ჩანს, მაგრამ სინამდვილეში, რამდენად ჩამოყალიბებულია ჩვენი სახელმწიფო?

— შიდაპროცესს თუ გულისხმობთ, სახელმწიფოს თითოეული კანონი უნდა იყოს ნასაზრდოები ზუსტად იმ წიაღიდან, საიდანაც სამყარო საზრდოობს; ადამიანისთვის, მისი მოქალაქისთვის უნდა არსებობდეს ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი, მისი ბედნიერებისთვის უნდა არსებობდეს და არა — გაუსაძლისობისთვის.

— ირაკლი კაკაბაძის, ზურაბ რთველიაშვილის და მათი მეგობრების დაკავების მერე, პოეტმა რატი ამაღლობელმა თქვა: 1937 წლის შემდეგ პირველად დაიჭირეს ქართველი მწერლები და პოეტები საკუთარი აზრის გამოთქმისთვისო...

— ამასთან დაკავშირებით, გავაკეთე განცხადება, რომელიც გაზეთში „პენ-კლუბის“ სახელით დაიბეჭდა. ეს არის საერთაშორისო სამწერლო ორგანიზაცია, რომლის ნაციონალური ქართული ცენტრის პრეზიდენტი გახლავართ. განცხადებაში მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას მოწოდებით — გაამახვილოს ყურადღება ამ პროცესზე, რომ არ განხოციელდეს ამ ადამიანებზე თვითნებობა და ზეწოლა, რომლითაც ასე გამოირჩევა ჩვენი სამართალდამცავი სისტემა და სასამართლო ხელისუფლება. ასლები დაეგზავნა სათავო ოფისს ინგლისში და სხვა ნაციონალურ ცენტრებს.

— თუკი ჩვენ ვლაპარაკობთ სახელმწიფოზე, რომელიც საზღვარგარეთ ყოფნისას, ზურგს უნდა გვიმაგრებდეს...

— ეს უეჭველად ასეა, მეორეა — შიგნით საზოგადოებამ თუ არ ივარგა და სამშობლოს განცდა გაქრა, ქვეყნის უკეთესად მოწყობაზე ფიქრი გაქრა, ცარიელი სახელმწიფოებრიობა რას მოგვცემს?! ხელოვანი არ შეიძლება არსებული მდგომარეობით კმაყოფილი იყოს, რადგან კარგავს მთავარ მუხტს — უკეთესობისკენ მუდმივ სწრაფვას; თუნდაც, მცირე მიღწევით დაკმაყოფილება არ შეიძლება, რადგან საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

— ხშირად ლაპარაკობენ ქვეყნის მიღწევებზე. მიღწევები, წესით, ნიჭიერებას მოაქვს, ნიჭი კი ზნეობასთანაა პირდაპირ კავშირში: კნინდება ზნეობის დაკარგვასთან ერთად. ზნეობით როგორია ჩვენი საზოგადოება?

— რასაც ვიტყვი, ჩემი პირადი მოსაზრებაა. შევთანხმდეთ, რომ ნიჭიერების საუკეთესო ვარიანტზე ვლაპარაკობთ. ნიჭიერი ადამიანი არ შეიძლება არ იყოს კეთილშობილი, სიკეთით სავსე. ნიჭს მოაქვს ეს. ნიჭიერი ადამიანი, როდესაც გრძნობს, რომ მისი ხელიდან რაღაც ხეირიანი გამოდის, არ გაბოროტდება, მუდმივად ვიღაცის წყევლა-კრულვაში არ იქნება. ის უფრო ლოცვაში იქნება. ტალანტის თვისებაა ადამიანის გაკეთილშობილება. ხელმოცარული ხალხის აგრესია სულ სხვაა, ის ნიჭთან კავშირში არ არის.

— თუ ზომიერად ზნეობაც გვაქვს, ნიჭიც, გონიერებაც, რატომ გვიჭირს სწორი არჩევანის გაკეთება, რატომ ვნანობთ მუდმივად გაკეთებული არჩევანის გამო?

— ბევრი მახინჯი ტენდენცია ცოცხალია ჩვენში.

— მაინც, რა?

— შური, აგრესია, რომელიც შურს მოაქვს, თვითწარმოჩენის დაუოკებელი სწრაფვა, მეორე ადამიანის წარმატებით გაღიზიანება, ხოლო ახლა რა ტენდენციებიც ვითარდება, ჯერ „ჩემს ქვაბში ვხარშავ“ და მკაფიოდ ჩამოყალიბება მიჭირს, მაგრამ არის ისეთი თვალსაჩინო სიმახინჯეები, რომელთა უთქმელობაც ამ სიმახინჯეებთან კავშირს ნიშნავს. ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე კაცი გამოასალმეს სიცოცხლეს ადამიანებმა, რომლებსაც ეპოლეტებიც და იარაღიც კანონიერად ჰქონდათ. შეიძლება, დღეს ვინმეს ხმამაღალ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ მალე გააცნობიერებს მთელი ერი, რომ სანდრო გირგვლიანი არის საქართველოს ეროვნული გმირი. სიცოცხლისმოყვარე ახალგაზრდა კაცმა სიცოცხლე დათმო თავისი ღირსების გადასარჩენად, მაგრამ მე მას ეროვნულ გმირს იმიტომ ვუწოდებ, რომ ყველა ჩვენგანის ღირსება დაიცვა ძალადობის წინააღმდეგ, ულამაზესი სიცოცხლის ფასად.

— ბევრი მოკლეს უსამართლოდ ეპოლეტიანებმაც და უეპოლეტოებმაც, მაგრამ ამას ასეთი საზოგადოებრივი აღშფოთება, მღელვარება არ მოჰყოლია. რატომ „იყვირა“ სანდროს მკვლელობამ?

— რასაკვირველია, ტრაგედიაში მეტნაკლებობა არ არსებობს, ყველა ერთნაირი ტკივილია და მათ შორის გრადაციას არ დავიწყებ. სანდროს სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლებთან მოუწია სიცოცხლის ფასად ღირსების დაცვამ. ახალგაზრდა ბიჭმა არ დაიჩოქა, აიტანა ეს ღირსება ოქროყანის ტყეში და ბოლომდე დაიცვა.

— ეს მკვლელობა ხომ არ იყო ნაპერწკალი, განსაკუთრებით, სამართალდამცავებზე უკვე გაღიზიანებული, გულაცრუებული ხალხის ასაღელვებლად?

— ხალხის მღელვარება განსაზღვრა თვითონ სანდროს წესიერებამ: უხინჯო კაცი იყო, ვერსაიდან მოსცხეს ჩირქი, იმდენად სუფთად იცხოვრა ამ წუთისოფელში.

— რატომ არის, რომ სანამ უბედურება არ მოხდება, ვერ ფხიზლდება ადამიანი. მაინცდამაინც უნდა ჩამობნელდეს, რომ სინათლე და სიმართლე დაინახო?

— ეს ნაკლია ჩვენი საზოგადოების, რომელიც სასწრაფოდ დამშვიდდება ხოლმე და ყოველდღიურ აქტიურობას აღარ იჩენს. ეს არის მუდმივი ვნება ხელისუფლებაში მოსული ადამიანების — ისინი ცდილობენ იმდენად გააფართოონ თავიანთი ძალაუფლება, რამდენის საშუალებასაც მათ საზოგადოება მისცემს. ხელისუფლებაში ხვდებიან კარგებიც და უვარგისებიც, საზოგადოების მოვალეობა კი, მუდმივი სიფხიზლეა იმისთვის, რომ მერე მაინცდამაინც მზის დაბნელება არ დასჭირდეს სიმართლის დასანახავად, იმის დასანახავად, რომ გაუსაძლის პირობებში, უწევს ცხოვრება. ყოველდღიური სიფხიზლეა საჭირო, მით უმეტეს — პოსტსაბჭოთა სივრცეში.

— მით უმეტეს, პოსტსაბჭოთა სივრცეში — რატომ?

— პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიული საზოგადოების არსებობის გამოცდილება არ არსებობს. რამდენიმე ადამიანის კეთილ ნებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული საზოგადობის მდგომარეობა. საზოგადოება საკუთარი თავის პატრონი უნდა იყოს, მუდმივად იფხიზლოს, რომ მანიაკურმა ვნებებმა არ შეიპყროს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები, რომლებსაც შეიძლება, სიამოვნებდეთ კიდეც შენი დაკნინებული არსებობა და თავისი ნავარდი ამ არსებობაზე.

— თქვენი აზრით, რა უფრო იოლია ან რთული: ტოტალიტარული სახელმწიფოს შექმნა და შენარჩუნება თუ დემოკრატიულის?

— მოდი, შევთანხმდეთ სიტყვების მნიშვნელობაზე: რას ვარქმევთ — ძლიერებას და რას ვარქმევთ — სისუსტეს? მე მგონი, ყველა ტოტალიტარული მისწრაფება, მეტადრე დღევანდელ ეპოქაში, არის უძლური და სუსტი და ჰუმანურ პრინციპზე დაყრდნობილი საზოგადოება და სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს დაიცავს, იქნება ძლიერი. აღრეულია ფასეულობები — კეთილშობილი კაცი უფრო ძლიერია თუ მკვლელი? მკვლელზე სუსტი ვინ არის?.. მეტი ვერაფერი მოიფიქრა და მოკლა კაცი — არც პოლემიკა შეუძლია, არც მიტევება, არც სულგრძელობის გამოჩენა; მისი დანახვა არსად უხარიათ. და არსებობს კეთილშობილი, კულტურული ადამიანი, რომლის სტუმრობა გიხარია, მისგან მიპატიჟება გსიამოვნებს; მისი გამოჩენა, დანახვა გიხარია, მასთან ურთიერთობა გსიამოვნებს. შენი სულიერებისთვის სიძლიერე ეს არის... მოდი, საუკუნეების სიღრმეში წავიდეთ: როდესაც გეთსემანიის ბაღში მოდიან ჯარისკაცები და ატყვევებენ იესოს, პეტრე იშიშვლებს მახვილს, იესო კი აჩერებს: ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე განიგმირებაო. ქრისტესთვის შეუძლებელი არაფერი იყო — სულ ცეცხლს მისცემდა მთელ ჯარისკაცებს, სახელმწიფოებიანად, ეს რომ ყოფილიყო სიძლიერე. სიძლიერე იყო ჯვარზე ასვლა, ადამიანების ცოდვების ატანა, სიკეთის, სიყვარულის უსაზღვროება და ასე იქნება ყოველთვის. სრულიად უსიყვარულო ადამიანი არ მეგულება, მაგრამ თითქოს ზოგიერთი ებრძვის ამ სიყვარულს თავის თავში, რადგან ის ჰგონია სისუტე, ბედნიერება ჰგონია თანამდებობის შოვნა, ზედ ქონების დამატება, ამას არქმევს ძლიერ ოჯახს და ამ სიძლიერს, მისი აზრით, სხვის სისუსტეზე ამყარებს. ეს ძალიან ფეხმოკლე „სიმართლეა“, ასე ხომ სულ დაგიბნელდება!.. მე ვარ სიყვარულით მდიდარი, რადგან შემიძლია, მივუტევო, ვიყო სულგრძელი, გავიხარო სხვისი სიხარულით. ის ადამიანი არის ღატაკი, რომელსაც არაფერი შეუძლია, მოკლებულია ან თვითონ მოიკლო ეს უნარი და დაიტოვა

ერთადერთი: გამოჰკრას ჩახმახს ხელი, გამოასალმოს ვინმე სიცოცხლეს და დაადოს მთელ თავის შთამომავლობას საშინელი ცოდვა. კეთილშობილი, კარგი საზოგადოებისთვის მიუღებელი, დღევანდელ საზოგადოებაში და ყოფაში არსებული სიმახინჯეების ნიადაგი, ჩემი აზრით, იცით, რა არის?.. 20-იანი წლებიდან მოყოლებული ხდებოდა ლიკვიდაცია კარგი ქართული საზოგადოების, განსწავლული, კულტურის მატარებელი ხალხის, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... რამდენიმე ტალღა იყო ლიკვიდაციის, ვინც გადარჩა — გადაასახლეს, ვინც აქ დარჩა — საკუთარი სახლების სარდაფებში ჩაასახლეს. ბუნებრივია, ეს ქვეყნისთვის უკვალოდ არ ჩაივლიდა. მაგრამ დამაიმედებელი ის არის, რომ სახლების სარდაფებში ჩასახლებულმა ადამიანებმა ჩაბნელებულ საერთო შუაბანდებში ჩურჩულით „გამოატარეს“ ქართული საზოგადოების საუკეთესო

20-იანი წლებიდან მოყოლებული ხდებოდა ლიკვიდაცია კარგი ქართული საზოგადოების

ღირებულებები. გააჩნია ახლა, შენ რას „ემემკვიდრები“: იმათ ჩურჩულით „გამოტარებულ“ ფასეულობებს, რასაც სიკვდილი ვერ კლავს, თუ იმათსას, ვინც ამ ხალხს ეს საქმე დამართა — მანიაკური, შურისძიების ვნებებით შემკობილებისას... დამთავრებული მაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მე, დათო მაღრაძე, ყალბი თავმდაბლობის გარეშე, ვაცხადებ, რომ არაკონკურენტუნარიანად არსად მიგრძნია თავი (ბოდიშს ვიხდი, ჩემს სათქმელთან კავშირშია და იმიტომ ვამბობ). ახლახან იტალიაში ვიყავი, ფლორენციაში, გამოვდიოდი მედიჩების სასახლეში, სადაც იტალიელი პოეტი იტალიურად ნათარგმნ ჩემს ლექსებს კითხულობდა. მერე, მე ვამბობდი ქართულად. ასევე იყვნენ ამერიკიდან, ინგლისიდან და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულები — ფესტივალს „პოეზიის დღესასწაული“ ერქვა. ჩემს შესავალ სიტყვაში გამოვხატე ბედნიერება იქ ყოფნით, სადაც ბევრი საუკუნის წინ, მედიჩის მოწვევით, ჩამოიყვანეს ორი დიდი მოაზროვნე — პიკო დე ლა მირანდოლა და მარსელო ფიჩინო, რომლებმაც დააარსეს ნეოპლატონური აკადემია; ეს იყო ბაზა შუა საუკუნეების რენესანსის. ეს კულტურული პროცესი გრძელდება დღეს მთელ მსოფლიოში და ჩვენ — ყველა აქ მყოფი, შუა საუკუნეების უზარმაზარი მადლით ცხებული რენესანსის სულიერი მემკვიდრეები ვართ-მეთქი. რაც მე ვთქვი, საგანგებოდ ფლორენციაში ჩასვლის წინ არ მომიმზადებია. ანტიკური ლიტერატურის ისტორიას მასწავლიდა რისმაგ გორდეზიანი, ბიზანტიის კულტურის ისტორიას — აწ განსვენებული ალიკა ალექსიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიას — აწ განსვენებული ლევან მენაბდე, ქართული ენის წიაღს — ქ-ნი მზექალა შანიძე, ცალკე კიდევ ქართულ ენას — თამაზ კვაჭანტირაძე და მე ვსწავლობდი, თანაც ისე, რომ გიორგი ახვლედიანის სახელობის სტიპენდია დამენიშნა. ფლორენციაში ვიგრძენი, რომ ბევრისთვის ჩემი სიტყვები სიახლე იყო. მე კი, აღფრთოვანებულმა, ვთქვი ის, რაც ვიცოდი, რაც მასწავლეს და ახლა უკვე რეალურად ვნახე... მართალია, იყო ჩვენში მახინჯი ტენდენციები და განათლების სისტემას რეფორმა აუცილებლად სჭირდება, მაგრამ გააჩნია მეთოდს, ურთიერთობის ფარგლებს, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ადამიანებამდე დადის, რადგან ადამიანი ქმნის სახელმძღვანელოს, ასწავლის სტუდენტს, სწავლობს და ა.შ. მე, მაგალითად, დიდი მოკრძალებით მივედი უნივერსიტეტში, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მესწავლა. სტუდენტი უნდა მიდიოდეს სასწავლებლად არა საგანმანათლებლო პროცესის სამართავად. ეს რა ვნება გაჩნდა სტუდენტში?! თუ უკვე ასეთი მცოდნე ხარ, რომ შენ თვითონ უნდა მართო, მაშინ რაღა აზრი აქვს შენს სტუდენტობას, პირდაპირ ლექტორად დაიწყე მუშაობა! ახლა უკვე აღარც ეგ გამიკვირდება.

— ლექტორებიდან, რომლებიც თქვენ გასწავლიდნენ, თაობები რომ აღზარდეს, ბევრი ცოცხალია. მათ ნაწილს დღეს ხულიგნები უწოდეს...

— მზექალა შანიძე იქნება, რისმაგ გორდეზიანი, თამაზ კვაჭანტირაძე, გრიგერ ფარულავა თუ სხვა, — ჩემს ლექტორებს, მიუხედავად იმისა, მათ ყველა მოსაზრებას ვიზიარებ თუ არა, დღესაც ზუსტად იმგვარი მოკრძალებით ვხვდები, როგორითაც პირველ კურსზე ვხვდებოდი. ამ მოკრძალებით მე თვითონვე ვარ აღფრთოვანებული, რადგან კარგი ნიშნის მატარებელია ჩემთვისაც, მათთვისაც და ჩვენი შეხვედრა არასდროს არის ხოლმე „მშრალი გამარჯობით“ ამოწურული იმიტომ, რომ რაღაც დიდი გვაკავშირებს: მათ მომცეს და მე მივიღე. ამ საოცარ ხიბლს — ურთიერთობას შენს პედაგოგთან კვირტშივე როგორ შეიძლება, კლავდე?! რა ვთქვა, თვითონაც არ ვიცი: როდესაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ივანე ჯავახიშვილის სკამზე დაგსვეს, ურთიერთობას პედაგოგებთან პოლიციის ძალით იწყებ?! თუ სხვა მეტი ვერაფერი მოიფიქრე მათთან საურთიერთოდ, გარდა პოლიციისა და საჩივრების წერისა, შენ არც რექტორი ხარ, არც — ლექტორი და საერთოდ, არავინ ხარ.

— ადრე საპროტესტო აქციების ძირითად ბირთვს ყოველთვის სტუდენტობა წარმოადგენდა. დღევანდელ მიტინგებზე სტუდენტების, რომლებიც ნებისმიერი ხელისუფლებისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა, სიმცირე შეიმჩნევა. რატომ?

— ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მაშინ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით და საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა ყველა სტუდენტს ჰქონდა გულში „ამოშანთული“, მუდამ მზად იყო პროტესტისთვის. როცა შენი სამშობლო სახელმწიფოს სახეს იძენს, ეს პროტესტი, რა თქმა უნდა, იკლებს შენში. რა თქმა უნდა, ნაკლებმნიშვნელოვანი არც მორალურ-ზნეობრივი, სულიერების მხარეა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სტუდენტებს ინტერესი აღარ აქვთ. მაგალითად, მე, ბოლო 1 თვის მანძილზე, 4-ჯერ მიმიწვიეს სტუდენტებმა, აუდიტორიაც სავსე იყო, უამრავი შეკითხვაც ჰქონდათ ხელოვნებაზე, ლექსზე, სულიერებაზე, ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაზე, ხვალინდელ დღეზე და ა.შ. სტუდენტი მაინც ინტერესიანია.

— მწერალ ლევან გოთუას აქვს ნათქვამი: ჩვენში — მცირერიცხოვანი ერის შვილებში — პირადული და საერო სულ ახლოს უნდა იდოსო...

— ეპოქები, თაობები, გენერაციები იცვლება, ხშირად ერთი და იგივე პრობლემებიც რჩება საქართველოს: მეზობლებთან ურთიერთობა იქნება ეს თუ შიდაგაუგებრობები. რა თქმა უნდა, გათავისებული უნდა გქონდეს, რომ შენ და ქვეყანა ერთად ხართ: შენ იმით ხარ, ქვეყანა შენში არსებობს და ძალიან ნიშანდობლივია — ადამიანებს უნდა დაეტყოთ — თავისი ქვეყნის, ერის სულიერი თავგადასავალი განცდილი აქვთ, გაუვლია მათში თუ არა. ზერელე წარმოდგენაც არა აქვთ, რა არის საქართველო — ძალიან ხშირად დამრჩენია ასეთი შთაბეჭდილება. ადამიანს ეტყობა, როცა თავისი ერის სულიერი თავგადასავალი მასში ცოცხალია — გამომეტყველება უხდება სხვანაირი. დღეს სულ სხვა გამომეტყველებით მოდის უკვე ადამიანი. სულის სარკე ხომ არის გამოხედვა? — დაკვირდით, რა გამომეტყველებებია XX საუკუნის ფოტოებზე? — მაგრამ ეს არ გამქრალა, არის დღესაც საქართველოში ეს გამომეტყველება და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ გაქრეს!..

■

მამუკა ლომაშვილი, იგივე მიხეილ სააკაშვილი — ნამდვილი პრეზიდენტისგან განსხვავებით, ცოტას მოგზაურობს. მისი პირველი „არაოფიციალური ვიზიტი“ ამერიკაში, სულ ახლახან შედგა. ის თავის შთაბეჭდილებებს, ბუშთან შეხვედრის ამბებსა და „უჟასებთან“ ბრძოლის მეთოდებს, როგორც ყოველთვის, იუმორით გვზიარებს.

როგორ მოუგვარა მამუკამ სიტუაცია პრეზიდენტს

და რას დაჰპირდა ბუშს მამუკა ლომაშვილი

მარი ჯაფარიძე

— ამერიკაში მცხოვრები ქართველების, გელა საჩალელისა და თინათინ ყენინას მიწვევით, პაროდიის თეატრი ამერიკაში წავიდა. მათთან ერთად მე, ზურა ბერიკაშვილი და ზურა დოიჯაშვილი გავემგზავრეთ. ეს ჩემი პირველი შორეული მოგზაურობა იყო და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ჩვენი გამოსვლა რესტორან „ფიროსმანში“ შედგა, სადაც კედლებზე, თბილისის ხედები იყო გამოსახული. სუფრასთან ქართული ტრადიციული კერძები მოჰქონდათ — ჩურჩხელაც კი მოგვიტანეს. ჩვენ კიდევ, აღარ გვინდოდა ჩაქაფული, გოჭის ხორცი და მწვადი. ოფიციანტებს ვეხვეწებოდით, რომ ჰამბურგერი მოეტანათ. იქ მცხოვრები ქართველები ძალიან თბილად შეგვხვდნენ. აქაურობა და თავ-თავიანთი ოჯახი ყველას ენატრება, ძალიან უნდათ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ იმის გამო, რომ მათ იქ ყოფნაზე ბევრი ადამიანის, კერძოდ კი, მათი ოჯახის წევრებისა და ახლობლების კეთილდღეობაა დამოკიდებული, ჩამოსვლას ჯერ ვერ ახერხებენ. მე კი, მათ ჩვენი პრეზიდენტის სახელით შევპირდი, რომ თუ საქართველოში დაბრუნდებიან, სამსახურიც დახვდებათ და აშენებული, დემოკრატიული საქართველოც. მე შევპირდი და ახლა, ჯერი მიშაზეა — მან პირობა უნდა შეასრულოს.

— მახსოვს, შენ მომიყევი, რომ როცა საელჩოში ვიზის მისაღებად მიხვედი, კონსულმა — „მისტერ პრეზიდენტით“ მოგმართა. რა ხდებოდა ამერიკაში? იქაც ხომ არ გცნობდნენ?

— მე ვერ ვიგრძენი, რომ ამერიკაში ვიყავი, რადგან ქუჩაში უამრავი რუსი, უკრაინელი თუ ქართველი გვხვდებოდა. წარმოიდგინეთ, ნიუ-იორკში, ტაქსიში ჯდები და უცებ, ტაქსის მძღოლი ქართულად გელაპარაკება. ჯერ ვიფიქრე, რომ მომეჩვენა, მაგრამ მერე, როცა გვითხრა: ბერიკაშვილი, სააკაშვილი და გეგეჭკორი ხართო — ლამის გადავირიე და მივიხედ-მოვიხედე, შემთხვევით, თბილისში ხომ არა ვარ-მეთქი. ტაქსისთან დაკავშირებით, კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა: გავაჩერეთ მანქანა. წინ გელა საჩალელი ჩაჯდა, უკან — მე. ტაქსის მძღოლი უკრაინელი აღმოჩნდა და როდესაც გაიგო, რომ ქართველები ვიყავით, ჯერ საქართველო-უკრაინის მეგობრობაზე ილაპარაკა, მერე კი, ინფორმაცია მოგვაწოდა — ხუთ ივლისს, ამერიკაში სააკაშვილი ჩამოდისო. გელამ უთხრა: უკვე ჩამოვიდა, არ გაგიგია? აგერ, უკან მიიხედე, შენს მანქანაში ზისო. — მძღოლმა მოიხედა და რომ დამინახა, დაიბნა: — „ოოო, ბლიად, სიჩას კუდა, პრიამო ვ ვაშინგტონ, ჩტოლი?“ — იკითხა და საჭეს დაძაბულად ჩააფრინდა... თავს კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გადამხდა: „ფიროსმანში“, კონცერტის მერე, რა თქმა უნდა, მოვილხინეთ. მე ერთ მანდილოსანთან ერთად ვცეკვავდი, როდესაც ასაკოვანი წყვილი (ამერიკელები) მოგვიახლოვდა. ცეკვის დროს, მამაკაცმა ჩემკენ გამოიხედა, ხელი გამოიშვირა და წამოიძახა: — „ოო, მაი გოდ, ლიზი, ჯორჯიან პრეზიდენტ, ლიზი, ჯორჯიან პრეზიდენტ!..“

სამშობლოში ჩვენი დაბრუნებიდან ერთი კვირის შემდეგ, მიშა მართლაც ჩავიდა ამერიკაში და შეიძლება ითქვას, რომ მე იქ, სიტუაცია წინასწარ მოვუგვარე. სხავათა შორის, ჯორჯ ბუშსაც შევხვდი...

— მართლა? მერე, რა გითხრა?

— სიმართლე გითხრა, კეთილგანწყობილი იყო. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გავიგე, რადგან ის ცვილის ფიგურების მუზეუმში ვნახე. ცვილის გახლდათ, მაგრამ ხელით ისეთ ჟესტს აკეთებდა, რომ უეჭველად იმის კითხვა უნდოდა: ხინკალი რატომ არ ჩამომიტანეო?.. მაგრამ მე ხომ „არაოფიციალური ვიზიტით“ ვიყავი და როცა 5 ივლისს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვალ, მაშინ ჩამოგიტან-მეთქი, — შევპირდი.

— ხუმრობა იქით იყოს და ცვილის ფიგურების მუზეუმი მოგეწონა?

— კი, ძალიან მომეწონა, მაგრამ იქიდან რომ გამოვედი, მეგონა, რომ ქუჩაში მხოლოდ ცვილის ადამიანები დადიოდნენ და თითქოს, ცოტა შიშის გრძნობაც დამეუფლა. იქ გახლავთ კიდევ ერთი, საშინელებათა ოთახი, სადაც ათასი „უჟასი“ დადის და გაშინებს. წინასწარ გაგვაფრთხილეს, რომ ცოცხალ მსახიობებს, რომლებიც ამ შოუში მონაწილეობენ, ხელით არ შევხებოდით. იქ მე და ბესო ბერულაშვილი ვიყავით. რომ შემატყო, შესვლაზე ვყოყმანობდი, შემპირდა, რომ „უჟასებს“ იქით შეაშინებდა — დავთანხმდი. შენი მოვალეობაა იარო იმ ბილიკზე, სადაც ათასი საშიშროება გემუქრება და უკან, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მობრუნდები, სულ წინ უნდა იარო. ბესოს ზურგს ამოვეფარე, მკლავში ჩავეჭიდე და მოძრაობა დავიწყეთ. უცებ, საიდღანაც ორთქლი ამოვარდა, თან, ვიღაცის სისხლიანი თავი გამოგორდა და მოულოდნელობისგან შევხტი. არ ვიცი, შიშისგან თუ ემოციებისგან, ისეთი სიცილი ამიტყდა, რომ ლამის ჩავბჟირდი. მერე, ვიღაც კაცი გამოვიდა, რომელიც ჩვენ ცხვირწინ დანებს ლესავდა. მას პირიდან სისხლი სდიოდა, დიდი ბრჭყალები და საშინელი გრიმი ჰქონდა, თან, საზარელ ხმას გამოსცემდა. მისი შემხედვარე, რაც არ უნდა მაგარი ბიჭი იყო, ძარღვებში სისხლი გაგეყინება. ისევ სიცილი ამიტყდა, ვხარხარებ და ვხედავ, ბესო როგორ იწევს მისკენ, ხელ-ფეხის ქნევით და ისიც საზარელ ხმას გამოსცემს. ამის დანახვაზე უარესად ჩავბჟირდი. გასასვლელამდე სულ რაღაც 5-6 მეტრიღა იყო დარჩენილი და მივხვდი, რომ იქ რაღაც საშინელი იქნებოდა ჩასაფრებული. თვალები ცრემლით მქონდა სავსე. მივიხედ-მოვიხედე და დავინახე კარი. არც დავფიქრებულვარ, ისე შევაღე და შევვარდი. მე ვხარხარებ, იქ კი, უამრავი ადამიანი დამხვდა, რომლებიც სერიოზული სახით ისხდნენ, ყავას სვამდნენ და რაღაცაზე მსჯელობდნენ. რა თქმა უნდა, ყველას ყურადღება მივიპყარი. მე კი, ასეთ სიტუაციაში რომ აღმოვჩნდი, ამან უფრო გამამხიარულა და ისევ ავხარხარდი. შემდეგ, ერთი მსახიობი შემოვიდა, ნიღაბი მოიხსნა და გარეთ გამომიყვანა. აი, ასეთი თავგადასავლები მქონდა.

— ალბათ, ამერიკაში წასვლამდე, ამ ქვეყანაზე რაღაც წარმოდგენა გექნებოდა...

— ის, რასაც ამერიკაზე ვფიქრობდი, თითქმის გამართლდა, მაგრამ აეროპორტიდან ქალაქში რომ მივდიოდით და „დალატკული“ გზა დავინახე, გამიკვირდა. ჩვენ, ქართველებს სულ სხვა პეწი გვაქვს... იქ არ არსებობს ეროვნება, არ გააჩნიათ ურთიერთობის კულტურა. მათი საჭმელი არ მომეწონა — შეხედავ და იტყვი, რომ ამაზე გემრიელს ვერაფერს შევჭამო, მაგრამ გასინჯავ და არაფრის გემო არა აქვს. წარმოიდგინეთ, რომ მარწყვი ისეთი ზომის იყო, ვაშლივით დანით დავჭერი, მაგრამ ისეთი უგემური, რომ ვერ შევჭამე. ერთადერთი, რაც მომეწონა, ის გახლავთ, რომ ადამიანები, მათი კანის ფერისა და სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, თანაბარნი არიან. იქ ადამიანების უფლებები დაცულია და სამართალს თითქმის ყოველთვის იპოვი.

— ამერიკელ ქალებზე რას იტყვი?

— სიმართლე რომ გითხრა, ვერ გავარჩიე, რომელი იყო ამერიკელი და რომელი — არა. მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრათ — არ მეგონა, თუ ოდესმე ზანგი ქალი მომეწონებოდა, მაგრამ შავკანიანი ქალბატონები საკმაოდ მიმზიდველები ყოფილან. ■

მრავალეროვანი საქართველოს წიაღში, მდიდარი კულტურისა და საინტერესო ტრადიციების მქონე ხალხი ცხოვრობს. მათ შორის არიან ქურთები, რომელთა ქართველებთან თანაცხოვრების ისტორია საუკუნეზე მეტხანს ითვლის. სამშობლოს მოწყვეტილი, 40-მილიონიანი ერი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია გაფანტული, მათ შორის — სომხეთში, რუსეთში, საქართველოსა და გერმანიაში. საკუთარი დამწერლობის არქონის მიუხედავად, ამ ერმა უცხო მიწა-წყალზეც კი შეძლო, წინაპართა რელიგიური მრწამსი და ტრადიციული წეს-ჩვეულებები შეენარჩუნებინა. როგორ ცხოვრობენ თბილისელი შეიხები? რატომ არ ჩანს თვითმფრინავის რადარზე ქურთების სალოცავი და რატომ არ ელაპარაკებიან რძლები მამამთილებს? — ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გასაცემად, შეიხებს ვესტუმრეთ.

საცერში მოთავსებული, რძლის უმაკოების დასტური, სასიკეთილოდ გამეტებული ოჯახის წევრები და წმინდა მიორგის ცხენის ნაფესურები

ემა ტუხიამვილი

ხათუნა კასოევი:

— ჩვენ იეზიდი ქურთები გახლავართ. ჩვენი შორეული წინაპრები საქართველოში თურქეთიდან, ყარსიდან ჩამოსახლდნენ. გასული საუკუნის 20-იან წლებში, თურქეთში იეზიდი ქურთების მასობრივი გენოციდი მიმდინარეობდა. ამიტომაც, ჩვენმა მამა-პაპამ საცხოვრებლად ქრისტიანული ქვეყნები აირჩია. დიდი ბაბუისგან მსმენია, მათ, მუსლიმანი ქურთებიც არბევდნენ. იეზიდები კი, მზეს ვეთაყვანებით...

— როგორც გავიგე, თქვენი ოჯახი შეიხის წოდებას ატარებს. იქნებ, დაწვრილებით აგვიხსნათ, რას ნიშნავს ეს?

ვლადიმერ კალაჩოვი:

— შეიხი უმაღლესი სასულიერო პირია და ჩვენში ეს წოდება შთამომავლობით გადაეცემა. ყველა შეიხის ოჯახს თავისი სალოცავი აქვს. ეს არის ყუთი, რომელშიც რამდენიმე წმინდა ნივთია მოთავსებული და ჩვენში „ოჯახს“ ვუწოდებთ. სხვათა შორის, ეს წმინდა „ოჯახი“, ჩემმა წინაპრებმა ყარსიდან ჩამოიტანეს. ამბობენ, როდესაც მათ თურქები არბევდნენ, წმინდა ნაწილისთვის ხელიც არ უხლიათ და ასე მოაღწია ჩვენამდე წინაპართა რელიკვიამ. ყველა შეიხს თავისი მრევლი ჰყავს. ესენი ფირებად და მრიდებად წოდებული ქურთები არიან. მრევლიც ძირითადად, შთამომავლობით გადაეცემა შეიხს. უმაღლესი სასულიერო პირის გარეშე, ქურთებში ქორწინებაც წარმოუდგენელია. იეზიდებში, ქრისტიანული ჯვრისწერის ანალოგიური რიტუალი შემდეგნაირად სრულდება: ნეფე-დედოფლის მშობლები პირისპირ დგებიან და ერთმანეთს თითებით ეხებიან. ამის შემდეგ, შეიხი უსვამს კითხვას — არიან თუ არა თანახმა, რომ მათმა შვილებმა ოჯახი შექმნან... შეიხის გარეშე, არც მიცვალებულს დაკრძალავენ. ჩვენი რელიგია გვასწავლის, რომ სააქაოდან საიქიომდე წვრილი ძაფია გაბმული, რომელზეც შენმა სულიერმა ძმამ ანუ შეიხმა უნდა გადაგიყვანოს. ის მიცვალებულის განბანის რიტუალს ასულებს, რითიც მას საიქიოსკენ მიმავალ გზას უსნის. ასევე მიიჩნევა, რომ ყველა შეიხის ოჯახს განსაკუთრებული ძალა აქვს. მაგალითად, ჩემი წინაპრები ადამიანებს თავის ტკივილისგან კურნავდნენ... თბილისში წლების წინ, ერთ-ერთი რაიკომის მდივნის ვაჟი მძიმე სენით იყო შეპყრობილი და ქურთმა შეიხმა, საკუთარი ძალის წყალობით ის სრულიად განკურნა. მადლობის ნიშნად რაიკომის მდივანმა მას საბურთალოზე 3-ოთახიანი ბინა აჩუქა. ამ გახმაურებული ამბის შემდეგ, მთელი თბილისი ამ შეიხთან დადიოდა სამკურნალოდ. შემდეგ, მოხდა ისე, რომ ოჯახი საქართველოდან წავიდა. ბინაში კი, სხვა ადამიანები შესახლდნენ. გავიდა წლები, შეიხი გარდაცვლილა, მის ყოფილ ბინაში კი, უცნაური ამბები ხდებოდა: ახალ მეპატრონეებს, სულ ვიღაცის ფეხის ხმა ესმოდათ და დახმარებისთვის სხვა შეიხებს მიმართეს. როგორც ჩვენმა უხუცესებმა განმარტეს, ბინაში შეიხის სული დაბორიალებდა და მოსვენებას ვერ პოულობდა.

— არ იწყინოთ, მაგრამ ჩემს წარმოდგენაში, შეიხები, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი, ხალიჩაზე ფეხმორთხმული და დიდ პატივში მყოფი ადამიანები არიან...

ალეკო ჩოლოიანი:

— ტრადიციულ ქურთულ სამოსში გამოწყობილ ადამიანებს დღეს მხოლოდ ერაყის ქურთისტანში თუ შეხვდებით. იქ სპეციალურ ოდებში შეიხები მართლაც, სხედან ხალიჩაზე, სხვები კი, მათ პატივის მისაგებად და რჩევის საკითხავად ეახლებიან ხოლმე. რამდენიმე წლის წინ, მქონდა ბედნიერება, რომ ქურთისტანის წმინდა მიწაზე დამედგა ფეხი. სხვათა შორის, ერაყში, ეს ტერიტორია ქურთებმა ამერიკის მთავრობის დახმარებით მიისაკუთრეს. იქვეა ჩვენი ერთადერთი სალოცავი, სადაც წმინდანების ძვლები ასვენია. ამ სალოცავის ტერიტორიაზე შესვლა, მხოლოდ შიშველი ფეხითაა ნებადართული. იქაური ბერები საოცარ ამბებს ჰყვებიან — ერაყში მიმდინარე საომარი მოქმედებების მიუხედავად, იეზიდთა სალოცავის მიდამოებში, თურმე ერთ ტყვიასაც არ შეუღწევია. ამბობენ, რომ ამ სალოცავს თვითმფრინავის რადარებიც არ აფიქსირებს და ამიტომაც გადაურჩა დაბომბვას. ამავე სალოცავის ტერიტორიაზე სასწაულმოქმედი წყარო გადმოედინება, რომელმაც არაერთ ბრმა ადამიანს აუხილა თვალი.

ხათუნა:

— სხვათა შორის, ჩვენი რელიგია ერთადერთია მსოფლიოში, რომელსაც ვერ მიიღებ — ანუ იეზიდად უნდა დაიბადო. ასევე ვერ მიიღებ შეიხის წოდებას. ეს პატივი დედ-მამისგან უნდა გერგოს. ბებიაჩემიც შეიხი გახლდათ და მრევლს ის ძალიან უყვარდა. მახსოვს, რელიგიური დღესასწულების დროს, ოჯახის მრევლი ღამეს ჩვენი სახლის წინ ათევდა. ყველას სწამდა, რომ იმ ღამეს, შეიხის სახლთან ვარსკვლავი ჩამოვარდებოდა და მას, ვინც ამ სასწაულის მხილველი გახდებოდა, ყველა სურვილი შეუსრულდებოდა. ბებია ამბობდა, რომ უწინ, როდესაც ხალხი შედარებით უცოდველი იყო, გაცილებით მეტი ხილული სასწაული ხდებოდა.

გაგრძელება 65-ე გვერდზე

ტომ კრუზი საკუთარ ქალიშვილს ვერ „ყიდის“

აღმოჩნდა, რომ საინფორმაციო საშუალებებს ტომ კრუზის ქალიშვილის ფოტოსურათები ნაკლებად აინტერესებს. ჰოლივუდის ვარსკვლავმა, ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის მსგავსად, ახალშობილი ქალიშვილის — სურის ფოტოსურათების საქველმოქმედო მიზნებით გაყიდვა გადაწყვიტა და სპეციალურად ამისათვის, აუქციონიც კი მოაწყო, სადაც ლოტად, გოგონას ექსკლუზიური ფოტოები გამოიტანა, მაგრამ შეთავაზებულმა თანხამ მსახიობი არ დააკმაყოფილა: კრუზს სურის ფოტოებში „მხოლოდ“ 3 მლნ დოლარი შესთავაზეს, მსახიობმა ეს თანხა არ იკმარა და ვაჭრობის გაგრძელება გადაწყვიტა, მაგრამ სურის ფოტოების ყიდვა აღარავინ ისურვა.

შეურაცხყოფილი კინოვარსკვლავი აცხადებს, რომ ფასის დაკლებას არ აპირებს. ეს გასაგებიცაა, რადგან მას თანხის ნაწილის გადაცემა სულიერი ძმებისთვის მოუწევს: საიენტოლოგიური რელიგია ამგვარ შემთხვევებში მისი მიმდევრებისგან 10%-იან გადასახადს მოითხოვს. ■

„სუპერმენის დაბრუნემა“ 84 მლნ დოლარი დაჯდა

ბრაიან სინგერის ფილმის — „სუპერმენის დაბრუნება“ — ჩვენების პირველი 5 დღის შემოსავალმა მის ავტორებს 84 მლნ დოლარი მოუტანა. ეს თანხა კომპანია Warner Brothers-ისთვის რეკორდული აღმოჩნდა, მაგრამ — არა ჰოლივუდისთვის! 2005 წელს, სტივენ სპილბერგის (სტუდია Paramount Pictures) სურათის — „სამყაროთა ომები“ — 5 დღის შემოსავალმა 100 მლნ დოლარს გადააჭარბა. შემოსავლების აბსოლუტური რეკორდი კი ფილმს — „ადამიანი ობობა-2“ ეკუთვნის, რომელმაც 2004 წელს, სტუდია Sony-ს 152,2 მლნ დოლარი მოუტანა.

აშშ-ში პოპულარული კომიქსის — „სუპერმენი“ ეკრანიზაცია ჰოლივუდში მრავალჯერ გადაიღეს. უკანასკნელი — 1987 წელს. სტუდია Warner Brothers-მა პროექტის რეანიმაციისათვის „ადამიანები X“-ის პირველი ორი ფილმის შემქმნელი — ბრაიან სინგერი მიიწვია. რეჟისორმა „სუპერმენის დაბრუნების“ მესამე ნაწილის გადაღებაზე (რომლის ბიუჯეტი 200 მლნ დოლარია) უარი თქვა.

კვირის წარმატებულ ფილმთა რეიტინგში მეორე ადგილი, 27 მლნ დოლარით დევიდ ფრანკელის სურათმა — „ეშმაკი Prada-ს ატარებს“ დაიკავა. ■

ჯონი დეპი დანიის პრინცობაზე ოცნებობს

ჯონი დეპი რომელიმე „პაწია თეატრის“ სცენაზე ჰამლეტის როლის თამაშზე ოცნებობს. 43 წლის მსახიობი ამბობს, რომ ამ ოცნების ასასრულებლად მას მხოლოდ რამდენიმე წელიღა დარჩა. შემდეგ კი, მხოლოდ „ჰამლეტის მამის“ განსახიერების შანსი მიეცემა. დეპმა თავისი ოცნება პუბლიკას გორ ვერბინსკის ფილმის — „კარიბის ზღვის მეკობრეები: მიცვალებულის სკივრი“ — პრემიერის შემდგომ გაუმხილა. „აღმასვლა და დაცემა ნებისმიერი კარიერის მქონე მსახიობის ხვედრია. არ გამოვრიცხავ, რომ ოდესმე დიდი მაღაზიების წინ ჯეკი-ბეღურის განსახიერება მომიხდეს“, — ამბობს მსახიობი.

ტრილოგიის — „კარიბის ზღვის მეკობრეები“ — მეორე ნაწილის — „მიცვალებულის სკივრის“ პრემიერა ამერიკაში 2006 წლის 7 ივნისს შედგა. კაპიტან ჯეკი-ბეღურის თავგადასავლების პირველმა ნაწილმა — „შავი მარგალიტის წყევლა“ — ჯონი დეპს „ოსკარის“ ნომინაცია, ფილმის ავტორებს კი — 654 მლნ დოლარი მოუტანა. ■

ყველაზე გავლენიან ჰომოსექსუალთა „სამეფო“...

მსახიობი სერ იენ მაკქელენი დიდი ბრიტანეთის ყველაზე გავლენიანი ჰომოსექსუალების ყოველწლიური სიის სათავეში მოხვდა! ბრიტანული გაზეთი Independent ამგვარ რეიტინგს ყოველ წელიწადს ადგენს და უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამოკითხვა ქვეყანაში ძალზე პოპულარული გახდა. გამოცემის ვერსიით 101 კანდიდატს შორის, მეორე ადგილი მომღერალ ელტონ ჯონს ეკუთვნის.



პირველ ათეულში მოხვდნენ: ინტერნეტ-საიტის — gaedar.co.uk დამაარსებლები და მფლობელები გერი ფრისკი და ჰენრი ბედენჰორსტი, იმპრესარიო, სერ კამერონ მაკინტოში, ევროკავშირის კომისარი ვაჭრობის დარგში პიტერ მენდელსონი, კორპორაცია BMI-ს მეთაური მაიკლ ბიშოფი, მოდელიერები — ჯონ გალიანო და ალექსანდრ მაკქუინი, დრამატურგი ალან ბენეტი და კომიკოსი მსახიობი მეთ ლუკასი. აღსანიშნავია, რომ შარშან ბრიტანეთის ყველაზე გავლენიან ჰომოსექსუალად ელტონ ჯონს მიიჩნევდნენ. ფილმების — „ადამიანები X“, „ბეჭდების მბრძანებელი“ და „და ვინჩის კოდი“ — ვარსკვლავს, იენ მაკქელენს 2005 წლის რეიტინგში მეორე ადგილი ეკავა. ■

კეიტ მოსის ახალი სენი

კეიტ მოსი მკურნალობის ახალ კურსს იტარებს. ამჯერად ის, ნარკომანიის ნაცვლად, „ცუდი ბიჭებისკენ“ მისწრაფებისგან განკურნებას ცდილობს. ამ ნაბიჯის გადადგმა, მოსს როკერ პიტ დოერტთან და ბრიტანელ ტელეწამყვან რასელ ბრანდთან მძიმე ურთიერთობამ აიძულა. კეიტ მოსის ერთ-ერთმა ახლობელმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ მოისურვა, გაზეთ Daily Mirror-ის კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა: „კეიტს სურს, ყურადღება აღარ მიაქციოს „ცუდ ბიჭებს“. ის დარწმუნებულია, რომ ამ სისუსტის მიზეზი, მისი

მშობლების მძიმე განქორწინება იყო: კეიტის მშობლები მაშინ გაეყარნენ ერთმანეთს, როდესაც გოგონა 13 წლის იყო“. კეიტ მოსი ამბობს, რომ ფსიქოანალიტიკოსი მან, ჯუდ ლოუს ყოფილი ცოლის, სედი ფროსტის რეკომენდაციით შეარჩია. ■

ჟიზელ მიუნდხენი: „წლემი თავისას შვრება!..“

ამ დღეებში სუპერმოდელმა ჟიზელ ბიუნდხენმა ჟურნალისტებთან გულახდილი საუბრისას აღიარა, რომ 25 წელს გადაცილებული ქალისთვის სუპერმოდელობა ძალზე მძიმეა. ბრაზილიელი მოდელი ფიქრობს, რომ ამ ასაკიდან ქალი სექსუალურობას კარგავს. ჟიზელი მიიჩნევს, რომ ბოლო ხანებში, ის მამაკაცთა ყურადღების ცენტრში აღარ არის მოქცეული და ალბათ ეს იმიტომ ხდება, რომ ასაკში შედის. ადრე მამაკაცები მასთან გამუდმებით გაარშიყებას ცდილობდნენ, ახლა კი მისი სერიოზული იერი აფრთხობთ. „აშკარად ვგრძნობ, რომ ადრე ბევრად მეტი თაყვანისმცემელი მყავდა. ნუთუ ახლა უარესად გამოვიყურები?! არ ვიცი. როგორც ჩანს, ასაკი თავისას შვრება!..“ ■

გვინეტ პელტროუ ახალ ამპლუაში

„ოსკაროსანმა“ გვინეტ პელტროუმ მუსიკალური პროდიუსერის უილიამ ორბიტის ხელმძღვანელობით, რამდენიმე სიმღერის ჩაწერა დაიწყო.

ბრიტანული გაზეთი Sun იუწყება, რომ გვინეტს ამ სფეროში გარკვეული გამოცდილება უკვე აქვს: საკმაოდ უფერულ ფილმში — „დუეტები“, მსახიობმა საკუთარი ვოკალური მონაცემები გამოამჟღავნა. ჰიუ ლუისთან ერთად შესრულებული სიმღერა, ავსტრალიის მუსიკალურ ჩარტებში პირველ ადგილზე გავიდა. გვინეტმა მეუღლის, მუსიკოს კრის მარტინის დახმარებაზე უარი თქვა, რადგან მის მიერ გაკვალულ გზაზე სიარული არ სურს. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ გვინეტ პელტროუს საუცხოო, მომაჯადოებელი ხმა აღმოაჩნდა. ■



მაკარტნის პირველი გიტარა აუქციონზე გაიყიდება

გიტარა, რომელზეც „ექსბითლი“ 50-იან წლებში პირველ აკორდებს ითვისებდა, ივლისის დამლევს, აუქციონზე — Cooper Owen გაიყიდება. ექსპერტები მას 100 ათას გირვანქა სტერლინგად (184 ათას დოლარად) აფასებენ.

ისტორიული მუსიკალური საკრავი — ფირმა Rex-ის მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აკუსტიკური გიტარაა. მისი მფლობელი ბოლო 50 წლის მანძილზე, პოლ მაკარტნის სკოლის დროინდელი მეგობარი, იენ ჯეიმსი გახლდათ, რომელიც მაშინ, პოლის პირველი მუსიკის მასწავლებელიც იყო. ჯეიმსის მიერ აუქციონზე გატანილ ლოტს თან ერთვის თავად მაკარტნის მიერ ხელმოწერილი ბარათი, სადაც ნათქვამია: „ეს გიტარა, რომელიც ჩემს ძველ მეგობარს, იენ ჯეიმსს ეკუთვნის, პირველი ინსტრუმენტია, რომელიც ხელში მჭერია და რომელზეც პირველი აკორდების აღება ვისწავლე. ეს იყო მის სახლში, ლივერპულში, ელსვიჩ-სტრიტის 43-ე ნომერში“.

აუქციონის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ლუიზ კუპერმა აღნიშნა, რომ ამ ლოტს განსაკუთრებული ფასი ექნება „ბითლზის“ მოყვარულთათვის და დასძინა: იენს რომ არ ესწავლებინა პოლისთვის გიტარაზე დაკვრა, ვულტონში, საეკლესიო დღესასწაულზე გამართული ცნობილი შეხვედრაც არ შედგებოდაო... კუპერმა იგულისხმა, პოლ მაკარტნისა და ჯონ ლენონის შეხვედრა, რომელიც 1957 წლის 6 ივლისს, ქალაქ ვულტონში შედგა. იმ დღეს, მაკარტნიმ გიტარის თანხლებით ორი სიმღერა შეასრულა. 2 კვირის შემდეგ კი, ლენონმა შესთავაზა, შეერთებოდა მის ჯგუფს — The Quarrymen, რომელმაც 1960 წლამდე იარსება... აქვე დავძენთ, რომ სამოყვარულო ჩანაწერი, რომელიც 1957 წლის 6 ივლისს გაკეთდა, 27 წლის შემდეგ — 1994-ში, ხმის ჩამწერმა კომპანიამ — EMI — 78.500 გირვანქა სტერლინგად გაყიდა. ■

ასეთი გზავნილების გამო ადამიანები ჩვეულებრივ, თავს კარგავდნენ. თავი დაკარგა ედუარდ კლაინმაც — მწერალმა და ჟურნალისტმა. 1981 წელი იდგა და გამომცემლობაში „დაბლდეი“, რომელმაც გამოსცა მისი რომანი — „პარაშუტისტები“, ამ ფაქტთან დაკავშირებით, დიდი წვეულება გამართეს. კლაინი სწორედ ამ წვეულებაზე შეეჯახა პირველად, ჟაკლინ კენედი-ონასისს, რომელიც „დაბლდეიში“ რედაქტორად მუშაობდა. მეორე დღეს, ჯერ კიდევ გამოფხიზლებამდე, ავტორმა ცისფერ ქაღალდზე დაწერილი ბარათი მიიღო, რომელსაც სუნამოს სურნელი ასდიოდა და მისი წაკითხვის შემდეგაც, კვლავ სასიამოვნოდ გაბრუებულ მდგომარეობას დაუბრუნდა. ბარათი ჟაკლინ კენედისგან იყო. ის სწერდა, რომ მთელი ღამე გაათენა მისი „პარაშუტისტების“ კითხვაში და თუ ამ რომანის მიხედვით ფილმს გადაიღებდნენ, მთავარი როლი მასში თვითონ ავტორს უნდა შეესრულებინა...

ჟაკლინ კენედი — პაიკი თუ დედოფალი?..

ალბათ, სულაც არ არის საჭირო იმის თქმა, რომ კლაინი მზად იყო, ნებისმიერი სიმაღლიდან უპარაშუტოდ გადმომხტარიყო. „ვის ეყოფოდა ძალა, მას გამკლავებოდა?!.“ — იგონებდა მოგვიანებით კლაინი. ყოველ შემთხვევაში, ეს „კალმის პარაშუტისტი“ წინააღმდეგობის გაწევას არ აპირებდა. მან გადაწყვიტა, ოსკარ უაილდის ბრძნულ რჩევას მიჰყოლოდა: „თუ გსურს, ცდუნებას გაუძლო, დამორჩილდი მას“... და კლაინიც დამორჩილდა. მან ჟაკლინ კენედი სადილად დაპატიჟა. ასე დაიწყო მათი კავშირი, თუმცა კლაინს ცოლად ჰყავდა „ფაბლისითი ვუმენ“ — დოლორეს ბარეტი, მაგრამ ვინ ეშმაკია დოლორესი, ერთადერთ და განუმეორებელ ჟაკლინთან შედარებით?! როგორ გაუწევს მას მეტოქეობას?!.

სულ სხვა საქმეა — პროფესია. 1989 წელს, კლაინმა ჟურნალ „ვენითი ფეარში“ გამოაქვეყნა „ჟაკლინის პროფილი“ და ეს პროფილი ჟაკლინ ონასისს მაინცდამაინც არ მოეწონა, რის შესახებაც პირდაპირ ანფასში მოახსენა ავტორს.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ „პროფილში“ სტრიქონებს შორის, რაღაც იკითხებოდა და ჟაკლინ ონასისმა ეს პირად ცხოვრებაში შეჭრად შეაფასა. მოკლედ, „პარაშუტისტმა“ თავისი მიიღო... უკვე ჟაკლინის გარდაცვალების შემდეგ, მან დაწერა წიგნი — „ჯეკისა და ჯონ კენედის ძალზე ადამიანური სიყვარულის ამბავი“, — რომელსაც საოცარი წარმატება ხვდა წილად. მაგრამ კლაინი ვერც ამაზე შეჩერდა. ოქროს საბადოს დამუშავება ძალზე ჟურნალისტურად განაგრძო და 90-იანი წლების ბოლოს,

გამოსცა კიდევ ერთი წიგნი სათაურით: „მხოლოდ ჯეკი, მისი პირადი ცხოვრება“.

„მხოლოდ ჯეკი“ — ალბათ, პრეზიდენტ ჯონ კენედის გარეშეს თუ ნიშნავს, თორემ „მხოლოდ ჯეკი“ ხომ მუდამ უამრავი სხვა მამაკაცით იყო გარემოცული. როგორც კლაინი წერს, ჟაკლინმა „უცნაური რომანების ლაბირინთი“ გაიარა, სანამ თავის დანიშნულებას იპოვიდა — მოყვარული და მზრუნველი დედის დანიშნულებას.

პრეზიდენტ კენედის მკვლელობის შემდეგ, ჟაკლინმა ბუნებრივია დატოვა თეთრი სახლი და ჯორჯტაუნში — ვაშინგტონის არისტოკრატიულ გარეუბანში გადავიდა საცხოვრებლად. ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა, ლინდონ ჯონსონმა მას საიდუმლო სამსახურის ათი აგენტი მიუჩინა, რომლებიც დღედაღამ იცავდნენ ქვრივსა და მის შვილებს. მათი ახალი საცხოვრებელი ჰგავდა აკვარიუმს, რომელშიც ჟაკლინი ოქროს თევზივით საჩვენებლად იყო „გამოფენილი“... პენტაგონის შეფი, რობერტ მაკნამარა მასთან ვიზიტის შემდეგ შეძრწუნებული იყო — მან იქ უამრავი ადამიანი ნახა, რომელიც ყუთებსა და კიბეზე ამძვრალიყო და ბინოკლით უჭვრეტდა ჟაკლინის ახალ საცხოვრებელს.

— თავს რაღაც ველურ არსებად, ურჩხულად ვგრძნობ, — შესჩივლა ჟაკლინმა მაკნამარას. — როგორც ჩანს, მთელი ცხოვრება ასეთ ურჩხულად დავრჩები. აღარ შემიძლია ამის ატანა. საიდან მოგროვდა ამდენი ცნობისმოყვარე?.. ისინი ყველგან არიან. ქალები ბუზებივით მეხვევიან, პოლიციელთა კორდონს არღვევენ და ცდილობენ, ხელით შეეხონ ჩემს შვილებს. ტანსაცმელიც კი ვერ გამომიცვლია — ისინი ჩემი საძინებელი ოთახის ფანჯრებში იყურებიან!..

ჟაკლინს უძილობისგან თვალები დასწითლებოდა, თმაც კი არ დაევარცხნა. მაკნამარას შეეცოდა ქალი...

ჯეკის მორალური მხარდაჭერა სჭირდებოდა. მეგობარი, პარტნიორი უნდა ჰყოლოდა გვერდით, რომ სულიერი წონასწორობა შეენარჩუნებინა. მაგრამ ჭორებისა და ბინოკლებით შეირაღებულ ცნობისმოყვარეთა სამიზნედ ქცეულს, არ შეეძლო, „ღირსეული დონის რომანი“ გაება. რომანი კი სწყუროდა, და აი, მისი არჩევანი იმ ადამიანზე შეჩერდა, ვისაც, მისი პოზიციის წყალობით, შეეძლო, გაჰქცეოდა ცნობისმოყვარე საზოგადოების ყურადღებას, მის ჭორებს. ამ „უჩინარ“ კაცს, კლინტ ჰილი ერქვა და საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი აგენტი გახლდათ, რომელიც ჟაკლინის სახლს იცავდა ჯორჯტაუნში. კლინტ ჰილი ლამაზი, მაღალი, მხარბეჭიანი კაცი იყო. კლაინის თქმით, „მას ამერიკელი გმირის ყველა ნიშანი ჰქონდა“. გარდა ამისა, წიგნის სიტუაციისთვის კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი თვისებაც ჰქონდა — ისეთივე ჩუმი და სიტყვაძუნწი გახლდათ, როგორიც კოვბოი ჰოლივუდის ფილმიდან...

ეს პრეზიდენტ კენედის მკვლელობიდან ორი თვის შემდეგ მოხდა. ერთ საღამოს, ჟაკლინი და კლინტ ჰილი მანქანით მგზავრობდნენ. ისინი სასტუმრო „ფეირფაქსის“ უკანა შესასვლელთან გაჩერდნენ. სასტუმრო არაფრით გამოირჩეოდა. ეს იყო საშუალო, ოჯახური ტიპის დაწესებულება. მისი მუდმივი კლიენტები იქ წლობით ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, ამ სასტუმროში დიდხანს სახლობდა ალბერტ გორი, აშშ-ის მომავალი (ახლა უკვე ყოფილი) ვიცეპრეზიდენტი.

სასტუმროს შესასვლელთან ჟაკლინსა და მის თანამგზავრს ტელეფონით წინასწარ გაფრთხილებული ჯეკ სკარელა შეხვდათ — რესტორან „ჟოკეი კლაბის“ მეტრდოტელი, რომელიც „ფეირფაქსის“ პირველ სართულზე მდებარეობდა. მანამდე რამდენიმე დღით ადრე, ჟაკლინი უკვე იყო ამ რესტორანში ცნობილ კინოვარსკვლავ მარლონ ბრანდოსთან ერთად. ჯეკ სკარელამ, ჟაკლინის თხოვნით, მისთვის რესტორნის უკანა შენობაში დაჯავშნა მაგიდა მოფარებულ კუთხეში, რომელიც მუდმივმა კლიენტებმა „ციმბირად“ მონათლეს.

ჰოდა, როგორც ციმბირშია მიღებული, ჟაკლინმა არაყი შეუკვეთა. პირველ ჭიქას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე, მეოთხე... როცა ჟაკლინი ქალთა ოთახში გავიდა, ძლივსღა იდგა ფეხზე. მაგიდასთანაც ბარბაცით დაბრუნდა. ამის შემდეგ, რაღაც წარმოუდგენელი რამ მოხდა: ჟაკლინი და კლინტი ერთმანეთს ჩაეხუტნენ და ხვევნა-კოცნას მიჰყვეს ხელი. მაგრამ ყველაფერი არც ამით დამთავრებულა. სულ ცოტა ხნის წინ მოკლული პრეზიდენტის ქვრივი და საიდუმლო სამსახურის აგენტი წითელ ტყავგადაკრულ სავარძელზე გადაწვნენ, სუფრა გადაიფარეს და სექსს მიეცნენ...

დროდადრო, ისინი კვლავ გამოჩნდებოდნენ ხოლმე მაგიდასთან, შემდეგ კი, ისევ ქრებოდნენ. ჟაკლინი საშინლად გამოიყურებოდა — თმა გასწეწოდა, კოსმეტიკა სახეზე გასთხაპნოდა, მაგრამ მას ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. ფეხებზე ეკიდა, რომ მისი მაგიდისკენ კისრები ეგრიხებოდათ „ციმბირის“ სხვა სტუმრებს, რომ დალასის ტრაგედიის შემდეგ, სულ ორიოდე თვე იყო გასული... მოკლედ, ჟაკლინმა გრძნობები გადმოაფრქვია. სასიყვარულო სცენა ორი საათი გრძელდებოდა — საღამოს ცხრის ნახევრიდან, თერთმეტის ნახევრამდე...

რომანიც ტიპურ „ამერიკელ გმირთან“ ასევე ცოტა ხანს გაგრძელდა. ჟაკლინმა ვერ გაუძლო „ოქროს თევზის“ ცხოვრებას ჯორჯტაუნის „აკვარიუმში“ და 1964 წელს, ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად. ის მეხუთე ავენიუზე დასახლდა 15-ოთახიან ბინაში, რომლის ფანჯრებიც ქალაქის ცენტრალურ პარკს გადაჰყურებდა (ის მანჰეტენზე, ნიუ-იორკის ყველაზე ფეშენებელურ რაიონშია). ჟაკლინს იქაც იცავდნენ საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები. მაგრამ კლინტ ჰილი მათ შორის უკვე აღარ იყო.

ახალ ადგილზე ჯეკი ცდილობდა, უფრო ნორმალური ატმოსფერო შეექმნა თავისი შვილებისთვის. ამის მიღწევა არც ისე იოლი იყო. კეროლაინი — ჟაკლინის ქალიშვილი „წმინდა გულების დახურულ პანსიონში“ გაამწესეს, რომელიც მეხუთე ავენიუზე მდებარე ბინიდან შორს არ იყო. ერთხელ, შობის წინადღეს, კეროლაინმა თავის ბიოლოგიის მასწავლებელს — ტერეზა ჰორმანს დედის ბარათი გადასცა, რომელშიც ეწერა: „ძვირფასო მის ჰორმან, ნებას ვაძლევ კეროლაინს, შინ მოიყვანოს საცდელი თაგვი“. მასწავლებელმა ყოველი შემთხვევისთვის, მაინც დაურეკა ჟაკლინს, რომ დარწმუნებულიყო წერილის სინამდვილეში.

— დარწმუნებული ხართ, რომ თაგვი მართლა გინდათ? — ჰკითხა მან ჟაკლინს.

— კეროლაინი უბრალოდ, ჭკუას კარგავს ამ იდეაზე. ძალიან დაჟინებით მთხოვს, — უპასუხა ჟაკლინმა.

მეორე დღეს ჟაკლინი, კეროლაინი და ტერეზა, რობერტ კენედისა და საიდუმლო სამსახურის ორი აგენტის თანხლებით გაემართნენ ელიტურ უნივერმაღ „ბლუმინდეილსში“, რათა თაგვისთვის გალია ეყიდათ. რობერტ კენედი ის-ის იყო, სენატორად აირჩიეს ნიუ-იორკის შტატიდან და უნივერმაღში ის თითქმის სულ ხელგაწვდილი დადიოდა, რათა ყოველი მხრიდან მისკენ გამოწვდილი ხელისთვის, ჩამორთმევით ეპასუხა. ჟაკლინი ჭკუაზე არ იყო. „ჩემ გამო კი არ მეშინია, შვილების გამო ვლელავ. გარშემო ხომ ამდენი გიჟია“, — ეუბნებოდა ის ტერეზას. როგორც იქნა, შეარჩიეს გალია, რომელიც ჩინურ ფარანს ჰგავდა, თაგვისთვის საკვებიც შეიძინეს და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, პანსიონის წინამძღვრის თხოვნით, ტერეზამ დაურეკა ჟაკლინს, რომ შეეტყო, როგორ იყო საქმე.

— გეთაყვა, მობრძანდით და წაიყვანეთ ეს თაგვი. მისგან მთელი ბინა ყარს! — შეევედრა ჟაკლინი.

— მერედა, თქვენს ქალიშვილს ეს გულს არ მოუკლავს? — ჰკითხა მასწავლებელმა.

— რა თქმა უნდა, მოუკლავს. მაგრამ ამ საზიზღარმა თაგვმა ცხოვრება მომიწამლა. მე ხომ მაღალი საზოგადოების ცხოვრებით ვცხოვრობ — გამოუტყდა ჟაკლინი.

პრეზიდენტის ქვრივის „მაღალი საზოგადოების ცხოვრება“ კი, იმ წელს დუღდა და გადმოდუღდა. მას ახალი სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა არქიტექტორ ჯონ კარლო ვარნეკესთან. სიყვარული — სიყვარულია, რითია არქიტექტორი საიდუმლო აგენტზე ნაკლები?! მით უმეტეს რომ ვარნეკეც მაღალი, ლამაზი და მხარბეჭიანი მამაკაცი გახლდათ. მაგრამ ამ ყველაფერში ერთი ისეთი რამ იყო, რაც თითქოსდა ჩვეულებრივ რომანს, რაღაც გარყვნილების ელფერს ანიჭებდა. საქმე ისაა, რომ კენედების ოჯახმა ვარნეკე, მოკლული პრეზიდენტის საფლავის დიზაინის შესაქმნელად დაიქირავა! სწორედ ამის შემდეგ გაიცნო ჟაკლინმა თავისი გარდაცვლილი ქმრის სეხნია არქიტექტორი. ისინი ხშირად მიემგზავრებოდნენ ერთად არლინგტონის ნაციონალურ სასაფლაოზე, სადაც პრეზიდენტი იყო დაკრძალული და მისი საფლავის გაფორმებაზე მსჯელობდნენ ხოლმე.

ცოტა ხნით ადრე, სანამ ვარნეკე ოფიციალურად გამოაცხადებდა მისი პროექტის მიღების შესახებ, ის და ჟაკლინი კენედების ოჯახის ზღვისპირა მამულისკენ გაემგზავრნენ ჟაკლინის შავი „მერკურით“. უკან, საპატიო მანძილზე მათ მიჰყვებოდა მანქანა, რომელშიც საიდუმლო სამსახურის აგენტი იჯდა. შემოდგომის მშვენიერი დღე იდგა. წყვილი თავახდილი „მერკურით“ მიქროდა და ქარი თმას უწეწავდა ჯეკის. როცა ისინი ოკეანის სანაპიროზე მდებარე კენედების მამულში მივიდნენ, გაირკვა, რომ სახლის გამგებელ ქალს კეროლაინი და პატარა ჯონი, „შემთხვევით“, ფლიგელში გაემწესებინა დასაძინებლად.

„ჩვენ სულ მარტონი ვიყავით“, — იგონებდა შემდეგ ვარნეკე. ჟაკლინმა, როგორც ეს სტუმართმოყვარე დიასახლისს შეჰფერის, სახლი დაათვალიერებინა. შემდეგ, სტუმარს ზღვის პეიზაჟების კოლექციაც უჩვენა. ვარნეკე აღაფრთოვანა ნახატებმა. ჯეკიმ ამაყად ამცნო, რომ ამ კოლექციას თვითონ აგროვებდა. შემდეგ, მათ ისადილეს. სადილის შემდეგ, ჟაკლინმა ვარნეკე მეორე სართულზე აიყვანა. ისინი ღია ფანჯარასთან იდგნენ და დიდხანს გაჰყურებდნენ ოკეანის ყურეში ტალღების თამაშს. შემდეგ უეცრად, დაუოკებელ ჟინს დამორჩილებულმა ვარნეკემ, ხელი სტაცა ჟაკლინს და განიერ საწოლზე დააწვინა (სულ ცოტა ხნის წინ ამ სარეცელზე ქალი პრეზიდენტ კენედისთან იყოფდა)...

„თითქმის ერთი წლის შემდეგ, აკრძალულ გრძნობებსა და სურვილებს თითქოს ჯეგირი მოერღვა. ეს აფეთქებას ჰგავდა. მაგონდება, როგორ ვეკითხებოდი თავს: „რას ვაკეთებ აქ? რა მემართება?“ ჯეკიზე ბევრს წერდნენ. მას ცივ, უგრძნობელ ქალად მოიხსენიებდნენ. მაგრამ ეს ცრუმიჯი იყო. სიცივე და თავშეკავებულობა შორს იყო მისგან. მთელი მისი არსება, მისი ნატურა, ხუმარა და მხიარული, სწორედ იმაში ვლინდებოდა, თუ როგორ ეძლეოდა სექსს. გამოვუტყდი, რომ ერთი ნახვით შემიყვარდა, როცა 1963 წელს პირველად ვნახე ინგლისის საელჩოში გამართულ მიღებაზე. ჟაკლინმა კი მიპასუხა: — „მეც მიყვარხარ, ჯონ!“

სწორედ ეს სიტყვები — „მიყვარხარ, ჯონ!“, — მას ალბათ არაერთხელ წარმოუთქვამს, თავის აწ უკვე გარდაცვლილი ქმრის მკლავებში მომწყვდეულს...

ჟაკლინისა და ვარნეკეს რომანი, რომლის შესახებაც მხოლოდ მათმა ძალზე ახლობელმა ადამიანებმა იცოდნენ, თითქმის ორ წელიწადს გრძელდებოდა. მაგრამ შემდეგ, არქიტექტორს ძალზე „იღბლიანი მეტოქე“ გამოუჩნდა, ვისთან გატოლებაც მის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ამ მეტოქეს არისტოტელ ონასისი ერქვა. ცნობილი ბერძენი მაგნატი, „ქარხნების, გაზეთების, გემების მფლობელი. მან პირდაპირ იყიდა ჟაკლინი, როცა შესთავაზა, არა მარტო აურაცხელი სიმდიდრე, არამედ ლაღი ცხოვრებაც, რომელზეც ქალი მთელი ცხოვრება ოცნებობდა. ხმელთაშუა ზღვაში ონასისის კუთვნილ კუნძულს სკორპიოს, ჯორჯტაუნის სახლისგან განსხვავებით, ბინოკლებით არ მისჩერებოდნენ ათასი ჯურის ცნობისმოყვარენი...“

აქ უნდა გამოვტოვოთ ჟაკლინის ორი რომანი მოხუცებთან — ონასისთან, რომელმაც მას 35 მილიონი დოლარი დაუტოვა და ბრილიანტებით მოვაჭრე „ებრაელთან 46-ე ქუჩიდან“ — როგორც მას დამამცირებლად უწოდებდნენ, — მორის ტემპელს

მანთან, რომელმაც ჟაკლინის ქონება 200 მილიონ დოლარამდე გაზარდა. ხალხს არ სჯეროდა, რომ ჯეკის შეეძლო, მათთან სარეცელი გაეყო. მაგრამ ამდენი ფულისთვის თვით ეშმაკთანაც შეიძლება სარეცლის გაყოფა. თანაც, ფსიქოანალიტიკოსების აზრით, ჟაკლინს ხნიერი მამაკაცებისკენ „მამაშვილური ინსტინქტი“ იზიდავდა.

ბოლოს კი, ქალმა თურმე, „დამამცირებელი შოკი განიცადა“, როცა თითქოსდა გააცნობიერა, რომ მთელი ცხოვრება ის, პაიკი იყო მამაკაცების ხელში, რომლებიც დაუნდობლად მანიპულირებდნენ მისით. ძნელია, დაეთანხმო ამ მოსაზრებას. ჟაკლინი უფრო დედოფალი იყო და არა პაიკი. და ის თვითონ მანიპულირებდა მამაკაცებით და არა ისინი — ჟაკლინით...

„1993 წელს, როცა ჟაკლინს 64 წელი შეუსრულდა, ექიმებმა მას საშინელი დიაგნოზი დაუსვეს, რომელიც სასიკვდილო განაჩენივით ჟღერდა — უკურნებელი, სწრაფად პროგრესირებადი კიბო, — იგონებს ჯონ ლორინგი, ცნობილი საიუველირო ფირმის — „ტიფანი და კომპანიის“ დირექტორი დიზაინის დარგში: „მის თავს რომ რაღაც ცუდი ხდებოდა, მაშინ შევიტყვე, როცა უკანასკნელად ვისადილე მასთან ერთად რესტორანში. ამ ცნობილი რესტორნის მფლობელს — სირიო მაჩიონის ჩვევად ჰქონდა, ტრაპეზის შემდეგ, ჟაკლინისთვის თავისი უგემრიელესი ტკბილი ღვეზელების ასორტი გაეგზავნა. ჟაკლინი ჩვეულებრივ, ჩანგლით ჩიჩქნიდა მათ. გემოს უსინჯავდა ნამცხვრის ერთ-ორ ნაჭერს, შემდეგ კი სიტყვებით — „რა მშვენიერი ნამცხვარია!“ — უკან უგზავნიდა მენეჯერს: ჯეკი სერიოზულად ზრუნავდა თავისი წელის გარშემოწერილობაზე... მაგრამ იმ დღეს, როცა ის ლორინგთან ერთად სადილობდა — 1994 წლის გაზაფხულზე, — სასწაული მოხდა: სადილის შემდეგ, ტრადიციისამებრ, სირიო მაჩიონიმ კვლავ გაუგზავნა თავისი ცნობილი ტკბილეული. ჟაკლინმა კი, ჩვეულებას უღალატა და სამზარეულოში კი არ დაებრუნა ნამცხვრით სავსე ლანგარი, არამედ ჭამა დაიწყო.

— ჟაკლინ, ნუთუ ამ ყველაფრის მირთმევას აპირებ? — ჰკითხა მას ლორინგმა.

ჟაკლინს არ უპასუხია. ერთმანეთის მიყოლებით სანსლავდა ნამცხვრის ნაჭრებს...

— გინდა, ოფიციანტს დავუძახებ, რომ ნამცხვრები წაიღოს? — წამოიძახა შეშინებულმა დიზაინერმა.

— ყველას, ვინც მას მიეკარება, ჩანგალს ვატაკებ. ვაპირებ, მთელი ლანგარი ნამცხვარი შევჭამო, — ხუმრობით დაიმუქრა ჟაკლინმა.

და შეასრულა კიდეც თავისი მუქარა. ლორინგი მიხვდა, რომ ჟაკლინის დღეები დათვლილი იყო. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა მან, გათავისუფლებულიყო დიეტის ბორკილებისაგან: თავმოკვეთილი ხომ წელზე აღარ დარდობს...

18 მაისს, ჟაკლინ კენედი-ონასისი ჰოსპიტლიდან გაეწერა და თავის აპარტამენტებში დაბრუნდა — მეხუთე ავენიუზე, №1040-ე სახლში. დაბრუნდა, რათა შინ მომკვდარიყო. მეორე დღეს, მან საუკუნოდ დახუჭა თავისი მშვენიერი თვალები. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. ჟაკლინის სარეცელთან ისხდნენ მისი შვილები — კეროლაინი და ჯონი და მისი ცხოვრების უკანასკნელი მამაკაცი — „ებრაელი 46-ე ქუჩიდან“ — მორის ტემპელსმანი. ■

სააგენტო „ნატალის“ მოდელი თიკა სიხარულიძე, სასტუმრო „მარიოტში“, დიზაინერ — თეა ლომიძის მიერ გამართულ ჩვენებაში მონაწილეობდა. მოდელისთვის უჩვეულო მისმა მდგომარეობამ (ის ცხრა თვის ფეხმძიმეა) ჩემი ყურადღება მიიპყრო და ინტერვიუს ჩასაწერად, მას შინ ვესტუმრე.

თიკას, საქართველოში არსებულ თითქმის ყველა ცნობილ სააგენტოსთან უთანამშრომლია. ის პირველად პოდიუმზე 11 წლის ასაკში გავიდა, შემდეგ კი, კარიერა საფრანგეთში, კერძოდ, პარიზში — Ford-ის სააგენტოში განაგრძო. მან კიდევ რამდენიმე მიწვევა მიიღო, რაზეც უარი თქვა, გათხოვდა და ერთ კვირაში, შვილს ელოდება.

ფრაგული ქალი ჰოდიუმზე
ამ ნაბიჯის გაკეთება თიკა სიხარულიძეს სიყვარულმა გააბედვინა

სოფო ყარალაშვილი

— ერთი სული მაქვს, როდის დაიბადება და ვნახავ. მისთვის უკვე ყველაფერი შერჩეული მაქვს, ვიცი, სად რა უნდა ვუყიდო.

— სქესი თუ იცი?

— ბიჭს ველოდები. ნიკას *(მეუღლე. — ავტ.)* გოგო უნდოდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, ჯანმრთელი იყოს!

— სახელი თუ გაქვთ შერჩეული?

— სიამოვნებით დავარქმევდი ნიკოლოზს, მაგრამ არ არის სასურველი მამას და შვილს ერთი სახელი ერქვათ, ამიტომ, ჯერ კიდევ ვფიქრობ, თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ რომელიმე წმინდანის სახელს დავარქმევ. ტაძარში ხშირად დავდივარ და სანამ ვიმშობიარებ, მანამდე აუცილებლად უნდა ვეზიარო.



— რთული ორსულობა გაქვს?

— 5 თვემდე, მუცელი არც კი მეტყობოდა. ჩვენებებზეც თავისუფლად გამოვდიოდი. ახლა კი, უკვე გადავიღალე, სულ მეძინება... საჭესთან დღემდე ვზივარ, მაგრამ ვგრძნობ, მისი მართვა აღარ მსიამოვნებს.

— წონაში რამდენი მოიმატე?

— ცხრა კილო და ეს სავსებით ნორმალურია.

— როგორ ფიქრობ, კარიერის გაგრძელებაში შვილი ხელს შეგიშლის?

— მართალია, „გიჟი დედა“ ვიქნები, მაგრამ წინააღმდეგი არა ვარ, რომ ბავშვს ძიძა ავუყვანო. მშობიარობის შემდეგ, ორი-სამი თვე, სანამ ფორმაში ჩავდგები, პოდიუმზე არ გავალ.

— როგორც ვიცი, პოდიუმზე გასვლა დიდ ემოციასთან არის დაკავშირებული, მით უმეტეს, შენს მდგომარეობაში...

— ჩემი საქმე იმდენად მიყვარს, რომ ორსულობამაც ვერ დამაბრკოლა. პოდიუმზე რომ გავედი, რაღაც მომენტში, ორსულობა დამავიწყდა კიდეც.

— ამბობენ, ორსულობის პერიოდში, დედა რასაც საქმიანობს, შვილიც იმ პროფესიას აირჩევსო. გინდა, რომ შენი შვილიც მოდელი იყოს?

— საქართველოში ეს ბიზნესი განვითარებული არ არის და ამიტომ, არ მინდა ჩემი შვილი ამ სფეროში მოხვდეს, მით უმეტეს, რომ ბიჭს ველოდები.

— საქართველოში იმშობიარებ?

— ჩემს მეუღლეს უნდოდა, რომ საზღვარგარეთ მემშობიარა, მაგრამ მე აქ მირჩევნია, რადგან ახლობლების გარემოცვაში თავს უფრო მშვიდად ვიგრძნობ. თანაც, ჩემს ექიმს ბოლომდე ვენდობი.

— უკვე დასაშვებია, რომ ქმარი ცოლის მშობიარობას დაესწროს. ნიკას ამის სურვილი ხომ არ გამოუთქვამს?

— სიმართლე გითხრა, ამის სურვილი მე არა მაქვს. ამბობენ: ქმარი ცოლის ტანჯვას რომ უყურებს, მას უფრო მეტად აფასებსო. მე ვფიქრობ, სულაც არ არის საჭირო, ქმარი შენთან ერთად დაიტანჯოს. თუმცა, ნიკას ამის სურვილი რომ გამოეთქვა, ალბათ დავთანხმდებოდი... ■

როგორ გახდა ცუცა თბილისში ცნობილი მსახიობი

დაიბადა საჩხერეში, კერძოდ, სოფელ მერეჯევში. ამაყია იმით, რომ ამ კუთხემ საქართველოს ბევრი ცნობილი ადამიანი მისცა. ცუცა, იგივე ციცო კაპანაძე, პოპულარული დედაქალაქში გახდა. მეტსახელი, რომელიც დღეს მისთვის სახელზე მეტია, აქ შეარქვეს.

ცუცა კაპანაძე: ა, შენ გაინტერესებს, როდის დავადექი გზას დედაქალაქისაკენ? *(იცინის)* გეტყვი: მერვე კლასიდან ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის თეატრში დავდიოდი. თეატრის ანაბანას ნოდარ ჩაჩანიძესთან ვეუფლებოდი. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, მსახიობი გამოვსულიყავი, რისთვისაც ბავშვობიდან ვემზადებოდი. პარალელურად ვცეკვავდი კიდეც. თუმცა დიდი მოცეკვავის ტანი არ მქონდა, მაგრამ „მთიულურსა“ და „ყაზბეგურში“ ვქაჩავდი. სკოლა რომ დავამთავრე, დავადექი გზას თბილისისკენ. მაშინ გრძელი თმა მქონდა, რომელსაც ვიწნიდი. ორი გრძელი ნაწნავით და ბაფთებით, ხელში ოთხკუთხედი პატარა ჩემოდნით, რომელიც ბებიამ მაჩუქა, მერეჯევიდან წამოვედი. დეიდასთან, ნაძალადევში ჩამოვედი და ჩემი ნივთებით იქ დავბინავდი. შემდგომში ჩემი რეჟისორი ნუგზარ ბუცხრიკიძე, თეატრ-სტუდია — „მოდი, ნახეს“ ხელმძღვანელი, დეიდაჩემის ეზოში გავიცანი, მისი მეზობელი იყო. ისე დავმეგობრდით, რომ ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება. ჩემმა მშობლებმა საგანგებოდ და საგულდაგულოდ მას ჩააბარეს ჩემი თავი. მანაც მიპატრონა, დამარიგა და სწორ გზაზე დამაყენა. „გეპეის“ სარეჟისორო ფაკულტეტი წითელ დიპლომზე დავამთავრე. სტუდენტობის პერიოდი კარგად მახსოვს. ჩემი პირველი როლი თეატრში გაბრიელ სუნდუკიანის დასავლეთის ჭინკა იყო სპექტაკლში — „ოსკან პეტროვიჩი ჯოჯოხეთში“.

— თბილისში რა ტრანსპორტით ჩამოხვედი.

— ყვითელი „პაზიკით“, ავტობუსით, რომელიც მაშინ დადიოდა ხოლმე. ექვსი საათი მოვანდომე მგზავრობას. ავტობუსში საშინელი სივიწროვე იყო, ბევრი ხალხი მგზავრობდა, ზოგს გოჭი მოჰყავდა, ზოგს ინდაური, დიდი მხიარულება სუფევდა. ასე რომ, გოჭის ჭყვიტინსა და ინდაურის ლუყლუყში ვიმგზავრე. *(იცინის)* მახსოვს, ბაილონის ქვედაბოლო მეცვა და თეთრი ყვავილებით მოქარგული, თეთრი ბლუზა. პირველად მეტროთი მგზავრობისას, ესკალატორში ფეხი ჩამყვა, კინაღამ ცალი ფეხით ამოვედი. მას შემდეგ ბევრი წელი გავიდა. მერე ცნობილი მსახიობი გავხდი და გავახარე ჩემი პედაგოგები, განსაკუთრებით რუსული ენის მასწავლებელი, რომელიც მეუბნებოდა, შენ დიდი მსახიობი გამოხვალო. რუსულის სწავლა მაინცდამაინც არ გამომდიოდა, მაგრამ ჩემი ენაკვიმატობით ფონს გავდიოდი და 4-იანს მიწერდა.

— როგორ შეგხვდა დედაქალაქი?

— გულში ჩამიკრა *(იცინის)* თბილი და ლამაზი იყო მაშინ თბილისი. სუფთა. დღეს, თავი რომ გაიგიჟეს ჩვენი ქალაქი უნდა დავალაგოთო,. მაშინ დღეში სამჯერ ალაგებდნენ ქალაქის ქუჩებს.

— რამდენი კილომეტრია შენი კუთხიდან დედაქალაქამდე?

— 290, თუ არ ვცდები. მაშინაც კარგი გზა იყო. ახლა კი სულ მთლად გერმანიის ტრასა გეგონება ჩვენი კუთხისკენ მიმავალი ტრასა. ისეთი კარგი კაცი გვყავს, მის გვარს და სახელს არ ვიტყვი, არ უყვარს ხოლმე, რომ ასახელებენ.

— დასამალი რა არის? ბიძინა ივანიშვილია.

— კი, მართალია, თან ამ დროს მაინც ყველამ იცის. დიდად უვლის ჩვენს რაიონს, ზემო იმერეთს.

— ხშირად ჩადიხარ შენს სოფელში?

— ზაფხულობით, დედა აკაკი წერეთლის სოფლიდან, სხვიტორიდან მყავს, ჩიხურასა და ყვირილას პირას ვარ გაზრდილი. კვერეთშიც დავდიოდი, იქ, სადაც სამკურნალო წყლებია. ჩვენმა კუთხემ ბევრი სახელოვანი ადამიანი მისცა საქართველოს: აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, მუხრან მაჭავარიანი, პაოლო იაშვილი. მსახიობებიდან: მედეა ჯაფარიძე, ლეილა და გოჩა აბაშიძეები; მოკლედ, ყველა სფეროშია ჩვენი კაცი. დიდ მეცენატზე რომ აღარაფერი ვთქვა.

■

„მის საქართველო 2006“-ს სანდრა რულოვსი გამოავლენს

კონკურსის — „მის საქართველო 2006“ — ფინალური შოუ და გალა-კონცერტი 15 ივლისს, ბათუმის თეატრში გაიმართება, სადაც ჟიური, რომელსაც უხელმძღვანელებს საქართველოს პირველი ლედი, სანდრა რულოვსი, „მის საქართველო 2006“-ის ნომინაციებში გამარჯვებულებს გამოავლენს. მანამდე, „ქორთიარდ მარიოტში“ სამოდელო

საგენტო „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელმა იაკინმარიშვილმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტებს სხვადასხვაგვარი ინფორმაცია მოგვაწოდა. პრესკონფერენციას ესწრებოდა თავად ქალბატონი სანდრაც, რომელმაც საკუთარი მოსაზრება გამოთქვა.

სანდრა რულოვსი:

— „იმიჯ-ცენტრმა“ ჟიურის თავმჯდომარეობა შემომთავაზა, რითაც უკმაყოფილო სულაც არ ვარ. ვეცდები, რომ ამ საპატიო მისიას კარგად გავართვა თავი. ჩვენ რამდენიმე დღე ბათუმში ვიცხოვრებთ. ჟიურის წევრების მოვალეობა იქნება, შევარჩიოთ და გამოვავლინოთ ლამაზი გოგონა. ჟიურიში ათი ადამიანია, მათ გვარებსა და სახელებს ვერ დავასახელებ, რომ მათზე რომელიმე კონკურსანტი გოგონას სასარგებლოდ ზეწოლა არ მოხდეს. თუმცა შემიძლია გითხრათ, ჟიურის წევრებად არიან შერჩეული კომპეტენტური და გემოვნებიანი ქალბატონებიც და მამაკაცებიც.

ია კიწმარიშვილმა აღნიშნა, კონკურსის ფინალი ყველა წესის დაცვითა და მიკერძოების გარეშე ჩაივლის და კეთილსინდისიერად ვიტვირთებთ ჩვენზე დაკისრებულ პასუხისმგებლობასო.

წელს სიახლე ის არის, რომ თბილისის საიუველირო ქარხანამ დაამზადა დიადემა, რომელიც გადაეცემა „ვიცე-მისს“. ეს პრიზი „მის საქართველოს“ გვირგვინის მსგავსად, გარდამავალი იქნება.

მას მერე, რაც „მის საქართველო 2006“ გამოვლინდება, 16 ივლისს საქართველოს პირველი ლედი, „იმიჯ-ცენტრის“ ხელმძღვანელი და „მის საქართველო 2006“ საქველმოქმედო აქციას მახინჯაურის ბავშვთა სახლში ჩაატარებენ.

■

კრისტი „09"-ის მსგავს საინფორმაციო ბიუროს ხსნის

— კრისტი, ზუსტად იცი შენი პარამეტრები?

— კი, ვიცი.

— სიმაღლე?

— 175 სანტიმეტრი.

— წონა?

— 50 კილოგრამი.

— ქამა გიყვარს?

— გურმანი ვარ, მაგრამ თუ ცუდ ხასიათზე ვარ, ვერ ვჭამ.

— პოდიუმზე გამოსვლა ადვილია?

— გააჩნია ვისთვის. ჩემთვის უკვე ადვილია, რადგან მეცამეტე წელია, პოდიუმზე ვარ. ადამიანი რა პროფესიისაც არ უნდა იყოს, პროფესიონალიზმი სჭირდება, თავისი საქმე უნდა უყვარდეს.

— რისი გეშინია?

— არაფრის. შიში არ უნდა გაჩნდეს, თუ გაჩნდა, დაღუპული ხარ. ოპტიმისტი უნდა იყო, რომ ეს არ დაგემართოს.

— პესიმისტებმა რა ქნან?

— აზრზე მოვიდნენ და გახდნენ ოპტიმისტები!

— რა ფერი გაღიზიანებს?

— დამოუკიდებლად ფერი კი არა, ფერების უგემოვნო შერწყმა მაღიზიანებს.

— მაწონი მართლაც თეთრია?

— ძალიან მიყვარს მაწონი. ის, პრინციპში, თეთრია, თუმცა გააჩნია ადამიანს, ზოგისთვის მაწონი შავია, მაგრამ მე კარგად ვიცი, რომ ის თეთრია, ზუსტად ისე, როგორც ვიცი, რომ მე კრისტი ვარ. ისე ხანდახან თუ ნოყიერი რძისგან არის შედედებული, ბევრი ცხიმის გამო, მას შეიძლება მოყვითალო ფერიც დაჰკრავდეს.

— რას იტყოდი იმ მამაკაცზე, ვინც პარიკს ატარებს?

— ეს კომპლექსიან მამაკაცებს ახასიათებთ. ამ დროს, შეიძლება, მათ გადაპარსული თავი უფრო უხდებოდეთ. თმა რომ გადავიპარსე, ვიღაცებმა მითხრეს, შენი თმა რატომ გადაყარე, პარიკისთვის შეგენახაო. სხვისას კი არა, ჩემი თმის პარიკს ვერ დავიხურავდი, რადგან თმა დიდ ენერგეტიკას ატარებს. რა საჭიროა პარიკი? იყავი ის, რაც ხარ...

— სად ხარ ახლა ამ სატელეფონო საუბრისას და რას აკეთებ?

— სახლში ტელევიზორს ვუყურებ და შენ გელაპარაკები.

— მნიშვნელობა აქვს შენთვის იმას, თუ დილით რომელ ფეხზე ადგები?

— ცრუმორწმუნე არა ვარ.

— მესოჯი ლექსად თუ დაგიწერია?

— არა. საერთოდ ტელეფონზე საუბარი საოცრად მიყვარს. ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი საქმიანობაა. ხანგრძლივად ვსაუბრობ ტელეფონით.

— ლექსებს თუ წერ?

— ბავშვობაში რაღაც სახუმარო ლექსები კი დამიწერია.

— მილიონი რომ გქონდეს რას იზამდი?

— ჯერ მომეცი და მერე გეტყვი *(იცინის)*.. ბევრ რამეს ვიზამდი. უპირველესად, ქველმოქმედებისთვის გავიღებდი. საერთოდ, ხელფასის 10% ქველმოქმედებაში უნდა ჩაიდოს. ფულს არც შენახვა უყვარს და არც მეტისმეტი განიავება, გაფლანგვა.

— ტყუილი აუცილებელი რამ არის?

— ტყუილი არ მიყვარს, მაგრამ ზოგჯერ კეთილი ტყუილი საჭიროა.

— რა არის უხერხული?

— როდესაც ადამიანი უზრდელი და უტაქტოა.

— რა ლექსს წაიკითხავდი ამ წუთისთვის?

— ლექსებს ვერ ვიმახსოვრებ, მაგრამ ახლა წავიკითხავ ასეთ ეპიზოდს ლექსიდან, რომელსაც ხშირად ჩემი ქმარი ამბობს ხოლმე: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები, მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი"...

— რამდენი ადამიანის ტელეფონის ნომერი იცი?

— ძალიან ბევრის. ამის გამო „kristi.com"-ს მეძახიან. ახლა ვფიქრობ, „09"-ის მსგავსი საინფორმაციო ცენტრი ხომ არ გავხსნა.

— სულ ბოლოს რას გვეტყოდი?

— მინდა, ყველაფერი კარგად იყოს, მაგრამ ტელევიზიით რომ ვუსმენ და ვუყურებ ამდენ საშინელ ინფორმაციას, უსამართლობას, ცუდად ვხდები. შვილი მყავს და არ მინდა, ის ასეთი ნეგატიური ამბების ფონზე იზრდებოდეს. ტელეეკრანიდან ბევრი უარყოფითი ენერგია მოდის. ყველას ლამაზ, მშვიდ, უპრობლემო ცხოვრებას ვუსურვებ.

■

მუსკომედიის ბალი პოდიუმად იქცა

ჩვენში ერთი პერიოდი, თითქოს მიიძინა სამოდელო ბიზნესმა, ჩვენებებს აღარ მართავდნენ ქართველი დიზაინერები, მაგრამ ამ ზაფხულს, აღნიშნულ სფეროს რაღაც დიდ გამოცოცხლებას ვატყობთ. კვირა არ გაივლის, ჩვენება რომ არ გაიმართოს. დიზაინერებმა თეა დურმიშიძემ და ეკა ხაბურზანიამ ახალგახსნილ მუსიკისა და დრამის თეატრის ბაღში, ღია ცის ქვეშ საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-ჩვენება მოაწყვეს. ისინი მეგობრები არიან და უკვე ათი წელია ერთად მუშაობენ, თუმცა ჩვენება ჯერ არ გაუმართავთ, ამგვარად, მათი დებიუტი შედგა. უამრავმა ადამიანმა შეაფასა დიზაინერების ნახელავი, კერძოდ, ქართულ აბრეშუმზე ხელით მოხატული (ბატიკა) მოდელები და ძველი ქართული ტექნოლოგიით დამზადებული, ტიხრული მინანქრის ექსკლუზიური სამკაულები, რომლებიც სააგენტო „ნატალის" ცხრა მოდელმა წარმოადგინა. ჩვენების შემდეგ, ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

■

„მას-მოდა 2006" და განაზებული ჟურნალისტები...

პოდიუმზე ჟურნალისტების აყვანა ჯერ კიდევ ერთი წლის წინ, დიზაინერმა ეკა თადუმაძემ, იგივე დადუმ გადაწყვიტა. მათ საგანგებოდ შეუკერა და მოარგო შესაფერისი მოდელები, რაც მთავარია, მათი შექმნისას გაითვალისწინა თითოეული მათგანის გემოვნება, ხასიათი, სტილი. ამ პროექტმა გაამართლა. მას მხარი პოლიტიკოსებმაც დაუჭირეს: ქალაქის მერიის ინიციატივით, ის ტრადიციად იქცა. ამიტომაც, წელს საგამოფენო დარბაზმა „ექსპო-ჯორჯიამ" 42 ტელე და რადიოჟურნალისტს უმასპინძლა, სადაც მათთვის საგანგებოდ მოეწყო პოდიუმი. ძირითადად, საინფორმაციო პროგრამების ჟურნალისტები მონაწილეობდნენ. შოუს გახსნა და წარმართვა ინგა გრიგოლიას ერგო. მან ჩვეული ომახიანობით გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, თან პოდიუმზეც გაიარ-გამოიარა. ყველაზე თამამი „რუსთავი 2"-ის დილის გადაცემის წამყვანი, ნატო ნიჟარაძე აღმოჩნდა, პოდიუმზე ცეკვა-ცეკვით გაიარა. ნანუკა ჟორჟოლიანმა შვილიც გამოიყვანა. ფეხმძიმე ჟურნალისტიც ვიხილეთ — მაკა ფანქველაშვილი. თითოეულის გამოჩენა პოდიუმზე, მაყურებლის სკამებზე მსხდომი პოლიტიკოსების ოვაციებს იწვევდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ: გიგი უგულავა და გიგა ბოკერია, მათ აპლოდისმენტები არც ერთი ჟურნალისტისთვის არ დაუშურებიათ. ჟურნალისტებზე გავრცელებული აზრი და სტერეოტიპი, რომ მათ სქესი არა აქვთ, — ყველა მონაწილის ერთსულოვანი აზრით, იმ დღეს დაიმსხვრა. დიზაინერმა ჟურნალისტებს მათთვის შექმნილი ტანსაცმელი საჩუქრად გადასცა.

■



ბოდვითობა

შიო გვეტაძე

ნაოპერაციები კრიმინალი საშკა ჩერქეზი განაგრძობს გამომძიებელ ლევან მინდელისთვის თავისი ცხოვრების შესახებ თხრობას. უმცროსი დის დაღუპვისა და შეყვარებულის თბილისიდან წასვლის შემდეგ, თამაზი (საშკა ჩერქეზის ნამდვილი სახელი) საბოლოოდ ხვდება კრიმინალების გარემოცვაში. ერთ-ერთი თამაშის დროს, ის სოლიდურ თანხას წააგებს. ფულის გადახდის საშუალება არა აქვს და სერიოზული საფრთხის წინაშე დგება. ყოველ წუთას, რუბენას გამოჩენას ელის...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-27)

მთელი დღე ბინიდან ფეხი არ გამიდგამს, შიშით დაბეჩავებული, რუბენას მიერ გამოგზავნილ კაცს ველოდებოდი, თითოეულ სულ მცირე ჩქამზეც, გული ბუდიდან ამოვარდნას ღამობდა და შიშისაგან გაფითრებული, თვალებით კარს მივჩერებოდი.

დაღამდა. „ალბათ, ღამით მოვლენ“ — გავიფიქრე. გახდა ღამის პირველი, შემდეგ ორი საათი. არავინ ჩანდა. „იქნებ, არავინ მოვიდეს? შეიძლება, რუბენა მეხუმრა, შემაშინა?..“ — გავიფიქრე იმედიანად.

როგორც იქნა, გათენდა. ოდნავ იმედმოცემული, სახლიდან გამოვედი, პური და საუზმე ვიყიდე და უკანვე დავბრუნდი. იმ ღამემაც მშვიდობიანად ჩაიარა, მე ოთახიდან არ გავსულვარ. არტაშაც სადღაც გადაიკარგა.

იმედი მომეცა: „იქნებ, რუბენა კიდეც დაიჭირეს და ჩემთვის აღარ სცალია“, — გამიელვა გონებაში. ამ აზრმა გამახალისა, თითქმის დავაჯერე ჩემი თავი, რომ რუბენა აღარ მოვიდოდა, არც ვინმეს გამოგზავნიდა. „მადლობა ღმერთს, გადავრჩი!“ — ვიმეორებდი სიხარულით, მაგრამ ოთახიდან მაინც ვერ გავდიოდი.

ღამის პირველ საათზე, თითქმის მთლიანად დამშვიდებული დავწექი. თუ ამაღამაც არავინ მოვიდა, ხვალ, გათენდება თუ არა, დეიდა თამართან მივალ, ყველაფერს ვეტყვი, არაფერს დავუმალავ. ციალასაც მივწერ, შეიძლება, ჩამოვიდეს კიდეც...“

ტკბილ ფიქრებში გართულს, ტკბილად ჩამეძინა... არ ვიცი, რამდენ ხანს მეძინა. უეცრად, თვალი გავახილე. კარზე ფრთხილი კაკუნი მომესმა. გავინაბე. კაკუნი განმეორდა.

„ვინ არის?“ — შევეხმიანე ფრთხილად.

„გააღე!“ — მომესმა უცნობი ხმა.

წელი მომწყდა, სხეული მომიდუნდა და საწოლიდან წამოდგომა ვეღარ მოვახერხე.

„გააღებ თუ არა?“ — იკითხა კარს უკან ჩუმად, ხრინწიანმა ხმამ და უწმაწურად შეიგინა. ავდექი, ძლივს მივლასლასდი კართან და გასაღები გადავატრიალე. ოთახში ჯუჯა ტანის ახალგაზრდა შემოვიდა, წვრილი, ბოროტი თვალები ჰქონდა.

„შენ რა, დაყრუდი?“ — ჩაიხრიალა მან.

„მეძინა!“ — მივუგე და ავკანკალდი.

„ე, მანდ სულ არ დაგაძინო, მუდრეგო, ვირიშვილო! — ძაღლივით შემომყეფა, — ერთი საათია, ვაკაკუნებ!“

ხმა არ ამომიღია, შუა ოთახში გაჩერებული, საცოდავად შევყურებდი ჩემს სულთამხუთავს.

„რას უყურებ? ჩაიცვი!“ — შემომიღრინა მან.

უსიტყვოდ დავემორჩილე. ვიდრე აკანკალებული ხელებით ფეხსაცმლის თასმებს ვიკრავდი, უცნობი მაგიდასთან იდგა და თვალს არ მაშორებდა... როგორც იქნა, მოვრჩი ჩაცმას და უსიტყვოდ მივაჩერდი.

„ახლა მისმინე! — დაიწყო მან. — რუბენამ გამომგზავნა, შენც იცი, რაზე. საქმეზე სამნი წავალთ. არაფერი აურიო, თორემ, იქვე დაგკლავ! — ჯუჯა ცოტა ხნით შეჩერდა და შემდეგ, უფრო რბილად დაუმატა: — საშიში არაფერია, სახლში არავინაა, საქმეს იოლად გავაკეთებთ. შემდეგ ჩემგან თავისუფალი იქნები“.

„მე რომ ქურდობა არ ვიცი?“

„ისწავლი! — გაიცინა ჯუჯამ. — რუბენამ ბევრი გაზარდა. შენც გაიზრდები. აბა, წავიდეთ!“

ოთახიდან გამოვედით. ბევრი არ გვივლია, ხუთიოდე კვარტალი გავიარეთ და რომელიღაც მიყრუებულ ეზოში შევედით. ჯუჯამ ფრთხილად დაუკაკუნა სარდაფის განათებული ფანჯრის რაფაზე. მაშინვე გაგვიღეს კარი. ორივენი შევედით. მაგიდასთან გამხდარი, ქერათმიანი ყმაწვილი იჯდა. ორიოდე წლით თუ იქნებოდა ჩემზე უფროსი. მხიარულად შემოგვცინა.

„მოხვედით?..“ — შეგვეკითხა ღიმილით.

„მოვედით!“ — უპასუხა ჯუჯამ კუშტად.

„აბა, აბა, მხიარულად! რას იღუშები?!“ — გაეპასუხა ქერა. შემდეგ ჩემთან მოვიდა, მეგობრულად დამარტყა მხარზე ხელი.

„გეშინია? — მკითხა სიცილით და პასუხისთვის არც დაუცდია, ისე განაგრძო: — არა უშავს, პირველად, ყველას ეშინია, მერე ეჩვევიან, შენც მიეჩვევი“.

არაფერი მიპასუხია.

...ახლაც არ ვიცი, ვისი ბინა გავქურდეთ იმ ღამეს. ქერამ მინა ამოჭრა, თავისუფლად გავაღეთ ფანჯარა და შიგნით შევძვერით. შემდეგ, ვერაფრით ვერ მოვიგონე, რას ვაკეთებდით ბინაში, რამდენ ხანს დავრჩით იქ, როდის წამოვედით. მხოლოდ ის დამამახსოვრდა, როდესაც ნაქურდლით დატვირთულებმა, რომელიღაც ბნელ ქუჩაში შევუხვიეთ, მიუხედავად იმისა, რომ სულის შემხუთველი სიცხე იყო, მციოდა, კბილს კბილზე მაცემინებდა და რატომღაც, საშინლად მერეოდა გული... სიბნელეში, ჩემ გვერდზე მომავალმა ქერამ ჩემოდანი დადგა, ხელი ჩამავლო და რამდენჯერმე ღონივრად გამაწნა სილა. უეცრად გამოვფხიზლდი, ავენთე, მეც გავაგდე ხელიდან ჩემოდანი და დავაპირე, მისთვის სამაგიერო მიმეზღო. ქერამ ჩუმად ჩაიცინა:

„ნუ ფაფხურობ, ეს გამოსაფხიზლებლად გითავაზე და არა საჩხუბრად“, — ჩაიჩურჩულა მან, შემდეგ ჩემოდანი აიღო და გზას ისე გაუდგა, ვითომ არაფერი მოხდარიყოს. მეც უკან გავყევი...

გათენებისას, რომელიღაც ბინაში მივედით. რუბენაც იქ დაგვხვდა. გამომცდელად ამათვალიერა. მზერა გავუმართე. მიღებული სილების თუ სხვა მიზეზის გამო, უკვე აღარ ვკანკალებდი, მაგრამ უფრო საოცარი ის იყო, რომ სრულიადაც აღარ ვგრძნობდი იმ შიშს, რომელსაც ადრე რუბენას დანახვისას განვიცდიდი...

„ყველაფერი რიგზეა?“ — ჰკითხა რუბენამ ქერას.

„ყველაფერი, რუბენჯან! თამაზმა ხოშიანად იმუშავა, ვერც იტყოდი, თუ პირველად იყო საქმეზე“.

„აკი ვთქვი, კაცი დადგება-მეთქი“, — ღიმილით შემომხედა რუბენამ.

ქერამ სიცილი დაიწყო.

— დადგება და აგრე?! ორიოდე სილა დასჭირდა, ეგ იყო და ეგ — გათავდა მაგის ნათლობა“.

„გითაქა?“ — შემეკითხა რუბენა.

„მითაქა!“ — ვუპასუხე მე.

„ვა, ეგ რა არის?! მე კინაღამ რწყევით მოვკვდი პირველ საქმეზე, — გადაიხარხარა ქერამ, შემდეგ, რუბენას მიუბრუნდა: — რაც იმ ღამეს მჟეუეთ, ერთი კვირა მეკიდა ფარნები, თამაზი კი იოლად გამოვიდა გაკვეთილს. ორი სილა რა საანგარიშოა? მე უფრო ლმობიერი ოსტატი ვარ. ჰა, რას იტყვი, ჯიგარო?“ — შემომცინა ქერამ და მეგობრულად დამკრა ხელი.

გავიღიმე.

„კარგი, მორჩით, საქმეს მივხედოთ, — თქვა რუბენამ და ოთახის კუთხეში ჩუმად

მჯდარ ჯუჯას მიუბრუნდა: — პატაშ, დილით არტაშას იპოვი, საქონელს გადასცემ და გააფრთხილებ, თბილისში არ დაალეხოს, სხვაგან გაგზავნოს სადმე. ახლა კი, დავიძინოთ. ერთი-ორი დღე დავისვენოთ, „უგროზისკმა“ არსად ჩაგვავლოს“.

იმ ღამით, სამუდამოდ ჩამომართვეს ჩემი სახელი და ლამაზო შემარქვეს. ამ სახელით შევრჩი თბილისის ქურდებში.

რუბენა უკვე მგლურად აღარ მიცქერდა, მარიგებდა და მიხსნიდა, როგორ მოვქცეულიყავი, რომ ქურდებში პატივისცემა დამემსახურებინა... შემდეგში, როდესაც თბილისიდან გადავიკარგე, ზუსტად გამოვიყენე რუბენას გაკვეთილები. ქურდები მორიდებით მექცეოდნენ, ჩემს სიტყვას ანგარიშს უწევდნენ, მემორჩილებოდნენ.

...ორი დღე რუბენასთან გავატარე. ბინა ვიღაც აისორს ეკუთვნოდა. ისე გვემსახურებოდა, როგორც ბატონებს. რუბენა ფულს უხვად აძლევდა. დღე და ღამე ვლოთობდით, ვთამაშობდით... რუბენა აშკარად მმფარველობდა. მარიგებდა, მშვიდად მეთამაშა, როდის რა ფოსტას ჩავსულიყავი... მესამე დღეს, ჟორა მოვიდა. საგანგებოდ ვეთამაშე, უკანაკნელი შარვალიც მოვუგე და სიამოვნებით ვუცქერდი, ტრუსების ამარა მჯდარს. რუბენა ხარხარებდა.

„მაშ რა გეგონა, ოხერო! სულ შეგირდად კი არ დარჩებოდა! შენ ეგ ვინა გგონია? ტყუილად კი არ შევარქვით ლამაზო!..“

ჟორა სიბრაზისგან იგრიხებოდა, მაგრამ ვერაფერს უბედავდა მოხარხარე რუბენას.

იქვე ჩავიცვი ჟორას კოსტიუმი და ფეხსაცმელი, მოგებული ფული ჯიბეში ჩავიტენე. ერთი კვირის წინ გადატანილი შიშის სამაგიეროს გადახდა სატანურ სიამოვნებას მგვრიდა... „პრისტავკაზე“ თამაში შევთავაზე. უარი თქვა.

რუბენა სიცილით იგუდებოდა.

„ჰა, შეგაშინა?! ეთამაშე, რომ ერთი „ინტერესნად“ დაგიხაზოს სახე, მა რა გეგონა, შეჭმას რო უპირებდი, მუდრეგნახევარო!“

ჟორა ხმას არ იღებდა.

მე სრულიადაც აღარ მეშინოდა მისი. უკვე ვიცოდი — ვერც ფულს წამართმევდა, ვერც რაიმეს გამიბედავდა. მე ახლა ქურდი ვიყავი და ქურდების კანონი მიცავდა, დაუწერელი კანონი, სასტიკი და დაუზოგავი...

მესამე დღეს, ჩემს ოთახში დავბრუნდი.

არტაშა შემომეგება. მაშინვე შემამჩნია ახალი ტანსაცმელი.

„სად იყავი, ჯიგარო? მომილოცავს ახალი კოსტიუმი, მშვიდობაში!“

„სხვაგან!“ — ვუპასუხე მოკლედ.

„დეიდაშენთან არ შეგივლია?“

„არა. რაში გაგახსენდა დეიდაჩემი?“ — შევეკითხე ცივად.

„ვა, რასა ბრაზობ?! აქ ერთი შიშაქი ვინმე მოვიდა, გიკითხა. დღესაც იყო. ასე თქო — დეიდაშვილი ვარო. იმიტომ გკითხე“.

„რაებს მიქარავ?! დეიდაჩემს შვილი არა ჰყავს“.

„მაშ, ვინ იყო?“ — გაუკვირდა არტაშას.

„მაიმუნობას თავი დაანებე, მე არავითარი დეიდაშვილი არა მყავს“.

„ჩემმა მზემ! სიყმე მომიკვდეს, თუ ტყუილს ვთქომდე! ვიღაც გოგო იყო. გეუბნები, ორჯერ მოვიდა, თითონ თქო — დეიდაშვილი ვარ, დედამ გამომაგზავნაო“.

„არა ტყუი?“

„ვა, რა სარგებელი მაქვს?!“

დავრწმუნდი, რომ არტაშა არ ტყუოდა. მაგრამ ვინ იყო?.. ალბათ, დეიდამ თვითონ ვერ გაბედა მოსვლა და ვინმე მეზობლის გოგონა გამოგზავნა, — ვიფიქრე და ოთახში შევედი. საშინელი, მძიმე სუნი ტყვიასავით მეძგერა. ფანჯარა გამოვაღე, არეული საწოლი გავასწორე. ნაგვით ავსებული, რამდენიმე დღის დაულაგებელი ოთახი ბუნაგს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს... პიჯაკი გავიხადე, დაუდევრად დავკიდე სკამზე და საწოლზე მივეგდე.

დიდხანს ვიწექი. ფიქრს გავურბოდი. ან რაღა მქონდა საფიქრებელი? რუბიკონი გადალახული იყო: მე ახლა, რუბენას შეგირდი ვიყავი და გულმოდგინედ ვცდილობდი, მისთვის მიმებაძა — „დავკაცებულიყავი“.



„კაცი!“ — წარმოვთქვი ხმამაღლა და გამეცინა.

კარზე ფრთხილად დააკაკუნეს.

„არტაშაა“, — გამიელვა გონებაში. „შემოდი!“ — გავძახე მკვახედ.

კარი გაიღო. ზურგშექცევით ვიწექი, შემოსული არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, რომ კართან გაჩერდა და აღარ იძვროდა... ადგომა არც მიფიქრია. არტაშა მხოლოდ ნაქურდლის გაყიდვაზე მუშაობდა და მე მორიდებით უნდა მომპყრობოდა — ასე მასწავლა რუბენამ.

„რას უდგეხარ, აქეთ მოდექ!“ — გავეხმიანე შემოსულს, მისკენ გაუხედავად.

„თამაზ!“

ნაცნობმა ხმამ დენივით დამიარა ტანში და საწოლიდან წამომაგდო. კარისკენ მივბრუნდი. უეცრად თავბრუ დამესხა, ყელი გამიშრა. უაზროდ გავიწვდინე ხელები, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერ მოვახერხე: კარში ციალა იდგა და ცრემლჩამდგარი თვალებით, ღიმილით მიცქერდა...

„ციალა, ძვირფასო!“ — ვიყვირე უეცრად, საწოლიდან ვეფხვივით ვისკუპე და ანგარიშმიუცემლად, გულში ჩავიკარი.

ის ოდნავ გამიძალიანდა, ჩემს გაშმაგებულ ალერსს სახე მოარიდა, თავი მკერდზე მომაყრდნო და აქვითინდა.

„ციალა, ჩემო ციალა!“ — ვლუღლუღებდი და ერთი სიტყვაც ვერ მეპოვა მის დასამშვიდებლად.

ასე გაგრძელდა რამდენიმე წამს... პირველად, ციალა გამოერკვა, ჩემი მკლავებიდან თავი მტკიცე მოძრაობით გაითავისუფლა და უსიტყვოდ ჩამოჯდა მაგიდასთან. ცდილობდა, გაეღიმა, არ ეტირა, მაგრამ ცრემლები თავისთავად სდიოდა მისი დიდრონი, თაფლისფერი თვალებიდან...

ამ სამი თვის განმავლობაში, ციალა შესამჩნევად შეცვლილიყო, მკერდი დასრულებოდა, მზე მოჰკიდებოდა, კიდევ უფრო დამშვენებულიყო.

ორივე ვდუმდით. არ ვიცოდით. როგორ დაგვეწყო ლაპარაკი და ერთმანეთს გაბუტული ბავშვებივით შევცქეროდით. მყუდროებას მხოლოდ ჩვენი სუნთქვა არღვევდა. ბოლოს, ისევ ციალამ მოახერხა თავის დაოკება, ცრემლი შეიშრო, თბილად შემომხედა და გულღიად გამიღიმა.

„როგორ ცხოვრობ, თამაზ, როგორა ხარ?“

„ვარსებობ, ციალა, ჯერ არ მოვმკვდარვარ“, — გავიხუმრე უკბილოდ და საცოდავად გავიღიმე.

„გამხდარხარ, თამაზ, თვალები შეგშუპებია, წარბებშუა ნაოჭები გაგჩენია, — თანაგრძნობით მითხრა ციალამ და დაუმატა: — ბევრს მუშაობ?“

„ჰო... არა, არც მაინცდამაინც...“ — ვუპასუხე არეულად.

ციალამ გამომცდელად შემომხედა, თვალი ვერ გავუსწორე. მზერა ავარიდე.

„შენ რაღაცას მიმალავ თამაზ“, — მისაყვედურა.

„არა, ციალა, რას უნდა გიმალავდე? უბრალოდ, დავიღალე, ძალიან დავიტანჯე“.

„დაიტანჯე?! მერედა, ამიტომ შეწყვიტე წერილების წერა?“

მე ვდუმდი.

„არ ვიცი, ციალა, რა გიპასუხო... ისე, რაღაც თავისთავად, ჩემდა უნებურად მოხდა, — მივუგე თავაუღებლივ. შემდეგ გამბედაობა მოვიკრიბე და დავუმატე: — მართლა, რუსეთში ვაპირებდი წასვლას. ჯერ არ გადამიფიქრებია, ალბათ წავალ“.

„შენ ტყუი, თამაზ! მე ყველაფერი ვიცი!“

თავზარი დამეცა. ციალამ ყველაფერი იცის, — გამიელვა თავში და მხოლოდ ახლა გამახსენდა — რუბენა, ბინის გაქურდვა და ის, რომ მე სიკვდილ-სიცოცხლით, სხვა ხალხთან ვიყავი დაკავშირებული...

აქამდე თავს ვიტყუებდი, ახლა კი ნათელი გახდა — ციალა ჩემთვის სამუდამოდ დაკარგული იყო! ჩემ მიერ არჩეულ გზაზე ის არ გამომყვებოდა, არც მე ვისურვებდი შეუძლებელს. „რა უფლება მაქვს მე, ქურდსა და ბოროტმოქმედს, იმედი ვიქონიო სათნო და მშვენიერი ქალიშვილის სიყვარულისა?!“ — გავიფიქრე მწარედ და კიდევ უფრო დავხარე თავი.

„რამ დაგამუნჯა, თამაზ?“ — მომესმა, ფიქრში წასულს.

„ცხოვრებამ, ცხოვრებამ დამამუნჯა...“ — ვუპასუხე მწარედ. მერე ჯიბიდან პაპიროსი ამოვიღე, მოვუკიდე და ნერვიულად გავაბოლე.

„შენ... შენ ეწევი, თამაზ?“

ციალას შევხედე, მას თვალები გაჰფართოებოდა და შიშით მიცქერდა.

„ჰო, ციალა, აგერ უკვე სამი თვეა, ვეწევი“— ვუპასუხე და ცალყბად გავიღიმე.

„მაშ, ასე — ეწევი, სვამ!.. — ციალამ მაგიდაზე მდგარ და ოთახის კუთხეში მიყრილ ცარიელ ბოთლებს გადახედა. — ეს იყო შენი დაპირება?!.“

მე ისევ დუმილი ვარჩიე.

„თამაზ, მე შენ ვაჟკაცი მეგონე, მტკიცე ნებისყოფის ახალგაზრდა, განა მარტო შენს თავზე დატრილდა ქარიშხალი?! არც მე გავუნებივრებივარ ცხოვრებას, მაგრამ სულით არ დავცემულვარ. შენ კი, რა მოგდის, თამაზ?! პაპიროსი, ღვინო, ლოთობა!.. ამისთვის გამოექეცი დეიდა თამარს? ამისთვის გააგდე სახლიდან?!“ — ციალას ხმას სიმკაცრე დაეტყო.

„მე ყველაფერი გავაკეთე, ციალა, რომ ცხოვრებას არ გავეთელე, მაგრამ არაფერი გამომივიდა, დავმარცხდი...“ — ჩავილუღლუღე ჩუმად.

„დამარცხდი?.. შენ ბრძოლაც არ გიცდია, სურვილიც არ აღგძვრია ბრძოლის. უბრალოდ, მოეშვი, გზას ასცდი და არა — დამარცხდი! — ხმას აუწია ციალამ და ფეხზე წამოდგა — შენ... შენ ფეხქვეშ გათელე ჩვენი სიყვარული, ჩვენი დიდი გრძნობა. ცხოვრებას, ბედნიერებისათვის ბრძოლას, ღვინო და თამბაქო არჩიე. ასეთი სულმოკლე ხარ?“

„ციალა! — ავუწიე მეც ხმას. — მე სულმოკლე არა ვარ, არც მშიშარა! ღვინო და თამბაქო მე არ ამირჩევია, თვით ცხოვრებამ მომაწოდა ერთიც და მეორეც. შენ არ იცი, როგორ ვეწამე, რა გადავიტანე ამ ექვს თვეში, რამდენი ვიბრძოლე და როგორ დავმარცხდი! ნუ მსაყვედურობ, ჩემს გულს წყლულები არ აკლია, ახალი ჭრილობა საჭირო აღარ არის!..“

დუმილი ჩამოვარდა. ციალა შიშჩამდგარი თვალებით, გაკვირვებული შემომცქეროდა. მე ბოლთას ვცემდი, გაშმაგებით ვეწეოდი პაპიროსს და ციალას მზერას თვალს ვარიდებდი.

წუთები ძძიმედ გადიოდა.

„თამაზ, — დაარღვია ციალამ დუმილი. — შენ ახლავე წამოხვალ დეიდა თამართან და არასოდეს — გესმის? — არასოდეს არ დაბრუნდები ამ დაწყევლილ ოთახში. აქ ცხოვრება შენ საშინელებას მოგიტანს, დაიღუპები!“

„გვიანღაა, ციალა!“

„თამაზ! — შეყვირა ციალამ. — გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, ეკას სახელს, ახლავე წამოდი!“

„გვიანღაა-მეთქი, ციალა, მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი!“

„რას ამბობ, თამაზ?!“ — თითქმის იკივლა ციალამ.

„შენ არ იცი, ციალა, ნურც მკითხავ, ამით არაფერი შეიცვლება“.

ციალა უხმოდ ატირდა, ღაპაღუპით მოსდიოდა მსხვილი ცრემლები.

„აღარ გიყვარვარ?“ — შემეკითხა ტირილით.

„მიყვარხარ, ციალა, სიცოცხლეს მირჩევნიხარ! ერთი შენი ცრემლისათვის უყოყმანოდ გავწირავ თავს, წვეთწვეთობით მივცემ სისხლს, მაგრამ მე... მე ჩემს თავს აღარ ვეკუთვნი. ჩემი სიყვარული მხოლოდ უბედურებას, საშინელ სირცხვილს მოგიტანს. შენ არ იცი, რა ძნელია ჩემთვის შენი დათმობა, ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი ნათელი სხივის ჩაქრობა. ჩემი გული დაცარიელდა, იქ სიბნელემ და სიცივემ დაისადგურა, როგორც კუბოში...“

„საშინელებას ლაპარაკობ, თამაზ!“

„შეიძლება. მაგრამ ეს საშინელება — სინამდვილეა, სრული სიმართლეა“.

„რა გადაგიწყვეტია, თამაზ?“

„მე — არაფერი, სხვებმა გადამიწყვიტეს. ჩემი აზრი არც კი უკითხავთ“.

„თამაზ!“

„კმარა, ციალა, ნუღარ მტანჯავ. ხომ ხედავ, რომ ამით არაფერი შეიცვლება. თამაზი მოკვდა, უკვე კარგა ხანია, მკვდარია!..“

„მითხარი მაინც, რა მოგივიდა, რა შეგემთხვა?“

„ციალა, მე ბევრი ღამე ვათენე შენზე ფიქრით, შენ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ. ჩემს თავსაც არ ვუმხელდი, რომ ოდესმე შევურიგდებოდი შენს დაკარგვას. უძილო ღამეებში გესაუბრებოდი, აზრებს გიზიარებდი, რჩევას გეკითხებოდი. მხოლოდ ის აზრი მასულდგმულებდა, რომ შენ გიყვარდი, ოდესმე ერთად ვიქნებოდით. ამით გამხნევებული, ვებრძოდი ცხოვრებას, მაგრამ დავმარცხდი. ყველაფერი დავკარგე! შენმა მოსვლამ ნათლად დამანახვა სინამდვილე. ბედს ეს უკანასკნელი სიხარულიც შეშურდა ჩემი, უფსკრულით გაგვყო და ჩვენ სხვადასხვა მხარეს აღმოვჩნდით. შენ მაინც იყავი ბედნიერი, მე კი... მე — დამივიწყე!“

„გულს ნუ მიწყალებ, თამაზ!“

„არა, ციალა. შენ ბედნიერი უნდა იყო. ჩემი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ იქ სიყვარულისათვის ადგილი აღარ დარჩა. ჩემი გული შებღალულია, ხოლო ჩემი სიყვარული ყოველივე წმინდას მხოლოდ ჩირქს მოსცხებს, წაბილწავს. შენ უნდა გამიგო, ციალა. მოხდა ისეთი რამ, რისი გამოსწორებაც შეუძლებელია, არც ჩემზეა დამოკიდებული“.

„მომისმინე, თამაზ, — წარმოთქვა ციალამ მტკიცე ხმით. — მე არ გკითხავ, რა მოხდა, მაგრამ მწამს, რომ ამის გამოსწორება შეიძლება. წამოდი, დღესვე წავიდეთ სოფელში. იქ იმუშავებ, ბინას იშოვი, ყველაფერი მოგვარდება, შენი ცხოვრებაც აეწყობა“.

„ვერა, ციალა“.

„დამიჯერე, ჩემო თამაზ, შენ ხომ ჭკვიანი ბიჭი ხარ. გაფიცებ ჩვენს სიყვარულს, გულს ნუ მომიკლავ, დამიბრუნდი! ჩვენ ერთად ვიქნებით, თამაზ, ერთად ვიპოვით ბედნიერებას, სიხარულს. — ციალა წამოდგა, ხელი მომხვია, მკერდზე მომეკრა. — ნუ, მეთქი, თამაზ, ნუ!.. დამიჯერე, დაიღუპები!“ — ჩურჩულებდა ის და ნაზად ეალერსებოდა ჩემს თმას.

ცეცხლი მომეკიდა. ციალას ყოველი სიტყვა, მისი ალერსიანი ჩურჩული, ცხელი შანთივით ხვდებოდა გულს. ვხედავდი — კიდევ რამდენიმე წუთი და გავტყდებოდი, მის ნებას დავყვებოდი. ანგარიშმიუცემლად ხელი მოვხვიე, თავი გადავუწიე... ციალა მუდარით შემომყურებდა. მისი თვალები სიყვარულს მთხოვდა, ბედნიერებას მპირდებოდა. წამით დამავიწყდა ჩემი თავი, რუბენა, ქურდობა, საშინელი ახლო წარსული და თავი ბედნიერად ვიგრძენი. ნელა დავიხარე ციალასკენ... მაგრამ უეცრად, რუბენას ერთმანეთზე გადაბმული, სქელი წარბები და მტაცებლის მსგავსი სახე დამიდგა თვალწინ... სწრაფად გამოვფხიზლდი, თავს არაადამიანური ძალა დავატანე და ციალა მკერდიდან მოვიგლიჯე. მან ყრუდ ამოიკვნესა და მოწყვეტით დაეცა სკამზე...

ადგილი აღარ მყოფნიდა, გალიაში დამწყვდეული მხეცივით დავრბოდი ოთახში და გაშმაგებით ვღეჭავდი პაპიროსს. ციალა ჩუმად ქვითინებდა, ჩემს დაუბრუნებელ ბედნიერებას დასტიროდა და მეც, ოდესღაც ბედნიერი ჭაბუკი, ახლა კი სახელდაკარგული და ქურდების მიერ ლამაზოდ მონათლული, დღეიდან სრულიად მარტო, პატარა, ბნელ ოთახში ერთადერთი დამსწრე ვიყავი ჩემივე პანაშვიდისა.

დიდხანს ტიროდა ციალა, დიდხანს სდიოდა ცხარე ცრემლები და ეს ტირილი, ტანჯვასთან ერთად, განუზომელ სიამოვნებას მგვრიდა, რადგან ვიცოდი, დარწმუნებული ვიყავი — როცა ჩემი სიკვდილის მაუწყებელი ზარი ჩამოჰკრავდა, არავინ იქნებოდა ჩემ გვერდით, ერთი ობოლი ცრემლი მაინც რომ ჩაეყოლებინა საფლავში...

არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდა ეს მტანჯველი მდგომარეობა, ალბათ, ძალიან დიდხანს... ვიწრო სარკმელში წყდიადმა შემოიხედა... ციალა წამოდგა. ტირილისგან დაოსებულმა, სევდიანად შემომხედა. მისი სახე რაღაც განსაკუთრებულად ლამაზი მომეჩვენა და ასეთივე დარჩა ჩემს მეხსიერებაში...

უხმოდ გავედით ოთახიდან. სალაპარაკო აღარაფერი გვქონდა. ჩვენ შორის ყველაფერი ითქვა და მწარე ფიქრებში ჩაძირულები, ნელა მივუყვებოდით გზას. მუხრანის ხიდთან ციალა გაჩერდა.

„აწი მარტო წავალ“, — ნაღვლიანი, ძლივსგასაგონი ხმით ჩაილაპარაკა მან და ცრემლები გადმოყარა. გაწვდილი ხელი ჩამოვართვი, დიდხანს მეჭირა. ის იდგა თავდახრილი და ლამპიონების შუქზე, წამწამები ორ შავ პეპელას მიუგავდა.

„მშვიდობით, თამაზ!“ — ნაღვლიანად მითხრა ციალამ.

„მშვიდობით, ციალა! უბედურ ვარსკვლავზე გავჩენილვარ, სიხარული ვერ გაიმეტა ჩემთვის ცხოვრებამ. შენს სიყვარულსაც ვერ მოვუარე, ესეც დაენანა ბედს... არ ვიცი, რა მომელის მომავალში. დიდი ტანჯვა მოგაყენე, მაგრამ მე მაინც ყველაზე უბედური ვარ... დამივიწყე, შენ კარგი და ჭკვიანი ხარ, ნებისყოფით ჩემზე ძლიერი,

და მწამს — გაიმარჯვებ, ბედნიერებას იპოვი! იცოდე, დღეიდან, ჩემი ერთადერთი სიხარული მხოლოდ შენი ბედნიერება იქნება. მშვიდობით, სამუდამოდ!..“

თავდახრილ ციალას ღაპალუპით სცვიოდა ცრემლები და თბილი წვეთები ხელზე მხვდებოდა. მისი ხელი ტუჩებთან მივიტანე და რამდენჯერმე ნაზად ვაკოცე. შემდეგ ხელი გავუშვი და ჩქარი ნაბიჯით, თითქმის სირბილით, გავეცალე იქაურობას. ხიდის შუაწელში მისულმა, უკან მივიხედე. ციალა ისევ იმ ადგილზე იდგა. სწრაფად შევბრუნდი, ხიდს გავცდი და მძიმე ნაბიჯით შევუყევი აღმართს.

კაეშანი მტანჯავდა. „მარტო ვარ, სრულიად მარტო, უთვისტომო და მიუსაფარი“, — ვიმეორებდი გულში და ბრაზით შევცქეროდი ადამიანებს, რომლებმაც, როგორც მე ვფიქრობდი, უკანასკნელი სიხარულიც გამომტაცეს ხელიდან...

იმ დღიდან, მტკიცედ მივეკედლე რუბენას. ყოველი ახალი ბოროტება ველურ სიხარულს მგვრიდა, სატანურ სიამოვნებას განვიცდიდი, როდესაც ბინას გავძარცვავდით, მატარებელში გაქურდული მგზავრის კივილი და თავში ცემა ლამაზი მელოდიასავით მიტკბობდა სმენას... თანდათან დავკარგე ადამიანური თვისებები და მძვინვარე ქურდად ვიქეცი. ვქურდობდი თბილისში, კახეთში, გორში, ბათუმში... მილიცია ფეხდაფეხ დაგვდევდა, მაგრამ ბედი გვწყალობდა და ერთხელაც ვერ მოგვიგდეს ხელში.

ასე გავიდა თითქმის ერთი წელი. ქურდები პატივისცემით მეპყრობოდნენ, რუბენა ტოლივით მექცეოდა, ანგარიშს მიწევდა და თუ აქამდე, მის სახელს იფიცებდნენ, ახლა უკვე ღამაზოც გაუჩნდათ საფიცრად...

სულ მოკლე ხანში გავეცანი ბოროტმოქმედთა სამყაროს. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში გვყავდა ჩვენი ხალხი, მაგრამ ძირითადად, მაინც ოთხნი დავდიოდით ერთად: რუბენა, მე, გოგი და ჟორა.

ბოლოს, დადგა დრო, როდესაც იღბალმა ზურგი შეგვაქცია: ბათუმში მაღაზიის გატეხა განვიზრახეთ, მილიცია ჩასაფრებული დაგვხვდა. ალყაში მოვყევით. სროლა აგვიტეხეს. ჟორამ და გოგიმ იქ დაამთავრეს „კარიერა“. გოგის შუბლში მოხვდა ტყვია და ადგილზე გააცივა. დანარჩენებმა სროლით გავიკაფეთ გზა... თითქმის სამშვიდობოს გასულებს დაგვეწია ტყვია. ჟორამ მკერდზე იტაცა ხელი და კვნესით გაგორდა ქვიშაზე. რუბენამ ერთი დახედა და როცა დარწმუნდა, მას სიარული აღარ შეეძლო, აუღელვებლად დაახალა ორი ტყვია... გამოვაღწიეთ, მოვახერხეთ დამალვა და რამდენიმე დღის შემდეგ, თბილისში ჩამოვედით (რუბენას საქციელი არ გამკვირვებია: ცოცხლად ჩავარდნილ ჟორას ორივეს გაცემა შეეძლო).

თბილისშიც გაჭირდა თავის შენახვა, რეალური საფრთხის წინაშე ვიდექით. რუბენამ გადაწყვიტა, გავცლოდით საქართველოს. დავეთანხმე.

რამდენიმე დღის შემდეგ, რუბენამ პასპორტები იშოვა: „კოკოევი გიორგი ალექსის ძე, ეროვნებით ოსი“, — წავიკითხე ჩემს პასპორტში და გამეცინა. სურათს დავაკვირდი: იქიდან დავაჟკაცებული, ახალულვაშაკოკრებული ახალგაზრდა მიცქერდა...

გვიან ღამით დავტოვეთ თბილისი. სხვადასხვა ვაგონით ჩავედით როსტოვში და იქ დავბინავდით. შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, დავძრწოდით, ხან ორნი, ხან — სხვებთან ერთად. „მოვინახულეთ“ ხარკოვი, ლენინგრადი, მოსკოვი და ყველგან დავტოვეთ კვალი... ბოლოს, ჩვენი ხეტიალიც ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო: ზამთრის ერთ დღეს, ხუთმა კაცმა მოსკოვში მაღაზია გავქურდეთ. სამძებრო ჩვენს კვალს დაადგა. სათითაოდ „აგვკრიფეს“. მხოლოდ რუბენა აღარ იყო ჩვენ შორის. მან პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა: ხშირად იტყოდა — ცოცხლად მილიციას არ ჩავბარდებიო: როდესაც ოთახში მილიციის მუშაკები შეცვივდნენ, რუბენამ თურმე, ნაგანი იძრო, მაგრამ დაასწრეს და ადგილზევე დაცხრილეს. ეს, მასთან ერთად შეპყრობილმა, ჩვენი ჯგუფის წევრმა, პეტკა დიდთავამ მიამბო, როდესაც სასამართლოში შევხვდით ერთმანეთს.

პროცესზე თავი მოვიკატუნე, „გულწრფელად“ ვაღიარე ჩემი ერთადერთი დანაშაული და ყველაფერი რუბენას გადავაბრალე. ლმობიერად მომექცნენ — ერთი წლით პატიმრობა მაკმარეს.

სასჯელი მოვიხადე. გამოვედი და ისევ ქურდობას მივყავი ხელი. ახლა ძველებურად თავისუფლად ვეღარ ვგრძნობდი თავს... 5-6 წლის შემდეგ, ისევ დამიჭირეს და ამჯერად, 8 წელი მომისაჯეს, შორეულ მხარეში გადასახლებით. მაინცდამაინც არ შევწუხებულვარ. უკვე სტაჟიანი ქურდი ვიყავი და ბანაკში თავის გატანა არ მიჭირდა. ჟარგონს დაუფლებულები, სწრაფად ვეცნობოდით ერთმანეთს და პატიმრები შიშის ქვეშ გვყავდა...

სადღაც კრასნოიარსკის მხარეში გადაგვასახლეს. ომმაც იქ მოგვისწრო. ბევრმა პატიმარმა განცხადებით მიმართა კოლონიის ადმინისტრაციას — ფრონტზე წასვლა ითხოვა. ზოგიერთის სურვილი დააკმაყოფილეს, მაგრამ ყველა ქურდ-რეციდივისტს უარი უთხრეს.

პატიმრობიდან ამნისტიით გავთავისუფლდი. საცხოვრებლად ვილნიუსი ავირჩიე. იქაც მალე მოვძებნე ჩემი წრე, მაგრამ ჯერჯერობით, ქურდობას ვერიდებოდი. ორიოდე როსტოველი ქურდიც ვნახე. მიცნეს და უფროსადაც მაღიარეს. სწორედ როსტოვში შემარქვეს ჩერქეზი და ეს სახელი საკმაოდ ქუხდა ქურდების წრეში...

იმ წლებში, ვილნიუსი იყო ჩვენი ყველაზე საიმედო თავშესაფარი. მილიცია და შინსახკომი ე.წ. „ბანდერელებს“ ებრძოდა. ჩვენთვის არ ეცალათ. თითქმის ყოველდღე ვთამაშობდი. კოლონიაში გატარებული დრო უქმად არ დამიკარგავს, ოსტატურად ვაწყობდი კარტს და „პოკერში“ თუ „ოცდაერთში“ უმოწყალოდ ვფცქვნიდი პარტნიორებს.

ხუთი წელი ვიცხოვრე ამ ქალაქში. მხოლოდ რამდენიმე ქურდობაში მივიღე მონაწილეობა, ისიც — დიდ საქმეზე. ფული თავზე საყრელად მქონდა და დროსაც ჩინებულად ვატარებდი.

ერთხელ, გულმა თბილისისკენ გამომიწია. ბევრი აღარ მიფიქრია — სამსახურიდან შვებულება ავიღე და თვითმფრინავში ჩავჯექი.

...თბილისში მაისის მშვენიერ საღამოს ჩამოვედი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დედაქალაქში არავინ მელოდა, რაღაც უჩვეულო სიხარული ვიგრძენი, როდესაც თვითმფრინავიდან გადმოვედი და ფეხი ქართულ მიწაზე დავდგი. რატომღაც მომინდა, მოვხვეოდი, გულში ჩამეკრა ეს მიწა და ხასხასა ბალახი, რომელსაც გამორჩეული სურნელება ასდიოდა. წარსული წლების განმავლობაში, ერთი დღეც არ მახსოვდა ისეთი, რომ რაიმე სიხარულს აეჩქროლებინა ჩემი გული და მიკვირდა, თანაც მიხაროდა, რომ ახლა აღტაცება დამეუფლა.

სასტუმროში თავაზიანად მიმიღეს. უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს: თავის დროზე, საქართველო ისე დავტოვე, რომ მილიციას ჩემთვის თითების ანაბეჭდი არ აუღია. ჩემი წარსულის შიში არ მაწუხებდა, ძალზე ელეგანტურად მეცვა და არც თავაზიანობა მაკლდა. საუკეთესო ნომერში დაბინავებულს, ახლო ნაცნობობა არავისთან გამიბამს. დიდხანს ვებრძოლე ჩემს თავს და ბოლოს გადავწყვიტე, დეიდა მენახა. საღამო ხანს მივადექი 4-სართულიან სახლს, კრილოვის ქუჩაზე. გული უჩვეულოდ მიცემდა. 14 წლის შემდეგ პირველად ავდიოდი კიბეზე, მივდიოდი ბინაში, რომელშიც ჩემი დაღუპული სიჭაბუკის დღეები გავატარე და სადაც ჩემმა პატარამ ეკამ სამუდამოდ დახუჭა თვალი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვუდაურში ვაცხარეული სამი დღე

და ნასარში ჩავარდნილი კოვზი

ნათია ქივიძე

კომპანია „მაგთიმ“ გადაწყვიტა — ჟურნალისტებისთვის სემინარი ჩაეტარებინა, რათა მათ საქმიანობაში უკეთ გავრკვეულიყავით. ამისთვის კი, კარგი გარემო საუკეთესო საშუალებაა, ამიტომაც, ერთ მშვენიერ დღეს ავტობუსში ჩავსხედით და გეზი გუდაურისკენ ავიღეთ. ჩვენთან ერთად, კომპანიის რამდენიმე წარმომადგენელიც მგზავრობდა, ნაწილი კი, დაწინაურებულიყო, რათა იქ, ჩვენთვის საუკეთესო პირობები შეექმნათ. 21 ჟურნალისტში მხოლოდ ერთი იყო ბიჭი, დანარჩენი გასათხოვარ-განათხოვარ-გაუთხოვარი გოგონები ვიყავით. ამდენი ქალის ერთად ნახვა და იმის გარანტია, რომ სამი დღე მათ გარემოცვაში უნდა გაატარო, ალბათ, მამაკაცებში სასიამოვნო შეგრძნებას ბადებს. ყოველ შემთხვევაში, ავტობუსში მყოფმა ჩვენმა ერთ-ერთმა მასპინძელმა ზურა ბესელიამ, ჩვენს დანახვაზე თანამშრომლებს რაღაც უჩურჩულა და გამოაცხადა: ო.შ.მ. (ოჯახის შექმნის მიზნით), გავიცნობ სიმპათიურ გოგონასო (როგორც მოგვიანებით, უკვე თბილისში ჩამოსულმა სანდო წყაროსგან შევიტყვე, თურმე, მას თავისივე წარმომავლობის ანუ მეგრელი ცოლი უნდა, შესაბამისად, ბევრ ჩვენგანს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა). გზად ერთმანეთის გაცნობითა და ბუნების სილამაზით ვტკბებოდით. იქ ჩასულებს კი გამოგვიცხადეს — ახლა კარგად დაისვენეთ, ისადილეთ და მერე, ბოულინგში შეჯიბრება გვექნებაო. ბოულინგის ბურთი ხელში არასოდეს მჭერია, ჩემდა საბედნიეროდ, ჟურნალისტების უმეტეს ნაწილს მსგავსი პრობლემა აწუხებდა, თუმცა, ამას მათთვის ხელი არ შეუშლია, რომ ჩემი გუნდისთვის მოეგო. ჩვენდა სამარცხვინოდ, 6 კაცისგან დაკომპლექტებული ჯგუფი მესამე ადგილზეც კი ვერ გავიდა, არადა, რა საჩუქრები იყო დაწესებული... ბოულინგს ისეთი აზარტით ვთამაშობდით და ერთმანეთს ისეთი შეძახილებით ვამხნევებდით, რომ სასტუმროს თანამშრომლებმა რამდენჯერმე შეგვამოწმეს — ხომ მშვიდობაა. წაგებამ, ცოტა არ იყოს, ხასიათი გაგვიფუჭა და იქვე კუთხეში ცხვირჩამოშვებულები დავსხედით. ჩვენი გუნდის „კაპიტანმა“ ირაკლი ფერაძემ გაგვამხნევა, წაგებასაც ღირსეულად უნდა შეხვდეთო და „დასამშვიდებლად“ არყით სავსე შამპანურის ბოკალი მოგვაწოდა. ის საღამო, ერთმანეთის უკეთ გასაცნობად დაგვჭირდა. მეორე დღეს, დილის 8 საათზე დაგვირეკეს — ადგომის დროაო. რა თქმა უნდა, ჟურნალისტებისთვის დილით ასეთ დროს ადგომა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ სემინარზე ხომ ვერ დავაგვიანებდით?! ის დღე განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა — ლანჩის შემდეგ, ფასანაურში ჩავედით, სადაც ე.წ. „რაფთინგი“ უნდა ჩატარებულიყო. რა თქმა უნდა, სპორტის ამ სახეობაში არც ერთ ჩვენგანს არ ჰქონდა გამოცდილება, ამიტომ თავდაპირველად შევშინდით. სანამ შეჯიბრება დაიწყებოდა, გაგვაფრთხილეს: წყალში ჩავარდნის საშიშროება დიდია და ყურადღებით იყავითო, თან „დაგვამშვიდეს“, წყლის დინება გაგიტაცებთ და არ შეგეშინდეთ, როგორმე დაგეწევით, ან თავად მიაღწიეთ ნაპირამდეო. ასეთი დარიგების შემდეგ, რამდენიმე ჟურნალისტმა ნავზე დაჯდომა გადაიფიქრა, ერთმა ისიც კი თქვა — შინ შვილი მელოდება და თავს აქ ვერ მოვიკლავო, მაგრამ უმრავლესობას სწორედ რისკი ხიბლავდა... სამაშველო ჟილეტები, ჩაფხუტები მოვირგეთ და არაგვში ჟივილ-ხივილით შევცურეთ. ნავის მართვა არც ისეთი რთული ყოფილა, როგორიც შორიდან გვეჩვენებოდა. თითოეულ წყალში მდებარე ქვაზე წაბორძიკება და სახიფათო მომენტი, ჩვენს ემოციას იწვევდა. როცა უკვე სიტუაციას კარგად მოვერგეთ, გავთამამდით და ერთმანეთს ვწუწავდით კიდეც, მაგრამ მოულოდნელად, ჩვენს უკან მყოფი ნავი ქვას წამოედო და მართალია, ამობრუნებას გადაურჩა, მაგრამ ჟურნალისტი მარიკა ჭუბაბრია წყალში ჩავარდა. ამ ფაქტმა ყველა დაგვაბნია, ყურადღება ჩვენს კოლეგაზე გადავიტანეთ და ლამის ჩვენი ნავიც მომდევნო ქვის მსხვერპლი გახდა. დაბნეულობა კონსტრუქტორის ყვირილმა გაფანტა: მარჯვენა წინ, მარცხენა — უკან. ეს ნავის მართვის სპეციალიზებული ფრაზებია, რომლის შინაარსიც ნავში ჩაჯდომამდე აგვიხსნეს, მაგრამ დაბნეულობისგან, ბევრ ჩვენგანს მარჯვენა და მარცხენა აერია. საბოლოო ჯამში, ჩვენი მოგზაურობა მაინც მშვიდობიანად დამთავრდა და ჩვენი ეკიპაჟიდან არაგვის ქვები არავის „უხეხია“. თუმცა, მერე, სხვა ნავის წარმომადგენლები იბრალებდნენ — ყველაზე მაგრები ჩვენ ვიყავითო. ავტობუსში ჩავსხედით თუ არა, წვიმა წამოვიდა და ცოტა ხანში ისეთი ნიაღვარი დაგვატყდა თავს, რომ გარეთ ვერაფერს ვხედავდით. გუდაურში ასულებს ნამდვილი ზამთარი დაგვხვდა, მაგრამ ამას არ შევუშინებივართ. ცოტაოდენი დასვენების შემდეგ, ყველანი ერთად დისკოთეკაზე წავედით და კარგადაც გავერთეთ, მიუხედავად იმისა, რომ გუდაურში ჯერ ახალი სიმღერები არ ჩასულა და დენიკინის დროინდელ „კოკო ჩამბოზე“ გვიწევდა ცეკვა. იმ დღეს ბრაზილია-საფრანგეთის თამაში იყო. უმეტესი ჩვენგანი ბრაზილიას გულშემატკივრობდა, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ერთად ყოფნა სჯობს, ვიდრე ფეხბურთის ყურებაო და სწორადაც მოვიქეცით, რადგან ბრაზილიამ იმედები გაგვიცრუა და შემდეგი დღის სემინარიც ერთმანეთისთვის მისამძიმრებით დავიწყეთ. თურმე, ერთ-ერთ ჟურნალისტს, ბრაზილიის ულიმღამო თამაშის გამო, უტირია კიდეც. მესამე დღის სპრტულ თამაშად მიზანში სროლა შემოგვთავაზეს, ოღონდ ამისთვის „ხიჟინაში“ უნდა ავსულიყავით — ეს ერთი პატარა ქოხია, რომელიც გუდაურიდან საკმაოდ მოშორებითაა და იქ მისვლამდე ორი საბაგირო გზა, ე.წ. „კანატკები“ გამოვიცვალეთ. „ხიჟინაში“ ასულებს ივლისის ნაცვლად იანვარი გვეგონა, რადგან ჩვენ ირგვლივ მთები დათოვლილი იყო და მაგრადაც ციოდა. სროლა ვის ახსოვდა, მაშინვე ბუხარს მივეფიცხეთ. მერე ლანჩი მივირთვით, სამახსოვრო ფოტოები გადავიღეთ და სასტუმროში დაბრუნება გადავწყვიტეთ, თუმცა, მებრძოლი სულის ადამიანები უკვე გარეთ იდგნენ და ლუდის ქილას იარაღს დიდი ენთუზიაზმით უმიზნებდნენ. გამარჯვებული ვინ გახდა, ვერ გავიგე, რადგან სიცივისგან სროლის სურვილი დაკარგული მქონდა და საბაგიროსკენ პირველი გავემართე... მალე, თბილისისკენ გამოვემგზავრეთ. გზაში „მაგთის“ თანამშრომლებს ვთხოვეთ — მსგავსი უიკ-ენდი კიდევ მოგვიწყვეთო. ნოუტბუკში ჩვენს სურათებს ვნახულობდით, ბევრს ვიცინოდით და განვლილ დღეებს ვიხსენებდით...

P.S. სამწუხაროდ, ზურა ბესელიას ო.შ.მ.-სთვის რომელი ჟურნალისტი მოეწონა, ჯერ ვერ გავარკვიე... ■

ნავის მართვა არც ისეთი რთული ყოფილა, როგორიც შორიდან გვეჩვენებოდა. თითოეულ წყალში მდებარე ქვაზე წაბორძიკება და სახიფათო მომენტი, ჩვენს ემოციას იწვევდა

საცერში მოთავსებული, რძის უმაკოების დასტური...

დასაწყისი იხ. გვ. 52

მაგალითად, გიორგობის დღესასწაულზე (ჩვენ წმინდა გიორგისა და ღვთისმშობელ მარიამს ვალიარებთ, ოღონდ, გიორგობის დღესასწაულს სხვა დროს აღვნიშნავთ), სახლში ფქვილს მოაბნევდნენ და თუ წმინდანი იქ მიბრძანებას ინებებდა, დილით, ფქვილზე წმინდა გიორგის ცხენის ნაფეხურები და ცხენის ძუა ხვდებოდათ, ხოლო ოჯახს, მთელი წელი კეთილდღეობა, ხვავი და ბარაქა არ მოაკლდებოდა.

— ეი. შეიხს შეუძლია, თავისი მრევლის შემოწირულობებით იცხოვროს?

— წლების წინ, ასეთი რამ მართლაც შესაძლებელი იყო. ახლა კი, ხალხს ძალიან უჭირს და ვისაც რისი შესაძლებლობა აქვს, ის მოაქვს. მრევლი მოდის ოჯახში, ჩვენს სალოცავთან ლოცულობს — როგორც ცოცხლებისთვის, ისე მიცვალებულებისთვის — და ფულს სწირავს. მხოლოდ ამ შემოწირულობით ოჯახს ვერ არჩენ, ამიტომ შეიხი, ისევე, როგორც სხვა მოკვდავი, იძულებულია, იშრომოს, თუმცა არის რამდენიმე პროფესია, რომელიც მისთვის მიუღებელია. მაგალითად, დაუშვებელია, შეიხმა იმუშაოს ყასბად, რადგან მას, ღორის ხორცთან შეხება ეკრძალება. ის ვერ-სოდეს იქნება მექისე და მესაფლავე. შეიხისთვის მიუღებელია იარაღის ტარება, ამიტომ ვერც ჯარში წავა და ვერც სამართალდამცავ სტრუქტურებში იმუშავებს.

— როგორც ვიცი, ქურთებში დაშვებულია ახლო ნათესავებს შორის ქორწინება...

— აქაც არსებობს გარკვეული წესები და აკრძალვები. როგორც გითხარით, იეზიდები რამდენიმე სასულიერო-საზოგადოებრივ ფენად იყოფიან: შეიხები, ფირები და მრიდები. ჩვენი წესის თანახმად, შეიხმა ცოლად მხოლოდ შეიხი უნდა შეირთოს, ფირმა — მხოლოდ ფირი და მრიდმა, შესაბამისად — მრიდი. ამ წესისგან გადახვევა, მომაკვდინებელი ცოდვის ტოლფასია. უწინ, ვინც ამ წესს დაარღვევდა, მას მშობელი სასიკვდილოდ იმეტებდა და უკეთეს შემთხვევაში კი, ქალსაც და ვაჟსაც ოჯახიდან მოკვეთდნენ. ამბობენ, როდესაც შეიხი დაბალი სასულიერო წოდების ქალს შეირთავს ცოლად, ის თავის ზეციურ ძალას კარგავს და მრევლი მას აღარ ენდობა. სწორედ ამგვარი შეზღუდვების გამო, იძულებული ვართ, რომ დეიდაშვილზე, მამიდაშვილზე — ე.ი. ისევ ჩვენი ოჯახის წევრზე, ჩვენი ფენის ადამიანზე ვიქორწინოთ.

— როგორც ვიცი, თქვენში დაწინდვაც საკმაოდ ადრეულ ასაკში ხდება და პატარძლის უბიწობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება...

— ადრე, მშობლები შვილების ბედს დაბადებისთანავე წყვეტდნენ. უფროსები ერთმანეთს პირობას აძლევდნენ და მისი დარღვევა შეუძლებელი იყო. ახლა კი, გარკვეული წესების ფარგლებში, არჩევანის საშუალება ახალგაზრდებს თავადაც ეძლევათ, მაგრამ მშობლის როლი მაინც მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ქალის პატიოსნებას — ეს ჩვენთვის წმიდათაწმიდაა. ადრე, პატარძალი ქორწილის მსვლელობისას მოწმდებოდა. წყვილი განმარტოვდებოდა, ხოლო მოქეიფე ახლობლები მისი პატიოსნების დასტურს ელოდნენ... ახლა, ახალდაქორწინებულებს ამისათვის 3 დღე ეძლევათ. შემდეგ, დედამთილი რძლის უმანკოების დასტურს — ზეწარს საცერში მოათავსებს, ზემოდან ტკბილეულს მოაყრის და მძახლებს უგზავნის. იქ კი, ამაყი მშობლები მეზობლებს მოიწვევენ, ქალიშვილის პატიოსნების საბუთს ყველას უჩვენებენ და ქეიფს გამართავენ.

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ქურთი ქალის უფლებები შეზღუდულია...

— ჩვენი ბებიები მანდილით დადიოდნენ — თუ იეზიდ ქალს თმა ან შიშველი მკლავი მოუჩანდა, ეს უწესობად მიიჩნეოდა. მაგრამ დღესაც, ქალი ვალდებულია, ფეხზე წამოდგეს, თუ ოთახში მასზე უფროსი ადამიანი შემოვა; არ შეუძლია, დაელაპარაკოს მამამთილს, სანამ ამის უფლებას არ მისცემს. მაგალითად, დედაჩემი თავის მამამთილს 50 წლის განმავლობაში არ ელაპარაკებოდა, ამას ჩვენთან, „ბუხტის“ ეძახიან. რძალს არ შეუძლია, დედამთილ-მამამთილის დაუკითხავად, მოინვიოს ოჯახში სტუმარი.

— საინტერესოა, ასეთი კულტურისა და ტრადიციების მქონე ერს დამწერლობა არ გაქვთ...

— შარშან, ქურთმა მეცნიერმა ქერემი ანკოსმა შექმნა ქურთული ანბანი, რისთვისაც დანიის სამეფომ მას ფულადი ჯილდო გადასცა. სხვათა შორის, ქურთულად ითარგმნა „ვეფხისტყაოსანიც“ და მომავალში, მისი გამოცემაც იგეგმება. რაც შეეხება ჩვენი ერის კულტურულ ცხოვრებას, წლების წინ თბილისში ქურთული თეატრიც გვქონდა და სახელმწიფო რადიოტალღაზე კვირაში ერთხელ, ქურთული გადაცემაც გადიოდა. მართალია, დამწერლობა არა გვაქვს, მაგრამ ზეპირად ვახერხებთ, შვილებსა და მრევლს ლოცვები, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები შევასწავლოთ. ■



სექსზე წინ ფეხბურთი დააყენეს

მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, მეძავებზე მოთხოვნილება იმაზე ორჯერ ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ეს მუნდიალის დასრულებამდე ოთხი დღით ადრე გახდა ცნობილი.

არავისთვის უნდა იყოს სიახლე ის, რომ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ტურისტული ინდუსტრიის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ღონისძიებაა. გასულ მუნდიალს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ათასობით ქომაგი ადევნებდა თვალს. მაგრამ თუ გულშემატკივრები ტურნირზე საყვარელი ნაკრების საქომაგოდ, დასასვენებლად და დროის საინტერესოდ გასატარებლად იმყოფებოდნენ, გერმანიის ტურისტული ინდუსტრიის მესვეურებს ამისთვის ნამდვილად არ ეცალათ.

გერმანიაში პროსტიტუცია ლეგალიზებულია. ამიტომ, ამ ქვეყანაში საფეხბურთო ქომაგთა მოზღვავებას „სიყვარულის მსახურთა“ მიმართ მოთხოვნილება უნდა გაეზარდა. მიუხედავად ამისა, უკვე ცნობილია, რომ საროსკიპოებისთვის არცთუ ისე ბევრ ადამიანს მიუკითხავს. მაგალითად, ბერლინის ოლიმპიურ სტადიონთან ახლოს მდებარე ბორდელის მფლობელი, არტემისი იმედოვნებდა, რომ მის დაწესებულებას ყოველდღიურად 500 ადამიანი მაინც ესტუმრებოდა. სინამდვილეში კი, სექსით ტკბობის მსურველთა რაოდენობა ორჯერ უფრო მცირე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, არტემისი მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან გასული თვის განმავლობაში, ჩვეულებრივზე უფრო მეტი შემოსავალი მიიღო. ამასთან, არტემისი იმითაც იყო გახარებული, რომ მისი დაწესებულების კლიენტთაგან ხულიგნურად არც ერთი არ იქცეოდა.

„ძალიან კმაყოფილები ვართ, — ამბობს კიდევ ერთი ბორდელის მენეჯერი, ვანესა, — სულაც არ გვიმუშავია დაძაბულ ატმოსფეროში — ეს ჩვენთვის კარგი და სასიამოვნო დღეები იყო. ღმერთს მადლობას ვწირავ ამისთვის.“

მუნდიალის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას გერმანიაში მილიონი ადამიანი ჩავიდოდა. მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ტურნირის მასპინძელ ქვეყანას ორჯერ უფრო მეტი რაოდენობის ადამიანი ეწვია. „მეძავებზე იმაზე ნაკლები მოთხოვნილება რომ იყო, ვიდრე მოველოდით, ეს მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს — გულშემატკივრებს ფეხბურთი სექსზე მეტად უყვართ. ბევრი, ფეხბურთის ყურებისას, ლუდის სმით ტკბება, აი ფეხბურთისა და სექსის კომბინირება კი, როგორც ჩანს, უფრო ნაკლებად მისაღები ყოფილა“, — ამბობს კიოლნის პოლიციის წარმომადგენელი, ბერჰარდ ჯანი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი ინფორმაცია ოფიციალურია. მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას იმის შესახებაც ვრცელდებოდა ცნობები, რომ საროსკიპოები კლიენტთა სიმრავლეს ვერ აუდიოდნენ. გერმანიაში ყველა საროსკიპო ოფიციალურად დარეგისტრირებული არ არის. ტურნირის დაწყებამდე კი, ქვეყნის ხელისუფლებამ მოითხოვა, რომ ყველა ანალოგიური დაწესებულების მომსახურეს რეგისტრაცია გაევლო. ეს მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ხელისუფლებამ „იძულებით პროსტიტუციად“ მონათლა, თუმცა ჩემპიონატის დაწყებისთანავე ყურადღების ცენტრში საფეხბურთო მატჩები მოექცა და გერმანული „სამეძავო საქმიანობა“ აღარავის გახსენებია. ■

ზიზუ „პლანს“ ეწევაო



სკანდალური ფოტო, რომელიც ამ მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა, პორტუგალიისა და საფრანგეთის ნახევარფინალურ მატჩამდეა გადაღებული. ერთ-ერთი მიუნხენური სასტუმროს (სადაც საფრანგეთის გუნდი გახლდათ დაბინავებული) ნომრის ფანჯარაში, პაპარაცებმა ზინედინ ზიდანი შენიშნეს, რომელიც სიგარეტს ეწეოდა. თუ რითი იყო დატენილი იგი — თამბაქოთი თუ მარიხუანით, — ჯერჯერობით ცნობილი არ არის. პრესაში უკვე გამოჩნდა ანონიმური ცნობა იმის შესახებ, რომ ზიზუს ნომრიდან „მოსაწევისათვის“ დამახასიათებელი სპეციფიკური სუნი გამოდიოდა. ორაზროვანი გახლდათ ზიდანის განცხადებაც იმის შესახებ, რომ ფინალური პაექრობის წინ, მას უპირველეს ყოვლისა, „კარგად დასვენება“ ესაჭიროებოდა.

თუ მისი ნარკოტიკებისადმი მიდრეკილება (თუნდაც ე.წ. მსუბუქი ნარკოტიკებისადმი) ოფიციალურად დადასტურდება, მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ნამდვილად სერიოზული პრობლემა შეექმნება. სავარაუდოდ, ფრანგ ნახევარმცველს ორწლიან დისკვალიფიკაციას მიუსჯიან. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი მუნდიალის შემდეგ, ისედაც კარიერის დასრულებას აპირებდა.

სხვათა შორის, ნარკოტიკების მოხმარებაში მხილებული მოთამაშეები ადრეც არაერთხელ გამოუჭერიათ. საკმარისია დიეგო მარადონას წარსულის გახსენებაც, რომელიც წლების განმავლობაში, ჩამოყალიბებულ ნარკომანად მიიჩნეოდა (თუ რა თქმა უნდა, ამჟამადაც არ იღებს სტიმულატორებს). გარდა ამისა, არგენტინელ სუპერვარსკვლავს „მოსაწევისა“ და კოკაინის მოხმარებისათვის სამჯერ მისცეს დისკვალიფიკაცია. ბოლოს, ის 1994 წელს, აშშ-ში სწორედ მსოფლიო პირველობის მსვლელობისას ამხილეს. ამ ფაქტმა მაშინ საფეხბურთო სამყარო მართლაც შოკში ჩააგდო.

ნარკოტიკების მოხმარებაში უმხილებიათ მარადონას უახლოესი მეგობარი და ყოფილი პარტნიორი ეროვნულ ნაკრებში, კლაუდიო კანიჯაც. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩენილან ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელებიც. მაგალითად, ცოტა ხნის წინ, მაროკოს ოლიმპიური ნაკრების ერთბაშად 5 მოთამაშეს ორგანიზმში მარიხუანის კვალი აღმოუჩინეს.

უფრო დიდი სკანდალი აგორდა ცნობილ რუმინელ ფორვარდ, ადრიან მუტუსა და ავსტრალიელი მეკარის, მარკ ბოსნიჩის ქცევასთან დაკავშირებით. იმხანად, ისინი შესაბამისად, „ჩელსისა“ და „მანჩესტერში“ ასპარეზობდნენ და ხანგრძლივი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ სტიმულატორების მოხმარებისათვის.

რაც შეეხება ზიდანს, მან ფინალურ მატჩში კიდევ ერთი არასპორტული საქციელით გამოიჩინა თავი, თუმცა, ის მაინც დაასახელეს მე-18 მუნდიალის საუკეთესო მოთამაშედ. ■

მუნდიალს 50 ქომაგი შეეწირა

მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ყურებისას, ემოციური მღელვარების გამო, 11 ჩინელი დაიღუპა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპზე არ გასულა, საფეხბურთო ნერვიულობით გამოწვეული სიკვდილიანობა ამ ქვეყანაში ყველაზე მაღალი აღმოჩნდა. სულ მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ეტაპამდე, პლანეტაზე სიკვდილიანობის 50 შემთხვევა აღინიშნა. ■

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

პენტაჯამპეონები

მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად, მუნდიალი აზიაში ჩატარდა, თანაც ტურნირს ერთდროულად ორმა ქვეყანამ — იაპონიამ და სამხრეთ კორეამ — უმასპინძლა. საგულისხმოა ის, რომ ისტორიული ქიშპობის გამო, ამ ორ ქვეყანას შორის მაინცდამაინც თბილი ურთიერთობა არც დღეს სუფევს. მიუხედავად ამისა, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ფეხბურთის მიმომხილველებმა, სპეციალისტებმა და ქომაგებმა ერთხმად აღიარეს ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზების შესახებ. ცხადია, ამ ფაქტით ყველაზე მეტად გახარებული ფიფას თავკაცი, იოზეფ ბლატერი გახლდათ.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატი თავიდანვე დიდი სენსაციით დაიწყო. სასტარტო მატჩში ერთმანეთს საფრანგეთისა და სენეგალის გუნდები ხვდებოდნენ. ბუნებრივია, ფეხბურთის სპეციალისტთა, ქომაგთა და მიმომხილველთა აბსოლუტურ უმრავლესობას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ შეხვედრაში, 1998 წლის მუნდიალის ტრიუმფატორები იოლად მოიგებდნენ, მაგრამ თამაშის მსვლელობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფრანგები მოედანზე თავიანთი გამოკვეთილი ლიდერის, ზინედინ ზიდანის გარეშე იმყოფებოდნენ, რომელიც იმ პერიოდში ტრავმირებული იყო. როგორც ჩანს, „მამლაყინწების“ მთავარი მწვრთნელი, როჟე ლემერი მას „უფრო რთული და საპასუხისმგებლო“ პაექრობებისათვის ინახავდა. თუმცა, საფრანგეთის ეროვნული გუნდის შემადგენლობა ზიდანის გარეშეც სოლიდურად გამოიყურებოდა. ერთი შეხედვით, დესაის, პეტის, ვიეირას, ანრის, ტრეზეგესა და სხვა ოსტატებს აფრიკელთა დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდათ. ალბათ, ასე ფიქრობდა მთელი საფეხბურთო სამყარო... სენეგალელთა გამოკლებით. ფრანგები უშედეგოდ უტევდნენ, შეხვედრის 30-ე წუთზე კი, ბუბა დიოპმა თავისი გუნდი დაწინაურა, რის შემდეგაც, მსოფლიო ჩემპიონები ამაოდ ცდილობდნენ გოლის გატანას და ანგარიშიც აღარ შეცვლილა. 1:0 — საფეხბურთო სამყაროსათვის ფაქტობრივად უცნობმა სენეგალის ნაკრებმა ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ საფრანგეთის გუნდს სძლია, რასაც ნამდვილად არავინ მოელოდა.

მერვედფინალში გასასვლელად, „მამლაყინწებს“ დარჩენილი მატჩების მოგება ესაჭიროებოდათ, მათ ურუგვაისა და დანიის გუნდებთან დაპირისპირების დროსაც იმედი გაუცრუეს ქომაგებს. ფრანგთა და სამხრეთამერიკელთა პაექრობა საერთოდ, უგოლოდ დასრულდა, ხოლო დანიელებთან შეხვედრაში რომედალისა და ტომასონის მიერ გატანილ ორ გოლს, როჟე ლემერის გუნდმა ვერაფრით უპასუხა.

ამგვარად, საფრანგეთის ნაკრები ქვეჯგუფშივე გამოეთიშა მუნდიალს, თანაც, ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ მოქმედმა ჩემპიონებმა ყოვლად უსახური თამაშის შემდეგ, ტურნირი უგოლოდ დატოვეს.

რაც შეეხებათ სენეგალელებს, მათ დარჩენილ ორ მატჩში — დანიელებთან (1:1) და ურუგვაიელებთან (3:3) თითო-თითო ქულა მოიპოვეს, ჯგუფში დანიელების (დანია-ურუგვაი — 2:1; დანია-სენეგალი 1:1; დანია-საფრანგეთი 2:0) შემდეგ, მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ და მერვედფინალში სრულიად დამსახურებულად გავიდნენ.

F ქვეჯგუფი თავიდანვე „სიკვდილის ჯგუფად“ იყო მონათლული. მართლაც, შვედეთის, ინგლისის, არგენტინისა და ნიგერიის ნაკრებთა შორის გამოკვეთილ ფავორიტს წინასწარ ვერავინ დაასახელებდა. მატჩებიც შესაბამისად, დაძაბულ და უკომპრომისო ორთაბრძოლებში მიმდინარეობდა, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ყველასათვის მოულოდნელად, არგენტინის ეროვნულმა გუნდმა, რომელსაც მუნდიალის დაწყებამდე, ფეხბურთის სპეციალისტთა, მიმომხილველთა და ქომაგთა დიდი ნაწილი ტურნირში გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა, ჯგუფიდან გასვლა ვერ შეძლო.



სენსაციის გარეშე არც მერვედფინალურ ეტაპს ჩაუვლია. ალბათ, ტურნირის დასაწყისში ვერავინ იფიქრებდა, რომ იტალიის ნაკრები ნაადრევად გამოეთიშებოდა ასპარეზობას, ხოლო მასპინძლები — კორეელები მეოთხედფინალში გავიდოდნენ, გუს ჰიდინგის მიერ დამოძღვრილმა გუნდმა მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხული „სკუადრა აძურას“ დამარცხება შეძლო.

ასევე დიდი ვნებათაღელვის ფონზე მიმდინარეობდა სამხრეთკორეელთა და ესპანელთა დაპირისპირება, რომელშიც პირნეელებმა იტალიის ნაკრების ბედი გაიზიარეს, ოღონდ — მსაჯთა აშკარა „დახმარებით“. ასე იყო თუ ისე, ამ მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო უგოლოდ დასრულდა, პენალტების სერიაში კი, მასპინძლებმა იმარჯვეს (5:3).

სამხრეთკორეელთა გუნდის წინსვლას ნახევარფინალში გერმანიის ნაკრებმა დაუსვა წერტილი. ამ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გავიდა. მისი ავტორი 75-ე წუთზე, ბალაკი გახდა.

მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მომღერალმა, ანასტასიამ მუნდიალის დახურვაზე გამოსათხოვარი სიმღერა შეასრულა, ფინალისტები საქმეს შეუდგნენ. მატჩის პირველ წუთებზე ინიციატივა გერმანელებმა აიღეს და მეტოქეს შეუტიეს. რუდი ფიოლერის გუნდმა, რომელიც თავისი ლიდერის, მიხაელ ბალაკის გარეშე თამაშობდა, სამხრეთამერიკელთა საჯარიმოსთან რამდენიმე სახიფათო მომენტი მაინც შექმნა. შემდეგ უპირატესობა თანდათან ბრაზილიელებმა მოიპოვეს, მაგრამ პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. საინტერესოდ მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. 67-ე წუთზე რივალდოს მიერ დარტყმული ბურთი რატომღაც მეტისმეტად უხერხულად მოიგერია ოლივერ კანმა, რონალდო კი, იმ მომენტში ყველაზე ხელსაყრელ ადგილზე აღმოჩნდა... ასე გაიხსნა ანგარიში (1:0). ბრაზილიელთა დაწინაურების შემდეგ, ანგარიშის გათანაბრების მიზნით, ფიოლერმა მოედანზე კლოზეს ნაცვლად ბირჰოფი შეიყვანა, მაგრამ გერმანელები მარკოსის კართან რეალური საგოლე მომენტის შექმნას ვერ ახერხებდნენ. სამაგიეროდ, სამხრეთამერიკელებმა კონტრშეტევას მიმართეს. 79-ე წუთზე კლებერსონის მორიგი ფლანგური გარღვევის შემდეგ, რივალდომ მახვილგონივრულად გაატარა ბურთი რონალდოს მიმართულებით, ხოლო ამ უკანასკნელმა 2002 წლის მუნდიალზე მერვე და ამავე დროს საბოლოო გოლი გაიტანა (2:0).

გაგრძელება გვ.72

Tesla Roadster – მობილუსების აკუმულატორებით მოქმედი ელექტრომობილი

20 ივლისს, ახალგაზრდა ავტომწარმოებელი კომპანია — Tesla Motors — წითელ საბურველს ახსნის სპორტულ მანქანას — Tesla Roadster, — რომლითაც, ექსპერტთა აღიარებით, ჩვენს ცხოვრებაში ელექტრომობილების ეპოქა მძლავრად შემოაბიჯებს. ამ ავტომობილის შესახებ ჯერჯერობით, ის არის ცნობილი, რომ 80 ათასი დოლარი ეღირება, მისი მაქსიმალური სიჩქარე 210 კმ/სთ იქნა, ხოლო 100 კმ/სთ-ს სულ რაღაც 4 წმ-ში განავითარებს. რაც მთავარია, Tesla აღჭურვილი იქნება ისეთი მძლავრი აკუმულატორებით, რომლებიც, დამატებითი დამუხტვის გარეშე, 402 კმ-ის გარბენას უზრუნველყოფს.

ახალი როდსტერი, ცნობილი ბრიტანული სპორტული მანქანის — Lotus Elise-ის შასიზეა აგებული. საინტერესოა, რომ ის აღჭურვილი იქნება აკუმულატორებით, რომლებსაც ფიჭური ტელეფონის აპარატებში იყენებენ, ოღონდ — ავტომანქანას 7 ათასი ცალი დასჭირდება. ■

Dodge Challenger – აღორძინებული ლეგენდა

ამ მარკის კუპეს მფლობელს ლამისაა, ყველაზე „მაგარ ბიჭად“ მიიჩნევდნენ: მანქანის „ველური“ იერი და უძლავრესი ძრავა გარშემო მყოფთ მანქანის პატრონის ხასიათს აცნობდა. ამგვარად, ისინი, ვისაც ნამდვილი მაჩოს იმიჯის მორგება სურდათ, „ჩელენჯერის“ შეძენის მსურველთა რიგში ზოგჯერ ხანგრძლივ პერიოდსაც ატარებდნენ.

როგორც ცნობილია, ყველაფერი ახალი — კარგად დავიწყებული ძველია. ეს, მშვენივრად მოეხსენებათ კომპანია „დაიმლერ კრაისლერის“ მესვეურებს, რომლებმაც სახელგანთქმული მოდელის გაცოცხლება გადაწყვიტეს.

აღორძინებული Dodge Challenger, პლატფორმაზე — 300C აიგება. ახალი მოდელის ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მის მარჯვენასაჭიან ვერსიასაც გამოუშვებენ.

ორადგილიანი კუპე XX საუკუნის 70-ანი წლების სტილს ინარჩუნებს: მას გრძელი კაპოტი, მოკლე საბარგული და 2-კარიანი ძარა აქვს. კლასიკური ამერიკული კუპეს ახალი ვერსია V ტიპის, 6,1 ლ მოცულობის, 425 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ძრავათი იქნება აღჭურვილი. კომპანიის მთავარმა ე.წ. საოპერაციო დირექტორმა, ერიკ რიდენოერმა უკვე გამოაცხადა ამ მარკის ავტომობილების სერიული წარმოების დაწყების შესახებ. „კრაისლერის“ მონაცემებით, 70-იან წლებში, ამ მარკის 188 ათასი მანქანა გაიყიდა, ამიტომაც, ფირმის მესვეურები იმედოვნებენ, რომ მისი განახლებული ვერსიაც პოპულარული იქნება.

■

ამფიბია Splash – ყველაზე მოდური საზაფხულო საჩუქარი...

დასავლეთში მილიონერები მიმდინარე ზაფხულს თურმე, ძვირად ღირებული საჩუქრებით აოცებენ ერთმანეთს. ავტოდილერები კი აღნიშნავენ, რომ ავტომობილი-ამფიბია — Rinspeed Splash-იც დიდი მოთხოვნით სარგებლობს. ეს მოდური ახალი სატრანსპორტო საშუალება თურმე, კერძო თვითმფრინავებსაც კი ღირსეულ კონკურენციას უწევს. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ მოდას აყოლილი შეძლებული ადამიანები მასში 4,5 მლნ დოლარის გადახდაზეც არ ამბობენ უარს.

ამ მანქანის ძარა, სარბოლო ბოლიდის მსგავსად, კარბონის ბოჭკოსგანაა დამზადებული. მთლიანად კი, „სფლეში“, როგორც „საავტომობილო“, ასევე „სახომალდო კანონების“ სრული დაცვითაა შექმნილი, რისი წყალობითაც, აშკარა მინუსები, წყალსა თუ ხმელეთზე გადაადგილებისას, მის „ქცევაში“ არ შეინიშნება.

შვეიცარიული როდსტერი 0,75 ლ მოცულობის, ტურბოდიზელის ძრავათია აღჭურვილი, რომელიც ბუნებრივ აირზე მუშაობს. მისი სიმძლავრე 140 ცხ.ძ-ს შეადგენს; 1-ტონიანი მასის მიუხედავად, ხმელეთზე 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,9 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე, 200 კმ/სთ-ს აღწევს. ■

1 ტყის მსხალი
2 საეკლესიო წესების კრებული
3 ზოგი ცხოველის ფეხი
4 ცხიმოვანი სიმსივნე
5 მწვანე ინფექციური დაავადება
6 კეთილი განწყობა
7 ქამა სოკო
8 ფეოდალტეტის ხელმძღვანელი
9 კალმანის ოპერეტა
10 კოცნა
11 რეზინანი სპორტ. ფეხსაცმელი
12 ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული
13 ბოსტნეული
14 ხეშეში, ხძელი
15 რაიმე დისტანციის ცალკეული ძონაკვეთი
16 ფრანგი ფერმწერი
17 რუკების ჩასაწყობი ბრტყელი ჩანთა
18 ძველი ჩასმული სკულპტურა
19 მშვილდის ბაწარი
20 გერმანელი მწერალი
21 ისლამის წმინდა ქალაქი
22 ერთგვარი მოგრძო პური
23 იაპონური ნაციონალური საძოსი
24 ჭუნების ბელადი
25 წაჭრილი ტოტის ძირი ხეზე
26 მოხეტიალე ძუსლიმანი ბერი
27 შეხვედრა უმაღლეს დონეზე
28 წვრთნა
29 მუსიკალური ბგერა
30 შუაზღვიელი ფილოსოფოსი
31 ხურდა ფული დანიაში
32 ამერიკელთა მეტსახელი მექსიკაში
33 ყარყატის სახეობა
34 ფეტვის ბურახი
35 სპორტული ვანი მცენარე
36 ნივრის აცმა
37 ლატვიის ფულის ერთეული
38 განსაკუთრებული ხიჭი
39 ღია სპორტული ავტომობილი
40 აშშ-ის კოსმოსური ცენტრი
41 თავზე დური გულანდილობა
42 ზევსის დედა
43 ვაკე ადგილი მდინარის პირას
44 იტალიელი ფიზიკოსი
45 ნიანგის სახეობა
46 შენობის ჩონჩხი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ვაცი; 2. ალიკაპი; 3. კაკადუ; 4. დირიჟორი; 5. დალი; 6. ამადუ; 7. ჩეკია; 8. დაფი; 9. ბიდონი; 10. სატირა; 11. პრელუდია; 12. ჰავაი; 13. პალაცო; 14. ლეჩაქი; 15. ასო; 16. დოლარი; 17. ანემია; 18. იასაული; 19. დიეტა; 20. სარდინია; 21. სტეპლერი; 22. ფერია; 23. კია; 24. ანსამბლი; 25. დოდე; 26. ტალანტი; 27. პინო; 28. აპრიორი; 29. ნარა; 30. ტაფა; 31. კარე; 32. მანი; 33. ასკილი; 34. ლარნაკი; 35. მეტანია; 36. პიკაპი; 37. არაყი; 38. ალღო; 39. ნარტა; 40. გია; 41. ლეგა; 42. პი; 43. ვირი; 44. ობი; 45. ლალი; 46. ავაზაკი; 47. მაყარი; 48. საარი.

სურათებზე: ვუდი ჰარელსონი; კაროლ ბუკე.

kviris astrologiuri prognozi

(13 – 19 ivlisi)

ვერძი 21.03-20.04

ამ კვირაში, შეეცადეთ, ოჯახის წევრებს გაუგოთ და თუ რომელიმე მათგანმა უნებლიეთ გაწყენინათ, ამაზე ყურადღება არ გაამახვილოთ. მოუცლელობის გამო, დასახული გეგმების გადახედვა და მხოლოდ გადაუდებელი საქმეების მოგვარება მოგიწევთ. გირჩევთ, დახმარებისთვის კოლეგებს მიმართოთ. შაბათ-კვირა კი, თუ რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა გაქვთ, ოჯახის წევრებისგან მოშორებით, მეგობრების გარემოცვაში გაატარეთ.

კურო 21.04-20.05

თავი შეიკავეთ თამამი ნაბიჯებისგან, არ გარისკოთ და ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებდეთ, მაქსიმალურად კარგად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. ამ დღეებში, შესაძლებელია გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც თქვენი ერთფეროვანი ცხოვრების გახალისებას შეძლებს. უქმე დღეებში, გირჩევთ, ბუნების წიაღში გახვიდეთ და საფუძვლიანად დაისვენოთ.

ტყუბი 21.05-21.06

ამ კვირას, ისეთი პრობლემები შეგექმნებათ, რომლის გადაჭრას მარტო ვერ შეძლებთ, ამიტომ გირჩევთ, დახმარებისთვის მეგობრებს მიმართოთ. შეეცადეთ, ინტრიგებს თავი აარიდოთ, რადგან ახლა, მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად სულ ტყუილად გაირჯებით. უმჯობესია, დრო ახალ პროექტზე ან საკუთარ თავზე მუშაობას დაუთმოთ. შაბათ-კვირა კი, დახარჯული ენერგიის ანაზღაურებას დაუთმეთ.

კიბო 22.06-22.07

ამ კვირაში, მოგეცემათ რეალური შანსი, გაიუმჯობესოთ სამსახურებრივი და მატერიალური მდგომარეობა. უარს ნუ იტყვით მეგობრების წინადადებაზე, რომლებიც კვირის ბოლოს, აქტიური გართობისკენ მოგიწოდებენ, რადგან თქვენი თავშეყრის ადგილას, შესაძლოა, შემთხვევით მოვიდეს ადამიანი, რომელიც ახალ იდეას მოგაწვდით. ეს კი, ამჟამად, თქვენ ყველაზე მეტად გჭირდებათ.

ლომი 23.07-23.08

თავი აარიდეთ უაზრო ხარჯებს, გამოიჩინეთ მომჭირნეობა — გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, მატერიალური ზარალი არ აგცდებათ. კოლეგებთან ურთიერთობისას, შეეცადეთ, მწვავე განცხადებების გაკეთებას თავი აარიდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თქვენი სამსახურიდან წასვლის საკითხს, სპეციალურად მონწეულ თათბირზე განიხილავენ. უქმე დღეებში, აუცილებლად გაისეირნეთ, სასურველია — ოჯახთან ერთად.

ქალწული 24.08-23.09

ამ დღეებში შეეცადეთ, სამსახურში თქვენი შესაძლებლობები წარმოაჩინოთ, გამოიჩინეთ ინიციატივა, თამამად გამოთქვით საკუთარი შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე. დასრულეთ წინა კვირას დაწყებული საქმეები, რადგან ეს პერიოდი, ხელსაყრელია მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. გართობა და დასვენება მომავალი კვირისთვის გადადეთ.

სასწორი 24.09-23.10

დაძაბული და მოვლენებით დატვირთული დღეები გელით. ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად, საკმაო ძალისხმევის გამოვლენა მოგიწევთ. მაგრამ გაითვალისწინეთ, თქვენი ზედმეტი მზრუნველობა, შესაძლოა, სხვებისთვის გამაღიზიანებელი აღმოჩნდეს. გირჩევთ, შაბათ-კვირას კარგად დაისვენოთ, რათა დახარჯული ენერგია სრულად აღიდგინოთ.

მორიელი 24.10-22.11

ამ დღეებში, პირად ცხოვრებაში მოსალოდნელია სასიკეთო ცვლილებები — თქვენ რომანტიკული შეხვედრა გელით. შეეცადეთ, თქვენს რჩეულს თავი ზედმეტი და არაკორექტული შეკითხვებით არ მოაბეზროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ მას სამუდამოდ დაკარგავთ. კვირის დასაწყისში, სამსახურში პატარ-პატარა უსიამოვნებები გელით, ამიტომ მნიშვნელოვანი შეხვედრები, კვირის ბოლოსთვის გადადეთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12

მართალია, ამ დღეებში გართულებები არც ოჯახის წევრებთან ან საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას გემუქრებათ და არც კარიერაში, მაგრამ ახლა, ხანმოკლე ტაიმ-აუტი ნამდვილად არ გაწყენდათ. ამიტომ, თუ შესაძლობლობა მოგეცემათ, ცოტა დაისვენეთ და ჯანმრთელობასაც მიხედეთ.

თხის რქა 22.12-20.01

ამ კვირას, ნუ იკისრებთ მნიშვნელოვან ვალდებულებას, თუ რა თქმა უნდა, ეს აუცილებლობას არ წარმოადგენს და საერთოდ, დაზოგეთ ენერგია. ნურც სხვისი საქმეების მოგვარებას შეეცდებით, რადგან ეს მაინც არ დაგიფასდებათ. შეინარჩუნეთ ცხოვრების მშვიდი რიტმი და უქმე დღეები მეგობრებთან ან ნათესავებთან ერთად გაატარეთ.

მერწყული 21.01-19.02

ამ დღეებში, რამდენიმე საქმეს ერთდროულად ნუ მოჰკიდებთ ხელს — უპირატესობა ყველაზე მნიშვნელოვანს მიანიჭეთ. თუ რაღაც ისეთი პრობლემა გაგიჩნდებათ, რომლის მოგვარებაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება, ნუ მოგერიდებათ და რჩევისთვის ხელმძღვანელი პირები შეაწუხეთ.

თევზები 20.02-20.03

ნუ იქნებით ზედმეტად გულახდილი და ნუ გაანდობთ ყველას საკუთარ გეგმებს, თორემ, შესაძლოა ღალატის მსხვერპლი აღმოჩნდეთ. ამ კვირას, თავი აარიდეთ ხმაურიან თავშეყრის ადგილებს და შაბათ-კვირა სახლში, ოჯახის წევრებთან ერთად გაატარეთ.

საქართველოს ჰიმნით გახსნილი საღამო, ცეცხლოვანი ცეკვებით დასრულდა

ნათია ქივიძე

ამერიკის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ტელეკომპანიების — „პირველი სტერეოსა“ და „მუზიკ ბოქსის“ წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, ჟურნალისტები შეეკრიბათ, რათა ეს დღე ერთად აღგვნიშნა. ჩვენი შეხვედრა ერთ-ერთ ქართულ რესტორანში შედგა. რა თქმა უნდა, საღამო საქართველოს ჰიმნით დაიწყო და ამერიკის ჰიმნით გაგრძელდა, შემდეგ კი, სცენა ქართველი შოუბიზნესის წარმომადგენლებმა „დაიპყრეს“. ცოტა ხანში, ჟურნალისტებისთვის გათამაშება მოეწყო — ვინც მეტ შეკითხვას გასცემდა სწორ პასუხს, მას სპეციალური პრიზით აჯილდოებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა შეკითხვა ამერიკის ისტორიას უკავშირდებოდა, ჟურნალისტებმა თავი მაინც არ შეირცხვინეს და ყველა დასმულ კითხვას სწორი პასუხი გასცეს. საღამოს წამყვანმა — ლიზა ვადაჭკორიამ გადაწყვიტა, ჟურნალისტების ძალები ქართულ ცეკვაშიც მოესინჯათ და ჯგუფ „რონდოს“ სახლოვა — „აჭარული“ იმღერეთო, რის ფონზეც, ისეთი ცეკვა „დავცხეთ“, რომ ჯაზ-ფესტივალის ერთ-ერთი ბრიტანელი მონაწილე, ტაშს აღფრთოვანებული გვიკრავდა, მერე კი, გადაწყვიტა ჩვენთვის სიმღერა მოეძღვნა და „რონდოს“ თანხლებით, ინგლისური სიმღერა შეასრულა. ყველაზე დიდი აღფრთოვანება მაესტრო მორისის ცეცხლოვანმა ლათინურმა ცეკვამ გამოიწვია. მან შემოგვთავაზა — ახლა კონკურსი ლათინურ ცეკვაში მოვაწყოთო და შვიდ ქალბატონს სათითაოდ ეცეკვა. მიუხედავად იმისა, რომ არაპროფესიონალებისთვის ამ ცეკვის შესრულება საკმაოდ რთულია, დიდი მაესტროს გვერდით არაფერი გაგვჭირვებია და ყველა დიდი მონდომებით ვცეკვავდით, თუმცა, ყველას თათა ვარდანაშვილმა აჯობა და გამარჯვებულადაც ის დასახელდა. მას საჩუქრად ერთი ბოთლი ღვინო — „ვაზიანი“ გადასცეს. მოკლედ, ყველამ კარგად მოვილხინეთ და გადავწყვიტეთ, რომ თვეში ერთხელ მოვაწყოთ მსგავსი სახის „შინაურული“ წვეულება...

რამდენად საიმედო ადამიანი ხართ?

საიმედო ადამიანი ხართ? თუ კაცს არ შეიძლება ყოველთვის თქვენი იმედი ჰქონდეს?

1. სკოლაში კარგი მოსწავლე იყავ-ით?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

2. დარწმუნებული ხართ, რომ სასკოლო ცხოვრებას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის გონე-ბრივი განვითარებისათვის?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 5.

3. მიგაჩნიათ, რომ ზნეობრივი ნორმები — ცოტა არ იყოს, გადა-ჭარბებულ-გაზვიადებულია?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

4. გახასიათებთ წვრილმან ნივთე-ბზე მიჯაჭვულობა?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 5.

5. იყვნენ თუ არ თქვენი მშობლები თქვენთან დამოკიდებულებაში მკა-ცრები და მომთხოვნები?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

6. მიგაჩნიათ, რომ წარმატება დაუღალავი შრომისა და ტანჯვა-წვალების ფასად მიიღწევა?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

7. მიიჩნევთ თუ არა საკუთარ თავს პრინციპულ (ანუ პრინციპების მქონე) ადამიანად?
ა) დიახ —5;
ბ) არა — 0.

8. ადვილად კარგავთ თუ არა კონტროლს საკუთარ თავზე?
ა) დიახ — 0;
ბ) არა — 5.

9. ხშირად გიჩნდებათ თუ არა იმის სურვილი, რომ „დღევანდელი დღით“ იცხოვროთ და არ იზრუნოთ მომავალზე?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

10. ხართ თუ არა პუნქტუ-ალური?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

11. შეგიძლიათ თუ არა მიზნის მისაღწევად გარისკვა?
ა) დიახ — 5;
ბ) არა — 0.

12. თქვენ სიტყვა მიეცით ახლო-ბელს, რომ მისთვის ძალზე მნიშ-ვნელოვან საკითხში დაეხმარებოდით, მაგრამ მოულოდნელად, ავად გახდით. როგორ მოიქცევით?
ა) დაურეკავთ მას და ბოდიშს მოუხდით, რომ არ შეგიძლიათ მისი თხოვნის შეს-რულება — 5;
ბ) მიიჩნევთ, რომ ავადმყოფობა იმდე-ნად საპატიო მიზეზია, რომ ყოველგვარი მოვალეობისგან გათავისუფლებთ — 0;
გ) ვინმეს სთხოვთ, რომ დაგეხმაროთ დანაპირების შესრულებაში — 0.

13. მეგობარმა პირადი საიდუმ-ლო გაგიმხილათ. ლაპარაკია ისეთ საქციელზე, რომელსაც თქვენ უარყ-ოფითად აფასებთ. როგორ მოიქცევით?
ა) შეეცდებით მის დარწმუნებას იმაში, რომ ცუდად იქცევა და პრობლემის მოგ-ვარებაში დაეხმარებით — 5;
ბ) მხოლოდ მის მონათხრობს მოის-მენთ — არანაირი რეაგირება არ გექნებათ — 0;
გ) ამ ინფორმაციას ისეთ სანდო პირებს გაუმხელთ, რომლებსაც თქვენს მეგობარზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ — 0.

14. თქვენი აზრით, ქვემოთ ჩამოთვ-ლილი თვისებებიდან, რომელს მიიჩ-ნევთ ქალისათვის ყველაზე მნიშ-ვნელოვნად?
ა) სილამაზეს — 0;
ბ) ლოიალობასა და გაწონასწორებუ-ლობას — 5;
გ) ქცევის სიმპათიურ მანერას — 0.

ტესტის შედეგები

70-75 ქულა: თქვენ საიმედო ადამიანი ხართ და ეს თქვენი ხასიათის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თვისებაა. თქვენ ასეთ საქციელს ითხოვთ როგორც საკუთარი თავისაგან, ისე სხვებისაგან — ზოგჯერ შესაძლოა, ზედმეტად კატეგორიულადაც კი. თქვენი გულმოდგინება საქმეში, ცხოვრების მოწესრიგებული სტილი და ცხოვრებისეული ამოცანებისადმი ღრმა, გააზრებული მიდგომა არა მარტო აღფრთოვანებას იწვევს, არამედ ზოგიერთებში შიშის გრძნობასა და შურსაც კი ბადებს.

69-50 ქულა: თქვენს გადაწყვეტილებებზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს მღელვარე გრძნობები. თქვენ შეგიძლიათ, პასუხი აგოთ თქვენს ნებისმიერ ქმედებაზე, მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია — თქვენ თავადაც ხვდებით, რომ ასეთი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ცხოვრება, საკმაოდ რთულია.

49-25 ქულა: სიტყვის პატრონი ბრძანდებით. როცა ნაცნობ-მეგობრებს სჭირდებით, პრინციპში, მათ თქვენზე დაყრდნობა შეუძლიათ, მაგრამ აბსოლუტური საიმედოობა თქვენი ცხოვრების მიზანს ნამდვილად არ წარმოადგენს. საკუთარი გულღია და მხიარული ხასიათის წყალობით, გარშემო მყოფთათვის საყვარელი და სასურველი ადამიანი ბრძანდებით. შესაძლოა, მოხდეს ისეც, რომ თქვენ რაღაც წვრილმანი, უმნიშვნელო საქმე დაგაგვიწყდეთ. არ არის გამორიცხული, რომ დაგაგვიანდეთ მატარებელზე, დროულად ვერ დაამთავროთ საქმე, რომელიც გარკვეული ვადისთვის უნდა გქონდეთ მზად, მაგრამ ერთი ძალზე სახარბიელო თვისებით გამოირჩევით — თქვენ თითქმის ყოველთვის შეგიძლიათ საქმის გამოსწორება.

24-0 ქულა: დიდი სურვილი გაქვთ იმისა, რომ ირგვლივ მყოფები საიმედო ადამიანად მიგიჩნევდნენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანია თქვენთვის, მაგრამ ცხოვრებისეული სიტუაციებიდან გამომდინარე, ხშირად ხდება ისე, რომ ვერც საკუთარი თავისთვის მიცემულ სიტყვას ასრულებთ და ვერც — სხვისთვის. თქვენს გარემოცვაში დიდად სერიოზულ ადამიანად არ მიგიჩნევენ. თქვენ ხშირად იღებთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას, რასაც მოგვიანებით, ნანობთ ხოლმე. თქვენ გიყვართ დღევანდელი დღითა და ფანტაზიებით ცხოვრება. ვერ იტანთ პედანტებსა და წარმოსახვის უნარს მოკლებულ ადამიანებს. პუნქტუალურობაზე მხოლოდ ოცნება თუ შეგიძლიათ. ამის გამო კი, ხშირად მოგდით უსიამოვნება როგორც შეფთან, ასევე ახლობლებთან.

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

დასაწყისი იხ. გვ. 67

ბრაზილიელებმა მეხუთედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, რაც ცხადია, ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში დიდი ზარ-ზეიმის მიზეზად იქცა. ბრაზილიის პრეზიდენტის ბრძანებით, 2 ივლისი, როდესაც „პენტაკამპეონები“ სამშობლოში ბრუნდებოდნენ, უქმე დღედ გამოცხადდა. გარდა ამისა, მეხუთე დიდი გამარჯვების აღსანიშნავად, გამოიცა სპეციალური საფოსტო მარკები.

აღსანიშნავია ის, რომ ურიგოდ არც სამშობლოში დაბრუნებულ ვერცხლის მედლის პრიზიორს, გერმანიის ეროვნულ ნაკრებს შეხვედრიან ქომაგები, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მათმა გუნდმა წარმატებისათვის მაქსიმუმი გააკეთა და ფინალში საუკეთესომ გაიმარჯვა.

ტურნირი 2002 წლის 31 მაისიდან 30 ივნისამდე მიმდინარეობდა. მონაწილე 32 გუნდი 8 ქვეჯგუფში ასპარეზობდა, მერვედფინალში კი, ორ-ორი საუკეთესო გადიოდა. მერვედფინალიდან გასული ნაკრებები ოლიმპიური სისტემით აგრძელებდნენ თამაშს.

სულ გამართულ 64 მატჩს 2705560 მაყურებელი დაესწრო (საშუალოდ, 42274 კაცი თითოეულ შეხვედრას).

გავიდა 161 გოლი (მატჩში საშუალოდ, 2,52) — 10 გოლით მეტი, ვიდრე 1998 წელს საფრანგეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის 64 შეხვედრაში.

შედგა ორი ჰეთთრიკი. პირველად გერმანელმა მიროსლავ კლოზემ გამოიჩინა თავი, რომელმაც სამჯერ დაამწუხრა საუდის არაბეთის ნაკრების ქომაგები. მეორე ჰეთთრიკის ავტორი კი, პორტუგალიელი პედრო პაულეტა გახლდათ. მან პოლონეთის გუნდს ზედიზედ სამჯერ გაუტანა გოლი.

პროცენტულად ყველაზე მეტი გოლი საუდის არაბეთის ნაკრებმა გაუშვა (სულ ჯგუფურ ეტაპზე 12). მხოლოდ გერმანელების მიერ დარტყმულმა ბურთმა არაბთა კარის ბადე რვაჯერ შეარხია.

ჰაკან შუკური მსოფლიო ჩემპიონატის ისტორიაში შევიდა, როგორც ყველაზე სწრაფი გოლის ავტორი. მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩში მან სამხრეთკორეელების კარის ბადეში, თამაშის დაწყებიდან 11 წამში გაახვია ბურთი.

გოლების თავით გატანაში პირველობა არავის დაუთმო მიროსლავ კლოზემ, რომელმაც 5-ჯერ გამოიჩინა თავი.

ყველაზე ხშირად თანაგუნდელებს პასს გერმანელი მიხაელ ბალაკი გადასცემდა, ხოლო ყველაზე ხშირად კარის მიმართულებით რონალდო ურტყამდა. ბრაზილიელმა ფორვარდმა მეტოქეთა კარის მიმართულებით 21-ჯერ გაგზავნა ბურთი.

მსოფლიო ჩემპიონატში პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ბრაზილიისა და გერმანიის ნაკრებები. 2002 წლის მუნდიალის ფინალურ მატჩამდე ამ გუნდებს მსოფლიო თასის გათამაშებაში ერთმანეთთან არასოდეს უთამაშიათ.

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ და მეკარედ გერმანიის ნაკრების გოლკიპერი, ოლივერ კანი დასახელდა. მან ხმათა რაოდენობით (147:126) რონალდო დაჯაბნა. მესამე ადგილზე კი, 108 ხმით კორეელი ხონ მიუნ ბო აღმოჩნდა.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი, ბრაზილიელი რონალდო გახდა. მან რვაჯერ გამოიჩინა თავი. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდმანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

8	7	2	3	1	5	9	4	6
4	1	5	6	9	7	8	3	2
3	6	9	4	8	2	1	5	7
5	8	3	2	7	6	4	1	9
1	9	7	8	3	4	2	6	5
2	4	6	9	5	1	3	7	8
6	5	4	1	2	9	7	8	3
7	2	8	5	4	3	6	9	1
9	3	1	7	6	8	5	2	4

7	5	8	2	6	1	3	4	9
6	9	1	4	3	5	7	2	8
2	3	4	7	8	9	1	5	6
3	1	9	5	4	2	8	6	7
8	4	7	9	1	6	2	3	5
5	2	6	8	7	3	4	9	1
9	7	3	6	2	8	5	1	4
1	8	5	3	9	4	6	7	2
4	6	2	1	5	7	9	8	3

* მარტივი

			8		1			
		1	9		4	3		
	8			5			1	
2	5		1		8		7	6
		7				5		
8	6		3		5		2	4
	2			1			9	
		6	5		3	8		
			6		2			

** საშუალო

	9						7	
	6		8		1		3	
5		3				1		8
		7	2	6	9	3		
			7		3			
		1	5	8	4	7		
3		2				5		7
	4		1		8		9	
	1						2	

ფოტოკუიიოზები

Premier by Dead Sea Premier
ნიღაბი ღამის ფეხრის
L.T.D. I.L. PREMIER
Premier
by Dead Sea Premier
MASK MIRACLE
ALL SKIN TYPES
Dead Sea
ᲓᲐᲯᲘᲠᲓᲝᲕᲔᲑᲘᲡ
ᲮᲝᲑᲝᲮᲘᲡ ᲡᲐᲣᲯᲔᲗᲔᲡᲝ
ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ
ტელ: (+995 32) 38 44 5
მობ: (+995 99) 54 66 6
შ.პ.ს. ი.ლ. პრემიერ
www.il-premier.g

b 86/26